...ლო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში ®

№43

ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge



გვ. 50

რატომ უნდოდა ოთო ნემსაძეს პროკურორობა და რატომ ხოხავდა ის დილის 5 საათზე თამარაშვილის ქუჩაზე დესანტივით

გვ. 22

როგორ გადაანწყვეტინა თამთა შელანიას ერეკლე მანგოშვილმა გათხოვება და რატომ იყო კონკურსანტებისთვის უსაფრთხოების ზომები გაძლიერებული

გვ. 75

რატომ დაბრუნდა დიმიტრი ფაცია 20 წლის შემდეგ საქართველოში და როგორ აპირებს ის 2 მსოფლიო რეკორდის დამყარებას

ISSN 1987-569X

9 771987 569002



რა სიურპრიზს უმზადებს სომეხ და ქართველ ერს ანა ხანჩალიანი

გვ. 70



გვ. 73

ვინ და როგორ გამოიყენა ნოდარ მელაძის სახელი რეკლამირებისთვის და რატომ არ აქვს მას პირადი ცხოვრება



რატომ თვლეს თამაზ ტყემალაძე მთელი წელი ლომივით და რა შეუთვალა მან ეკა კვესიტაძეს

გვ. 14



გვ. 74

როგორ გახდა 600 სტუდენტს შორის სოფო სულაძე საუკეთესო და რატომ სდიოდა მას სიმწრის ცრემლები ფინალის დღეს სცენაზე

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!




# სარჩევი


რატომ გახდა გენერალი მაზნიაშვილი იძულებული, დაეტოვებინა სოჭი, როგორ შეიჭრა მტრის ღრმა ზურგში და როგორ მოაქცია დენიკინმა სოჭში ქართული გარნიზონი ალყაში ........ 6

რატომ არის „იუჟნაია ოსეტია“ რუსეთის ფავორიტი და რატომ ახარჯავს მცირერიცხოვან ცხინვალს აფხაზეთზე 3-ჯერ მეტ თანხას ........ 8

რა საქმიანობებმა მოუტანა გაჩინოვნიკებამდე გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მჭედლიშვილს წელიწადში 80 000 ლარამდე შემოსავალი ........ 9

როგორ შეირგეს ქართველმა მამაკაცებმა თავიანთი ცოლების მიერ თურქეთში ნაშოვნი ფული და რატომ აღმოჩნდა სიყვარულის მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში ბოლოდან მეოთხე ადგილას ........ 10

რამდენი მილიონი დოლარი აქვს წაგებული კაზინოში აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს და რატომ ადარებენ მას „ნათლიმამას” გმირებს – მაიკლ და სანი კორლეონეებს ........ 12

„ფორბსის“ რომელი მილიარდერები ცხოვრობენ ლონდონის მილიარდერების ქუჩაზე – „კენსინგტონ პალას გარდენზე“ ........ 13

ადვოკატი გირჩევთ ........ 16

ვინ დაუგეგმა ბიზნესმენ ფუტკარაძის ვაჟს ქორწილი და რატომ დადის მასზე ლეგენდები ........ 18

როგორი ხასიათი უხდება ბევრ პრობლემას შეჭიდებულ ქალს და უნდა გაექცეს თუ არა ამას ........ 20

როგორ ეხმარებოდა აღმზრდელი დედა ნაშვილებ გოგონას ბიოლოგიურ მშობლებთან და და-ძმასთან კავშირის დამყარებაში ........ 21

თბილისის რომელ უბანში იმართებოდა ყველაზე დიდი კრივი, ვინ იყვნენ ცნობილი თბილისელი მოკრივეები და რა წესები დაუწესა მოკრივეებს იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ........ 23

რომელია ორი აღმატებული ვნება და რატომ იღებენ ადამიანები მათგან ყველაზე დიდ სიამოვნებას ........ 24

2013 წლის ყველაზე სწრაფი ფეხბურთელების ტოპ-ათეული ........ 26

რას უთვლიდა თამარ ციციშვილს ქმარი მეშჩანობად და როგორ დაუსახიჩრდა მას სახე „დარიკოს” გადაღებებზე........30

სად მიდის ადამიანის აურა მისი გარდაცვალების შემდეგ და რას გრძნობს მომაკვდავი ამ დროს........32

რომელ კოსმეტიკას მოიხმარს ქეით ბლანშეტი და რატომ არის მისი „ოსკარი“ უნიკალური........34

ვის ენდობოდა სტალინი ყველაზე მეტად და რა საიდუმლო გაანდო მას ........ 35

შეკითხვა ასტროლოგს ........ 36

განვითარების რა ეტაპებს გადის ორსული ქალი ასტროლოგიურად და რა კავშირშია დაავადებები დაბადების თვეებთან ........ 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ........ 45

კოსმეტოლოგის რჩევები ........ 47

როგორ გაეპარნენ უცხოეთში „სუკს“ დემიდოვის კოლექციის გამტაცებლები ........ 48

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ........ 51

ვეტერინარის რჩევები ........ 56

ფლორის სამყაროში ........ 56

ქურდული ცხოვრება ........ 58

სერიული მანიაკები ........ 66


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# მდიდარი მსახურების ხიბლი

# შუაში

მაშინ, როდესაც ჩვენი **წინა ხელისუფლება იმით ამაყობს, რომ მმართველობის 9-წლიანი ციკლის განმავლობაში 14 ლარიანი პენსია მმართველობის დაისზე 125 ლარამდე გაზარდეს** (იმის პარალელურად, რომ **თავიანთ ჯიბეებში ხანდახან 100-ჯერ მომატებული ხელფასებიც კი ჩაიჩხრიალეს**), ახალი კი **9 თვეში მის 150 ლარამდე გაზრდას,**



რაც მართალია, მართალია, არ ზეიმობს, **მხოლოდ აღნიშნავს,** საბანკო გიგანტი „კრედიტ-სვისი“ გამოკვლევის **ჩვენთვის გულისმომკვლელ შედეგებს აქვეყნებს,** რის მიხედვითაც, ამ ჩვენს **მრგვალ დედამიწაზე, რომელსაც მზე თანაბრად ანათებს, ყველაზე მდიდრები შვეიცარიის მოქალაქეები არიან.** ბანკის ანალიტიკოსებმა დაითვალეს და დაადგინეს, რომ **თითოეული შვეიცარიელი საშუალოდ 513 000 აშშ დოლარს ფლობს**; მათ **110 000-ით ჩამორჩებიან ავსტრალიელები**, რომლებსაც **380 000-ით კი ნორვეგიელები მისდევენ.**



ამის პარალელურად, ისიც გარკვეულა, **რომ უმდიდრესი ქვეყნები ჩრდილოეთ ამერიკაში, დასავლეთ ევროპაში, წყნარი ოკეანე – აზიის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში** არიან განთავსებულნი. ყველაზე **ღარიბები კი აფრიკაში, ინდოეთსა და ბოლივიაში სახლობენ**: ამ უკანასკნელთა მოქალაქეებს, **საშუალოდ, 5-5 ათასი აშშ დოლარი აქვთ.**

იმ კვლევაში, **რაკი კავკასია არც თავშია, არც ბოლოში**, უნდა ვივარაუდოთ, რომ **სადღაც შუის იქით უნდა ვიყოთ** და, ვფიქრობ, **იმის წყალობით, რომ ამ მშიერ ქვეყანაში მდიდარი ხელისუფალ-ნახელისუფლარნიც გვყავს** და, **არც ადგილზე გამდიდრებულ ბიზნესმენთა ნაკლებობას ვუჩივით.**

აი, **რა ხეირი მოაქვთ ღარიბი ხალხის მდიდარ მსახურებს!**

# ასი პარასკევი

ჩვენ **საბოლოოდ კვლავ ვერ გაგვირკვევია, მივიღებთ თუ არა მონაწილეობას სოჭის ოლიმპიადაში** და, მთლად **იმიტომაც არა, რომ ასი პარასკევი გვაქვს**, **არამედ, იმ** მარტივი და ხელშესახები **მიზეზით, რომ, შიდა ქართლში ოკუპანტები და ჩვენებური სეპარატისტები მავთულხლართებით მოიწევენ სიღრმეში** და, იმის გამოც, რომ **აგვისტოს ომში გმირობამინიჭებულ ნეჩაევსაც მოაკიდებინეს ხელი ოლიმპიური ჩირაღდნისთვის**.



მეორე მხრივ, **არც რფ-ა უქმად: 14 000 მეჩირაღდნეს შორის ჩვენი უკვე სამი თანამამულეა**: დიანა ღურწკაია, სოსო პავლიაშვილი და ვლადიმირის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ვინმე ანზორ სალუქვაძე (ეჭვი მაქვს, სანამ ჩვენი ჟურნალი დღის სინათლეს იხილავს, მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება).

## ანუ, კიდევ ვის მოაკიდებინებენ ხელს

სახელდობრ, სოსო პავლიაშვილმა **ჩირაღდნით ხელში ვლადიმირის ოლქის ქალაქი სუზდალი მოიარა** და **საქვეყნოდ ჟურნალისტის შეკითხვასაც** (ეთანხმება თუ არა ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობას) **ერთობ ამაღლებულ ტონალობაში უპასუხა**: „სპორტი და ხელოვნება ადამიანებს აერთიანებს“. თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ ოკუპანტებმა „იუჟნაია ოსეტიას“ მხარეს სასაფლაოც კი მოაქციეს, მაინც **უპასუხოდ რჩება რიტორიკული კითხვა: მაშინაც კი აერთიანებს, როდესაც მავთულხლართები საფლავსა და ჭირისუფალს თიშავს?!**

# შეხვედრამდე – საიქიოში

## სად ვიშოვოთ არგონავტები?!

უკვე მივეჩვიეთ, რომ ქართულ **ტელესივრცეში, თუ ადგილზეა დამზადებული, ძირითადად, მცირებიუჯეტიანი სარეკლამო რგოლები ტრიალებს** (ხარისხიც ბიუჯეტის შესაფერისია), **რომლებსაც ვერც თავს გაუგებ, ვერც ბოლოს** და **კრეატიულობა ხომ, საერთოდაც, ნულს ქვემოთაა.**

ამის პარალელურად, **ისეთებიც გვხვდება, თვალსაც რომ იტაცებს და ხარისხითაც არა უშავს**, თუმცა, **როგორც წესი, მოგვიანებით აღმოჩნდება ხოლმე, რომ ასეთები პლაგიატის ნაყოფია** და იმავე შინაარსის **უცხოური სარეკლამო რგოლებიდანაა გადმოღიღინებული** (სავარაუდოდ, **ჩვენებური მაყურებლის „სიბნელეზე“ გათვლილიც**).

ასეა თუ ისე, მაგალითად, მართალია, **ლუდ „არგოს“ რეკლამის ავტორებს პლაგიატობას ვერ დავწამებთ**, მაგრამ, სამაგიეროდ, **დიდი დილემის წინაშე აყენებს მაყურებელს** და, შესაბამისად, **ამ ლუდის დაგემოვნების მსურველს**, რადგან, **თუ რეკლამის სიუჟეტით ვიმსჯელებთ, ამ ლუდის დამლევს ანი საიქიოში თუ მივაგნებთ**.

სახელდობრ, **სარეკლამო რგოლი გვამცნობს, რომ ლუდი „არგო“ ექსკლუზიურად არგონავტების სასმელია**. იმის გათვალისწინებით, რომ **რეკლამის ტექსტის ავტორებმა იციან სიტყვა „ექსკლუზივის“ მნიშვნელობა,** გამოდის, რომ **პროდუქცია არგონავტებზე ჰქონიათ გათვლილი, რომელთა ძვლები უკვე კარგა ხანია, მიწას შეერია.**




მეორე მხრივ, **უფრო უარესი, თუ გვთავაზობენ, რომ ლუდ „არგოს“ შესმა არგონავტებად გვაქცევს**, რადგან, **გამოდის, რომ საკუთარი ქვეყნის გასაძარცვავად გვაგულიანებენ** (არადა, პატივცემულ ავტორებს ვერ დავწამებ არგონავტების მითის უცოდინარობას)?!

ერთი სიტყვით, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, ამ შიშველმა, ამ შუაღამეზე, სად გიშოვოთ, ქალბატონო, კაციო; **ამ გაქანებულ ოცდამეერთე საუკუნეში, პროდუქციას დამლევი რომ გამოუჩნდეს, სად ვუშოვოთ კომპანია „კასტელს“ არგონავტები?!**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ზური ქავთარაძე, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „პრ“-ჯაყო №2

თუმცა, **ჯაყო №2 – „პრ.“ თიბილოვის განცხადებას, ჩემი უახლოესი მიზანი** და ამოცანა **რფ-სთან შერწყმააო, მოსკოვიდან ცივი წყალი გადაასხეს** – ამ ეტაპზე ამ საკითხს არ განვიხილავთო, **სამაგიეროდ, გულთბილად გამოეხმაურნენ იმავე „პრ.“-ის მეორე სურვილს** (ეს უკანასკნელი ჯაყო მეორემ 15 ოქტომბერს გაამჟღავნა) – საბაჟო კავშირში „იუჟნაია ოსეტიას“ გაწევრიანებას.



ან კი **როგორ არ გამოეხმაურებოდნენ, როდესაც რფ-ს უკრაინა ხელიდან უსხლტება** და ამ ფონზე „იუჟნაია ოსეტიას“ სურვილს ოქროს ფასი ედება.

მეორე მხრივ, ისიც ცნობილია, რომ **ამ**

## გამჟღავნებული ხვაშიადი

**ჩვენს ცხინვალის რეგიონს იმ საბაჟო კავშირის დანარჩენი ორი წევრი** – ბელორუსია და ყაზახეთი – **არ აღიარებს**, მეტიც, **არც საწევროდ გამზადებული სომხეთი**.

თუმცა, **რუსი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ყველაფერი შესაძლებელია** და, თუ საქმე საქმეზე მიდგება, **სომხეთი თუ ბელორუსია** (სავარაუდოდ, მათ არც ყაზახეთი ჩამორჩება) **შეეცდებიან თავიანთი დასტურის მომგებიან პირობებზე გაცვლას**. კერძოდ, „აღიარება კარგი საგანია სავაჭროდ და არავინ იტყვის უარს იმ ბონუსებზე, რაც, შეიძლება, მოუტანოს ასეთმა ნაბიჯმა.“

ერთი სიტყვით, ისღა დაგვრჩენია, **დაველოდოთ, რამდენია ჩვენი გასაყიდი ფასი?!**

# მადადასაოკებლები

## ვინ, რატომ და რამდენიანით უნდა ისრიალოს

შესაძლოა, იმიტომ, რომ **ცუდი მაგალითი გადამდებია,** ან, იქნებ, **იმის გამო, „უნახავმა რა ნახაო“,** მაგრამ, **ფაქტია, რომ ძველთა ტრადიცია ახალმა ჩინოვნიკებმაც შეისხლხორცეს** და **თავიანთი თავები ძვირად ღირებული ავტომანქანებით დაისაჩუქრეს.**

**მათ მიერ ავტომანქანებში გადაყრილი ფული კი იმდენად თვალშისაცემი შეიქნა,** რომ **მინისტრთა კაბინეტმა მთავრობის გასულ კვირას გამართულ სხდომაზე სამსახურებრივი ავტომანქანების სახელმწიფო შესყიდვის საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია შექმნა** (პათოსით: „მეშინია, ბატონო, არ გაგისკდეთ მუცელიო“).

როგორც განგვიმარტეს, ეს კონკრეტული **სახკომისია მინისტრის მოადგილეებისა და პარლამენტის წევრებისგან დაკომპლექტდება** და სწორედ ისინი განსაზღვრავენ, **ვინ, რატომ, რამდენი და რა ღირებულების ავტოთი უნდა ისრიალოს.**



მეტიც, **თანამდებობის მიხედვით, ავტომანქანების ტიპი და კლასიც განისაზღვრება** (თორემ, ხომ შეიძლება, ღმერთი გაუწყრეს ვინმეს და, **რომელიმე თანამდებობის პირს მის თანამდებობაზე ნაკლები კლასისა და ტიპის ავტომანქანა შესთავაზოს**?!).

მოკლედ, **ძველია თუ ახალია, პათოსი** „კავკასიელი ტყვე ქალივით“, გნებავთ, ოკუპანტივით **უცვლელია**: хорошо жить еще лучше!

# არსენას გზა

გასულ კვირას შევიტყვეთ, რომ ქრისტიან-დემოკრატთა საპრეზიდენტო კანდიდატი ბ-ნი **თარგამაძე პრემიერ-მინისტრს სასამართლოში უჩივლებს**, რაკი **ამ უკანასკნელმა ის მოღალატის ეტალონს შეადარა,** რამაც ბ-ნ **თარგამაძეს თავი მორალურად დაზარალებულად აგრძნობინა.** ამიტომაც, **ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, სასამართლოსთვის მიემართა**, ცხადია, **მორალური ზიანის ასანაზღაურებლად**. ზედაც, ეს **ზარალი, არც მეტი, არც ნაკლები, მილიარდ აშშ დოლარად შეაფასა.**



თუმცა, **იქვე განმარტა, რომ ამ თანხას განა საკუთარ კეთილდღეობას, საქართველოში მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობას მოახმარს**. ხოლო **მილიარდზე კი იმიტომ შეჩერდა, რომ**, როგორც თავად ბრძა-

## „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“

ნებს, ბ-ნი **ივანიშვილი მილიარდერია** (მაგრამ, პირი ქვისკენ მიქნია და, რომ არ ეყოს მილიარდი მცირე და საშუალო ჰესების ქსელის განვითარებას?!).

ბუნებრივია, **ღირსების შეფასებისას კაცია და გუნება**, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ **დაზარალებულმა თანხა მოსათხოვნის ჯიბის მიხედვით დააწესა**, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბ-ნ **თარაგმაძეს, თუმცა ქრისტიან-დემოკრატია, არსენას გზა აურჩევია: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს**, ღმერთი **როგორ წაახდენსა**“, ოღონდ, ცხადია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „ღმერთში“ **ამომრჩეველი** იგულისხმება.



# ჩვენ ვიფრენთ

## ანუ, ტემპში

დედაქალაქის **საკრებულოში ისეთი ორომტრიალია,** ერთი მხრივ, **ყოფილი „ნაციონალი“ ახლანდელს არ აიყვანს, იმის შიშით, ხელში „მეოცნებე“ არ შემრჩესო;** ხოლო, მეორე მხრივ, **საკრებულო და მერია დანასისხლად არიან**. მაგრამ, **სამაგიეროდ, დედაქალქის მერია აღმშენებლობის ტემპს არ აგდებს:** აქეთ – **ავტობუსების შესყიდვაზე აცხადებს ტენდერს** (შემთხვევით ვისარგებლებ და აქვე შევთხოვ: ახლა მაინც შეარჩიეთ ვენტილაციიანი ავტობუსები), იქით – **ახალი საბაგიროს მშენებლობის იდეასაა შეჭიდებული.**

წინასწარი ინფორმაციით, **საბაგირო გზით ვარდების მოედნისა და მთაწმინდის პარკის დაკავშირებას აპირებენ**, რაც 10 მილიონი ლარი დაგვიჯდება, თუმცა, ჩვენ რა, ბიუჯეტს დაუჯდება.



მეტიც, **საბაგიროს მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე ნოემბრიდან შეუდგება** და, უკვე ისიც ცნობილია, რომ მისი **სიგრძე 1 022 მეტრი იქნება,** მგზავრებს კი **8-ადგილიანი 21 გონდოლა** მოემსახურება.

წინასწარივე მონაცემებით, **მშენებლობა 9 თვეში უნდა დასრულდეს**. იმის გათვალისწინებით, რომ **პრობლემა უამრავია, საბაგირო კი გვაქვს** (პრასის არ იყოს), კიდევ ერთი წამოწყება, სავარაუდოდ, **მომავალი წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პრიზმაშია** (როდესაც ჩვენი **პოლიტელიტა „საქმენი საგმირონიათი“ კიდევ ერთხელ გაგვიხვრეტს ყურებს**).

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **საბაგირო იქ, ზემოთაა;** აქ, **ქვემოთ კი – ავტომანქანებით გადაჭედილი ქუჩებია,** იქნებ, ამ საბაგიროს მშენებლობაზე არ შევჩერებულიყავით და თბილისის ცა, საერთოდაც, საბაგიროებით დაგვექსელა: **ამ ცოდვილი მიწისგან შორს ვიქნებოდით, თანაც, ვიფრენდით**.

**მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან
ზარი ფასიანია


**სოჭი ამჟერად ოლიმპიადაზე წასვლა-არწასვლის გამო მოექცა ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში, თუმცა, თუ ისტორიას გადავხედავთ, იყო დრო, როდესაც დღეს ამ ერთ-ერთ რუსულ ქალაქში, მართალია, 1918 წლის 6 ივლისიდან 1919 წლის 8 თებერვლამდე, მაგრამ მაინც საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდებოდა. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელ სიმონ კილაძესთან ერთად გავიხსენებთ ამ ჩვენს არცთუ შორეულ ისტორიას.**

# რატომ გახდა გენერალი მაზნიაშვილი იძულებული, დაეტოვებინა სოჭი, როგორ შეიჭრა მტრის ღრმა ზურგში და როგორ მოაქცია დენიკინმა სოჭში ქართული გარნიზონი ალყაში



**სოჭში ჩატარდა პოლიტიკური პარტიების ყრილობა, რომელსაც რუსული პარტიებიც ესწრებოდნენ და მათ დაადგინეს, რომ სოჭის ოლქი უნდა შეუერთდეს საქართველოს, თუმცა იყო ჩვენთვის ერთი არასასიამოვნო მომენტიც: დროებითო**

**– რატომ გაუჩნდა საქართველოს მთავრობას სოჭის დაქვემდებარების სურვილი?**

– რამდენიმე მიზეზის გამო: ამიერკავკასიაში ამიერკავკასიის სეიმი და კომისარიატი იყო, როდესაც აფხაზეთში ბოლშევიკური მოძრაობა დაიწყო. მათ მოაწყვეს აჯანყება და სოხუმის ოლქში, ანუ დღევანდელ აფხაზეთში გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. ჩამოაყალიბეს რევკომი და არც საბჭოთა რუსეთთან შეერთების სურვილს მალავდნენ. აფხაზი ბოლშევიკების დაპირებებით მოხიბლულმა გლეხთა კარგად შეიარაღებულმა რაზმებმა, ჩრდილოკავკასიელი კომუნისტების დახმარებით, 1918 წლის 26 მარტს ქალაქი სოხუმი დაიკავეს. მაისში კი სოხუმის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ მიიღო დადგენილება საბჭოთა რუსეთთან შეერთებაზე. გარდა ამისა, ისინი უახლოეს მიზნად ამიერკავკასიის კომისარიატის დამხობასაც, ანუ თბილისისკენ წამოსვლას მიიჩნევდნენ, რომ თავიანთი ხელისუფლება გაევრცელებინათ. რა დასამალია და, აფხაზი ბოლშევიკების ლოზუნგს: „მიწა – გლეხებს“, წამოეგო სამურზაყანოს, ანუ გალის მაზრის გლეხობის ნაწილი, რამაც ვითარება უფრო დაძაბა. ასეთ პირობებში ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება სოხუმის ოკრუგში წესრიგის აღდგენის შესახებ.

**– როგორ ჰგავს ეს ამბავი სულ ახლახან, 2008 წელს ჩვენს თავს გადამხდარ ისტორიას.**

– განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სეიმმა ეს დადგენილება სოხუმის ოლქის მმართველი ადგილობრივი ორგანოს თხოვნით მიიღო, რომელთა წევრები იყვნენ გავლენიანი თავადები: შერვაშიძე, მარშანია და სხვები. მართალია. თბილისისადმი დაქვემდებარების მომხრენი, მაინცდამაინც, არ იყვნენ, მათ მთიელთა რესპუბლიკასთან კავშირი უფრო იზიდავდათ. მაგრამ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად იმედის თვალი მაინც ქართველ მენშევიკებს მოაპყრეს. აი, ამ დროს გამოდის ასპარეზზე ქართველი მხედართმთავარი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. მან დაწერა მემუარები და როგორც თავად იხსენებს: „1918 წლის აპრილის შუა რიცხვებში, როდესაც ჩემი რაზმი ჯერ კიდევ ნატანებში იდგა, ჩემთან მოვიდა დეპუტაცია სოხუმიდან, რომელიც შედგებოდა სოხუმის მოურავისგან და აფხაზთა სახალხო საბჭოს სამი წევრისგან. მათ მომმართეს თხოვნით, ბოლშევიკებისგან გამეწმინდა როგორც სოხუმი, ისე მთელი აფხაზეთი.“ მაგრამ გენერალმა მაზნიაშვილმა დელეგაციას უთხრა, რომ ეს მის კომპეტენციაში არ შედიოდა და აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებელი იყო საქართველოს მთავრობაზე. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საკითხი სახალხო გვარდიის უფროსს, ჯუღელს დაავალა.

**– ესე იგი, შემდეგ აფხაზეთიდან დელეგაციამ საქართველოს ხელისუფლებას მიმართა?**

– დიახ და ჯუღელმა სახალხო გვარდიის მეშვეობით განახორციელა შეტევა. მათ დაიკავეს კოდორის ხიდი, მტერს უკან დაახევინეს, საკმაო სამხედრო ალაფი ჩაიგდეს ხელში და ბოლშევიკები გაყარეს ახალი ათონიდანაც. მაგრამ არც ბოლშევიკები ისხდნენ გულხელდაკრეფილები, მათ დახმარება მიიღეს ჩრდილო კავკასიიდან, საიდანაც ავტომანქანებით, დაახლოებით, 2 000-კაციანი ქვედანაყოფი გადმოისროლეს. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ანუ ადგილობრივ მთავრობას რთული სიტუაცია შეექმნა დუშეთის მაზრაში, სადაც აჯანყება დაიწყო ბოლშევიკების ხელმძღვანელობით და ძალები დაიქსაქსა. შესაბამისად, ბოლშევიკებმა 20 ივნისს ისევ დაიკავეს ახალი ათონი და ისევ დაემუქრნენ სოხუმს. აი, ამ დროს გერენალ მაზნიაშვილს შეატყობინეს, რომ ის დანიშნულია აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და, იმავდროულად, საქართველოს შავიზღვისპირეთის ფრონტის ჯარების სარდლად. მისი ბრძანებით საქართველოს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი რეგულარული საარმიო ნაწილები გუდაუთისკენ გაიგზავნა. 19 ივნისს მაზნიაშვილი სოხუმში ჩავიდა და აქედან იწყება მაზნიაშვილის შეტევა სოჭის მიმართულებით. 22 ივნისს მან გუდაუთა გაათავისუფლა ბოლშევიკებისგან, 28 ივნისს – გაგრა, საქართველოს სამხედრო ნაწილები შევიდნენ პილენკოვოში, დღევანდელ განთიადში და მიადგნენ მდინარე ფსოუს, სოჭის ოლქის საზღვარს.

**– რატომ არ გაჩერდა მაზნიაშვილი ფსოუზე?**

– გიორგი მაზნიაშვილი იგონებს: „როგორც თბილისისგან, ისე აფხაზეთის ეროვნული საბჭოსგან მივიღე ბრძანებები, წამეწია წინ და დამეჭირა სოჭი. მიზეზი, როგორც გადმომცეს ტელეგრაფის პირდაპირი მავთულით, იყო სოჭში მცხოვრები ქართველების თხოვნა-მუდარა. ხოლო აფხაზეთის ეროვნული საბჭოს ზოგიერთი წევრი მარწმუნებდა, რომ აფხაზეთს ეკუთვნოდა არა მარტო სოჭი, არამედ აფხაზეთის საზღვრები უძველეს დროში ანაპამდეც კი მიდიოდაო. ამ ბრძანების შემდეგ მთელი ერთი კვირა წინ არ მივდიოდი, მაგრამ ნელ-ნელა მზადებას შევუდექი სოჭის ასაღებად. გვეუბნებოდნენ, რომ იქ მცხოვრები ქართველები მოუთმენლად ელიან ქართული ჯარის მისვლასო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ის იყო, რომ, სანამ სოჭში ბოლშევიკები იქნებოდნენ, მათი შემოსევის საფრთხე მუდმივად იარსებებდა.“

**გადმოვედით ფსოუზე... დენიკინელები ფეხდაფეხ მოგვდევდნენ... დაიკავეს გაგრაც და მოვიდნენ მდინარე ბზიფამდე... ბზიფთან დენიკინი დიდმა ბრიტანეთმა გააჩერა**

**– ისტორიულად ქართველები საიდან მოხვდნენ სოჭში?**

– ამის მიზეზები მეცხრამეტე საუკუნეში უნდა ვეძებოთ. როდესაც რუსეთის იმპერიამ სოჭის მხარის ათვისება დაიწყო, იქ ძალიან მცირერიცხოვანი მოსახლეობა იყო და ამიტომ დასავლეთ საქართველოდან ჩაასახლა ხალხი: იმერეთიდან, სამეგრელოდან და მეცხარმეტე საუკუნის 90-იან წლებში სოჭში უკვე საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობდა.

**– მხოლოდ ქართველებს ასახლებდნენ?**

– არა, ბევრი ხალხი ჩამოასახლეს იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან, ბალტიისპირეთიდან და ასე შემდეგ. მთავარი ის იყო, რომ რუსეთის იმპერიას მიზნად ჰქონდა, ეს სანაპირო კავკასიის რივიერად გადაექცია და გარკვეული კონკურენცია გაეწია ფრანგული და იტალიური რივიერებისთვის.

**– მიხეილ სააკაშვილის მსგავსი სურვილები ჰქონიათ.**

– დიახ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რუსეთის იმპერიამ ეს განახორციელა. იყო ასეთი მოსკოველი კომერსანტი ტერნოპოლსკი, რომელსაც იმპერიის მთავრობამ მისცა უფლება, სოჭში საკურორტო ინფრასტრუქტურა აეშენებინა და 1913 წლისთვის იქ უკვე იყო აგებული სასტუმროების კომპლექსი – „კავკასიის რივიერა“, რომელიც შედგებოდა 4 სასტუმროსგან, საკუთარი სამედიცინო ცენტრით, ელექტროსადგურით, წყალსადენით, კვების ობიექტით, საცურაო აუზით, სპორტული კომპლექსით, საკონცერტო დარბაზებით, ბიბლიოთეკებით. ეს იმ დროისთვის დიდი მიღწევა იყო და „კავკასიის რივიერა “ არაფრით ჩამოუვარდებოდა უცხოეთის მნიშვნელოვან კურორტებს.

**– მეცხრამეტე საუკუნემდე რა ხდებოდა ახლანდელი სოჭის ტერიტორიაზე?**

– რუსეთ-თურქეთის ომების შემდეგ ეს ტერიტორია მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე რუსეთს ეჭირა, მაგრამ აუთვისებელი იყო. შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერია გაძლიერდა, საჭირო იყო კომუნიკაციების მშენებლობა, მით უფრო, რომ რუსეთს შავ ზღვაზე ფლოტიც ჰყავდა და ამ დროს დაიწყო ამ ტერიტორიების ათვისება.

**– ისევ ჩვენს ძირითად თემას დავუბრუნდეთ: ვინ იყო გენერალ მაზნიაშვილის ჯარის მოწინააღმდეგე? ძალიან მარტივად მიიწევდა წინ.**

– ბოლშევიკების შეიარაღებული ძალები. საკმაოდ სასტიკი ბრძოლებიც გაიმართა. მათ საკმაოდ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა ხვდებოდათ. სხვათა შორის, ქართული შეიარაღებული ჯარების შტაბი სწორედ „კავკასიის რივიერაში“ განთავსდა. თუმცა იმდროინდელი მენშევიკური პრესა, განსხვავებით ოპოზიციური პრესისგან, ამას არ განიხილავდა, როგორც ჩვენი ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებას. 1918 წლის 27 ივლისს ჩვენმა ჯარმა ტუაფსეც დაიკავა, რადგან არსებობდა ასეთი მოსაზრება: ჯობია, ბოლშევიკები ბოლომდე გავანადგუროთ, რომ სოჭი დაცული იყოსო. მართალია, ქართული გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი თავის მოგონებებში წერს, რომ ქართული ჯარის ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობა არ იყო გამართლებული, მაგრამ ისტორიაში დარჩა, რომ 1918 წელს ქართულმა ჯარმა განახორციელა ძლევამოსილი გარღვევა და რეიდი მტრის ღრმა ზურგში: გადავიდა უღელტეხილზე, დაიკავა

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები) პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ ეფექტს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**თამარ შარაშიძე** *(82 წლის. თბილისი).*

**დიაგნოზი**: ხერხემლის ოსტეოქონდროზი, ორმხრივი გონართროზი. სიცოცხლე თავიდან შემიყვარდა, შვილო... აქ რომ მოვედი, უჯოხოდ ვერ დავდიოდი, წელშიც ძალიან ვიყავი მოხრილი. ტკივილები ღამეც არ მაძინებდა. მაღალი წნევებიც მაწუხებდა... ახლა კარგად ვარ უკვე, ახლიდან დავიბადე, თითქოს 20 წლით გავახალგაზრდავდი, ჯოხიც გადავაგდე, მუხლებში ძალა დამიბრუნდა, დავდივარ. უსარგებლოდ აღარ ვგრძნობ თავს, ოჯახში ვსაქმიანობ და ღამითაც კარგად მძინავს. ორი ჩემხელა მოიყარე ჩემო მანანა ექიმო, დედი, მარჯვენას დაგილოცავ...

**გივი მაისურაძე** *(53 წლის, ინდმეწარმე. ზესტაფონი).*

**დიაგნოზი**: კისრის ოსტეოქონდროზი, პლექსიტე (მხრის წნულის). შარშან გავცივდი, ვირუსი დამემართა. ამის შემდეგ დამეწყო ტკივილები კისრის არეში, შემდეგ გადმოვიდა მხარში, ბოლოს კი მთლიანი ხელი ჩაითრია. ტკივილი იმდენად გამიძლიერდა, რომ არანაირი წამალი არ მიყუჩებდა. ბოლოს ხელში ძალა შემისუსტდა, თითებით კოვზსაც ვერ ვიკავებდი, სად აღარ ვიარე, მაგრამ... ბოლოს ახლობლებმა ქალბატონ მანანასთან მომასწავლეს. დიდი იმედით ჩამოვედი. პირველ დღესვე ვიგრძენი კარგი ეფექტი, იმ ღამეს გაგუდულს მეძინა (არადა 1 კვირა ტკივილი არ მაძინებდა). 3 დღეში ტკივილები მთლიანად მომეხსნა. ხელში ძალამ იმატა. დღეს მკურნალობის მეათე დღეა და აღარც კი მახსოვს, რისთვის მოვედი *(იცინის).*

**ნინო ჯანიკაშვილი** *(35 წლის, დიასახლისი. საგურამო).*



**დიაგნოზი**: პოლიდისკოპათია წელის მალების (L3-S1). 10 წელია, წელის ტკივილები მტანჯავდა. 3 შვილი გავაჩინე, ეტყობა, ამანაც იმოქმედა, ოჯახში ჯაფაც არ მაკლია და... მესამე ბავშვის მერე ტკივილებმა მკვეთრად მიმატა. ფეხში ჩაანაცვლა, დაბუჟებაც დამერთო. მანანა ექიმმა კომპიუტერზე გამიშვა, მე-3 დისკის თიაქარი აღმომაჩნდა, მე-5, მე-7 და მე-8 მალების ოპერაცია გარდაუვალი იყო, რომ არა ჩემი აქ მოსვლა. მკურნალობამ საოცარი შედეგი მომცა, ეფექტი უკვე 2 დღეში ვიგრძენი. ტკივილებმა მკვეთრად იკლო, დაბუჟებამაც გამიარა. მკურნალობას ვაგრძელებ. შედარება არ არის, თავისუფლად ვმოძრაობ.

დიდი მადლობა კლინიკის ყველა თანამშრომელს!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

ჩრდილო კავკასიის მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ცენტრი, ქალაქი ბელორეჩინსკი, საიდანაც იხსნებოდა გზა ეკატერინოდარისკენ, დღევანდელი კრასნოდარისკენ და მაიკოპისკენ. მაგრამ წარმოიქმნა პრობლემები: 1918 წლის ივლისში რუსეთის სამხრეთში ჩამოყალიბდა მოხალისეთა არმია, ანუ თეთრი არმია. ხელმძღვანელობდა ანტონ დენიკინი, რომლის მიზანიც მონარქიის აღდგენა იყო და მისთვის არაფერს წარმოადგენდა არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, არც სომხეთი და არც აზერბაიჯანი. ამიტომაც ქართულ ჯარს უკან დახევა და დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლება მოსთხოვა.

– **სოჭიანად?**

– რასაკვირველია. მაზნიაშვილმა, ბუნებრივია, ეს თბილისს აცნობა და თბილისიდან ეკატერინოდარში დენიკინთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით. სხვათა შორის, არსებობს ამ მოლაპარაკების სტენოგრაფიული ჩანაწერიც. მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. საქართველოს დელეგაცია თბილისში დაბრუნდა. სოჭში ჩატარდა პოლიტიკური პარტიების ყრილობა, რომელსაც რუსული პარტიებიც ესწრებოდნენ და მათ დაადგინეს, რომ სოჭის ოლქი უნდა შეუერთდეს საქართველოს. ეს ერთადერთი გამოსავალია მშვიდობის დასამყარებლადო, თუმცა იყო ჩვენთვის ერთი არასასიამოვნო მომენტიც: შეუერთდეს დროებით. ასე იყო თუ ისე, საქართველოს მთავრობა სოჭის ოლქს დე-იურეც აკონტროლებდა და დე-ფაქტოც, რაც გაგრძელდა 1919 წლის თებერვლის დასაწყისამდე.

– **1919 წლის თებერვალში რაღა მოხდა, რატომ გახდა მაზნიაშვილი იძულებული, უკან გამოსულიყო?**

– 1919 წლის თებერვლის დასაწყისში ჩვენ კატეგორიულად მოგვთხოვეს ამ ტერიტორიის დაცლა. 1918 წლის ივლისში საქართველო გერმანიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ გერმანია დამარცხდა პირველ მსოფლიო ომში და გაიმარჯვა ანტანტამ, რომელიც დენიკინს მფარველობდა. ჩვენ, რაკი ერთი მფარველი მოგვცილდა, მაგრამ გაურკვეველ ვითარებაში აღმოვჩნდით: გვინდოდა ანტანტის მფარველობა, ანტანტა მფარველობდა დენიკინს, დენიკინი კი გვთხოვდა ტერიტორიას. ამდენად, 1919 წლის თებერვლის დასაწყისში ომის საშიშროების წინაშე დავდექით. იმ დროისთვის სოჭის ოლქში ძალიან მცირერიცხოვანი ქართული ჯარი იდგა, სოჭის გარნიზონი 500 კაცს არ აღემატებოდა; ძალიან არეული იყო სიტუაცია თვითონ ქვეყანაშიც: ბოლშევიკები აწყობდნენ აჯანყებებს და ჯარი და გვარდია მუდმივი გადასროლა-გადმოსროლის პროცესში იყო. ამას გარდა, შეიქმნა ყარსის მთავრობა, რომელმაც არა მხოლოდ მოითხოვა ახალქალაქი და ახალციხე, არამედ დაიკავა კიდეც ეს ტერიტორიები და ბორჯომისკენ დაიძრა. ამ საშიშროების გასანეიტრალებლად სოჭის ფრონტიდან ჯარები გადმოისროლეს. ერთი სიტყვით, არ გვყავდა საკმარისი ძალები. ამასობაში დენიკინმა დაგვასწრო და სოჭს შემოუტია. სოჭის ქართული გარნიზონი ალყაში აღმოჩნდა... დაიწყო გააფთრებული ბრძოლები... 1919 წლის 9 თებერვალს იძულებული გავხდით, უკან დაგვეხია და სოჭი დაგვეტოვებინა.. გადმოვედით ფსოუზე... დენიკინელები ფეხდაფეხ მოგვდევდნენ... დაიკავეს გაგრაც და მოვიდნენ მდინარე ბზიფამდე... ბზიფთან დენიკინი დიდმა ბრიტანეთმა გააჩერა; შეიქმნა ნეიტრალური ზონა მდინარე ბზიფსა და მეხადირს შორის და სწორედ იქ ჩადგა პირველად სამშვიდობო ძალები აფხაზეთში და ეს ბრიტანეთის სამშვიდობო ძალები იყო.

– **ჩვენ რაღაც მუდმივად ისტორიის ერთსა და იმავე სცენარზე ვტრიალებთ. იცვლებიან მფარველ-მოკავშირე-მტრები, მაგრამ ჩვენთვის ტრაგიკული სიუჟეტი იგივე რჩება.**

– საქართველოს მთავრობას რამდენჯერმე ჰქონდა სოჭის ოლქისკენ ხელახლა გაჭრის მცდელობა, მაგრამ იძულებული იყვნენ გაჩერებულიყვნენ ბრიტანელების მოთხოვნით. მალევე იმ ტერიტორიაზე, რომელსაც დენიკინი აკონტროლებდა, დაიწყო გლეხთა აჯანყება, მათ მწვანეებსაც უწოდებდნენ, რადგან ტყეებში იმალებოდნენ. სხვადასხვა წყაროთი ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობა უწევდა სამხედრო დახმარებას მწვანეებს. ამასობაში ჩვენებმა დაიკავეს გუდაუთა, გაგრა, თუმცა, მოგვიანებით, წინსვლა შეჩერდა. ასე დაიწყო 1920 წელი; 1920 წელს კი წითლებმა დენიკინის არმია ძალიან შეავიწროეს. აპრილში მისი ძირითადი ნაწილი გაანადგურეს და ჩრდილოეთ კავკასია გაწითლდა. სოჭის ოლქში ბოლშევიკთა პირველი რაზმები 1920 წლის აპრილში გამოჩნდნენ და ისინი მდინარე ფსოუს ნაპირებს მოადგნენ. იმ პერიოდში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმაც წაიწიეს წინ და შეიქმნა გაგრის გამაგრებული რაიონი.

– **სად იყვნენ ამ დროს ბრიტანეთის სამშვიდობო ძალები?**

– როდესაც ნახეს, რომ დენიკინი დამარცხდა, გუდა-ნაბადი აიკრეს და წავიდნენ, თუმცა თბილისში ისევ იყო მათი სამხედრო წარმომადგენლობა, ბათუმში კი დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ნაწილები იდგა. ამ დროს მოსკოვში რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება მიდიოდა, რაც 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებით დამთავრდა, რომელშიც ჩაიწერა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვარი გადის მდინარე ფსოუზე.

– **გამოდის, რომ სოჭზე გალაშქრებამ ის შედეგი მაინც გამოიღო, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარი ფსოუზე დარჩა.**

**ნინო ხაჩიძე**

## ყურძნის „ფასი"

რთველი დასრულდა და, თუ ოფიციალური მონაცემებით ვიმსჯელებთ – 5 ოქტომბრის ყურძნის რეალიზაციიდან შემოსავლის სახით 100 მილიონ ლარზე მეტია გაცემული, უნდა ვივარაუდოთ, რომ წარმატებითაც. ამ ეტაპზე კახეთის რეგიონში 84 კომპანიის მიერ მიღებული და გადამუშავებულია 88 584 ტონა ყურძენი. ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში ჩართული 84 კომპანიიდან 82 კერძოა, მხოლოდ 2 არის სახელმწიფო. შესაბამისად, სახელმწიფო კომპანიების მიერ შესყიდული და გადამუშავებულია ყურძნის საერთო რაოდენობის მხოლოდ 17 პროცენტი. ბუნებრივია, განსაკუთრებული მოთხოვნა „საფერავის" ჯიშის ყურძენზეა, რისგანაც ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები მზადდება. ამიტომაც 1 კილოგრამ „საფერავზე" ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მისმა მაქსიმალურმა ფასმა 2,10 ლარი შეადგინა. „რქაწითელის" მაქსიმალური ფასი 1,40 ლარია, „მწვანე კახურის" – 1,45 ლარი. აქვე გეტყვით, რომ მიღებული და გადამუშავებული ყურძნის საერთო რაოდენობაში პირველ ადგილზეა „რქაწითელი" (59 369,4 ტონა), მეორეზე – „საფერავი" (25 725 ტონა), მესამეზე – „მწვანე კახური" (1 9619 ტონა). წელს რთველში პირდაპირი დახმარება დაახლოებით 17 ათასმა ოჯახმა მიიღო, ხოლო, რაკი საშუალოდ 5 ტონა ყურძენი ბარდებოდა, თითო ოჯახი 7 000 ლარამდე ანაზღაურებას იღებდა. ხოლო, რაკი შეღავათიანი აგროსესხების სამთავრობო პროგრამას რთველისთვის მეხუთე კომპონენტიც დაემატა, საწარმოებზე დამატებით 44 მილიონამდე ლარის ოდენობის 38 შეღავათიანი სესხი გაიცა.

**2008 წლის ომმა საქართველოს ეკონომიკას ძლიერი დარტყმა მიაყენა, რაც ციფრებში შემდეგნაირად გამოიყურება: საქართველოს ეკონომიკის 2008 წლის პირველი ნახევრის 9-პროცენტიანი ზრდა 2008 წლის მეორე ნახევარში 2,8 პროცენტამდე შემცირდა. მთლიანობაში, ქვეყნისთვის ომით მიღებული ზარალი მრავალი მილიარდი დოლარით იზომება. მაგალითად, სომხეთის ეკონომიკამ, რომელიც საქართველოს ეკონომიკის მხოლოდ ორი მესამედია, აგვისტოს ომით გამოწვეული კომუნიკაციების შეფერხების გამო 500 მილიონი დოლარის ზარალი განიცადა. ამ ფონზე ადვილი წარმოსადგენია, რა ოდენობის მატერიალური ზარალი მიაყენა აგვისტოს ომმა საქართველოს. ექსპერტი იოსებ არჩვაძე დაგვეხმარება იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის ფულს ხარჯავს რუსეთის ფედერაცია თავის მიერ აღიარებული წარმონაქმნების დასახმარებლად. რა უჯდება ეს რუსეთის გადასახადის გადამხდელს და როგორ გამოიყურება ამ ფონზე დანარჩენი, არაოკუპირებული საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები.**

# რატომ არის „იუჟნაია ოსეტია“ რუსეთის ფავორიტი და რატომ ახარჯავს მცირერიცხოვან ცხინვალს აფხაზეთზე 3-ჯერ მეტ თანხას

**– რა მასშტაბის ფინანსური დახმარება აღმოუჩინა რუსეთმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში დღემდე?**

– რუსეთი ფართომასშტაბიან ეკონომიკურ, ფინანსურ დახმარებას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებულ „დამოუკიდებელ სახელმწიფოებს“. 2009-2012 წლებში და 2013 წლის პირველ ხუთ თვეში რუსეთმა აფხაზეთსა და ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთს“ გამოუყო 47 მილიარდი რუბლი, 21 მილიარდამდე – სოციალურ განვითარებაზე, დანარჩენი – საბიუჯეტო ინვესტიციებზე. რუსულმა ბიუჯეტმა თავის მიერ აღიარებულ ამ „სახელმწიფოებს“, საერთო ჯამში, ერთ-ნახევარ მილიარდზე მეტი დახმარება აღმოუჩინა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხები გრანტული დატვირთვისაა – გადის „ფინანსური დახმარების“ მუხლით და არ აყალიბებს რუსეთისადმი სახელმწიფო ვალს. ამის გარდა, რუსული მოქალაქეობის ჩამორიგება აფხაზეთსა და ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრებთათვის გულისხმობს მათთვის საპენსიო უზრუნველყოფას რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის ხარჯზე.

**– ეს თანხები ოფიციალურად მიიმართება ცხინვალსა და სოხუმში?**

– ამ წარმონაქმნებისადმი დახმარების მნიშვნელოვანი სახსრები იმალება რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტის სტატტიაში „ეროვნული თავდაცვა“. ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება უხალისოდ ასაჯაროებს საკუთარ თავდაცვაზე გაღებულ ხარჯებს. ამ მხრივ, არც რუსეთია გამონაკლისი. ამ ქვეყნის ოფიციალური მონაცემები საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე, დაახლოებით, 1,5-ჯერ ნაკლებია, ანუ 60 მილიარდი დოლარია, ნაცვლად 90,7 მილიარდისა, რაც ამ ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 4,4 პროცენტია. რუსეთის შეიარაღებულ ძალების საერთო რიცხოვნობა, რეზერვის გარეშე, მილიონ 40 ათასს შეადგენს. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მიერ თავდაცვაზე გაწეული ხარჯები საშუალოდ ერთ სამხედრო მოსამსახურეზე გაანგარიშებით 111 ათას აშშ დოლარს აღემატება.



**სომხეთის ეკონომიკამ, რომელიც საქართველოს ეკონომიკის მხოლოდ ორი მესამედია, აგვისტოს ომით გამოწვეული კომუნიკაციების შეფერხების გამო 500 მილიონი დოლარის ზარალი განიცადა**

**– ამ თანხაში შედის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განლაგებულ კონტინგენტზე გაწეული ხარჯი?**

– რუსეთს, თავის მიერ დამოუკიდებლად აღიარებულ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“, ეგრეთ წოდებულ „დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, თითოეულში 4 000-4 000 სამხედრო მოსამსახურე ჰყავს, სულ, დაახლოებით, 8 ათასი სამხედრო. ამას გარდა, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა, ოფიციალურად, 2 100-2 200-ია, ხოლო ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“ – 1 250. ანუ ამ ტერიტორიებზე სამხედრო კონტინგენტის საერთო რაოდენობა 11 450-ს აღწევს. თუ ზემოთ მოტანილი გაანგარიშებით ვისარგებლებთ, ამ „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ დაცვა, იქ შეიარაღებული ძალების ყოლა, იარაღის შეტანა და საბრძოლო მდგომარეობაში მუდმივი ყოფნის უზრუნველყოფა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და ექსპლუატაცია, საზღვრის კონტროლი და ასე შემდეგ რუსეთის გადასახადის გადამხდელებს ყოველწლიურად, დაახლოებით, 900 მილიონი დოლარი უჯდებათ. ამის გარდა, აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც დიდწილად ისევ რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდირებით ყალიბდება, 2013 წელს თავდაცვაზე გათვალისწინებულია, დაახლოებით, 9 მილიონი დოლარი. შესაბამისად, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ერთი მოსამსახურისთვის თავდაცვაზე გაღებული ხარჯების მოცულობა, დაახლოებით, 4 100 დოლარს შეადგენს.

**– რუსეთში როგორია ეს მაჩვენებელი?**

– რუსეთის მოსახლეობის ერთ სულზე თავდაცვითი ხარჯები შეადგენს, დაახლოებით, 635 დოლარს. გამოდის, რომ რუსეთი აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ მოქალაქეების, რომლებიც დიდწილად რუსეთისავე მოქალაქეებიც არიან, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, „ქართული აგრესიისგან დასაცავად,“ მოსახლეობის ერთ სულზე ხარჯავს სულ ცოტა, ხუთჯერ მეტ თანხას, ვიდრე უშუალოდ რუსეთის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეების თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის. რუსული დახმარებების წყალობით, მაგალითად, თუ საქართველოს თავდაცვაზე მოდის საბიუჯეტო ხარჯების 8 პროცენტი, რუსეთში – 12,4 პროცენტი, აფხაზეთში – 182,8 პროცენტი, ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“ კი – 240,5 პროცენტი.

მეორე მხრივ, სამხედრო ხარჯებით მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოს რუსეთი 7,3-ჯერ, აფხაზეთი – 22-ჯერ, ცხინვალის რეგიონი კი თითქმის ასტრონომიულად – 73,7-ჯერ უსწრებს.

**– გარდა რუსეთიდან მიღებული ამ ფულადი დახმარებებისა, კიდევ თუ არსებობს რამე შემოსავლის წყარო საქართველოს ამ ორ ოკუპირებულ რეგიონში?**

– აფხაზეთში შექმნილი მთლიანი შიგა პროდუქტი, ოფიციალური სტატისტიკით, დაახლოებით, 750 მილიონი დოლარია. ცხინვალის რეგიონში კი, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, 100 მილიონ დოლარზე მეტი არ არის. ანუ, საერთო ჯამში, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ეს შეადგენს 850 მილიონ დოლარამდე, რაც საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლის მეოცედია. რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა, აფხაზი და ოსი მოსახლეობის „უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად,“ უფრო მეტ ხარჯებს გულისხმობს, ვიდრე თავად ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების შრომით შექმნილი მთლიანი შიგა პროდუქტის ღირებულებაა. მოსახლეობის ზუსტი რიცხოვნობის ცოდნა, მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის ცოდნასთან ერთად, აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნისა თუ წარმონაქმნის ეკონომიკური განვითარების დონის დასადგენად. აფხაზეთის მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა. სოხუმის ოფიციალური ინფორმაციით, 2011 წლის მდგომარეობით, 241 ათას ოთხასია, თუმცა, ჩვენი ექსპერტული შეფასებით, ეს ციფრი საკმაოდ გაბერილია და მოსახლეობის რეალური რაოდენობა 190-200 ათასს არ უნდა აღემატებოდეს. კიდევ უფრო ნაკლებია მოსახლეობა ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“. თვით ადგილობრივი და რუსული წყაროებით, ამ „დამოუკიდებელ ქვეყანაში“ ჩარჩენილი მოსახლეობის რაოდენობა 10 000-დან 30 000-მდეა. მაგალითად, კარნეგის ცენტრის თანამშრომელი, ალექსეი მალაშენკო აცხადებს, რომ დღეისთვის „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობა ეს არის მოსკოვის ერთი ქუჩის მოსახლეობა. აფხაზეთში პენსიონერთა რაოდენობა 49 800-ა, „სამხრეთ ოსეთში“ კი, მოსახლეობის ფაქტობრივი რიცხოვნობიდან გამომდინარე, 10 ათასს არ უნდა აღემატებოდეს.

**– პენსიების მხრივაც პრივილეგიურ მდგომარეობაში ჰყავთ, ვიდრე რუსეთში მცხოვრები რუსი პენსიონრები?**

– რუსეთის ფედერაციაში საშუალო პენსია, 2013 წლის აპრილის მდგომარეობით, 10 400 რუბლია, ხოლო საშუალო დანიშნული პენსია – 10 014 რუბლი. თუ ამოვალთ იქიდან, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ყველა პენსიონერი რუსეთის მოქალაქეა, ხოლო საშუალო პენსია რუსეთის ფედერაციაში არსებული საშუალო პენსიის 80 პროცენტს მაინც შეადგენს, მაშინ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პენსიონრების პენსია 280 დოლარზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო ჯამური ხარჯები პენსიებზე, 200 მილიონ დოლარზე მეტი იქნება. გამოდის, რომ რუსეთის ფედერაცია ყოველწლიურად, დაახლოებით: 1,1 მილიარდ დოლარამდე ხარჯავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მხოლოდ ორი დანიშნულებით – შეიარაღებული ძალების ყოფნისა და პენსიონერების საპენსიო უზრუნველყოფისთვის. აქვე გავიმეორებ, რომ ამ თანხებში არ შედის რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთისთვის“ გამოყოფილი ფინანსური დახმარებები, რომლებმაც 2009 წლიდან დღემდე უკვე 1,5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

**– რუსეთის ფედერაცია თანაბრად ეხმარება ორივე რეგიონს თუ ფავორიტი მაინც ჰყავს?**

– მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ორივე ცნო, სამხედრო კონტინგენტებიც თითქმის თანაბარი რაოდენობით ჰყავს საქართველოს ამ ორ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ფინანსური დახმარების მასშტაბები განსხვავებულია. მართალია, ოფიციალური მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობა სამჯერ და მეტად აღემატება ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას, 2008 წლის აღიარების შემდეგ, ეგრეთ წოდებულმა „სამხრეთ ოსეთმა“ აფხაზეთთან შედარებით 2,4-ჯერ მეტი რუსული ფინანსური დახმარება მიიღო.

# რა საქმიანობებმა მოუტანა გაჩინოვნიკებამდე გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მჭედლიშვილს წელიწადში 80 000 ლარამდე შემოსავალი

თუკი ყველა დანარჩენი სამინისტროს საიტზე მინისტრისა და მისი მოადგილეების ბიოგრაფიები დეტალურადაა მოცემული, გარემოს დაცვის სამინისტრო გამონაკლისია, იმ მხრივ, რომ მინისტრის მოადგილეების განათლებისა და კარიერის ამსახველი მონაცემები ფრიად პოეტურადაა გადმოცემული. გამონაკლისი არც გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მჭედლიშვილია. ის 1974 წელსაა დაბადებული. განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მიიღო, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში კი ასპირანტურის კურსი გაუვლია. ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორიცაა. შემდეგ ხატოვნადაა აღწერილი, რომ ბ-ნ მჭედლიშვილს იურიდიულ სფეროში მუშაობის 16-წლიანი გამოცდილება აქვს და რომ 1997 წლიდან სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოში, ხელმძღვანელობდა საქართველოს შემოსავლების სამინისტროს რეფორმების სამდივნოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს. 2005 წლიდან კი კერძო საკონსულტაციო კომპანია დაუარსებია და საადვოკატო საქმიანობისთვის მიუყვია ხელი. ამის პარალელურად, 2006 წლიდან აქტიური პედაგოგიური საქმიანობაც დაუწყია. სამეცნიერო სტაჟირება ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში გაუვლია (ბერლინის პარლამენტის სტიპენდიის ფარგლებში), აშშ-ში HBSS იურიდიულ კომპანიაშიც მუშაობდა და ემორის უნივრსიტეტშიც გაუვლია სტაჟირება კერძო სამართლის მიმართულებით.

საფინანსო და ქონებრივი დეკლარაცია კი 2013 წელს შეავსო, რომელშიც ოჯახის წევრები მითითებული არ ჰყავს, რაც, სავარაუდოდ, იმას ნიშნავს, რომ მარტო ცხოვრობს. რაც შეეხება მის უძრავ-მოძრავ ქონებას: ვახტანგ მჭედლიშვილის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში, ყაზბეგის გამზირზე (136 კვადრატული მეტრი ფართობის) და 20 კვადრატული მეტრი ფართობის ავტოფარეხი; საცხოვრებელი სახლი თეთრიწყაროს რაიონში, კერძოდ, ამლევში (150 კვადრატული მეტრი ფართობის) და იქვე 600 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი; საცხოვრებელი ბინა ბორჯომში (30 კვადრატული მეტრი) და 700 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი მცხეთაში, კერძოდ, საგურამოში. ასევე, 1999 წლის ავტომანქანა „მერსედესი“.



დეკლარაციის მიხედვით, 2012 წლის განმავლობაში ვახტანგ მჭედლიშვილმა, როგორც თსუ-ის ასისტენტ-პროფესორმა 11 945 ლარი მიიღო; როგორც გრიგორ რობაქიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგმა – 6 411 ლარი; როგორც „ვ. მჭედლიშვილის საადვოკატო ბიუროს“ ადვოკატმა – 33 262 ლარი; ხოლო, როგორც სამედიცინო ცენტრ „ნატუროფათის“ კონსულტანტმა – 24 960 ლარი.

გასულ წელს გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილეს შემდეგნაირი ხარჯები ჰქონდა: აგარაკის შეძენა 11 550 ლარი დასჯდომია; საკრედიტო ბარათის მომსახურება – 15 783 ლარი.

საჯარო სამსახურის ბიუროს საიტზე, იმ განყოფილებაში, სადაც გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მჭედლიშვილის საფინანსო დეკლარაციაა განთავსებული, 2012 წლის სექტემბერში შევსებული დეკლარაციაც დევს. დეკლარანტი ვახტანგ მჭედლიშვილია (ისიც 1974 წელს დაბადებული), რომელსაც დეკლარაცია შეუვსია, როგორც კუდის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს. ორივე ვახტანგ მჭედლიშვილის დეკლარაციების დეტალური შესწავლისა და შედარების შედეგადაა შესაძლებელი, დადგინდეს, რომ შესაძლოა, 2012 და 2013 წლის დეკლარაციები სხვადასხვა ვახტანგ მჭედლიშვილის მიერაა შევსებული. იმედს ვიტოვებთ, რომ საჯარო სამსახურის მონაცემთა ბიურო ამ ხარვეზებს გამოასწორებს, რათა არ მოვხვდეთ ისეთ კომიკურ გაუგებრობაში, როდესაც ორი მარინეა, ორივე გიორგის ასული და ორივე ფერაძე (აქვე შეგახსენებთ, რომ ანალოგიური რამ მოხდა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, ირაკლი ხმალაძის, შემთხვევაშიც. ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ იქ ორი „მარინეს“ იდენტიფიცირების შესაძლებლობა უბრალოდ არ იყო).

**ნინო ხაჩიძე**

---

ასეთი დისპროპორცია გამოწვეულია იმით, რომ აფხაზეთს, ასე თუ ისე, აქვს ეკონომიკა, ახდენს გადასახადების ადმინისტრირებას. აფხაზეთი რუსეთიდან ყოველწლიურად, დაახლოებით, 100 მილიონი დოლარის დახმარებას იღებს, რაც აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 55 პროცენტია. აფხაზეთში წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტი და საბიუჯეტო ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე თითქმის უტოლდება საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა რუსეთიდან მიღებული ფინანსური ინიექციების გარეშე, 2,5-ჯერ ჩამორჩება. მაგრამ განსხვავებული სურათია ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“. იქ ეკონომიკა თითქმის არ არსებობს. საბიუჯეტო სახსრების 92 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მიერ გაწეულ დახმარებაზე მოდის. შესაბამისად, ადგილზე მობილიზებული სახსრების წილი მხოლოდ 8 პროცენტია და დასახულია ამოცანა, რომ ეს მაჩვენებელი 12 პროცენტამდე გაიზარდოს. ეს 8 პროცენტიც ის საშემოსავალო გადასახადია, რასაც ეგრეთ წოდებულ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული მოქალაქეები იხდიან. ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, მოსახლეობის ერთ სულზე მათი მთლიანი შიგა პროდუქტი საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლის, დაახლოებით, ერთი მესამედია. ადგილობრივი და რუსი ექსპერტები ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ მომავალს მისი ეკონომიკის განვითარების გარეშე ერთიან რუსულ გარნიზონად გადაქცევაში ხედავენ. სწორედ ამ „ერთიან გარნიზონთან“ შეუფერხებელი კომუნიკაციისთვისაა გამოყოფილი რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 900 მილიონი დოლარი როკის გვირაბის გაფართოება-რეკონსტრუქციისთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან იკვეთება უაღრესად „საინტერესო“ სურათი: აფხაზეთი, ეკონომიკური განვითარების დონით, დანარჩენ საქართველოს, სულ ცოტა, ერთი მეხუთედით, ხოლო ცხინვალის რეგიონი კი – 4-ჯერ და მეტად ჩამორჩება, მაგრამ საბიუჯეტო ხარჯების მოცულობით აფხაზეთი თითქმის ჩვენს დონეზეა, ცხინვალის რეგიონი კი დაახლოებით 2,5-ჯერ გვაჭარბებს. მაგრამ თუ გარე დახმარებებს, სუბსიდიებსა და გრანტებს გამოვრიცხავთ, აფხაზეთის, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთისა და დანარჩენი საქართველოს ბიუჯეტებიდან, ესე იგი, დავტოვებთ მხოლოდ ადგილზე მობილიზებულ გადასახადებსა და სხვა სახის ადგილობრივ შემოსავლებს, მაშინ დანარჩენი საქართველოს ბიუჯეტი მოსახლეობის ერთ სულზე 2-ჯერ და მეტად გადააჭარბებს აფხაზეთის ანალოგიურ, ხოლო თითქმის 5-ჯერ – ცხინვალის რეგიონის მაჩვენებელს. ასეთ პირობებში განსაკუთრებით თვალშისაცემია „დამოუკიდებელი“ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ თავდაცვაზე გაწეული ხარჯებისა და შეიარაღებული ძალების აშკარა მეტობა საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სახელმწიფოებრიობის იმიტაციას ქმნის რუსეთის ფინანსური მხარდაჭერა და რომ არა ეს, ქართულ სახელმწიფოს არ გაუჭირდებოდა საერთო ენის გამონახვა იქაურ მოსახლეობასთან და იქაურ პოლიტიკურ ლიდერებთან. ფინანსური ინიექციებით ხდება მათი გადაბირება რუსეთის მხარისკენ.

– **როდემდე შეიძლება, გაგრძელდეს ეს მუდმივი დოტაცია რუსეთის მხრიდან. მით უფრო, ჩვენ ვიცით, რომ ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების ბიუჯეტები დოტაციურია და იქ არ წყდება სისხლიანი დაპირისპირება. ანალოგიური მომავალი ელით ჩვენს ოსებსა და აფხაზებსაც?**

– მგონი, გაცნობიერებული აქვთ ეს, უბრალოდ მათ ჩვენკენ შემოსაბრუნებლად გარკვეული დრო სჭირდებათ. რუსეთმა მათ მისცა „შანსი“, თავი გამოეჩინათ ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ აქტიური მოქმედებით და იმდენად არიან დამძიმებულნი ამით, რომ პოლიტიკოსთა იმ თაობას, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კონფლიქტის გაღვივებასა და აქტიურ სეპარატისტულ მოძრაობაში, უჭირთ პირისპირ დაჯდომა და საუბარი. რა თქმა უნდა, ქართული მხრიდანაც იყო დანაშაული და გადაცდომა, საბოლოოდ, ორივე მხარემ მოახერხა „ნალომატ მნოგო დროვ“. პოლიტიკური გავლენის შესანარჩუნებლად და იმის სადემონსტრაციოდ, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა სუსტია, არშემდგარია, მას ექსცენტრული პირები ხელმძღვანელობენ და ასე შემდეგ, რათა ჩრდილოეთ კავკასიას დაანახვონ საფრთხობელა საქართველოს სახით, თუ თქვენ რამეს მოინდომებთ, თქვენც იმავე ვითარებაში ჩაცვივდებითო. მთლიანად რამდენადაა დამოკიდებული: სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი ერთი მეექვსედია, აფხაზეთში ეს 72 პროცენტია, ცხინვალის რეგიონში კი – 90 პროცენტზე მეტი. ისიც, ძალოვან სტრუქტურებში არიან დასაქმებულნი. ვერც ერთი ატრიბუტით, ვერც აფხაზეთი და ვერც ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი, ვერ აკმაყოფილებს სახელმწიფოებრიობის მოთხოვნებს.

– **ჩვენ ვაკმაყოფილებთ?**

– რა თქმა უნდა, რადგან ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლების 92 პროცენტამდე მთლიანად მოდის საკუთარ შემოსავლებზე. საქართველოს აქვს მოდელი, რომლითაც შეუძლია მნიშვნელოვანი ამოცანების დაუხმარებლად გადაწყვეტა.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან
ზარი ფასიანია



**პარლამენტმა შესაბამისი ცვლილებები მოამზადა და სულ მალე ბავშვთა მიმართ ძალადობას უკვე სახელმწიფო შეებრძოლება შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებით. მართალია, სტატისტიკის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში 50-პროცენტზე მეტი ბავშვი განიცდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, თუმცა, ამის მიუხედავადაც, ახალ ინიციატივას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ. მათი აზრით, ძალადობის მსხვერპლ ბავშვსა და მოძალადე მშობელს შორის სახელმწიფოს არაფერი ესაქმება და ეს ლახავს ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს, რაც ბუნებრივად ბადებს შემხვედრ კითხვას: ნუთუ ჩვენი ტრადიცია ბავშვზე ძალადობაა?! ამის პარალელურად, სულ ახლახან ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულ ჩვენს თანამემამულეთა 60 პროცენტის აზრით, ბავშვისადმი მკაცრი მეთოდების გამოყენება დასაშვებია. მართალია, არ დაკონკრეტებულა, რა იგულისხმება „მკაცრ მეთოდებში“: ბავშვის მისიკვდილებამდე ცემა თუ თავში წამორტყმა, მაგრამ, ფაქტია, რომ სიმკაცრე გამართლებულად მიიჩნევა. ლიკა ნადარაიასთან ერთად ვისაუბრებთ ძალადობის პრობლემებსა და ამისადმი ჩვენს მიდრეკილებებზე.**

# როგორ შეირგეს ქართველმა მამაკაცებმა თავიანთი ცოლების მიერ თურქეთში ნაშოვნი ფული და რატომ აღმოჩნდა სიყვარულის მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში ბოლოდან მეოთხე ადგილას

**– რა პრობლემაზე მიუთითებს ფაქტი, რომ გამოკითხულთა 60 პროცენტი მომხრეა ბავშვების მკაცრი მეთოდებით დასჯაზე?**

– მიუთითებს იმას, რა დღეშიც ვართ განუვითარებლობის, უკულტურობის, არაჰუმანურობის მხრივ და ეს არის სათქმელი. მსგავსი გამოკვლევა ჩატარდა, რომელიც სიყვარულის მაჩვენებელს ზომავდა, რამდენიმე ინდიკატორით გამოითვლებოდა: ბავშვის მიმართ, მოზრდილის მიმართ დამოკიდებულებით, თანადგომით ახლობლის მიმართ და ამ კვლევით, მსოფლიოში ბოლოდან მეოთხე ადგილზე ვართ სიყვარულის მაჩვენებლით. ანუ სიყვარულის, როგორც გაცემის, სიფაქიზის, სათნოების, სირბილის, დამთმობლობის, რაც ჰუმანიზმმა შვა და დააფუძნა და რითაც ცივილიზებული ადამიანი განსხვავდება არაცივილიზებულისგან და ტყუილისგან, უქონლობაზეა საუბარი. რატომ გვჭირს ეს? ალბათ, იმიტომ რომ სულ ძალადობის ქვეშ ვართ.

**– თუმცა ჩვენი ხალხური პოეზია არ უჩივის სიყვარულის სიფაქიზეს.**

– მაგრამ ჩვენი ზღაპრების ანალიზიდან გამომდინარე, ამას ვერ ვიტყვით.

**– ყველა ქვეყნის ზღაპარი საშინელებათა სერიალია.**

– დიახ, იმიტომ რომ ყველა ქვეყნის ზღაპარი მძიმე პერიოდებში იქმნებოდა.

**– პირადად მე ძალიან მომეშვა გულზე, როდესაც სხვა ქვეყნების ზღაპრებიც წავიკითხე, არათუ ნაკლები, მეტი სისასტიკეცაა, ვიდრე ქართულ ზღაპრებში.**

– მაგრამ სხვა ქვეყნებმა შემდგომ სხვა ზღაპრებიც შექმნა, მაგალითად, „პატარა უფლისწული“, რომელშიც სულ სხვა ღირებულებებია წამოწეული. თუმცა ჩვენმა ქვეყანამაც შექმნა ასეთი ზღაპრები.

**– მაგალითად, „დაჩის ზღაპრები“.**

– შექმნა, მაგრამ კულტურაში ღრმად არ გაჯდა. ფაქტია, ჩვენ, როგორც ქვეყანა, ერი და ხალხი სისტემატური ძალადობის ქვეშ ვართ, მუდმივად გადარჩენისთვის ვიბრძვით და მეტნაკლებად გადავრჩით კიდეც.

**– კანონს რის გაკეთება შეუძლია ასეთ პირობებში?**

– ყველაფრის, თუ კანონს დავიცავთ. თუ კანონს გამოუჩნდებიან დამცველები, ჩატარდება ტრენინგები, იქნება საჯაროობა, მოიცავს სკოლებსაც, გაიმართება საზოგადოებრივი დებატი, დაირაზმება საზოგადოების პროგრესული ნაწილი. კანონს ყველაფრის გაკეთება შეუძლია, თუ ის სწორად გატარდება და არ იქნება გრანტების მომზიდველი კიდევ ერთი საშუალება.

**– ისევე, როგორც ქალის შემთხვევაში, ბავშვის მიმართ ძალადობის კანონით აღკვეთის წინააღმდეგაც იგივე არგუმენტი გაჩნდა: ეს არის ოჯახის შიდა საქმე და ამაში სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს.**

– ეს იყო ძირითადი არგუმენტი, როდესაც მსგავსი ტიპის კანონები მიიღეს დასავლეთში გასული საუკუნის 50-60-იან, 70-იან წლებში. მაშინაც ამბობდნენ მოწინააღმდეგეები, რომ ეს იყო პრივატული საკითხი და ოჯახმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს ის. თუმცა ოჯახი საზოგადოების ნაწილია და საზოგადოებას აქვს უფლება, აკონტროლოს, რა ხდება ოჯახში, იმიტომ რომ ადამიანია უფრო მთავარი, ვიდრე ოჯახი.

**– „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ იცავს ერთ ქალბატონს, ძალადობის მსხვერპლს, ლაპარაკია იმაზე, რომ მამა ძალადობდა ცოლზე და სექსუალურ ძალადობას ეწეოდა შვილებზე. ქმარს კი მაშინვე იმიტომ არ გაყრია, რომ ხალხის აზრს გაუწია ანგარიში. სრული შოკი მივიღე, რადგან რა შუაშია, რას იტყვის ხალხი, როდესაც საქმე შვილებზე სექსუალურ ძალადობას ეხება?! ვითომ ხალხს ეს მოეწონებოდა?**



როდესაც ოჯახის დაცულობიდან გამოვედი და ახლოს შევეჯახე ჩვენს ყოფით კულტურას, აღმოვაჩინე, რომ ქართველებზე ამორალური, რაც თავად მიაჩნიათ მორალად, ცოტა ხალხი თუ მოიძებნება

– ამას ვერ გაიგებდა ხალხი. როდესაც ოჯახის დაცულობიდან გამოვედი და ახლოს შევეჯახე ჩვენს ყოფით კულტურას. ეს საკმაოდ დიდი ხნის წინათ მოხდა, აღმოვაჩინე, რომ ქართველებზე ამორალური, რაც თავად მიაჩნიათ მორალად, ცოტა ხალხი თუ მოიძებნება. თურმე, ძალიანაც მოსულა მაზლთან რძლის ყოფნა, ბიძაშვილებს შორის კავშირი, გარკვეული კავშირების დამალვა, ქალიშვილობის შეთხზვა, ცოლების გაცილება თურქეთში ვითომ სამუშაოდ, თუმცა ძალიანაც კარგად იციან, რისთვის დადიან მათი ცოლები თურქეთში, მაგრამ მათ მიერ ჩამოტანილი ფულით ცხოვრება და გულზე მჯიღის ცემა. ძალიანაც მოსულა ეს ყველაფერი, მთავარია, ხალხმა არაფერი გაიგოს. ჩვენთვის ჩვეულია ფსევდო, ორმაგი მორალით ცხოვრება.

**– ეს იმას ხომ ნიშნავს, რომ იცის, ეს რომ ცუდია.**

– იცის, მაგრამ ცუდია მაშინ, თუ გამოაშკარავდება, თორემ, თავისთავად, ეს ყველაფერი შესაძლებელია.

**– რა ტიპის კულტურებისთვისაა დამახასიათებელი ორმაგი მორალი?**

– კულტურებისთვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან საზოგადოებრივ აზრზე, ანუ პატარა ერებისთვის, რომლებთანაც ყველაფერი გადაჯაჭვულია. სადაც გადარჩენა დამოკიდებულია ოჯახზე და არა საზოგადოებაზე. ერთი სიტყვით, კოლექტივისტური კულტურებისთვისაა დამახასიათებელი.

**– ჰუმანიზმის ნაკლებობა ბევრ რამეში გვეტყობა, მათ შორის, მაწანწალა ცხოველებისადმი დამოკიდებულებაში.**

– არა მხოლოდ ამაში – მიშა სააკაშვილებში გვეტყობა, სტალინებში გვეტყობა, ეს ხომ ჩვენი ნაწილია? ავტორიტარიზმი ხომ ჩვენი ნაწილია?! თუმცა ამ სტრესში მყოფ დაჩაგრულ ხალხს მეორე ასპექტიც გვაქვს: კავკასიაში ყველაზე პროგრესულად ვჩანვართ. უფრო მეტი წიგნიერება და სიღრმე გვახასიათებს, თუმცა ვერც სომხებს დავწამებთ უწიგნურობას და აზერბაიჯანშიც უამრავი გონიერი ადამიანია, მაგრამ უფრო ცოტაა, ჩვენთან უფრო მეტია პროცენტულად.

**– ეს ადგილმდებარეობის დამსახურებაა: გასასვლელი გვაქვს ზღვაზე.**

– ალბათ და გენოტიპის გამოც.

**– თქვენ თუ გქონიათ შეხება, რა ტიპის ძალადობის ფორმებია უფრო მეტად გავრცელებული?**

– ბავშვების მიმართ ძალადობის ფორმაზე შემიძლია მხოლოდ გარედან ვისაუბრო და ჩემი სუბიექტური აზრი ვთქვა, მაგრამ, ფაქტია, სადაც უნდა იყო: ქუჩაში, ტრანსპორტში თუ სკოლაში, ყველგან გვხვდება ბავშვზე ძალადობა.

**– ჩემი შვილი სულ შემოგვჩიოდა, რომ მასწავლებელი სასტიკად სცემდა, თავს არტყმევინებდა ბავშვებს ერთმანეთზე. ჩვენ არ ვუჯერებდით და, საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ სიმართლეს ამბობდა.**

– ვსწავლობდი თბილისის ერთ-ერთ ყველაზე კარგ და პრესტიჟულ სკოლაში, მაგრამ იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც არნახულად ძალადობდნენ ბავშვებზე, ასისხლიანებდნენ და შემდეგ ის მასწავლებლები ასწავლიდნენ ჩემს შვილებს. იგივე ეხება ბაღის მასწავლებლებსაც. ხომ გვსმენია, რომ საბავშვო ბაღში ისე სცემა აღმზრდელმა ბავშვი, რომ ტაკო დაულურჯა, იმიტომ რომ ტუალეტამდე მისვლა ვერ მოასწრო. ქუჩაშიც ხშირად ვხედავთ, როგორ სცემს მშობელი შვილს. თუმცა ძალიან ცოტა მსმენია სექსუალურ ძალადობაზე, ეს ფორმა ჩვენთან ისე მოდებული არ არის, მაგრამ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევა ძალიან ბევრია.

**– დიახ, ბავშვების 9 პროცენტია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, სტატისტიკის თანახმად.**

– თუმცა მე ვერ დავეთანხმები მონაცემს, რომ მხოლოდ 60 პროცენტს მიაჩნია დასაშვებად ბავშვის აღზრდისას მკაცრი მეთოდების გამოყენება. ასეთთა რაოდენობა, ჩემი აზრით, 90 პროცენტი მაინც იქნება. უბრალოდ დანარჩენები არ ამბობენ, ისევე, როგორც, ჩვენი სტატისტიკით, ძალადობის მსხვერპლია ყოველი მეშვიდე ქალი, არადა, ეს რიცხვი უფრო დიდია. ყოველი მეორე ქალი განიცდის ასეთი თუ ისეთი ფორმის ძალადობას. ყოველი მეოერ ქალი განიცდს ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას. შეიძლება, ფიზიკურ ძალადობას განიცდის ყოველი მეშვიდე. ამას წინათ, ხელოსანი გამოვიძახეთ. მისამართს ვუხსნიდი და ვუთხარი, ვერ მიაგნებთ, ამიტომ ჩემი მეუღლის ტელეფონის ნომერს მოგცემთ, მას დაურეკეთ და გარეთ დაგხვდებათ-მეთქი. აბა, შენ რაღას გელაპარაკები, პირდაპირ კაცს დაველაპარაკებ-

# მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი” - სესხები საუკეთესო პირობებით თქვენი მიკრო და მცირე ბიზნესისთვის

## კომპანია „კრისტალი” ავტორიტეტული საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული გახდა

*მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი” ერთ-ერთი წამყვანი ქართული ფინანსური კომპანიაა, რომელსაც არსებობის 15-წლიანი ისტორია აქვს. კომპანია გასულ წელს საბანკო სექტორის პრესტიჟული რეიტინგის მფლობელი გახდა, წელს კი ცნობილ და ავტორიტეტულ საერთაშორისო კონკურსში დასახელდა გამარჯვებულად. მცირე სესხების გაცემის გზით, „კრისტალი” ხელს უწყობს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში. კომპანია ყოველწლიურად აფართოებს მასშტაბებს და მომხმარებელს სესხებს საუკეთესო პირობებში სთავაზობს. რა არის „კრისტალის” სტაბილურობის გარანტი, ამის შესახებ „კრისტალის” აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ **მალხაზ ძაძუას** გავესაუბრეთ.*

**მალხაზ ძაძუა**: „კრისტალის“ მიერ ქუთაისში 1998 წელს 10 ათასი დოლარით დაწყებულმა საქმიანობამ, წლების განმავლობაში შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. 2013 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი აქტივები შეადგენს 50 მილიონ ლარს; აქტიური სესხების რაოდენობა – 23 ათასს, ხოლო გაცემული სესხების მოცულობა – 39 მილიონ ლარს. ამ ეტაპზე ორგანიზაციაში დასაქმებულია 250-ზე მეტი პროფესიონალი კადრი. კომპანიის საშუალო წლიური ზრდა შეადგენს 40 პროცენტს.

MIX S.T.A.R. MFI 2013

„კრისტალის“ ფილიალები განთავსებულია საქართველოს 8 რეგიონში: ქუთაისი, სამტრედია, ხონი, ვანი, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი, ხობი, მარტვილი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, მესტია, ოზურგეთი, ლანჩხუთი, გორი, დუშეთი, მარნეული, წნორი, თბილისი.

დაინტერესებულ პირებს „კრისტალი“ სთავაზობს მომსახურების ფართო სპექტრს: ბიზნეს და სამომხმარებლო სესხებს 50 000 ლარამდე; სწრაფ ფულად გზავნილებს; ვალუტის გაცვლას; სალომბარდე სესხებს; კომუნალურ გადახდებს და ასე შემდეგ.

„კრისტალი“ ძირითადად ემსახურება რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას და მცირე მეწარმეებს. სესხების 60 პროცენტი გაცემულია სოფლად. ფინანსდება როგორც არსებული ბიზნესის გაფართოება, ასევე, დამწყები მეწარმეები. სესხები გაიცემა როგორც ლარში, ისე დოლარში, მაქსიმუმ 5 წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ 15 000 ლარამდე სესხების აღება შესაძლებელია გირაოს ან იპოთეკის ჩადების გარეშე, დადასტურებული შემოსავლების საფუძველზე.



ცალკე აღნიშვნის ღირსია „კრისტალის“ გრძელვადიანი და სტაბილური პარტნიორობა დამფინანსებლებთან. ამ კუთხითკომპანია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესორგანიზაციაა საქართველოში, რომელსაც, საერთო ჯამში, მოზიდული აქვს 35 მილიონ დოლარზე მეტი საერთაშორისო ინვესტიცია ისეთი ცნობილი ფინანსური დაწესებულებებისგან, როგორებიცაა: EBRD, KFW, Commerzbank, DWM, IFAD, Responsability, Incofin, Microvest, Oikocredit, Symbiotics, Blue Orchard, MCE და ასე შემდეგ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა კომპანიის მიღწევები სოციალური პასუხისმგებლობისა და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებზე. „კრისტალი“ არის პირველი ქართული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელიც 2009 წლიდან შეუერთდა კლიენტთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კამპანიას. 2011 წელს „კრისტალმა“ გაიმარჯვა SMART კამპანიის საერთაშორისო კონკურსში – „კლიენტისთვის მარტივ ენაზე შედგენილი სესხის ხელშეკრულება“. 2012 წელს კომპანიამ მიიღო MixMarket-ის პლატინის ხარისხის უმაღლესი ჯილდო სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშგებაზე.

**– როგორც ცნობილია, კომპანიამ სულ ახლახან გაიმარჯვა ავტორიტეტულ საერთაშორისო კონკურსში.**

– 2013 წლის 29 აგვისტოს „კრისტალი“ დასახელდა გამარჯვებულად MixMarket-ის საერთაშორისო კონკურსში „პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე მიკროდაფინანსების სტანდარტები“ და მიენიჭა სპეციალური S.T.A.R. სტატუსი. აღნიშნული ნომინაცია წარმოადგენს ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო ჯილდოს დღევანდელ მიკროსაფინანსო სექტორში, რომელიც მიზნად ისახავს, გამოავლინოს გამჭვირვალობისა და სოციალური პასუხისმგებლობის უმაღლესი სტანდარტების მქონე ლიდერი ორგანიზაციები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ჩვენთვის ძალიან საამაყოა, რომ „კრისტალი“ აღმოჩნდა აღნიშნული ნომინაციის პირველ სამ გამარჯვებულთა შორის.

კომპანია წარმატებით განაგრძობს საქმიანობის გაფართოებას და უახლოეს თვეებში რამდენიმე ახალი ფილიალითა და განახლებული პროდუქტებით წარდგება საზოგადოების წინაშე.

***www.crystal.ge***

***დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: +995 431 25 22 44.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

იო და გამითიშა ტელეფონი. ესეც ხომ გარკვეული შეზღუდვა და ძალადობაა?! შენ არ გიჯერებენ და კაცი თუ არ მიიყვანე, არ დაგელაპარკებიან. ესეც ხომ ძალადობაა? ესეც ხომ საზოგადო სივრცის შეზღუდვაა?! რაზეც შეიძლება, პასუხი მოსთხოვო ფირმას, რომელმაც ასეთი თანამშრომელი შეარჩია და გამოგიგზავნა. იგივე ფსიქოლოგიური ძალადობის მაგალითია, როდესაც ქალები სახლიდან ვერ გამოდიან, თუ არ შეუთანხმეს დედამთილს ან ქმარს. ამის ხომ უამრავი მაგალითი გვაქვს გარშემო?! ასევე, ვიცით, რომ არიან ქალები, რომელბსაც ფულზე ხელს არ აკარებინებენ. არ აქვთ უფლება, თავისი სურვილის მიხედვით დახარჯოს თავისივე ნაშოვნი ფული და ასეთ პირობებში გვეუბნებიან, რომ საქართველოში ყოველი მეშვიდე ქალი განიცდის ძალადობას და კანადაში კი, თურმე, ყოველი მესამე. ამას იქაური სტატისტიკა ამბობს და ამ დროს შეადარეთ ჩვენი და მათი მგრძნობელობის დონე ამ საკითხის მიმართ. გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე წლის წინათ, ესე იგი, გუშინწინ მიიღეს კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ და როგორი სამარცხვინო სიცილ-ხითხითი იყო პარლამენტში.

**– იმავე კანონით გამკაცრდება ბავშვთა მიმართ ძალადობის დასჯის მექანიზმები. რომლის ოპონენტები ამბობენ, რომ რამდენიმე წელიწადში ქართველი საზოგადოება იძულებული იქნება, ქუჩაში გავიდეს ლოზუნგით: არ მინდა, ჩემმა შვილმა მიჩივლოს.**

– და იმ ლოზუნგით არ გამოვლენ, არ მინდა, რომ ჩემი შვილი ვცემოო?! ესეც უწიგნურობის მაჩვენებელია, რადგან ასეთი არგუმენტის მოტანაც ხომ სიმპტომატურია?!

**– პირადად მე სულ არ მიმიღია კანონის გამკაცრება საკუთარ თავზე: არათუ არ მეშინია, რომ მიჩივლებს, საერთოდ არ ვუშვებ იმის ალბათობას, რომ ჩემს შვილს ჩემთვის საჩივლელად გაუხდება საქმე.**

– სამარცხვინო არ არის, როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ძალაუფლების დისბალანსია ქვეყანაში, არადა, უამრავი საერთაშაორისო ნორმა და, უპირველესად, ჩვენი კონსტიტუცია გვავალებს, რომ წავახალისოთ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში.

**– ბევრი იცინეს კიდევ ერთხელ იმ რეკომენდაციაზე, რომ პოლიტიკური პარტიები დამატებით თანხას მიიღებენ ბიუჯეტიდან, თუკი საარჩევნო სიებში ქალებს ჩართავენ.**

– დიახ და ამ დროს ამ ქვეყნის მთავარი კანონშემოქმედი ამბობს, ქალებს არ უშრომიათ ამ ასპარეზზე, ჩვენ ვიშრომეთ, ამიტომ მათაც დახარჯონ ენერგია და, როდესაც ისწავლიან, მათაც მივაღებინებთ მონაწილეობასო.

**– ქალები განიცდიან ძალადობას, შემდეგ თავად ძალადობენ შვილებზე, შემდეგ შვილები იზრდებიან და ძალადობენ მოხუც მშობლებზე. ანუ ჯაჭვურია ეს ძალადობა?**

– დიახ, აი, ასეთი ციკლია.

**– შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ბავშვებზე ძალადობის მსურველი მშობელი იმიტომ არის ბევრი, რომ ეს მშობლებიც ძალადობის მსხვერპლნი არიან?**

– არაპირდაპირ, მაგრამ მაინც მიუთითებს იმაზე, რომ პრობლემის გადაჭრის სხვა გზა არ აქვთ. პრობლემაა, როდესაც ბავშვი არ გემორჩილება, გინდა, რაღაც ასწავლო, მაგრამ არ სწავლობს, შენ კი ფანტაზია არ გყოფნის, ვერაფერს მოიფიქრებ, იმდენად მწირია შენი არსენალი და მეთოდები და ერთადერთი, რაც შეიძლება, მოიფიქრო, ისაა, რომ თავში ჩაარტყა და ისე გააკეთებინო.

**– ისიც, სანამ ერევი.**

– რა თქმა უნდა, ისიც 12 წლამდე, მაგრამ ზოგი ბავშვი ისეთია, 12 წლამდეც ვერ ერევი. თუმცა, თუ ერთი მხრივ, აი, ასეთი განუვითარებელი მასაა, რომელიც რატომღაც თავის თავს არქმევს ქართული ღირებულებებისა და ტრადიციების მატარებელს და აქვს ქართული კულტურის შემნახველის ამბიცია, მეორე მხრივ, ვხედავთ, რომ არის არაჩვეულებრივი პროგრესული ნაწილი, რომელიც, სამწუხაროდ, ვერანაირად ვერ ახდენს ზემოქმედებას დანარჩენებზე. არის თავის თავში ჩაკეტილი ან გარბის ქვეყნიდან, ან ურთიერთობს თავისსავე მაგვარებთან. აი, აქ არის საჭირო სახელმწიფო პოლიტიკა, მაგრამ რატომ ვერ ფორმირდება სახელმწიფო პოლიტიკა? იმიტომ რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტა დაკომპლექტებულია აი, იმ პირველი მასიდან – გულზე მჯიღის მცემელებისგან.

**ნინო ხაჩიძე**

წიგნების მაღაზიათა ქსელში: „ბიბლუსი” და „პარნასი” შეიძინეთ ვახტანგ სუთიძის შესანიშნავი თხზულებათა კრებული „დაუვიწყარი შეხვედრა”.

**წიგნის ფასია 10 ლარი**



# რამდენი მილიონი დოლარი აქვს წაგებული კაზინოში აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს და რატომ ადარებენ მას „ნათლიმამას” გმირებს – მაიკლ და სანი კორლეონეებს

***ილჰამ ალიევი მესამე ვადით აირჩიეს აზერბაიჯანის პრეზიდენტად. ცენტრალურმა საარჩევნო კომიტეტმა საბოლოო შედეგი გამოაქვეყნა და ალიევმა ხმათა უმრავლესობა – დაახლოებით 85 პროცენტი მიიღო, რამაც გამორიცხა მეორე ტურის ჩატარების ალბათობა. საგულისხმოა, რომ, ოპოზიციის ბრალდებების მიუხედავად, არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ამერიკელმა სოციოლოგებმა კვლევების შედეგი გამოაქვეყნეს და აღმოჩნდა, რომ ილჰამ ალიევს მოსახლეობის 86 პროცენტი უჭერს მხარს.***

* ალიევების საგვარეულო სათავეს ქურთული თემიდან იღებს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდიდან სომხეთიდან ნახჭევანში გადასახლდა. ილჰამის ბაბუა, ჰეიდარის მამა, ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, მუშა იყო, ხოლო მისი ძმა, ანუ ჰეიდარის ბიძა, ჰასან ალიევი, 30-40-იან წლებში აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი იყო და სწორედ მის სახელს უკავშირდება ჰეიდარ ალიევისა და შემდგომში ილჰამის კარიერული წინსვლა პოლიტიკაში. სხვათა შორის, ამბობენ, რომ ილჰამის ბაბუის ძმა პირველი ქურთი იყო, რომელმაც საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა.



**ილჰამ ალიევის ბაბუის ძმა პირველი ქურთი იყო, რომელმაც საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა**

* 1982 წელს, „კაგებეს” ყოფილი ხელმძღვანელისა და ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, იური ანდროპოვის მიწვევით, ჰეიდარ ალიევი ოჯახთან ერთად მოსკოვში გადასახლდა. იმავე წელს ილჰამმა წარჩინებით დაამთავრა „მგიმო” და 1985 წელს ლექციების კითხვა დაიწყო იმავე უმაღლეს სასწავლებელში. საინტერესოა, რომ, განცხადებაში, რომლის საფუძველზე ილჰამ ალიევი პრესტიჟულ „მგიმოში” მოეწყო სასწავლებლად, აღნიშნულია, რომ გამოცდების ჩაბარების მომენტში ის 16 წლის იყო. 1987 წელს ორივე ალიევი გათავისუფლებულ იქნა სამსახურებიდან, მაშინდელი პრესის ცნობით, ჰეიდარი – ჯანმრთელობის გაუარესების, ხოლო ილჰამი – პირადი განცხადების საფუძველზე, თუმცა, ყველასთვის ნათელი იყო, რომ ალიევების მოსკოვიდან გამოძევებაში ხელი ერია მიხაილ გორბაჩოვს, ხელი, რომელსაც პირადი ანტიპათია ჰქონდა უფროსი ალიევის მიმართ. ბაქოში დაბრუნებულმა ილჰამმა ბიზნესს მოჰკიდა ხელი, ხოლო, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, 1992 წელს, სტამბულში გადავიდა საცხოვრებლად, საიდანაც მამის გაპრეზიდენტების შემდეგ დაბრუნდა.

* აზერბაიჯანული ოპოზიციის ცნობით, ილჰამ ალიევი ფლეგმატური და პოლიტიკური მოღვაწეობისთვის აშკარად მოუმზადებელი ადამიანია, რომელსაც გვიან უყვარს გაღვიძება და რომელიც სამსახურში მხოლოდ შუადღის შემდეგ ჩნდება. ამბობენ, რომ ერთხანს ჰეიდარი პირადად ურეკავდა ილჰამს დილაობით და აიძულებდა სამსახურში სიარულს. იმავე ოპოზიციის ცნობით, ილჰამ ალიევი დღის განმავლობაში მხოლოდ 5 საათი მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში მას ყველაზე მეტად კომპიუტერული თამაშები უყვარს. სამსახურის შემდეგ ალიევი ძირითად დროს თავის მეგობრებთან ერთად ატარებს და ხშირად მათი სამუშაოსგან „განტვირთვა“ დილამდე გრძელდება.

* ილჰამ ალიევს მისი ოპონენტები ხშირად ახსენებენ მის სისუსტეს კაზინოების მიმართ. ილჰამი კაზინოების ხშირი სტუმარი იყო და ყოველდღიურად ის ასობით ათას დოლარს „რულეტკის“ და „ბლეკჯეკის“ მაგიდებთან ტოვებდა. 1998 წლის იანვარში, ბაქოს დიპლომატიური სასტუმრო „ევროპის” კაზინოში წარუმატებელი სტუმრობის შემდეგ, ილჰამ ალიევმა უპრეცედენტოდ დიდი თანხა – 6,5 მილიონი ამერიკული დოლარი წააგო და ეს უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა ჰეიდარ ალიევისთვის: მომდევნო დღეს თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრი, რომლიც კაზინოების „კრიშად” ითვლებოდა რესპუბლიკაში; ასევე, მთელი აზერბაიჯანის მასშტაბით აიკრძალა კაზინოებისა და სხვა სათამაშო სახლების მუშაობა.

* ილჰამ ალიევს ოპოზიცია ხშირად უხსენებს საკუთარი კაპრიზების გამო გადადგმულ არამოტივირებულ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, ბაქოს საგზაო მილიციის მთავარი სამმართველოს უფროსი შირინოვი ალიევმა თანამდებობიდან მხოლოდ იმის გამო მოხსნა, რომ მას არ მოწონდა, როცა საპრეზიდენტო კორტეჟის ქალაქში მოძრაობის დროს, ბაქოს მთავარი „გაიშნიკის” ავტომობილი ალიევის „ლიმუზინის“ წინ მოძრაობდა. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით შირინოვი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე და, როგორც ამბობენ, ამ გადაწყვეტილების მიღებაში დიდი წვლილი მიუძღვის ილჰამ ალიევის მეუღლეს, მეჰრიბან ალიევას.

**ოპოზიციის ცნობით, ილჰამ ალიევი დღის განმავლობაში მხოლოდ 5 საათი მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში მას ყველაზე მეტად კომპიუტერული თამაშები უყვარს**

* აზერბაიჯანში მიაჩნიათ, რომ ილჰამ ალიევის მეუღლეს, მეჰრიბან ალიევას, თავის ქმარზე გაცილებით მეტი ძალაუფლება და გავლენა აქვს. მეჰრიბან ალიევა პოსტსაბჭოთა და ევროპის სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ პირველ ლედიდ ითვლება, რომელსაც თაყვანისმცემლები „აზერბაიჯანელ სოფი ლორენს” უწოდებენ. მეჰრიბანი ხშირად იღებს მონაწილეობას საკმაოდ პიკანტურ ფოტოსესიებში; გარდა ამისა ის აქტიურად არის ჩართული აზერბაიჯანულ პოლიტიკაში: იგი არის „იუნესკოს“ კეთილი ნების ელჩი, აზრებაიჯანის ტანვარჯიშის ფედერაციისა და ჰეიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი.

* ცალკე აღნიშვნის ღირსია ალიევების ოჯახის დანათესავების ისტორია ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი აზერბაიჯანელის, „ფორბსის” ვერსიით, რუსეთის 100 ყველაზე მდიდარ ადამიანს შორის მყოფ, „კროკუს გრუპის” მფლობელ მულტიმილიონერის, არაზ აგალაროვის ოჯახთან. ილჰამისა და მეჰრიბანის უფროსი ქალიშვილი, ლეილა ალიევა, არაზის ვაჟიშვილს, ემინ აგალაროვის მეუღლეა და წყვილი მოსკოვში, ფეშენებელურ პენტ-ჰაუსში ცხოვრობს. ემინი ბიზნესით არის დაკავებული. ჯერ კიდევ ამერიკაში ცხოვრების პერიოდში, ის ცნობილი ბრენდების ტანსაცმელს ყიდდა, ხოლო მოსკოვში დაბრუნების შემდეგ მან მამის მიერ დაარსებულ კომპანიაში დაიწყო მუშაობა. გარდა ამისა, ცნობილია ემინის გატაცება მუსიკით. ის თვითონ წერს სიმღერებს და მას ორი ალბომი აქვს გამოშვებული. აღსანიშნავია, რომ ემინის კლიპებში მთავარ როლებს ლეილა ალიევა ასრულებს. ემინი და ლეილა ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ წყვილად ითვლებიან მოსკოვურ ბომონდში.

* ილჰამ ალიევი და მეჰრიბან ფაშაევა 1983 წელს დაქორწინდნენ. მათ სამი შვილი ჰყავთ: უკვე ნახსენები, უფროსი ქალიშვილი ლეილა, მომდევნო ქალიშვილი – არზუ და უმცროსი ვაჟი – ჰეიდარი. 2011 წელს ალიევებმა არზუ სამედ ყურბანოვს გააყოლეს ცოლად.

* ილჰამ ალიევი ფლობს აზერბაიჯანულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და თურქულ ენებს. იგი შეყვანილია 2009 წელს გამოცემულ წიგნში „მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე გავლენიანი 500 მუსლიმანი”. 2010 წელს „ვიკილიქსის” მიერ გამოქვეყნებულ საბუთებში ამერიკელი დიპლომატების საიდუმლო მიმოწერაში, ილჰამ ალიევი მოხსენიებული იყო, როგორც „მაფიის ნათლიმამა”. დიპლომატების ვერსიით, საგარეო საქმეებში ილჰამი მაიკლ კორლეონესავით დინჯი და გაწონასწორებულია, ხოლო საშინაო საქმეებში ფეთქებადი სანი კორლეონე ხდება.

* აზერბაიჯანელმა კულინარებმა ქალაქ განჯიდან, პრეზიდენტ ილჰამ ალიევის 48-ე დაბადების დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, გამოაცხვეს ყველაზე დიდი ტორტი ევროპაში. კულინარიული შედევრი – 48 მეტრი სიგრძისა და 11 ტონა სიმძიმის გრანდიოზული ტორტი, განჯის მთავარ მოედანზე გაიტანეს, სადაც მისი დაგემოვნება 30 ათასმა ადამიანმა მოახერხა. ტორტის ცენტრში გამოსახული იყო ციფრი „48”, ხოლო გვერდებიდან მას ამშვენებდა ქალაქ განჯის გერბი და არქიტექტურა. ტორტის დასამზადებლად გამოიყენეს 3,5 ტონა ფქვილი, 3 ტონა შაქარი, 500 კილოგრამი ნაღების კარაქი, 35 ათასი კვერცხი და 500 თხილი. პრეზიდენტის 50 წლის იუბილეზე კი სუმგაითელმა კულინარებმა პრეზიდენტს 50-მეტრიანი ტორტი გამოუცხვეს.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# „ფორბსის“ რომელი მილიარდერები ცხოვრობენ ლონდონის მილიარდერების ქუჩაზე – „კენსინგტონ პალას გარდენზე“

*ჟურნალმა „ფორბსმა” 2013 წლის ყველაზე მდიდარი ადამიანების ყველაზე ძვირად ღირებული სახლების სია გამოაქვეყნა. სიის შედგენისას გამოყენებული იყო რიელტორების, საგადასახადო სამსახურებისა და უძრავი ქონების მფლობელთა მონაცემები. ელიტური უძრავი ქონების ბაზარი წლიდან წლამდე იზრდება და უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში ფასებმა ორჯერ მოიმატა. მილიარდერების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლონდონი და ნიუ-იორკი, რადგან, უძრავი ქონება ყველაზე ძვირი სწორედ ამ ქალაქებში ღირს.*

### „ზი მეინორი”

***მფლობელი:** პეტრა ეკლსტოუნი, ბერნი ეკლსტოუნის ქალიშვილი (კაპიტალი – 3,8 მილიარდი დოლარი); მდებარეობა: ლოს-ანჯელესი; ღირებულება: 85 მილიონი დოლარი (2011 წლის მონაცემები).*

კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესში მდებარე ეს სასახლე ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული უძრავი ქონებაა შეერთებულ შტატებში. „ზი მეინორი” 1988 წელს პროდიუსერმა აარონ სპელინგმა აიშენა (მის სახელს უკავშირდება სერიალები „დინასტია” და „ჩარლის ანგელოზები”). ფრანგული შატოს სტილის სასახლეში 123 ოთახია და ეს არის ყველაზე დიდი სახლი ლოს-ანჯელესში. აარონ სპელინგი 2006 წელს გარდაიცვალა და მას სემდეგ სახლის მყიდველთა რაოდენობა იზრდებოდა, სანამ 2011 წელს ის პეტრა ეკლსტოუნმა არ შეიძინა 85 მილიონ დოლარად.



### „ცენტრალ პარკ-უესტი“

***მფლობელი:** ეკატერინა რიბოლოვლიევა, დიმიტრი რიბოლოვლიევის ქალიშვილი (კაპიტალი – 9,1 მილიარდი დოლარი); მდებარეობა: ნიუ-იორკი; ღირებულება: 88 მილიონი დოლარი (2012 წლის მონაცემები).*

ულტრათანამედროვე ბინა ნიუ-იორკის ყველაზე პრესტიჟულ საცხოვრებელ კომპლექსში მილიარდერ დიმიტრი რიბოლოვლიევის ქალიშვილმა 2012 წელს შეიძინა. 35-სართულიანი სახლის მობინადრეები არიან: დენზელ ვაშინგტონი, სტინგი, ცნობილი ბიზნესმენები და სპორსტმენები.

### „მაისონ დე’ლ ამიტე”

***მფლობელი:** დიმიტრი რიბოლოვლიევი (კაპიტალი – 9,1 მილიარდი დოლარი); მდებარეობა: პალმ-ბიჩი, ფლორიდა; ღირებულება: 95 მილიონი დოლარი.*

შვილისგან განსხვავებით, რუსი ოლიგარქი ამჟამად ევროპაში ცხოვრობს, კერძოდ, მონაკოში, სადაც ადგილობრივ საფეხბურთო კლუბს



ფლობს. ნიუიორკულ ბინასთან ერთად, რიბოლოვლიევი ფლობს ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ ვილას ფლორიდაში. 15 საძინებელი, 8 აბაზანა-საპირფარეშო, ჩოგბურთის კორტი, აუზი და კოტეჯები სტუმრებისთვის – ეს ამ ვილის არასრული ღირსებების ჩამონათვალია.

### „კენსინგტონ პალას გარდენი”

***მფლობელი:** ლაქშმი მიტალი (კაპიტალი – 16,1 მილიარდი დოლარი); მდებარეობა: ლონდონი; ღირებულება: 90 მილიონი დოლარი (2004 წლის მონაცემები).*

ინდოელი მილიარდერი ლაქშმი მიტალი ლონდონის ყველაზე პრესტიჟულ ქუჩაზე ფლობს ფეშენებელურ სახლს. მისი მეზობელი არაერთი ცნობილი და გავლენიანი ადამიანია, მათ შორის, ამავე ქუჩაზე ცხოვრობს „ჩელსის” მფლობელი რომან აბრამოვიჩი. ინდოელი მაგნატი მილიარდერების ქუჩაზე კიდევ ერთ სახლს ფლობს, რომლის ფასი, სხვადასხვა მონაცემებით, 222 მილიონი დოლარია.

### „კენსინგტონ პალას გარდენი”

***მფლობელი:** რომან აბრამოვიჩი (კაპიტალი – 10,2 მილიარდი დოლარი); მდებარეობა: ლონდონი; ღირებულება: 140 მილიონი დოლარი (2011 წლის მონაცემები).*

ლონდონის მილიარდერების ქუჩაზე ბინადრობს რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი. მისი 15-საძინებლიანი სასახლე უზარმაზარი ბაღით, 2011 წელს 140 მილიონ დოლარად იყო შეფასებული, თუმცა, სავარაუდოდ, ამჟამად სა-



ხლის ფასი გაცილებით მეტია. აბრამოვიჩის განკარგულებაშია საკუთარი ჩოგბურთის კორტი, გამაჯანსაღებელი ცენტრი და „ფერარის” მარკის ვინტაჟური ავტომობილების კერძო მუზეუმი.

### „ბროკენ ო რენჩი”

***მფლობელი:** სტენლი კრონკე (კაპიტალი – 5 მილიარდი დოლარი); მდებარეობა: ავგუსტა, მონტანას შტატი, ამერიკის შეერთებული შტატები; ღირებულება: 132,5 მილიონი დოლარი (მიახლოებითი ფასი).*

მილიარდერ სტენლი კრონკეს რანჩო მონტანას შტატში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირირებულია. 123 ათას აკრ ფართობზე გაშენებულ რანჩოში 30-კილომეტრიანი მდინარე, ხორბლის მინდვრები და 4 500 სული საქონელია თავმოყრილი. სტენლი კრონკე ნაციონალური საკალათბურთო კლუბ „დენვერ ნაგითსის” მფლობელობით არის განთქმული.

### „უან ჰაიდ პარკი”

***მფლობელი:** რინატ ახმეტოვი (კაპიტალი – 15,4 მილიარდი დოლარი); მდებარეობა: ლონდონი; ღირებულება: 221 მილიონი დოლარი (2011 წლის მონაცემები).*

უკრაინელი მილიარდერი და საფეხბურთო კლუბ „შახტარის” მფლობელი, რინატ ახმეტოვი, ლონდონის ცენტრში ფლობს ელიტურ საცხოვრებელ სახლს. „უან ჰაიდ პარკის” აპარტამენტები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ საცხოვრებლად ითვლება, სადაც ერთი კვადრატული მეტრის ფასი 67 ათასი დოლარიდან იწყება.

### „ფეირ ფილდ ისთეიტი”

***მფლობელი:** აირა რენე (კაპიტალი – 6,5 მილიარდი დოლარი); მდებარეობა: საგაპონაკი, ნიუ-იორკის შტატი, ამერიკის შეერთებული შტატები; ღირებულება: 248 მილიონი დოლარი.*

ამერიკელი ინვესტორი და ბიზმესმენი აირა რენე ფლობს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ საცხოვრებელს. ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე დიდი კერძო საცხოვრებელი სახლი შეერთებულ შტატებში. ატლანტის



ოკეანის სანაპიროსთან, 250 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე გაშენებული ფეშენებელური სასახლე 29 საძინებლითა და 39 აბაზანით, ორი საჩოგბურთო კორტით, ბოულინგის ცენტრით, კალათბურთის დარბაზითა და რამდენიმე ათეული ბუხრით.

### „ვილა ლეოპოლდა”

***მფლობელი:** ლილი საფრა (კაპიტალი – 1,2 მილიარდი დოლარი); მდებარეობა: ლაჟვარდოვანი სანაპირო, საფრანგეთი; ღირებულება: 750 მილიონი დოლარი (2008 წლის მონაცემები).*

ფეშენებელური ვილა „ვილა ლეოპოლდა” 1902 წელს ბელგიის მეფე ლეოპოლდ მეორემ თავის ფავორიტსა და მომავალ მეუღლეს, კაროლინა ლაკრუას აუშენა. ამ ვილაში გაიცნეს ერთმანეთი მონაკოს პრინცმა რენიემ და ჰოლივუდის ვარსკვლავმა გრეის კელიმ. ვილას ფლობს ბანკირ ედმონდ საფრას ქვრივი, ლილი საფრა. ვილა საფრანგეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის მიჩნეული და მისი შეძენა რამდენჯერმა სცადა რუსმა ოლიგარქმა მიხაილ პროხოროვმა, თუმცა, უშედეგოდ.



### „ანტილია”

***მფლობელი:** მუკეშ ამბანი (კაპიტალი – 21,5 მილიარდი დოლარი); მდებარეობა: მუმბაი, ინდოეთი; ღირებულება: 1 მილიარდი დოლარი.*

მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული სახლი ინდოეთში, მუმბაიში მდებარეობს. 27-სართულიან ულტრათანამედროვე შენობას ფლობს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინდოელი მილიარდერი მუკეშ ამბანი. „ანტილია” დიდი ხანია, რაც ინდოეთის სავიზიტო ბარათად იქცა. ამ სახლის არსებობით ინდოელები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ქვეყანა ეკონომიკური აღმავლობის გზაზე დგას.

***P.S.** მილიარდერების სახლების სიის გამოქვეყნებისას გვერდს ვერ ავუვლიდით ყველაზე მდიდარი ქართველის, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სახლს თბილისში, რომელიც ცნობილი იაპონელი არქიტექტორის, შინ ტაკამაცუს პროექტით არის აგებული. ფუტურისტული დიზაინით აგებული შენობის ფასი, უკანასკნელი მონაცემებით, 50 მილიონი დოლარია.*

**უშანგი რუხაძე**

**უკვე რამდენიმე თვეა, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელზე დიდი არეულობაა – „აურზაური სალხინეთში" მას შემდეგ გამწვავდა, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდსა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თამაზ ტყემალაძეს შორის „ბრძოლა წესების გარეშე" დაიწყო. ამის გამო კი თამაზ ტყემალაძე მოვლენების ეპიცენტრში მოხვდა. თავად ფიქრობს, რომ როგორც აზარტულ კაცს, ზვირთებში შერევის არ ეშინია, უფრო მეტიც, არც იმ ბრალდებებზე იხევს უკან, რასაც უყენებენ და არც იმას მალავს, ვის რას უმზადებს საზოგადოებრივ მაუწყებელზე სამომავლოდ.**

# რატომ თვლემს თამაზ ტყემალაძე მთელი წელი ლომივით და რა შეუთვალა მან ეკა კვესიტაძეს

**– ბატონო თამაზ, საზოგადოებრივ მაუწყებელში დიდი არეულობაა. ეპიცენტრში კი თქვენ, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი აღმოჩნდით. რა ხდება „პირველ არხზე“ და როგორ მოხვდით თქვენ ამ ამბებში?**

– ბევრჯერ კი წამომაძახეს „მეგობრებმა" ბორდიდან, შემთხვევით მოხვედრილი კაციაო, მაგრამ მართლა ასე კი არაა. მთელი ჩემი ცხოვრება აქ მაქვს გატარებული, ბოლო ცხრა წელიწადის გარდა. პირველად რადიოში დავიწყე მუშაობა, ლიტერატურის განყოფილებაში. ერთად ვმუშაობდით მე და ზაზა დარასელი. როცა ნუგზარ ფოფხაძე მოვიდა ტელევიზიის ხელმძღვანელად, ზაზა დარასელი ლიტერატურის რედაქციაში, მე კი ხალხური შემოქმედების რედაქციაში გადაგვიყვანეს. ახლა ბორდი ძალიან ხშირად და უდიერად ახსენებს ნუგზარ ფოფხაძეს – ის იყო მოვლენა ამ ტელევიზიისთვის. ჩვენ ნუგზარ ფოფხაძისგან ვისწავლეთ, რა იყო სიტყვა „პროფესიონალიზმი". სულ 32 წელი ვიმუშავე, აქედან მაშინ გამიშვეს, როცა მიხეილ სააკაშვილის მიერ მოწყობილი ვარდების რევოლუციის ნიაღვარმა აქედან წაიყოლა პატიოსანი და კვალიფიციური თანამშრომლების დიდი გუნდი. მაშინ „პირველი არხი“ იყო ისეთი სამსახური, სადაც გულს მოსვლა უხაროდა. არაჩვეულებრივად იყო აწყობილი აქაურობა, რედაქციული სისტემა მუშაობდა, ყველა თავის საქმეს აკეთებდა. ამ ტელევიზიას ქვეყნისთვის ბევრი რამ აქვს გაკეთებული, შეიძლებოდა მისი დაყვანა ამ დონემდე? ახლა კი აქ ისეთი დომხალია, ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს და ძაღლს ვეღარ ცნობს პატრონი. ჯერჯერობით, რაც აქ ვარ, ხელის შეშლისა და ნერვების მოშლის მეტი არაფერი მინახავს. საშუალება არ მაქვს, რომ დავჯდე და შემოქმედებით ჯგუფებთან ვიმუშავო. ყველა ნაბიჯზე ინტრიგები და კოშმარები მხვდება სამეთვალყურეო საბჭოსგან.

**– ისინი თქვენ გადანაშაულებენ.**

– რაში? სესხი გაგვიყინეს, ეს სესხი აუცილებელი იყო. ეს ვალები წინა ხელმძღვანელობებმა დააგროვეს და ჩვენ დაგვიტოვეს გადასახდელად. ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენ არ ვიცით რა გადაცემებია საჭირო? ტელევიზიის ნგრევა ზაზა შენგელიას დროს დაიწყო. ეგ და კახა ბექაური ერთმანეთის ალოტროპიული სახეცვლილებები არიან. მათ დაიწყეს ტელევიზიის ნგრევა. მათ პროფესიონალიზმზე რამეს როგორ ვიტყვი, მაგრამ პროფესიონალიზმის გარდა, არსებობს კიდევ სხვა რამ, რაც კაცმა საქმისთვის უნდა გამოიყენო. სანამ ტელევიზიიდან გამიშვებდნენ, ჰუმანიტარული მიმართულების მთავარი პროდიუსერი ვიყავი. ჩემთან შემოდიოდა ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარი რედაქცია, აგრეთვე ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია თავისი ყველა მიმართულებით. ამ რედაქციებში არაჩვეულებრივი ხალხი მუშაობდა. დღეს ჩვენი ტელევიზიის ისტორიაა ის ფონდები, რაც ამ რედაქციებმა შექმნეს. ჩემი ნამუშევრები სულ 1 500 საათის მაინც იყო. ახლა 100 საათზე მეტი არაა დარჩენილი, ეტყობა დაგლიჯეს, გამოიყენეს და მოისროლეს.



როცა პირველივე თათბირზე ვთქვი: კვესიტაძე და პაიჭაძე უნდა გავათავისუფლო-მეთქი, შიშისგან სკამებიდან გადმოცვივდნენ

**– ისევ თქვენს აქ შემთხვევით მოხვედრას დავუბრუნდეთ.**

– 2-3 კაცი შეიძლება იპოვონ, ვისაც იმდენი გაუკეთებია ტელევიზიისთვის, რაც მე მაქვს გაკეთებული. მე მიყვარს ჩემი საქმე. როცა აქედან გამიშვეს, სკოლაში გავაგრძელე მუშაობა. სულ ვმუშაობდი სკოლაში ქართულის მასწავლებლად, მაშინაც კი, როცა პირველად აქ მოვედი. რამდენიმე სკოლა მაქვს გამოცვლილი – 161-ე სკოლაში ვმუშაობდი, საკმაოდ დიდხანს – 51-ე სკოლაში. მერე იყო 26-ე სკოლა. ახლაც ვმუშაობ სკოლა-კომპლექს „სადუნში". მასწავლებლობა ის საქმეა, რაც ძალიან მიყვარს. მე მასწავლებლის შვილი ვარ და ეს გამყვა მთელი ცხოვრება, ბავშვებთან ურთიერთობას არაფერი ჯობია. იმ ცხრა წელიწადში, რაც ტელევიზიას ჩამომაშორეს, მასწავლებლობით ვშოულობდი ერთ-ორ კაპიკს. სტატიებსაც ვბეჭდავდი „უიქენდში", სადაც ჩემი დაახლოებით 1 500-გვერდიანი კვლევა გამოქვეყნდა. რაც შეეხება შემთხვევითობას, მე ყოველ წელს ვიღებდი მონაწილეობას ტენდერებში. დირექტორის პოზიციაც მოვსინჯე და ბორდის წევრობაც ვცადე, მაგრამ შავ სიაში ვიყავი და ვერასდროს ვერაფერში ვიმარჯვებდი. ოთხ-ხუთ გადაცემას წარვადგენდი ყოველწლიურად, მაგრამ არც არაფერი. სულელურ წერილებს მწერდნენ, ათას ზღაპარს მიყვებოდნენ. როცა აქ ემზარ გოგუაძე აირჩიეს ბორდის თავმჯდომარედ, მას ძალიან დიდი ხანია ვიცნობ, დავურეკე და ვუთხარი: მოვალ მანდ, სადმე კუთხეში ვიჯდები ჩემთვის და როგორც კონსულტანტი დაგეხმარებით-მეთქი. კარგიო, მითხრა. ამ დროს აქ დირექტორი არ იყო. ემზარმა იმსჯელა, იმსჯელა და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დავნიშნულიყავი ტელევიზიის დირექტორის მოადგილედ.

## კიდევ შემიძლია ადამიანების ცემა. ფიზიკურად კარგ ფორმაში ვარ

**– რაც როგორც ამბობენ, ხელისუფლებასთან და კოკა ყანდიაშვილთან იყო გადაწყვეტილი.**

– უფ, იმდენ რამეს იგონებენ. ჩემი შვილიც კი ჩართეს, ლამის. ჩემს შვილს რა კავშირი აქვს ჟურნალისტურ სამყაროსთან? არანაირი. თავის ცხოვრებაში ტყუილი არ უთქვავს და მარხვა არ დაურღვევია ხუთი წლის ასაკიდან. მას რა კავშირი უნდა ჰქონდეს აქაურ ინტრიგებთან? მომეცით ის წიგნი ***(ბიბლიას ითხოვს, რომელიც დევს მაგიდაზე – ავტორი).*** აი, დავიფიცებ პირუთვნელად, რომ არაფერს ვიტყუები. ცხოვრებაში ტყუილის მეტი რა მითქვამს, როცა მეგობართა შორის ვლაღობ, მაგრამ ახლა, არ ვიტყუები. ჩემს აქ მოყვანასთან, ყანდიაშვილებს არანაირი კავშირი არ აქვთ. თქვენ გგონიათ, ბორდში ვინც არიან, არ მიცნობდნენ? არ იცოდნენ ვინ ვარ და საიდან? დირექტორის პირველი მოადგილის შტატი შექმნეს ჩემთვის, რაც ადრე სულ არსებობდა. როცა მოვედი, პირველივე თათბირზე ვთქვი: კვესიტაძე და პაიჭაძე უნდა გავათავისუფლოთ-მეთქი. შიშისგან სკამებიდან გადმოცვივდნენ. ეს რომ ბორდმა გაიგო, ისინიც გაგიჟდნენ, მაგრამ ეგონათ, მე ამას ვერ შევძლებდი. როცა აქ მოვიდა დირექტორი, რომელიც გაამართლა სასამართლომ, იმანაც ცუდად მიმიღო. მე ვიყავი მათთვის გაურკვეველი ადამიანი, თათბირებზე არ მიშვებდნენ.

**– ალბათ, არ იდექით იმ კუთხეში, რასაც დაპირდით ბორდის ხელმძღვანელს.**

– მე კუთხეში არასდროს არსად ვდგავარ. მე ვარ აქტიური ადამიანი – ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე, ცხოვრების ყველა ზვირთში ვერიე, – როგორც ამბობს ირაკლი აბაშიძე. რომ ატყდა ამბავი, კვესიტაძე-პაიჭაძესთან დაკავშირებით, ისინი იყვნენ საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის მიუღებელი ადამიანები თავიანთი ტენდენციურობით. ერთიც და მეორეც ამქვეყნად ყველას ეზიზღებოდა. არ უნდა ამას ლაპარაკი. ამას წინათ იმერეთში ვიყავი, ჩემი მეგობრის სიდედრის გასვენებაში. ერთი ოცი კვესიტაძე მაინც მოვიდა მადლობის სათქმელად. ეს ჩვენი გვარის შემარცხვენელი ქალი რომ მოგვაშორეო! მითხრეს. არ იყო ასე? მე ძალიან პრინციპული ადამიანი ვარ. რასაც ვამბობ, ვაკეთებ კიდეც. მე თავიდანვე გავუგზავნე მესიჯი ამ ორ ადამიანს, რომ არ ყოფილიყვნენ ტენდენციურები და შეეცვალათ ტონი. მათ ისეთი მაგრები ეგონათ თავი, სასაცილოდ არ ეყოთ ჩემი შეთვლილი. მოვედი თუ არა დროებით მოვალეობის შემსრულებლად, მესამე დღეს მოვაწერე ხელი ბრძანებას და ორივე გავუშვი, თუმცა პაიჭაძე დავტოვე რადიოში.

**– როგორც ეკა კვესიტაძე ამბობს, თათბირებზე მართლა გძინავთ?**

– ბაბუამისმა, მძინავს, აბა? ჰა, ჰა, ჰა! აფხაზეთის ომის შემდეგ თვალები მტკივა, ვერ ვიტან ჭარბ სინათლეს, თვალები მეჭუტება. ამიტომ ვატარებ მუქ სათვალეს. მე ლომის ზოდიაქოში ვარ დაბადებული. ჩვენ ლომები ვთვლემთ, მაგრამ ხომ იცით, ეს ძალიან საშიშია – არ იცი რას იზამს, თვალს რომ გაახელს. მე ათასი კვესიტაძე ვერ დამაკლებს ვერაფერს. აქაურობა ნაგიჟრებით არის სავსე. მე ესენი ვერ შემარყევენ. ვერავინ ვერაფრით მომერევა,

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

სმაილი

SAMSUNG

პირველად საქართველოში !
უპრეცენდენტო განვადების აქცია !

ყიდულობთ **SAMSUNG** - ის მაცივრებს და სხვა ნებისმიერ ტექნიკას ისე, რომ ზედმეტს არაფერს არ იხდით!



განვადება 0%

წინასწარი შენატანი 0

ბანკის საკომისიო 0



თბილისი : ყაზბეგის 24 / სავ.ცენტრი თბილისი მოლი / ვარკეთილი, ჯავახეთის 14
სავ.ცენტრი მეგალაინი პავილიონი 29 / პუშკინის 9 / გლდანი, ხევძმარის 7

რეგიონები : რუსთავი, მეგობრობის გამზ.23
ბათუმი, ჭავჭავაძის 31 / თელავი, ალაზნის გამზ. 23

(032) 2 555-655

www.fb.com/smiley.ge

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში ხორციელდება საქართველოს მოქალაქის ექსტრადიცია და უცხო ქვეყნისათვის გადაცემა სასჯელის მოსახდელად?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, ზოგადად, საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად არ შეიძლება ექსტრადირებულ იქნენ სხვა სახელმწიფოში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაცემა ხორციელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით (რომის სტატუტით) და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ჩაითვლება თუ არა დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად, თუ შედეგი დადგა სხვა ქვეყანაში და, კონკრეტულად რა შემთხვევაში ჩაითვლება დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე საქართველოს კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენილ დანაშაულზე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ და რა შემთხვევებში შეიძლება იყოს საქართველოდან ექსტრადირებული სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად, შეიძლება, ექსტრადირებულნი იყვნენ სხვა სახელმწიფოში ან გადაეცნენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როდესაც საქართველოში ჩამოსულია უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც თავისი ქვეყანა ეძებს როგორც დამნაშავეს, მაგრამ, რეალურად, იგი არის პოლიტიკური ნიშნით დევნილი, ვალდებულია თუ არა საქართველო, გადასცეს ეს პიროვნება სხვა სახელმწიფოს, მასზე სასჯელის აღსრულების მიზნით?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, არ შეიძლება, სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისთვის, აგრეთვე, ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან, თუ ჩადენილი დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, დაისჯება თუ არა საქართველოს მოქალაქე საქართველოს კანონმდებლობით იმ შემთხვევაში, თუ უცხოეთში ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომელიც, თუმცა დანაშაულად არ ითვლება იმ ქვეყნის კანონით, სადაც ის დროებით იმყოფება, მაგრამ, ასეთი ქმედება დასჯადია საქართველოში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც უცხოეთში ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ან/და. თუ ამ დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

(მე-14 გვერდიდან)

რადგან მგონია, რომ ჩემი სინდისისა და ღმერთის წინაშე მართალი ვარ. დანარჩენი ვინ უნდა მომერიოს? თუ რამეში ვცდები, მითხრან. საერთოდ ასეთი ვარ, გადაწყვეტილებას არ მივიღებ, ას კაცს თუ არ შევეკითხე. წელან ბიბლიაზე დავდე ხელი, კოკა ყანდიაშვილის მოყვანილი არ ვარ-მეთქი. მაგრამ, ხომ არ მოგატყუებთ, კოკასთან წლები მაკავშირებს. ჩემი რვანაწილიანი ფილმი ილია ჭავჭავაძეზე კოკას „აუდენციაში" გავაკეთე. იქვე ვიღებდით და ვამონტაჟებდით. რაც უნდა ის თქვან, ამაზე არ ვჯავრობ. შეიძლება, ისიც კი თქვან, რომ აზერბაიჯანის აგენტი ვარ საქართველოში.

**– რატომ მაინცდამაინც აზერბაიჯანის?**

– ლაგოდეხში დავამთავრე სკოლა, იქვეა აზერბაიჯანი. გარდატეხის წლები მაქვს გატარებული ლაგოდეხში, რაც ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია. დღემდე დავდივარ ლაგოდეხში, მიყვარს იქაურობა.

**– ამ არეულ-დარეულობას, რაც დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელში ხდება, ჩვეულებრივი მოქალაქის ინტერესი ეწირება, რომლის გადასახადითაც არსებობს ეს ტელევიზია.**

– მე ის კაცი ვარ, ვინც აქ ყველაფერს დაალაგებს, ძალიან აზარტული ვარ და აი, ნახავთ, თუ ასე არ იქნება. აქ ყველა შემაკავშირებელი სტრუქტურა დაშლილია. მე უკვე ბევრს ვმუშაობ ამ სტრუქტურების აწყობაზე. ძალიან კარგი გადაცემები დაიწყება მომავალი კვირიდან. სესხი რომ დაემტკიცებინათ, ბევრ კარგ გადაცემას შევინარჩუნებდით. ამ ბორდში ორი-სამი კაცია ნათელი გონებით, დანარჩენები ნაციონალური მოძრაობის გოშიები არიან, მეტი არაფერი. იცოდეთ, ამ დაპირისპირებაში მე გავიმარჯვებ. მიყვარს, როცა გამარჯვებული ვარ და სიმართლე ჩემს მხარეზეა.

**– საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი „მაესტროს" რატომ უყურებთ?**

# რატომ თვლემს თამაზ ტყემალაძე მთელი წელი ლომივით და რა შეუთვალა მან ეკა კვესიტაძეს

– წელან პასკვილი გაუშვეს ჩემზე და იმის მერე დამრჩა ჩართული. დიდპირა ბიჭი რომ ჰყავთ, ვასიკო, ისეთი რაღაც თქვა ჩემზე, ამაზე სასაცილო არასდროს არაფერი გამიგია. მე მას შევუთვალე, რომ ცოტა მეტად კორექტული იყოს, დაიცვას ჟურნალისტური ეთიკა და არ გამაბრაზოს. მე ძალიან ცუდი გაბრაზება ვიცი.

**– ერთი ამბავიც უნდა გკითხოთ. ამბობენ, ბორდის ყოფილ ხელმძღვანელს ლევან გახელაძეს, დახრჩობით ემუქრებაო. ეს მართალია?**

– კი, როგორც კორიდორში შემხვდება, მაშინვე დავახრჩობ. ისეთ რაღაცეებს წერს, ერთი სიტყვა არაა მართალი. გახელაძის გულისთვის ციხეში წავალ? ადრე სანადიროდ დავდიოდი, ბევრი დათვი და ღორი მყავს მოკლული. ახლა ამას ვნანობ და გახელაძეს დავახრჩობ? მოკვლით ვერ მოვკლავ, მაგრამ რომ მოვინდომო, კარგად ვცემ. როცა ადამიანებს არ ესმით, მეტი გზა არ მრჩება. ჯერჯერობით კიდევ შემიძლია ასეთი ადამიანების ცემა. ფიზიკურად კარგ ფორმაში ვარ. მე ძალიან მაგარი სპორტული წარსული მაქვს – ალპინისტიც ვიყავი, მოჭიდავეც, ცხენოსანიც, მოცურავეც. სულ აქეთ-იქით დავხეტიალობდი, 43 ექსპედიციაში ვარ ნამყოფი, ბევრი რამ შემხვედრია ამ გზაზე. ბაიკალის ტბამდე ველოსიპედით ვარ ჩასული. არქეოლოგიურ ექსპედიციებშიც ხშირად დავდიოდი, ველოგადარბენებზეც. იყო ძალიან დიდი ექსპედიცია „ოქროს საწმისი", თვითნაკეთი ხომალდით ჩავედით რიონიდან ტიმ სევერინამდე, თევდორე მღვდლის ნაკვალევზეც ვიარე. მაშინ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი, ძალიან საინტერესო ცხოვრება გვქონდა უნივერსიტეტელებს. მაგრამ, პირველი კურსი დავხურე თუ არა, როგორც კომუნისტებისთვის არასაიმედო პირი, „დამსაჯეს" და სხვა ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრეს, ჯარში გამიწვიეს. ბათუმის გარნიზონში ერთადერთი ოფიცერი ვიყავი, რომელსაც უფლება არ ჰქონდა მახინჯაურს გაცდენოდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ 1976 წელს გამოვიდა ზვიად გამსახურდიას იატაკქვეშა ლიტერატურა – „საქართველოს მოამბის" პირველი ნაწილი, სადაც დაიბეჭდა ჩემი სტატია „საქართველოს ისტორიული ძეგლები და სტუდენტობა". ამასაც თავისი ისტორია აქვს, როგორ მოხვდა ჩემი სტატია ამ გამოცემაში. ამის გამო დამამუშავა „კაგებემ", როგორც შემოპარული მტერი. თავიდან იმასაც კი ვერ ვხვდებოდი, რატომ იყო ჯარში დაჭრილი ჩემი ჩემოდანი, რას ეძებდნენ. გვიან გავიგე, რომ ამას უშიშროება აკეთებდა. სასწაულ რაღაცეებს მიწყობდნენ ხელვაჩაურის რაკეტულ დივიზიონში, სადაც სავალდებულო სამსახური გავიარე. ძლივს დამთავრდა ის პერიოდი და მეც ძლივს გადავრჩი დაჭერას. მოგზაურობა სულ მიყვარდა. ამას წინათ, ხაშურში ვიყავით მეგობრები. ერთი კაცი შეგვხვდა, მარსელიდან მოვდივარ ფეხით, ჩინეთში უნდა ჩავიდეო. ზურგზე 40 კილო ტვირთი ეკიდა. ერთ ხაშურელ მეგობარს გავატანეთ ის კაცი, მოასვენა, აბანავა. მეორე დღეს ჩავაკითხეთ იმ კაცს. იცი, რა გვითხრა? საიდანაც გამომიყვანეთ, ისევ იქ წამიყვანეთ, ფეხით უნდა გავაგრძელო გზაო. 7 კილომეტრი გვატარა უკან, რომ გზა იმ წერტილიდან გაეგრძელებინა აი, მოგზაურიც იმას ერქვა. მე მარსელელივით სულ ველოსიპედით არ მივლია, სხვა ტრანსპორტიც გამოვიცვალე ***(იცინის).***

**თამუნა სამადაშვილი**

# ინტიმური საუბრები

## დედაჩემი რძალს ვერ ეგუება

მე და სოფოს მეშვიდე კლასიდან გვიყვარდა ერთმანეთი. რაიონულ ცენტრში ვცხოვრობდით და, ხომ იცით, როგორ ხდება ხოლმე პატარა ქალაქებში – ყველამ იცოდა ჩვენი სიყვარულის შესახებ.

სოფო ცოტა თამამი გოგო იყო და ამის გამო ათასგვარ ჭორებსაც ავრცელებდნენ უსაქმური ქალები, მაგრამ მე ამას არანაირ ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი სოფოს სიყვარულშიც და მის პატიოსნებაშიც. დედაჩემს არ მოსწონდა ჩვენი ურთიერთობა. სულ იმას ჩამჩიჩინებდა, მამის ფულებით გატუტუცებული გოგო ცხოვრებაში არ გამოგადგებაო, მე კი ვუმტკიცებდი, რომ სოფო სხვანაირია, მისთვის ქონებას და სიმდიდრეს მნიშვნელობა არ აქვს-მეთქი. ჩვენი ოჯახი საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა და დედაჩემი სულ მეუბნებოდა, თავისი მდიდრული ყოფის შემდეგ ჩვენს პირობებს ვერ შეეგუება და ოჯახი დაგენგრევაო, მე კი ამაზე მუდმივად ვეჩხუბებოდი – ეს ჩემი პირადი ცხოვრებაა და ნუ ერევით-მეთქი. ერთხელ კი მეზობლის ქალისგან ისიც გავიგე, რომ, თურმე, ჩემზეც არანაკლებს ჭორაობენ – ვითომ, იმიტომ გადავეკიდე სოფოს, რომ მამამისის ქონებამ მომხიბლა. ამაზე ძალიან გავმწარდი, მაგრამ, ყველას სათითაოდ ხომ არ ჩამოვუვლიდი და არ დავუწყებდი მტკიცებას, რომ ეს ასე არ არის. ამიტომ, შევიცხადე, ყურადღება არ მიმექცია, ვინ რას იტყოდა.

სკოლა რომ დავამთავრეთ, პირველ წელს ვერც ერთი ვერ მოვეწყვეთ უმაღლესში – ორივეს ქულები დაგვაკლდა. მე მუშაობა დავიწყე, ავტოპროფილაქტიკაში, სოფო კი სახლში იჯდა და მელოდებოდა ხოლმე, როდის გავუვლიდი. სხვათა შორის, მისი მშობლები არ იყვნენ ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი, მიუხედავად ჩემი ოჯახის ხელმოკლეობისა. მამამისს სადღაც ისიც უთქვამს ჩემზე: მშრომელი ბიჭია და ჩემთვის ეს არის მთავარიო.

მოკლედ, ისე მოხდა, რომ სკოლის დამთავრებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, ჯარში გამიწვიეს. შემეძლო თავის დახსნა, მაგრამ, რატომღაც, არ გავაკეთე ასეთი რამ. ორი წელი ვიყავი ჯარში და სულ ერთხელ ჩამოვედი რამდენიმედღიანი შვებულებით, მაგრამ, სოფო ვერ ვნახე, რადგან დედამისთან ერთად საზღვარგარეთ იყო წასული.



სანამ ჯარში ვიყავი, თავიდან ერთმანეთს ვეკონტაქტებოდით და სოფო ხშირად მწერდა წერილებს. მერე მიმოწერა შეწყდა და ვერაფრით ვერ გავიგე, რა ხდებოდა (ჩემებსაც კი ვერაფერი დავაცდენინე). თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ სოფომ ისევ დაიწყო წერილების გამოგზავნა და იმ ხანგრძლივი პაუზის შესახებ რაღაცას მიკიბ-მოკიბულად მწერდა ხოლმე. მეც აღარ ჩავძიებივარ, თუმცა, ხანდახან ეჭვი გამკრავდა ხოლმე გულში.

ჯარიდან რომ ჩამოვედი, მხოლოდ სოფო დამხვდა სადგურზე, რადგან სხვამ არავინ იცოდე ჩემი ჩამოსვლის დღე. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სოფო მაშინვე გამომიტყდა, რატომაც აღარ მწერდა წერილებს იმ რამდენიმე თვის განმავლობაში. როგორც გაირკვა, ვიღაც ბიჭს მოუტაცია, ანუ, გათხოვილა, მაგრამ, რამდენიმე თვის შემდეგ სოფო სახლში დაბრუნებულა, რადგან ქმარი ვერაფრით ვერ შეიყვარა. ეს ყველაფერი მან თვითონ მიამბო გულწრფელად და ისიც მითხრა, თუ ასეთს მიმიღებ, მე ისევ ისე მიყვარხარო. ამ ამბის გადასახარშავად საკმაო დრო დამჭირდა, მაგრამ, სოფოს მაინც ვაპატიე და ჩვენ დავქორწინდით. დედაჩემი კი ამას დღემდე ვერ ეგუება და რძალთან მთლად კარგი ურთიერთობა არ აქვს. ამიტომ, მე და სოფომ გადავწყვიტეთ, თბილისში გადმოვიდეთ საცხოვრებლად. ვერ გავაგებინე დედაჩემს, რომ მიყვარს ჩემი ცოლი და ვინ რას იტყვის ჩვენზე, არ მაინტერესებს.

**გური, 25 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ნინო ვარსიმაშვილი – ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## როგორ დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ ბარაქა

***არ არსებობს ადამიანი, ვისაც არ აინტერესებს, რას უქადის მომავალი, ბედნიერი იქნება თუ უბედური, ფულიანი თუ უფულო, რამდენ ხანს იცხოვრებს, ვინ იქნება მისი ცხოვრების თანამგზავრი. ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა, მით უფრო ისეთ რთულ დროში, როგორიც დღესაა. გარემო ბოროტი ძალების გააქტიურების განსაკუთრებულ გავლენას განიცდის. მკითხველის დიდი ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ კვლავ გთავაზობთ ინტერვიუს ნინო ვარსიმაშვილთან, რომელიც დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია.***

**– ქალბატონო ნინო, თქვენ შესახებ თბილისში ბევრ საინტერესო ისტორიას ყვებიან, მათ შორის იმასაც, თუ როგორ აღმოგაჩნდათ ნათელხილვის ნიჭი.**

– ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში ოცდაათი წლის წინ დაიწყო – მაშინ ერთი პატარა პროვინციული ქალაქის სახალხო თეატრში ვმუშაობდი. ერთ დღეს ძალიან ცუდად გავხდი, სად აღარ წამიყვანეს, მაგრამ ვერც დიაგნოზი დამისვეს და ვერც ჩემი მკურნალობა შეძლეს ექიმებმა. ბოლოს მოვხვდი რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში, აღმომაჩნდა თავის ტვინის ძალიან მძიმე დაავადება. თვე-ნახევარი საწოლს ვიყავი მიჯაჭვული, სიკვდილს ვებრძოდი. გამიკეთდა ქირურგიული ოპერაცია, რომელიც უფლის წყალობით, წარმატებით დასრულდა. მდგომარეობიდან რომ გამოვედი, სულ სხვა პიროვნება ვიყავი. წინასწარ ვხედავდი, რა ელოდათ ჩემს ახლობლებს. ეს ამბავი ჩვენს პატარა ქალაქში ისე გახმაურდა, მალე მეზობელი რაიონებიდან დაიწყო ხალხმა ჩამოსვლა.

**– დღეს რას მოიცავს თქვენი ნათელხილვები?**

– წინასწარ ვჭვრეტ ყველა იმ პრობლემას, რაც აწუხებთ ადამიანებს. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, რაც განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომელსაც 16 კომპონენტისგან ვამზადებ. გახსნის პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებაზე. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა და მთხოვა, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ წასვლა მომიწია საბერძნეთსა და მოსკოვში. იქ იმ ადამიანების თხოვნით და მიწვევით ჩავედი, რომლებიც ჩემი ძველი კლიენტები იყვნენ. მათ არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს მათთან მუშაობას სატელეფონო კონტაქტით ვახერხებ.

***ქალბატონ ნინო ვარსიმაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა, ჩვენ რამდენიმე ადამიანს გავესაუბრეთ, რომელთაც საკუთარი ისტორიები გვიამბეს.***

**ლამზირა თავაძე** ***(63 წლის, თბილისი):*** ნინო ვარსიმაშვილის შესახებ ერთ-ერთი ტელეშოუდან შევიტყვე. იმ დროს ჩვენს ოჯახში ძალიან მძიმე სიტუაცია იყო – ჩემს ქმარს ცუდად წაუვიდა საქმეები ბიზნესში. არეულ-დარეული პირადი ცხოვრება ჰქონდა ჩემს ქალიშვილს, რომელიც უკვე 40 წელს იყო მიღწეული და არა და არ თხოვდებოდა. ჯერ შვილს ვთხოვე ნინოსთან წამყოლოდა, მერე ჩემს ქმარს. კაცებს, ხომ იცით, ნაკლებად სჯერათ ასეთი რაღაცეების, ვერა და ვერ დავითანხმე ჩემი ქმარი. ჩემი ქალიშვილი ნინოსთან მივიდა თუ არა, მისი პირადი საქმეები მაშინვე გაუმჯობესდა. სულ ორი-სამი ვიზიტი დასჭირდა ნინოსთან, ერთი თვეც არ იქნებოდა გასული, ქორწილში სიმპათიური მამაკაცი გაიცნო, რომელმაც ძალიან მალე ცოლობა სთხოვა. მერე უკვე ქმარიც გამომყვა ნინოსთან, სამი პროცედურა ჩაუტარა ფინანსურ კეთილდღეობაზე. მისცა ბარაქის თილისმა, რომელიც თავიდან არ უნდა მოეშორებინა. ამის შემდეგ ჩემმა ურწმუნო ქმარმაც დაიჯერა ნინოს ნათელხილვის ფენომენალური უნარი. მადლობა ქალბატონო ნინო, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ.

**მაკა შიუკაშვილი** ***(40 წლის, გორი):*** ძალიან კარგი ოჯახი მქონდა, მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი აგვერ-დაგვერია. ჩემმა ქმარმა საყვარელი გაიჩინა, სახლიდან წავიდა და ორ შვილთან ერთად, მარტო დამტოვა. ნინოს შესახებ ახლობლისგან შევიტყვე, რომელსაც სამსახურში მოწყობაში დაეხმარა. ისეთი რამ უწინასწარმეტყველა, ყველაფერი ზუსტად აუხდა. როგორც კი ნინოსთან მივედი, მაშინვე მითხრა, ჯადო გაქვთ გაკეთებულიო. მომცა რამდენიმე თილსმა და მასწავლა მათი გამოყენების წესი. ორი-სამი თვე გავიდა, ჩემი ქმარი გონს მოეგო, მიატოვა ის ქალი და ისევ ოჯახში დაგვიბრუნდა. აი, რა შეუძლია ქალბატონ ნინოს. მისი დონის ნათელმხილველი საქართველოში არ არსებობს.

**მარინა გზირიშვილი** ***(45 წლის, თბილისი):*** ორი კვირის წინ ჩამოვედი იტალიიდან, სადაც უკვე რვა წელია, ვცხოვრობ. როცა წლების წინ ნინოსთან მივედი, მაშინ მითხრა, რომ უცხოეთში წავიდოდი საცხოვრებლად. მაშინ მისი ნათქვამი სასაცილოდ არ მეყო. რას წარმოვიდგენდი, რომ ცხოვრება ისე შემოტრიალდებოდა, რომ მისი ყველა ნათქვამი ამიხდებოდა. მას შემდეგ ხშირად ვუკავშირდები ხოლმე იტალიიდან (ნინოზე ახლობელი ადამიანი არავინ მყავს).

***ქალბატონ ნინოსთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონზე: 5 99 62-58-58 (ჩაწერა წინასწარ).***

***მისამართი: თბილისი, წითელწყაროს ქუჩა (მეტრო „ავლაბართან“).***

# ვინ დაუგეგმა ბიზნესმენ ფუტკარაძის ვაჟს ქორწილი და რატომ დადის მასზე ლეგენდები



თბილისში ბიზნესმენ ციცო ფუტკარაძის ვაჟის ქორწილზე ლეგენდები დადის. კავკასიის ბიზნესსკოლის სტუდენტი, ოთარ ფუტკარაძე და მისი ყოფილი თანაკლასელი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, მარიამ მელაძე შეუღლდნენ და ქორწინება გრანდიოზული წვეულებით მცხეთაში, რესტორან „გუჯარში" აღნიშნეს. რადგან ქორწილის გრანდიოზულობამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ამ ლამაზი ქორწილის დეტალებით ჩვენც დავინტერესდით.

საზოგადოებასა და ამ ქორწილის სტუმრებს დიდხანს ეხსომება ფუტკარაძეების შთამბეჭდავი ქორწილი, თავისი ტრადიციული და ევროპული რიტუალებით. თავდაპირველად, ჯვრისწერა სვეტიცხოველში, მანამდე კი „ლიმუზინით" ვიზიტი ბაღ „გარდენიაში" და ფოტო-სესია; ხელის მოწერა პირდაპირ მწვანე ბალახზე და მენდელსონის ვალსი ვიოლინოს თანხლებით და ეს ყველაფერი კი რესტორნის განათების ფონზე. მცხეთაში უკვე „ლიმუზინიდან" ფაეტონში გადაჯდა ნეფე-პატარძალი და ასე მივიდა ჯვრის დასაწერად სვეტიცხოველში. ტაძარში ახლად შეუღლებულები მეუფე ანდრიამ დალოცა და ბედნიერება უსურვა. ეს მართლაც ზღაპრული სანახაობა იყო: ნეფე – „სამოსელი პირველის" ჩოხაში, ხოლო დედოფალი დიზაინერ ნანა მელქაძის საპატარძლო კაბაში. ქორწილში ლამაზმა წყვილმა ლამაზად შეასრულა ქართული ცეკვა „დაისიდან." სტუმრად მოწვეულნი იყვნენ ქართული ესტრადის წარმომადგენლები. ანსამბლმა „ფორტემ" თავისი რეპერტუარი წარმოადგინა, სუფრას მსახიობმა ტრისტან სარალიძემ გამორჩეული სიტყვამახვილობითა და იუმორით უთამადა. საქორწილო სუფრაზე, რომელსაც თბილისური ბომონდის წევრებიც ამშვენებდნენ, ჰარმონიულად იყო შერწყმული ევროპული და ტრადიციული ქალაქური მელოდიები. ეს ნამდვილი სანახაობრივი შოუ იყო, კარგად გადაწყვეტილი და ორგანიზებული.

ამ ყველაფრის ლამაზად ორგანიზებაში კი ნეფის და, მარტა მონაწილეობდა. როგორც ჩანს, მისი დიზაინით გადაწყვეტილმა ქორწილის მსვლელობამ
















*შედეგი გამოილო: ხუთსართულიანი ტორტი, განათება მწვანე მოლზე, ცეკვა-სიმღერა, სუფრა, რომელსაც ჩიტის რძეც არ აკლდა და დაუვიწყარი ქორწილი, არა მხოლოდ პატარძლისა და ნეფისათვის. ახლა ისინი უკვე ახლად შეუღლებულები არიან და საკუთარ სახლში ცხოვრობენ, ჰასკთან, რუნისთან და კავკასიურ ნაგაზ ბალუსთან ერთად.*

**მარიამ ფუტკარაძე**: „ერთმანეთი სკოლაში გავიცანით. მეცხრე კლასიდან ერთად მოვდივართ. სიყვარულში სკოლის დამამთავრებელ, ბოლო ზარზე გამოვუტყდით ერთმანეთს. შემდეგი ორი წელიწადი ძალიან ლამაზი შეყვარებულობის პერიოდი გვქონდა. ოთარი ძალიან თბილი და ყურადღებიანია. მზრუნველობას მისი მხრიდან მუდმივად ვგრძნობდი. ამიტომ, მეც გამიჩნდა გრძნობა და ერთად გადავწყვიტეთ ოჯახის შექმნა.

**– ძალიან ლამაზი საქორწილო კაბა გცმია...**

– ნამდვილად. დიზაინერ ნანა მელქაძის მიერ შეკერილი კაბა მეცვა, თუმცა გარკვეული დეტალები მეც შევიტანე.

**– თქვენი ქორწილი ძალიან ლამაზად იყო ორგანიზებული.. ვინ დაგეგმა?**

– კი, ეს მართლაც სასწაული იყო. რაზეც კი ოდესმე მიოცნებია, ყველაფერი ამ ერთ დღეში იყო ჩატეული და თავმოყრილი. ეს ერთ-ერთი ულამაზესი და დაუვიწყარი დღეა ჩემს ცხოვრებაში. ამაზე დიდი შრომა გასწია ჩემი მეუღლის დამ, ძალიან საყვარელმა ადამიანმა – მარტამ.

**ციცო ფუტკარაძე**: ,,წელს განსაკუთრებული წელიწადი გვქონდა. ლამაზი, ქართული ოჯახის შექმნა გადაწყვიტა ჩემმა ვაჟმა და თანაკლასელ, მშვენიერ მარიამზე დაქორწინდა. ისინი რამდენიმე წელი შეყვარებულები იყვნენ. გრანდიოზული ქორწილი გადავიხადეთ მცხეთაში. ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ ახალდაქორწინებულებს ერთმანეთი უყვართ და მართლაც რომ შთამბეჭდავი ქორწილით აღვნიშნეთ მათი შეუღლება.



***P.S.* *ჩვენც ვუერთდებით ფუტკარაძეების ოჯახის სიხარულს და ნეფე-დედოფალს ბედნიერებასა და გამრავლებას ვუსურვებთ!***

**ეკა ნაკაიძე**



# როგორი ხასიათი უხდება ბევრ პრობლემას შეჩვეულ ქალს და უნდა გაექცეს თუ არა ამას

**რატომ ცხოვრობს ქალი ისეთი მამაკაცის გვერდით, რომელიც პრობლემებს უქმნის და ბედნიერებას ვერ ანიჭებს?! – ერთგვაროვანი პასუხი ამ შეკითხვაზე არ არსებობს. ფსიქოლოგებისთვის დღემდე გამოცანად რჩება ისიც, თუ რატომ ეფერება და ელოლიავება ქალი მოძალადე ქმარს, რატომ ზრუნავს იმ ადამიანზე, რომელიც მას ამცირებს, აყენებს ტკივილს – როგორც მორალურს, ისე ფიზიკურს... ძალიან ბევრია ისეთი ქალიც, ვისთვისაც უსაქმურ ქმარზე ზრუნვა ცხოვრებაში უმთავრესია, ხოლო მისი კაპრიზების დაკმაყოფილება – პრიორიტეტული. როდემდე გრძელდება ქალური „ბრმა თავგანწირვა“, სიცოცხლის ბოლომდე?**

ლიზიკო *(37 წლის)*: პატარა გოგო არ ვარ და ჩემს ცხოვრებაში დიდი ხანია, დადგა პერიოდი, როცა უნდა დავფიქრდე და გადავწყვიტო: ღირს თუ არა, რაც ჩემს რეალობაში ხდება, იმ ფასად, რასაც ვიხდი. ანუ, ფასეულობების გადაფასების დრო მოვიდა. ვხვდები, რომ ასე აღარ უნდა გაგრძელდეს. სიყვარული სიყვარულია, მაგრამ გრძნობამ არ უნდა წაგშალოს და გაგანადგუროს. საკმაოდ მშვიდი, უკონფლიქტო ბუნება მაქვს. ადვილად ვეგუები ჩემ მიმართ ჩადენილ უსამართლობას. ამან კი იმ ადამიანის წისქვილზე დაასხა წყალი, რომელიც ჩემი ცხოვრების მთავარ პიროვნებად მიმაჩნდა. იცით, რამდენჯერ უთქვამთ ჩემთვის – დროა, გაშორდე და საკუთარ თავზეც იფიქრო. ვერ ხედავ, რა დღეში ჩაგაგდოო.

**– რას გულისხმობდნენ, კონკრეტულად?**

– იმას, რომ ქორწინებაში მონა ვიყავი და არა სრულფასოვანი პარტნიორი. „ვპახაობდი“ – ამ სიტყვის ყველაზე მძიმე მნიშვნელობით. არც მახსოვს, როდის და როგორ შევეჩვიე ყველას მაგივრად ყველაფრის კეთებას. მშურს იმ ქალების, რომლებისთვისაც გათხოვება ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებაა. არ მრცხვენია ამის თქმის, რადგან ძალიან დავიღალე.

**– გათხოვება სიყვარულის გავლენით არ უნდა იყოს „გამოწვეული“?**

– პრინციპში, იდეალურ სიტუაციაში ასეც უნდა იყოს. მაგრამ, სიყვარული მეტისმეტად ხანმოკლეა და პირობითი. დიდხანს ვერ „ქაჩავს“ და უამრავ მტერთან ბრძოლაში სასტიკად მარცხდება. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის დღეს ეს რეალობაა. სხვა, უბრალოდ, არ არსებობს. კიდევ რა აღმოვაჩინე, იცით? „სტერვები“ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან. მშვიდი, მოკრძალებული ქალი, რომელიც სხვებისთვის ცხოვრობს და არავის აწუხებს პრეტენზიებით, ძალიან დაჩაგრულია. ყველა ივიწყებს მას, როგორც პიროვნებას და ისე ექცევიან, როგორც მოეხასიათებათ. განსაკუთრებულ „აქტივობას“ მამაკაცები იჩენენ ამ საკითხში. სწორედ ის ქმრები, რომლებსაც ზედ ვყვებით და ველოლიავებით. გაუგებარია, რატომ დაიმსახურეს მათ ასეთი ფუფუნება? მხოლოდ იმიტომ, რომ შევიყვარეთ? ბოროტად რატომ სარგებლობენ ამ ჩვენი სიყვარულით? ერთი შეხედვით, მომხიბვლელი, სანდო, მზრუნველი და ყურადღებიანი მამაკაცი ურჩხულად რატომ გადაიქცევა?! საკუთარ თავს ვეკითხები, როგორ აღმოვჩნდი ამ ნებაყოფლობით მონობაში, გათხოვებით პრობლემები როგორ „გავიჩალიჩე“?!

**– გათხოვებას ნანობთ? დიდი ხანია, სინანული იგრძენით?**

– არც ისე დიდი ხანია, თუმცა, შინაგანად რაღაც მუდმივად მაწუხებდა. ვერ ვისვენებდი და სიმშვიდე არ მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც გითხარით, ბუნებით ძალიან მშვიდი ვარ. ჩემი ქმარიც სულ მეუბნებოდა, ოქროს ხასიათი გაქვსო. მე სულელს, თავიდან მიხაროდა. ვერ ვხვდებოდი, რომ ამ სიტყვებით მაბრუებდა. ზედმეტ პასუხისმგებლობას და საქმეს ისე „მატენიდა“, მადლობელიც კი ვრჩებოდი.

**– ანუ, კონფლიქტური და არაკეთილგანწყობილი უნდა იყო ქმრისა და ოჯახის წევრების მიმართ?**

– ყოველ შემთხვევაში, თავზე არავინ არ უნდა დაისვა. რატომღაც, მამაკაცების უმრავლესობას დაავიწყდა თავიანთი უპირველესი დანიშნულება – იზრუნონ ქალზე, ნაზ არსებაზე, რომელიც გვერდით ჰყავთ. მოიყვანენ ცოლს და მის არსებობას თითქმის ივიწყებენ. ან, თუ არ ივიწყებენ, ექსპლუატაციას უწევენ. რბილი ხასიათი ოჯახში უფრო ნაკლია, ვიდრე ღირსება.

**– რატომ? მამაკაცების უმრავლესობას სწორედ რბილი ხასიათის ქალები მოსწონს ცოლად.**

– რატომაც არა?! – რბილი ხასიათის ქალს უფრო ადვილად არ დაჩაგრავ?

**– ქმარი გჩაგრავთ?**

– პირდაპირი მნიშვნელობით, შეიძლება, არა, მაგრამ მე მაინც დაჩაგრულად ვგრძნობ თავს. აბსოლუტურად სხვანაირი იყო ჩემი ქმარი იმ პერიოდში, როცა მგზნებარე რომანი გვქონდა. სანიმუშო შეყვარებული მყავდა – პაემნები, ყვავილები... საჩუქრები და სიურპრიზები... სახლში რომ მაცილებდა, ვერ ვწყდებოდი და წასული არ იყო, რომ უკვე მენატრებოდა. გადაწყვეტილება დაუფიქრებლად მივიღე. სხვანაირად, ვერ წარმომედგინა. ისე მიყვარდა, რომ ლამის ტყავში ვძვრებოდი, ოღონდ კი, ქმარს შევექე. სულელი ვიყავი. ჩუმად ვნერვიულობდი მაშინ, როცა ის სხვა ქალებს მსუნაგი მზერით ათვალიერებდა. ერთხელაც არ მითქვამს მისთვის საყვედური. ნელ-ნელა ყველა საქმე მე დამაწვა კისერზე. დილიდან დაღამებამდე ნამდვილად „გადარბენა“ მქონდა. მადლობას კი არავინ მეუბნებოდა. კიდევ უარესი – საკმარისი იყო, რაღაც იდეალურად არ გამეკეთებინა, რომ საყვედურს საყვედურზე ვიღებდი... ვმუშაობ, კარიერაში წარმატებებიც მაქვს და კარგადაც მიხდიან. საკმარისი იყო, ჩემს ქმარს ეს დაენახა, რომ იმ გროშების მოცემაც შეწყვიტა, თავისი ხელფასიდან რომ მაძლევდა. არც ამაზე ამომიღია ხმა. ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც კაცი ზრუნავდა ქალზე. მამაჩემი ველაფერს აკეთებდა, დედაჩემს თავი ბედნიერად რომ ეგრძნო. კომფორტს უქმნიდა. ჩემთან კი ყველაფერი პირიქით მოხდა. როლები შეიცვალა და მე ეს დავუშვი. ჩემი ძვირფასი მეუღლე არაფერს იკლებდა – თავისი ჰობისა და სიამოვნებისთვის ფული ნამდვილად არ ენანებოდა.

**– საყვარელიც ხომ არ ჰყავდა?**

– არ ვიცი. შეიძლება, ჰყავდა კიდეც – ესეც რომ გავიგო, არ გამიკვირდება. არც რამე განსაკუთრებული რეაქცია მექნება. მხოლოდ გამეცინება. სასაცილოა ჩემი ქმრის მსგავსი კაცი – თავი ვაჟკაცად მოაქვს, მაგრამ...

**– თქვენ ისევ ქმართან ცხოვრობთ? არ გაშორებიხართ?**

– იცით, რაშია საქმე? ვფიქრობ, აზრი არა აქვს, ამ ნაბიჯს გადავდგამ თუ არა. გულწრფელად ვამბობ. სხვა კაცი მე არ მყავს და ისე მაქვს აცრუებული გული მამაკაცებზე, სავარაუდოდ, არც მეყოლება. ფინანსურად უკვე საკმაოდ მყარად დავდექი ფეხზე. ის აგარაკზეა ძირითადად და მე და

## ქმარი სიტყვებით მაბრუებდა და ზედმეტ პასუხისმგებლობას ისე „მატენიდა“, მადლობელიც კი ვრჩებოდი

ჩემი შვილი ჩვენს ბინაში ვცხოვრობთ. რომ გავშორდე, ბინა უნდა გავყიდოთ, გავყოთ... დიდი-დიდი ოთახნახევრიანი ან ოროთახიანი ბინა ვიყიდო... მერე იმას რემონტი უნდა... უზარმაზარი ბინა აქვს ჩემს შვილს, კომფორტით და ევრორემონტით... რატომ მივცე ჩემს ქმარს შანსი, კიდევ ერთხელ შექმნას ოჯახი და ჩემს შვილს ყველაფერი გაუყოს? თან, მამა-შვილს კარგი ურთიერთობა აქვს. მაინც მამაა და მაინც სრულფასოვანი ოჯახია ბავშვისთვის. პატარაა და ორივე ვჭირდებით – მამაც და დედაც. ის ხომ ვერ ხვდება იმას, რაც მე პრობლემებს მიქმნის. ამიტომაც, მირჩევნია, მოვითმინო. პრინციპში, მძიმე პერიოდი უკვე გადავიარე. ფული მაინც აკომპენსირებს ბევრ რამეს. მით უმეტეს, როცა შენი ფული გაქვს და იქით გეხვეწებიან, გაცილებით კარგად გრძნობ თავს.

**– ფიქრობთ, ქმრის გარეშე უკეთ იცხოვრებდით?**

# როგორ ეხმარებოდა აღმზრდელი დედა ნაშვილებ გოგონას ბიოლოგიურ მშობლებთან და და-ძმასთან კავშირის დამყარებაში

***41 წლის ნონა კ. (რესპონდენტის თხოვნით, მისი გვარი ინიციალით იბეჭდება) ეძებს 53 წლის ძმას (სახელი და გვარი უცნობია) და 41 წლის ტყუპისცალ დას, გვარად საფინას (სახელი უცნობია).***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ძმას და ტყუპისცალ დას. დავიბადე 1972 წლის 4 ივნისს, ქალაქ ოჩამჩირეში. ამჟამად ვცხოვრობ ქუთაისში. 2 კვირის რომ ვიყავით, ბიოლოგიურმა დედამ მე და ჩემი ტყუპისცალი და გაგვაშვილა. ძალიან კარგი აღმზრდელები შემხვდნენ და ბედს არ ვემდური, მაგრამ, გავიგე, რომ მყოლია ჩემზე 12 წლით უფროსი ძმა და 8 წლით უფროსი და. მინდა ჩემი ძმის მოძებნა, რადგან, მან ადრე თავად მომძებნა, მაგრამ, მე პრინციპის გამო უარი ვთქვი მასთან კავშირზე. ამჟამად ვნანობ ჩემს საქციელს და, გთხოვთ, დამეხმაროთ ძმის პოვნაში.

**– ნონა, გვიამბეთ თქვენი ისტორია, რა იცით თქვენი გაშვილების შესახებ.**

– მე და ჩემი ტყუპისცალი და დავიბადეთ 1972 წლის 4 ივნისს, ოჩამჩირეში. ორი კვირის რომ გავხდით, ბიოლოგიურმა დედამ ჩვენი გაშვილება გადაწყვიტა და ქუთაისის ბავშვთა სახლში ჩამოგვიყვანა, სადაც ხელწერილიც დატოვა, რომ, ბავშვების გაშვილების შემთხვევაში, მას პრეტენზია არ ექნებოდა მშვილებელ ოჯახთან. ეს საბუთი დღესაც მე მაქვს. ქუთაისის ბავშვთა სახლის დირექტორი იყო ჩემი გამზრდელი დედის მეგობარი. სწორედ მან დაურეკა ჩემს გამზრდელ დედას და უთხრა, რომ მის დაწესებულებაში მოიყვანეს ტყუპი გოგონები, რომელთა გაშვილებაც შეიძლება, თან, შეატყობინა, რომ ერთი ტყუპისცალი არის სუსტი და მის შვილად აყვანას არ ურჩევდა. როდესაც ჩემმა აღმზრდელმა გაიგო, რომ ტყუპები ვართ, გადაწყვიტა, ორივე ვეშვილეთ, რადგან, დების დაშორება არ უნდოდა. თუმცა, ბავშვთა სახლში მისულს მხოლოდ მე დავხვდი, ჩემი და კი უკვე გაშვილებული იყო. ასე მოვხვდი ულამაზეს და უკეთილშობილეს ოჯახში.

**– ბიოლოგიურ მშობლებზე რა იცით და ვისგან?**

– ჩემს გამზრდელ დედას გარდაცვალებამდე სულ ჰქონდა მიმოწერა ჩემს ბიოლოგიურ დედასთან. მისგან ვიცი, რომ ჩემს ბიოლოგიურ დედას ჩვენი (ჩემი და ჩემი ტყუპისცალის) გაშვილების მომენტში ჰყავდა ჩემზე 12 წლით უფროსი ვაჟი და 8 წლით უფროსი გოგონა.



როდესაც ჩემი ძმა გაიზარდა, მან ჩემი მოძებნა გადაწყვიტა და მომძებნა კიდეც. ამისთვის ის საცხოვრებლად ქუთაისშიც კი გადმოსულა. თავდაპირველად ჩემს აღმზრდელ დედას დაუახლოვდა. ჩემი აღმზრდელი სულ მეუბნებოდა, მიმეღო ძმა, მაგრამ, მაშინ ძმის მიღება ჩემი აღმზრდელების ღალატად მიმაჩნდა და ამის გამო უარი ვთქვი მასთან ურთიერთობაზე. უკვე ათი წელია, მის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნია. ახლა ვნანობ ძმა რომ არ მივიღე. რაც შეეხება ჩემს ბიოლოგიურ მშობლებს, მათ შესახებ ვიცი, რომ დედა ყოფილა ანა მიხეილის ასული ზახარჩუკი; რომ ჩემი მშობლები 1998 წლამდე ცხოვრობდნენ ოჩამჩირეში, მისამართზე: მახარაძის ქუჩა №43.

**– ტყუპისცალ დაზე რა იცით?**

– ტყუპისცალზე საკმაოდ ცოტა ინფორმაცია მაქვს. არ ვიცი, სინამდვილეში ასეა თუ არა, მაგრამ, გავიგე, თითქოს ის სამუშაოდ საბერძნეთში ყოფილა წასული. ტყუპისცალის პოვნაც ძალიან მინდა, მაგრამ, მეშინია, რომ ჩემი გამოჩენით მას ცხოვრებისეულ სიმყუდროვეს დავურღვევ. იქნებ მან არც იცის თავისი წარმომავლობა და არც ის, რომ გაშვილებულია. ამიტომ, მინდა, თქვენი დახმარებით ვიპოვოთ ერთმანეთი.

ჩემმა აღმზრდელმა ნამდვილად არ იცოდა, ვინ იშვილა ან სად იყო ჩემი ტყუპისცალი. მაგრამ ერთხელ, როდესაც ჩემი შვილი ინათლებოდა, აღმოჩნდა, რომ იმავე ეკლესიაში იყო ჩემი ტყუპისცალიც, რადგან, ჩემს აღმზრდელს ის მე ვეგონე (გაქრილი ვაშლივით გგავდაო). როდესაც გაიგო, რომ მე არ ვარ, მიმხვდარა, რაშიცაა საქმე და ჩუმად გაჰყოლია იმ ქალს უკან. ასე გაიგო, თუ სად ცხოვრობდა და მეც მითხრა, მაგრამ, მე გამბედაობა არ მეყო, რომ მივსულიყავი ჩემს დასთან. ამჟამად მე უკვე მყავს სამი შვილი და ერთი შვილიშვილი. ჩემმა შვილებმა იციან ჩემი ისტორია და ძალიან უნდათ, რომ ჩემი და-ძმა ვიპოვო. ჩემი მეუღლეც 23 წელია, მიჩიჩინებს, მოვძებნო ჩემი და-ძმა და მქონდეს მათთან ურთიერთობა. როგორც იქნა, ეს გადავწყვიტე და მოგმართეთ.

***თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

– მგონი, რომ კი... ჩემი ქმარი არ წარმოიდგენს რაიმე ღირებულებას. ადრე ვნება მაინც მქონდა მის მიმართ და საკმაოდ ძლიერი ლტოლვაც. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, გიყვარს ეს კაცი და იმიტომაც უძლებ ამდენს. თავს ვიტყუებდი. გრძნობას ვეძახდი ჩვეულებრივ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას.

**– ანუ, გრძნობა აღარ გაქვთ?**

– არა. აღარ მაქვს და ნელ-ნელა ლტოლვაც გამიქრა. სექსის გარეშეც შეიძლება, მიიღო სიამოვნება და იყო კარგად. ქმარი სხვა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ბოლოს

**ქალს, რომელიც სხვებისთვის ცხოვრობს და არავის აწუხებს პრეტენზიებით, ყველა ისე ექცევა, როგორც მოეხასიათება. განსაკუთრებით, მამაკაცები**

და ბოლო, ვიბრატორს იყიდი და ნერვებს მაინც არ მოგიშლის. ხასიათი ძალიან შემეცვალა. მოჩხუბარი და მოყაყანე ახლაც არ ვარ, მაგრამ გავმკაცრდი და გავკერპდი. არაფერს აღარ ვთმობ და იმას ვაკეთებ, რისი გაკეთებაც საჭიროდ მიმაჩნია. ვიზუალური და სიტყვიერი ეფექტები ჩემზე აღარ მოქმედებს. ვატყობ, ჩემს ქმარს გული უსკდება, ისე ეშინია, არ მივატოვო. ეჭვიანობს კიდეც. რამდენჯერმე მითხრა, გეტყობა, აღარ გაინტერესებ, ვიღაც გაიჩინე, ვინც იმას გაძლევს, რაც, წესით, ჩემგან უნდა გინდოდესო. ერთი სიტყვითაც არ მიპასუხია. რაც უნდა, ის იფიქროს. თავის კომპლექსებს, კაცობაში რომ აქვს, ამით ვერ დააკომპენსირებს. ახლა უკვე მეცოდება.

**– ფიქრობთ, რაღაც პერიოდის მერე მაინც გაშორდებით?**

– რა აზრი აქვს? ხომ გითხარით, კაცი საერთოდ არ მჭირდება. ბავშვს კი მამა ჰყავს.

**– იმის იმედი ხომ არ გაქვთ, რომ შეიცვლება, გამოსწორდება...**

– არა, არა, ასეთი გულუბრყვილო ნამდვილად არ ვარ. რა გამოასწორებს მაგას... ასეც რომ იყოს, მე უკვე აღარაფერში მჭირდება, იყოს თავისთვის...

**– ვინმე რომ გაიჩინოს? საყვარელს ვგულისხმობ.**

– მაშინ, ალბათ, გავშორდები. დარწმუნებული არ ვარ, ამასაც ვარაუდის დონეზე ვამბობ. მთავარია, თავისი არსებობით მე არ შემაწუხოს. საკმარისზე მეტი ავიტანე და მოვითმინე, მეყოფა.

**– ფულს ხომ თქვენ გთხოვთ?**

– მთხოვს, მაგრამ ვინ აძლევს?! როცა აგარაკზე ამყავს ბავშვი, მაშინ ამაქვს რაღაცეები (საკვებს, დელიკატესებს ვგულისხმობ). დანარჩენი, რაც სჭირდება, თვითონ იშოვოს ფული. ხომ ამტკიცებს, რომ კაცია და დარწმუნებულია ამაში! ჰოდა, იკაცოს. მე არ ვუშველი. ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რა მინდა ამ ცხოვრებისა და ადამიანებისგან.

**დალი მიქელაძე**

---

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**ერთი შეხედვით, ვითომ კარგი ქმარი მყავს, მაგრამ მე უკვე ძალიან დავიღალე მისგან. მუდმივად ცდილობს, დამცინოს და დამამციროს, თანაც, ხალხში აკეთებს ამას და ხუმრობას ეძახის. არადა, მარტონი რომ ვრჩებით, ყურადღებიანიც არის, მზრუნველიც... რა სჭირს, ვერ გამიგია. ყველაფერს მიკრიტიკებს – ჩაცმის სტილს, საუბრის მანერას, ვარცხნილობას... გავშორდე?**

გამოხმაურება: შესაძლოა, თქვენს ქმარს აქვს კომპლექსი, ხალხში გამოავლინოს თავისი გრძნობა. ხშირად ეს არასწორი აღზრდის შედეგია. ფიქრობს, დასცინებენ და სისუსტედ ჩაუთვლიან. ნელ-ნელა უნდა მიახვედროთ, რომ ასეთი საქციელით გულს გტკენთ და ურთიერთობას აფუჭებს. გააკეთეთ ეს თანმიმდევრულად, ჩხუბის გარეშე... თუ უყვარხართ და პატივს გცემთ, რის ნიშნებსაც ავლენს, როცა მარტონი ხართ, ძაფები თქვენ შორის არსებობს, ამიტომ პრობლემა მოგვარდება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**„მის საქართველო“ – თამთა შედანია ცოტა ხნის წინ კუნძულ ბალიზე იმყოფებოდა, სადაც ჩატარდა სილამაზის კონკურსი „მის მსოფლიო“. თამთა ამ კონკურსზე პირველად იმყოფებოდა და როგორც თავად აღნიშნა, ბევრმა რამემ ის შოკში ჩააგდო.**

# როგორ გადააწყვეტინა თამთა შედანიას ერეკლე მანგოშვილმა გათხოვება და რატომ იყო კონკურსანტებისთვის უსაფრთხოების ზომები გაძლიერებული

**თამთა შედანია**: „მის სამყაროს“ შემდეგ „მის მსოფლიო“ ჩემი მეორე კონკურსი იყო. ინდონეზიაში ძირითადად მუსლიმანები ცხოვრობენ და ჩვენი იქ ყოფნის დროს მათ გამართეს აქციები მოთხოვნით, რომ მათთვის მიუღებელი იყო ჯაკარტაში სილამაზის კონკურსის ჩატარება, და „მის მსოფლიო 2012-ის“ პლაკატებს წვავდნენ, დემონსტრაციებს აწყობდნენ. ამიტომაც აღარ ჩატარდა საფინალო შოუ ჯაკარტაში და ჩატარდა ბალიზე. ჩვენ იქ არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია, უბრალოდ, ვერ გადაგვიყანეს დედაქალაქში. წარმოიდგინე, მთელი წლის განმავლობაში გეგმავ, როგორი იქნება სცენა, ანუ, ყველაფრის ორგანიზება წინასწარ გაქვს გაკეთებული, დახაზული და ერთ კვირაში გიწევს შეცვლა. შოკში ვიყავი, ამ ერთ კვირაში ისე პროფესიონალურად შეცვალეს ყველაფერი, ისეთი კარგი სცენა გააკეთეს, ადგილობრივმა დიზაინერებმა ისე კარგად იმუშავეს – ფოლგისგანააწყვეს სცენა, რაც განსაკუთრებულად ლამაზი და მდიდრული ჩანდა ტელევიზორში. თან, როგორც ვთქვი, ეს ყველაფერი ერთ კვირაში მოახერხეს. საბოლოოდ, ყველაფერი ძალიან კარგად გამოვიდა, რადგან, ნამდვილი პროფესიონალები მუშაობდნენ. ჩვენზე, გოგონებზე ყველანაირად ზრუნავდნენ. სამ სხვადასხვა სასტუმროში ვცხოვრობდით გოგონები, სამივეში ძალიან კარგი მომსახურება იყო და, რაც მთავარია, ძალიან ლამაზი ხედები ჩანდა ფანჯრიდან. უბრალოდ, სანაპიროზე ვერ გავდიოდით, რაც ისევ და ისევ ჩვენი უსაფრთხოების გამო ხდებოდა. საბოლოო ჯამში, ძალიან კარგი იყო – კიდევ ერთი გამოცდილება მივიღე. სიმართლე რომ გითხრა, ამ კონკურსისგან ბევრს არაფერს ველოდი. „მის სამყაროზე“ მთელი ჩემი ძალები, ემოციები, შრომა ჩავდე, რომ შემდეგ საუკეთესო შედეგი მიმეღო, მაგრამ, ასე არ მოხდა და ძალიან დამწყდა გული. „მის მსოფლიოზეც“ ყველაფერს ვაკეთებდი, რაც მევალებოდა: სულ ფორმაში ვიყავი, ჩვენს ქვეყანას კარგად წარვადგენდი, უბრალოდ, ფსიქოლოგიურად სხვანაირად ვიყავი განწყობილი, რომ მერე ძალიან არ დამწყვეტოდა გული. „მის მსოფლიოზე“ დიდი როლს თამაშობს ერთი რამ – ხარ თუ არა დიდი ქვეყნიდან. კონკურსი რომ დამთავრდა, ბევრ გოგონას დასწყდა გული, ჩემი თავი გამახსენდა „მის სამყაროზე“. ყველაზე მეტად იმან ამიჩუყა გული და ცრემლი მომადგა თვალზე, როდესაც ყველა მონაწილესთან ერთად სცენაზე სათითაოდ გამოდიოდნენ პატარა ბავშვები. როგორც გაიხსნა სცენა, ეს ბავშვები გამოიქცნენ სცენაზე და თითოეულს იმ ქვეყნის დროშა ეჭირა, რომელ კონკურსანტთან ერთადაც გამოდიოდა სცენაზე. საქართველოს დროშა რომ დავინახე, ჟრუანტელმა დამიარა ტანში. ბევრმა არ იცოდა, სად იყო საქართველო, ბევრს ამერიკის შტატი ეგონა. ამიტომ, ამ კონკურსზე ჩემი მოვალეობა ისიც იყო, რომ მათთვის გამეგებინებინა, სად მდებარეობს ჩვენი ქვეყანა, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, კულტურა. ერთ დღეს კონკურსანტები წაგვიყვანეს პარკში, სადაც ჰყავთ ისეთი ცხოველები, რომლებიც გადაჯიშების პირას არიან. დღის ბოლოს თითოეულმა კონკურსატმა ჩავწერეთ ვიდეო იმის შესახებ, თუ როგორი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ამ პარკმა; ასევე, ყველას თითოეული ცხოველის ან ფრინველის შესახებ უნდა მოგვეყოლა. შემდეგ ამ ვიდეოს დაამონტაჟებენ და გარკვეული მოწოდების სახე ექნება: „სილამაზე – სიკეთისთვის“ და ამით მათ გადარჩენაში პატარა წვლილს შევიტანთ. გარდა ამისა, ძალიან ბევრ რესტორანში ვიყავით, სადაც ეგზოტიკური კერძები დავაგემოვნე. იცი, როგორი? რომ შეხედავ და ცოტათი გული რომ შეგიწუხდება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ძალიან გემრიელი იყო.



**გამარჯვებას არც ველოდი, მაგრამ, იმაზე დამწყდა გული, რომ, როდესაც ვინმე საქართველოს სახელით მიდის, იმის მაგივრად, რომ მხარში ამოუდგნენ, ქართველები, პირიქით, აკრიტიკებენ**

**– წელს „მის მსოფლიო“ ფილიპინელი გოგონა გახდა. ელოდით მის გამარჯვებას?**

– „მის ბულგარეთთან“ ერთად ვცხოვრობდი და გამიმართლა, რადგან, სხვა გოგონებს ძირითადად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ თავის „რუმეითებთან“, ჩხუბობდნენ კიდეც. რაც შეეხება გამარჯვებულს, როგორც კი დავინახე, ძალიან მომეწონა. ჩემს „რუმეითს“ ვუთხარი კიდეც, ეს გაიმარჯვებს-მეთქი. გარდა იმისა, რომ ძალიან ლამაზია, რომ უყურებ, თითქოს რაღაცას ასხივებს. ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ყველა კონკურსანტს ჰქონდა „ფეისბუქზე“ თავისი გვერდი, რომელსაც ერქვა Miss World Georgia და ასე შემდეგ. ყველა კონკურსანტს თავის გვერდზე უნდა დაედო კონკურსის განმავლობაში გადაღებული ფოტოები, ინფორმაცია, ვიდეოები. მეც, ცხადია, ვდებდი ყველაფერს. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს აქვს ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი აზრი და, პირადად მე, უფრო მეტად მიყვარს, როდესაც მაკრიტიკებენ, ვიდრე მაქებენ. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ქართველების მხრიდან ძალიან ცუდი კრიტიკა იყო – ცუდ კომენტარებს დებდნენ. საერთოდ, როდესაც ასეთი გვერდია, შენ, იმის ნაცვლად, რომ შენი ქვეყნის წარმომადგენელს დაუჭირო მხარი, პირიქით, აკრიტიკებ და ცუდ კომენტარებს წერ – ეს არასწორია. მე ამით არაფერი დამიშავდა, უბრალოდ, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს ძალიან ბევრი ფანი ჰყავდათ, მათ გვერდზე ბევრ კარგ კომენტარებს დებდნენ, გულშემატკივრობდნენ, აქტიურობდნენ პოზიტიური კომენტარებით და ესაა გვერდში დგომა, რადგან, როცა ასეთ კონკურსზე მიდიხარ, შენ გარდა არავინ იცის, იქ რამხელა პასუხისმგებლობა გაქვს და რისი გადატანა გიწევს. თვითონ ამ გვერდს აქვს მოწონების ფუნქცია და ვინც უფრო მეტ „ლაიქს“ მოაგროვებდა, ის ავტომატურად ხდებოდა ხალხის რჩეული და, შესაბამისად, გადადიოდა ტოპ-ექვსეულში. საქართველო არ არის იმხელა ქვეყანა, რომ ყველაზე ბევრი „ლაიქი“ მომეგროვებინა. თუმცა, ის გოგონა, რომელიც ხალხის რჩეული გახდა, „მის გიბრალტარია“. გიბრალტარი ძალიან პატარა ქვეყანაა, სადაც დაახლოებით 26 ათასი ადამიანი ცხოვრობს. მან ხმების უმრავლესობა სხვა ქვეყნებიდანაც მოაგროვა, რადგან, საკუთარი ქვეყნიდან დიდი მხარდაჭერა იყო და, როგორც თავად ამბობდა, დიდი ინვესტიცია იდება იმაში, რომ მე გავხდე „ლაიქებით“ გამარჯვებულიო. ამას არც ველოდი, მაგრამ, იმაზე დამწყდა გული, რომ როდესაც ვინმე საქართველოს სახელით მიდის, იმის ნაცვლად, რომ მხარში ამოუდგნენ, ქართველები, პირიქით, აკრიტიკებენ. იქნებ, მომავალში მაინც შეიცვალოს ქართველმა ხალხმა ხასიათი, რადგან, კარგია თუ ცუდია, მაინც შენია შენი ქვეყნის სახელი გააქვს სხვა ქვეყანაში და, მხარს თუ არ დაუჭერ, ნუ გალანძღავ მაინც.

**შოკში ვიყავი, ამ ერთ კვირაში ისე პროფესიონალურად შეცვალეს ყველაფერი, ისეთი კარგი სცენა გააკეთეს, ადგილობრივმა დიზაინერებმა ისე კარგად იმუშავეს... ფოლგისგან ააწყვეს სცენა**

**– ერეკლეს გარეშე მოგიწია ერთი თვის გატარება. „ფეისბუქიდანაც“ ჩანდა, რომ ერთმანეთი ძალიან გენატრებოდათ.**

– სხვებიც მენატრებოდნენ, მაგრამ, რაც ყველაზე მეტად მაკლდა და ტვინში მიტრიალებდა, ეს იყო ერეკლეს მონატრება. ერთი სული მქონდა, როდის ჩამოვიდოდი. მასაც ძალიან ვენატრებოდი. როცა ასეთ საპასუხისგებლო კონკურსზე ხარ, შენს იქ განცდილ ემოციებს ვერავის გაუმხელ, რადგან, ვერ გაგიგებენ. ამ შემთხვევაში, ერეკლე აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელიც რთულ წუთებში, დაღლილობისას, ჩემ გვერდით იდგა მორალურად; მისი ერთი სიტყვაც კი წამალივით იყო.

**– როდის აპირებთ დაქორწინებას?**

– 14 ოქტომბერს მამაჩემის გარდაცვალების წლისთავია და ამის მერე ვაპირებთ ჯვრისწერას. ჩვენთვის მთავარია, უფლის წინაშე ვიყოთ მართლები და ეს საოცარი მადლი მივიღოთ. ქორწილს არ გადავიხდი, რადგან, ზამთარში ქორწილები არ მიყვარს. უფრო სადად და ვიწრო წრეში გვექნება ჯვრისწერა. ძალიან გვინდა, შიო მღვიმის მონასტერში დავიწეროთ ჯვარი, რადგან, ძალიან მადლიანი, წმიდა ადგილია. 14 წლის ასაკში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მქონდა – გავცივდი და ცუდად ვიყავი. შიო მღვიმეში წამიყვანეს, წმიდა წყალი დამალევინეს, მამაომ ლოცვა წამიკითხა, ზეთი მცხო და სახლში დაბრუნებული გამოვკეთდი, გადავრჩი. ამიტომ, ეს ადგილი განსაკუთრებულად მიყვარს.

**– მოკლედ, ერეკლემ უკვე გადაგაწყვეტინა გათხოვება.**

– ერეკლემ რადიკალურად შეცვალა ჩემი ფიქრები, აზრები; უფრო სწორად, ცხოვრებას სხვა თვალით შევხედე. არაფერს მიკრძალავს, მაგრამ, ვიცი, რომ მის გამო რაღაცეებს დავთმობ. უფრო მეტად დავსერიოზულდი, აღარ მინდა სხვაგან წასვლა და უფრო ბედნიერად ვგრძნობ თავს, როდესაც საქართველოში ვარ. აქ სრული სიმშვიდე მაქვს, თან, ერეკლეც აქ არის. ბავშვობაში ვოცნებობდი სამ რამეზე: ვყოფილიყავი ჩემს არჩეულ სფეროში წარმატებული; ჩემი საყვარელი ადამიანები ჯანმრთელად ყოფილიყვნენ და მყოლოდა გვერდით ადამიანი, რომელიც საკუთარ თავზე მეტად მეყვარებოდა და მასაც ასე ვეყვარებოდი. სამივე ოცნება ამიხდა და ძალიან მიხარია. შეიძლება, რაღაცეები მაკლია, არ მაქვს, მაგრამ, მაინც ბედნიერი ვარ. იცი, ერეკლე როგორ არის ჩემთვის?! ვაშლს შუაზე რომ გაჭრი, მაგრამ, მაინც ერთი რომ არის. ძალიან ვგავართ ერთმანეთს, ურთიერთგაგება გვაქვს, პატივისცემა – ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია.

**ნათია უტიაშვილი**

# თბილისის რომელ უბანში იმართებოდა ყველაზე დიდი კრივი, ვინ იყვნენ ცნობილი თბილისელი მოკრივეები და რა წესები დაუწესა მოკრივეებს იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა

*„ყეენობასთან“ ერთად, თბილისელების საჯარო გასართობად კრივი ითვლებოდა. ყეენობა ისტორიის მოგონება უფრო იყო, ხოლო კრივი – ფიზიკური ვარჯიშობა და სანახაობა. თბილისის ძველ უბნებში სპეციალური ადგილები იყო გამოყოფილი კრივისთვის, სადაც ერთმანეთს ქალაქის საუკეთესო ფალავნები ეპაექრებოდნენ. ძველი თბილისის მეხოტბის, იოსებ გრიშაშვილის ჩანაწერებისა და ძველი ფოტოების დახმარებით, თბილისური მუშტი-კრივის ისტორიას გავაცოცხლებთ.*

## კრივი

ძველად, როდესაც ბაქოდან ნავთი აქლემებით მოჰქონდათ, თბილისის მეთავლეები მარ-



ყოჩების ჩხუბი (მხატვარი ნ. ნეგადაევი, მეცხრამეტე საუკუნე)

თავდნენ ნარ-აქლემთა ჭიდაობას – აქლემები ჭიდაობდნენ კისრებით. მაგრამ, ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ყოჩების ჭიდაობა. ჭიდაობის მოყვარულნი დაყოჩებულ ერკემალს სახლში ზრდიდნენ, განსაკუთრებული მზრუნველობით ექცეოდნენ, პურსედ ინახავდნენ და ჯაჭვითა ჰყავდათ დაბმული, რომ უბრალოდ არავის დასტაკებოდა. ყოჩაობის დროს კი ქერით ათრობდნენ, ყელზედ ფერადმძივებიან საყელოს უკეთებდნენ, ქოჩორს ენდროთი ულებავდნენ და უკან გადატანილ რქის წვერებს კოპწიად გადაუხერხავდნენ. მამლების ძიძგილაობა უფრო დუქნების წინ იმართებოდა, ყოჩების ჭიდაობა კი – გაშლილ ასპარეზზე. ჭიდაობას ხელმძღვანელობდნენ ყოჩების პატრონები. ხშირად ყოჩთა ჭიდაობა ძალიან მწვავდებოდა და უკა-



მეტეხის ციხე (1880-იანი წლები)

ნონობაც ხდებოდა. ამ ნიადაგზე ბებუთებიც დატრიალებულა, ბოლო კი მაინც ერთი იყო: ჭიდაობის დასრულების შემდეგ, ყველანი „ჩასხდებოდნენ” მტკვრის პირას, ჩარხებთან და იმართებოდა მეგობრული ქეიფი. მაგრამ უფრო გულისხმიერი და ეპოქალური ნამდვილი მუშტი-კრივი იყო.

ძველად სიონის ტაძარი ქალაქის ორი მოკრივე ნაწილის – ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრად ითვლებოდა. მოკრივეთა მიჯნას წარმოადგენდა, აგრეთვე, შუაბაზარი ქურქჩების სახელოსნოებამდე. იყო შემთხვევა, როცა მოკრივეთა „თაბუნს” მტკვარი ყოფდა. კრივი იმართებოდა სხვადასხვა ადგილას: ზარაფხანის ახლოს, სადაც ბაყალხანა იყო (მეტეხის ციხის ქვემო ნაწილი); არსენალზე, ეგრეთ წოდებულ „ჭირიანთ ხევში”; ავლაბრის იქით, სადაც ადრე ყაზარმები იყო; უფრო ხშირად კი სიონის ქუჩაზე, აბას-აბადისა და კოლორთალის მოედნებზე; აგრეთვე, მოღნინის ეკლესიის მახლობელ ქუჩაზე, ბოტანიკური ბაღის ზემოთ, ჩანჩქერის თავზე და მამადავითზე. კრივი იმართებოდა კვირაობით, ყველიერის ბოლო დღეებში, აგრეთვე, ნათლისღების მეორე დღეს, რადგან, მიცვალებულთა სულის მოხსენიების გამო, ამ დროს ყველა დუქანი დაკეტილი იყო. ყველაზე დიდი კრივი, ეგრეთ წოდებული „ავლაბრის კრივი,” იმართებოდა კვირაცხოვლობა დღეს, ამავე სახელწოდების ეკლესიის მახლობლად. ძველ წყაროებში 1851 წლის 4 თებერვლის კრივის დეტალებია ნახსენები; ტფილისში ხმა დაირხა, რომ ამ კრივში 300 კაცი დაიჭრა და ხუთი მოკვდა, ამის გამო მთელი ოფიციალური მიწერ-მოწერაც კი გაიმართა და ამიერკავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ცენტრალური ხელისუფლებისათვის ახსნა-განმარტება წარედგინა. მეფისნაცვალ ვორონცოვის განმარტების შემდეგ, ნიკოლოზ პირველმა ასეთი ბრძანება გამოსცა: „კრივის ნება მიეცით ქალაგარეთ, მაგრამ, ისე კი, რომ მუშტების გარდა სხვა რამ იარაღი არავინ იხმაროს. კრივს თვალყური უნდა ადევნოს პოლიციამ, რომელსაც ნება ეძლევა, შეაჩეროს კრივი იმ დროს, როდესაც მოპირდაპირენი გახურდებიან”.



სიონი მეცხრამეტე საუკუნეში

არსებობს ვერსია, რომ კრივს მეფე ერეკლეც ესწრებოდა. რუსეთის მმართველობის დამყარების პირველი დღიდანვე, სხვა ადათთა შორის, კრივიც ყოფილა აკრძალული როგორც „საშიში თამაში”, მაგრამ, მთავარმართებელი ციციანოვის დროს, ხალხის თხოვნით, კრივი კვლავ განახლებულა. იმ დროს ზოგიერთი მოკრივე ხალხის მიერ დარქმეულ ზედმეტ სახელს ატარებდა, მაგალითად, „ქარაფქანდოლა” – კლდის დამქცევი; ამბობენ, ამ მოკრივეს კლდისთვის რომ მუშტი შემოერტყა, ბელტს ჩამოაგდებინებდაო; მეორე მოკრივე – დნგრ სოლომონა (სოლომონაშვილი) ისეთი ყოჩაღი ყოფილა, რომ, როგორც ამბობენ, ცხენის ნალს ხელით გადაღუნავდა და დაჩოქილი კრივობდა; ხოლო, მესამე მოკრივეზე – ქაჩალ სტეფანეზე, ასეთი ლეგენდაა: ერთხელ სიონის ქუჩაზე კრივის დროს ბანიდან ჩამოვარდნილი აგური დაეცა თავზე. აგური ოთხად გადატყდა, სტეფანემ კი სათვალავშიაც არ ჩააგდო, მაღლა აიხედა და ხუმრობით წარმოთქვა: ვინ ოხერია, რომ მეკენჭავებაო.

კრივი ბევრნაირი იყო: მუშტის კრივი, ხრიდოლი (კრივი ცალი ხელით), სალდასტი (ქვის კრივი). ყველაზე გავრცელებული იყო მუშტის კრივი და სალდასტის კრივი. მუშტის კრივი იმართებოდა ზაფხულში, ხოლო სალდასტის კრივი – ზამთარში. კრივს ჰქონდა თავისი წესები, ხალხის ჩვეულებაზე დამყარებული. კრივში წართმეული იარაღი,



აქლემების ქარავანი თბილისში (მეცხრამეტე საუკუნე)

სარტყელი, ქუდი თუ ნაბადი ითვლებოდა კანონიერ ნადავლად ანუ ალაფად. როცა ქალაქში კრივი გაიმართებოდა, მაყურებლები სახლის სახურავებზე ადიოდნენ, ავსებდნენ ბანებს, იქიდან შესცქეროდნენ ომს და ამხნევებდნენ გამბედავ მებრძოლთ თანაგრძნობის აღმოჩენით. კრივს განსაკუთრებით ახალგაზრდობა მისდევდა. ქართველ ქალს ერთიათად უფრო ტურფად ეჩვენებოდა ის ვაჟი, რომელიც კრივში გაიმარჯვებდა და სახელს გაითქვამდა. კრივში მონაწილეობდნენ უმთავრესად ხელოსანთა წრიდან გამოსული ფალავნები, ზოგჯერ კი მათ ვაჭრებიც უერთდებოდნენ. მოკრივენი უქუდოდ, მკერდგაღეღილნი, ჩოხის კალთებაკეცილნი და ხშირად ფეხშიშველნიც იბრძოდნენ. მოკრივეთა რიცხვი განსაზღვრული არ იყო. კრივს, ჩვეულებრივ, ეგრეთ წოდებული წარჩინებული პირები მფარველობდნენ. ქომაგები ცხენებზე ისხდნენ, ერთმანეთს ეკამათებოდნენ თავიანთი რაზმის ფალავნებს აქეზებდნენ, ზოგჯერ კი „კარგად დამრტყმელ” მოკრივეებს ფულითაც ასაჩუქრებდნენ.



მეფისნაცვალი ალექსანდრე ბარიატინსკი

სალდასტის კრივი მთავარმართებელ ალექსანდრე ბარიატინსკის დროს სამუდამოდ

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

**მაკარი მეგვიპტელი ამბობს: ლოცვა მომდინარეობს სიყვარულისგან, სიყვარული – სიხარულისგან, სიხარული – სიმშვიდისგან, სიმშვიდე – სიმდაბლისგან, სიმდაბლე – მსახურებისგან, მსახურება – სასოებისგან, სასოება – რწმენისგან, რწმენა – მორჩილებისგან, ხოლო მორჩილება – უბრალოებისგან. ამ საკითხის და, ასევე, ეკლესიაში მოქცევის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რომელია ორი აღმატებული ვნება და რატომ იღებენ ადამიანები მათგან ყველაზე დიდ სიამოვნებას



**ლოცვა მომდინარეობს სიყვარულისგან, სიყვარული – სიხარულისგან, სიხარული – სიმშვიდისგან, სიმშვიდე – სიმდაბლისგან, სიმდაბლე – მსახურებისგან, მსახურება – სასოებისგან, სასოება – რწმენისგან, რწმენა – მორჩილებისგან, ხოლო მორჩილება – უბრალოებისგან**

– სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ დაგვირგვინდა კაცთა ცხონება, ანუ, დაარსდა ეკლესია, გადმოვიდა სულიწმიდა და ადამიანს სრული უფლება აქვს, განკაცებული ღმერთის დახმარებით, ეკლესიური ცხოვრებიდან გამომდინარე, დაიმკვიდროს ცხონება. ადამიანები წლების განმავლობაში თითქმის ყველა წირვა-ლოცვაზე დადიან, მაგრამ, არ ამბობენ აღსარებას, არ ეზიარებიან. ამიტომაც, ასეთების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ტყუილად ნუ კარგავენ დროს, რადგან, როდესაც ესწრებიან წირვა-ლოცვას, უნდა მოუსმინონ ქადაგებას, შეასრულონ მოძღვრის დარიგებები, უნდა თქვან აღსარება, ეზიარონ, რადგან, სიკვდილი არავის ინდობს – არც ახალგაზრდას და არაც ასაკოვანს. ბევრი კი მხოლოდ მარხვის განმავლობაში დადის ეკლესიაში, მათთვის იესო ქრისტე და ცხონება მხოლოდ მარხვის დღეებშია. ეს გარკვეული ნაკლოვანებაა, სექტური წარმოდგენა მართლმადიდებლობაზე. თუ არ უნდა ადამიანს ეკლესიაში სიარული, ნუ ივლის, არავინ აძალებს – ღმერთი არავის ეხვეწება ეკლესიაში სიარულს. მან ყველაფერი აღასრულა იმისთვის, რომ ადამიანები ცხონდნენ, მაგრამ, თუ ვიღაცას არ უნდა ცხონება, ღმერთი მძლავრებითად არავის აცხონებს. თუ აღმსარებლობა, მართლმადიდებლობა არ მოგიწოდებს სინანულისკენ, შენ არ ხარ მორწმუნე და, ესე იგი, შენი სარწმუნოება საერთოდ არ არის შენი მაცხონებელი, პირიქით, ხიბლში ხარ და, ამიტომაც, შენი სარწმუნოება ამ მიდგომით ვერასდროს მიგიყვანს ცხონებამდე. ამიტომ, როდესაც ეკლესიაში მიდიხართ, თქვით აღსარება და მიიღეთ ზიარება, რადგან, მომავალ კვირას რა იქნება, არავინ იცის. ბევრი სისტემატურად დადის ეკლესიაში, ამბობს აღსარებას, ეზიარება, მაგრამ, ერთი რამ მუდმივად ავიწყდებათ – არ შეიძლება ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე დაგვიანება. ასეთებს მოძღვარი ხშირად არ აზიარებს, მათ აღსარებას აღარ იბარებენ, რაც ასეც უნდა იყოს. ადამიანი ყველაფერს აკეთებს სამსახურში, სახლში, მეგობრებთან, შემდეგ უცებ რაღაც მცირე დროს გამონახავს და მიდის შუა წირვაზე, ეზიარება, იცხებს ზეთს და ისევ გარბის. ასეთი ქმედება არასწორია და ამის შესახებ სასულიერო პირმა აუცილებლად უნდა ამოიღოს ხმა, უნდა ასწავლოს მრევლს, რა არის სწორი და რა – არასწორი. ბევრი კი პირიქით იქცევა: თავის დროზე მოდის ეკლესიაში, ესწრება ქადაგებას, მაგრამ, არც აღსარებას ამბობს, არც ეზიარება და ხშირად საერთოდ არ იცნობს გვერდით მდგომ მრევლსა და იმ ტაძარში მოღვაწე სასულიერო პირებს. თუ გინდა, რომ ეკლესიაში ღმერთი შეიცნო, სიყვარული უნდა გაგაჩნდეს, თავმდაბლობა, უბრალოება. მოძღვარს თუ არ ესალმები, კურთხევას არ იღებ, მრევლს თუ არ იცნობ, მის მიმართ თუ არ გაგაჩნია სიყვარული, თუ არ ამბობ აღსარებას, არ ეზიარები, მაშინ, რისთვის დადიხარ ეკლესიაში?! ნეტარ ავგუსტინეს დავესესხები ძალიან მნიშვნელოვან სიტყვებს: ადამიანში წარმმართველი, მამოძრავებელი არის ორი დიდი ვნება. ესენია: სიხარბე და ძალაუფლებისმოყვარეობა.

**– რატომ არის ყოველთვის, ყველა საუკუნეში, ეს ორი ვნება ყველაზე აღმატებული?**

– ყველაზე დიდ სიამოვნებას ადამიანი, თურმე, მაშინ იღებს, როდესაც მას ძალაუფლება გააჩნია – ეს ეკლესიაშიც არის, ერშიც და თავად მათხოვრებშიც კი, რომლებიც ხშირად ერთმანეთზე ცდილობენ ძალაუფლების მოპოვებას. ნეტარი ავგუსტინე გარკვეულ სწავლებებს იღებს ელინური, ბერძნული სწავლებებიდან, რომელიც ადამიანის შესახებ ბევრ კარგ რამეს ქადაგებს. ეს არ არის მართლმადიდებლური სწავლება, მაგრამ, ახლოს დგას მასთან. ელინურ-ბერძნული კულტურა ადამიანში გამყოფს რამდენიმე ძირითად მიდრეკილებას: 1. აპეტიტი, ანუ, გემოვნება, მისწრაფება, რადგან, ადამიანი ის არის, ისეთია, რისკენაც ის მიისწრაფის, რასაც ის ჭამს. ამიტომაც, ხშირად ადამიანები გემოთმოყვარეობაში ვარდებიან და მარხვის შენახვაც უჭირთ. თუ ინახავენ, იმაზე ფიქრობენ, რა მიირთვან გემრიელად. ანუ, აპეტიტი სიხარბეში გამომჟღავნდება – ეს ეხება საერო და სასულიერო პირებსაც. 2. ტემპერამენტი – ქართველები ტემპერამენტიანი ხალხი ვართ და ეს ტემპერამენტი გამოიხატება მთავრობისმოყვარეობაში, ხელისუფლებისმოყვარეობაში, ვნებებისკენ მიდრეკილებაში. თუ თქვენ გგონიათ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანები ხართ, მაშინ, თქვენი აპეტიტი, ტემპერამენტი დაიოკეთ, ლაგამი ამოსდეთ. აი, რას ამბობენ წმიდა მამები: რა არის უაღვირო ცხენი, დაუტვირთავი გემი, მიტოვებული ადამი და დაუმარხავი ადამიანი? წარმოიდგინეთ ცხენი, რომელიც თავის ჭკუაზე დარბის; დაუტვირთავი გემი, რომელიც ტალღებზე აქეთ-იქით მიეხეთქება, მიტოვებული და დაუმარხავი ადამიანი... ვერავინ დაიკავებს ადგილს მარჯვენით, რომელიც არ მარხულობს, არ დადის ეკლესიაში, არ ამბობს აღსარებას, არ ეზიარება. „მათ შეიცნეს ღმერთი, მაგრამ, არ ადიდეს ისე, როგორც უნდა ედიდებინათ".

**– სახარებაშიც წერია და ბევრი წმიდა მამის სწავლებაში, რომ ბოლო ჟამს ძალიან ბევრი ცრუ სწავლებაც, ცრუ ქრისტე გაჩნდება, რომლებიც ცრუ სწავლებებს იქადაგებენ. რატომ უშვებს ამას ღმერთი?**

– თქვენ რა გგონიათ, როდესაც რუსეთში რევოლუცია მოხდა, მაშინ არ იყვნენ მორწმუნე ადამიანები? რა თქმა უნდა, იყვნენ და ამას მოწმობს მოოქრული გუმბათები. ძალიან ბევრი კარგი სასულიერო პირი მოღვაწეობდა იმ დროს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი გაუბრალოებული და ფარისევლური იყო, ისევე, როგორც პირველ საუკუნეში, ძველი აღთქმისეულ სამყაროში, ამიტომაც დაუშვა ღმერთმა ადამიანებზე რევოლუცია, განწმინდა რუსეთის ეკლესია და რუსი ხალხი. თუმცა, ახლა აღარ დაანგრევენ ეკლესიებს, სამაგიეროდ, იქადაგება ცრუ სახარება, ცრუ მოძღვრები გაჩნდებიან; მომრავლდებიან მოძღვრები, რომლებიც მრევლს არ მისცემენ შენიშვნას იმის გამო, რომ ისინი ღვთის მცნებებს არღვევენ. სამწუხაროდ, დღეს ბევრნი არიან ისეთი მოძღვრები, რესტორანში რომ ქეიფობენ, მღერიან. ხალხი მათ აქეთ ეუბნება: ნუ განიმოსებით, მამაო, ნუ სვამთ, ნუ ხმაურობთო, მაგრამ, ისინი ისევ ისე განაგრძობენ ღრეობას. დღეს ჩვენი ქვეყანა რომ ასეთ მდგომარეობაშია, ეს ჩვენი ბრალია: მათი, ვისაც მოგვეცა ცოდვების არმიტევებისა და მიტევების უფლება და მათი, ვისაც ზიარების უფლება მიეცა, რადგან, არ ვიქცევით კარგად. ამიტომ, როდესაც ღმერთი მოვა, ის ჩვენ მოგვკითხავს პასუხს და არა რომელიმე პარტიის ლიდერს, წარმართებს ან რომელიმე ორგანიზაციას; მთავარი პასუხი მოგვეთხოვება მათ, ვისაც „მართლები", ანუ, მართლმადიდებლები, გვეწოდება. სამწუხაროდ, ხალხი, როგორც კი გათბება, დაპურდება, ჩაიცვამს, მაშინვე მიატოვებს ხოლმე ეკლესიას. იტყვიან: მე იმიტომ დავდიოდი ეკლესიაში, რომ სხვებიც დადიოდნენ, მიჭირდა და ახლა რატომ უნდა ვიაროო. ყველა განსაცდელი იმიტომ ხდება, განსაკუთრებით კი ბოლო დროს, რომ ჩვენ, ადამიანები, გავძლიერდეთ და ისე შევხვდეთ განსაცდელს, არ მივატოვოთ ეკლესია. სანამ ჭეშმარიტების ხმა აქა-იქ კიდევ ისმის, ჯობია, მოვისმინოთ, რადგან, დადგება დრო, როდესაც ამას ვერსად მოვისმენთ და მოგვენატრება. ძალიან ბევრი მღვდელი თუ ეპისკოპოსი ისეთ რამეს გიქადაგებთ, ვერც კი მიხვდებით და გეგონებათ, რომ ეს ადამიანი სიმართლეს გეუბნებათ. არადა, ის პირდაპირ გეტყვით: მიდით, თაყვანი ეცით ანტიქრისტეს. ის ლოჯებიანი და რქებიანი ცხოველი კი არ იქნება, არამედ, სიმპათიური, განათლებული ადამიანი, რომელიც მოგეფერებათ, პურს დაგირიგებთ. მაგრამ, შენ რომ იტყვი, ეს ცუდიაო, იტყვიან, რომ ჩამორჩენილი ხარ და არაფერი იცი, მაგრამ, სამაგიეროდ, შეძლებ საკუთარი და სხვისი სულის გადარჩენას. სანამ მშვიდობიანი პერიოდია ქვეყანაში და სანამ ეკლესიაში ისმის ჭეშმარიტება ისე, როგორც უნდა ისმოდეს, უნდა ისმინო, ისწავლო ის, რასაც გვასწავლიდნენ იოანე ოქროპირი, პავლე მოციქული და სხვა დიდი მამები, და არა ის, რასაც სასულიერო პირები საკუთარი მოსაზრებიდან გამომდინარე გვასწავლიან. ბოროტებას ფიზიკურად ვერ შევაჩერებთ წიგნების დაწვით, მიტინგების მოწყობით, სამაგიეროდ, ბოროტებას შევაჩერებთ საკუთარ თავში, ოჯახებში, მეგობრებში, შემდეგ კი ეს მასა, რომელიც ჭეშმარიტი ქრისტიანებისგან იქნება დაკომპლექტებული, მოიცავს საზოგადოებას და, ის ნათელი, რომელიც მოგვეცა ქრისტესგან, იმდენად დიდი იქნება, რომ სხვებიც დაინახავენ და ადიდებენ ქრისტეს, რომელიც ყოველივეს გამსჭვალავს.

**ნათია უტიაშვილი**

### ამპარტავნების ცოდვა ანადგურებს ადამიანს

ღირსი მაკარი დიდი თავის წიგნში „სწავლანი" გვიამბობს, რა საშინელი სულიერი კატასტროფა მოჰყვებოდა ამპარტავნებას – ის დიდ მოღვაწეებსაც კი დასცემდა ხოლმე. წმიდანი აგვიწერს ერთ შემთხვევას: ქრისტესთვის მოწამე ვინმე საშინელი წამების შემდეგ ცოცხალ-მკვდარი ჩააგდეს დილეგში; ის მოინახულა ერთმა ქალმა, რომელიც გარკვეულ თანხას უხდიდა გუშაგებს და ტყვეებთან შედიოდა. ქალს საჭმელი მიჰქონდა ნაწამები პატიმრებისთვის; ის მათ ჰბანდა, წყლულებს უხვევდა და წმიდა წიგნებს უტოვებდა. და აი, ეს ქალი მოწამესთან მივიდა. მოწამემ უამბო მას, რა საშინელი წამება დაითმინა, სხვებმა კი ვერ გაუძლეს ტანჯვას და ქრისტეს განუდგნენ. ის შეურაცხმყოფლად მოიხსენიებდა მათ, ვინც სისუსტე და სულმდაბლობა გამოიჩინა. ამასობაში სულიწმიდა განეშორა მასაც და ქალსაც, რომელიც მას უსმენდა და მოხდა საშინელება: ისინი დაეცნენ ამ საზარელ დილეგში – ხორციელ ცოდვაში ჩავარდნენ მაშინ, როცა მოწამის სხეული უკვე ქრისტესთვის დაღვრილი სისხლით იყო შეღებილი. აი, ასეთი საშინელი რამ არის ამპარტავნების ცოდვა.

### ცოდვების კრიალოსანი

პატერიკი გვიამბობს, რომ ერთ ადამიანს დემონმა უთხრა: დაგეხსნები, თავს დაგანებებ, აღარასოდეს გაწამებ, ოღონდ, შენი ნებით აირჩიე და აღასრულე ერთ-ერთი ცოდვა ამ სამიდან: ან მოკალი, ან სიძვა ჩაიდინე, ან დათვერი. ადამიანმა გაიფიქრა: მგონი, არცთუ დიდი ცოდვაა ღვინით დათრობა – და დემონს ამ ცოდვის ჩადენაზე დათანხმდა. იგი დათვრა და მთვრალმა სიძვა (უცოლო კაცის ან გაუთხოვარი ქალის მიერ ჩადენილი სქესობრივი აქტი) ჩაიდინა, თუმცა, მანამდე უბიწოებას იმარხავდა. მოღვაწეს შეეშინდა, რომ მისი დანაშაულის შესახებ სხვები შეიტყობდნენ; ამიტომ, მან სიძვის უბედური მსხვერპლი მოკლა და საიდუმლოდ დაასაფლავა ისე, რომ ქრისტიანული წესით დაკრძალვაც არ აღირსა.

### ათონის მთის სასწაულები

მოსაგრეები – ათონის მთის მოღვაწენი – წმიდა მთას დღემდე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეორე და უმთავრეს წილხვედრს უწოდებენ. უკვე მრავალი საუკუნეა, ამ მთაზე ქალის ასვლა აკრძალულია. გადმოცემით, რომის იმპერატორ კონსტანტინე პლაკიდას ცოლმა ათონზე ასვლა გადაწყვიტა. მეუღლის თანხმობის მიღების შემდგომ, პლაკიდია ათონზე ვათოპედის მონასტერში მივიდა, მაგრამ, ზემოდან მრისხანე ხმა მოისმა, რომელიც მას უბრძანებდა, სასწრაფოდ დაეტოვებინა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სავანე...

ათონის მახლობელი პატარა ქალაქის, ურანოპოლისის მკვიდრნი დღესაც ყვებიან იმის შესახებ, როგორ უქრის გზას უხილავი ძალა ათონის მთისკენ მიმავალ ქალებს. მაგალითად, მიცურავს მეთევზეთა ნავი, რომელზეც რამდენიმე მეთევზეა – ძმები თავიანთ დასთან ერთად, რომელიც დასახმარებლად წამოიყვანეს. ქალიშვილმა რაღაც მიზეზით ათონის მთასთან მისვლა ითხოვა, მაგრამ, როგორც კი ნავიდან გადმოვიდა, ფერდობიდან ქვებმა დაიწყო ცვენა. მიწისძვრით შეშინებულმა მენავეებმა სწრაფად გაცურეს ზღვაში. არც მუმლის ან კოღოების გუნდის მოულოდნელი თავდასხმაა გამორიცხული და ამის მხილველი არც ერთი ქალი თვითონაც აღარ მოისურვებს, რომ ფეხი დადგას წმიდა მთაზე, სადაც ათასი წლის განმავლობაში ქალთაგან მხოლოდ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მეფობდა.

# პატერიკები

### „მე ვარ მსახური მამისა და ძისა და წმიდისა სულისა"

კონსტანტინოპოლში ვინმე ჯადოქარი ცხოვრობდა, რომელსაც ერთ-ერთი ქრისტიანი ყმაწვილის ხელში ჩაგდება განეზრახა, რათა უმანკო არსება ეშმაკთა სამსახურში ჩაეყენებინა. ეშმაკთა მთავრის ძალი და დიდება ახალგაზრდა კაცისთვის რომ ეჩვენებინა, გრძნეულმა ის ქალაქგარეთ, დაუსახლებელ ადგილას გაიყვანა. იქ კი მოხიბლულ ყმაწვილს თვალწინ რკინის კარიბჭიანი დიდი ქალაქი მოეჩვენა. ჯადოქარი ახალგაზრდასთან ერთად „ვითომ" ქალაქში შევიდა და ტაძართან მიიყვანა. ტაძარში შესვლისას ყმაწვილმა უამრავი ანთებული სანათური დაინახა, ამაღლებულ ადგილზე კი მეფის მსგავსი არსება იჯდა, რომლის გარშემო მსახურები ფაციფუცობდნენ. ეს ეშმაკთა მთავარი იყო. იგი ჯადოქარს სიხარულით შეხვდა, გვერდით მოისვა და ჰკითხა, თუ რატომ მოუყვანა ყმაწვილი. გრძნეულმა უპასუხა: „ჩვენ შენი მსახურები ვართ და მასაც შენს მორჩილებაში ყოფნა განუზრახავს". სატანამ ახალგაზრდა კაცს ჰკითხა: „ჩემს მსახურებაში ყოფნა გინდა?" ყმაწვილმა კი წამოიძახა: „მე ვარ მსახური მამისა და ძისა და წმიდისა სულისა". შეძახილისთანავე, სატანა ტახტიდან ჩამოვარდა, მის გარშემო ყველაფერი დაემხო და ჯადოქარიც და ქალაქი-მოჩვენებაც ტაძართან ერთად სადღაც გაქრა. ყმაწვილი შუა მინდორში მარტო აღმოჩნდა. მოულოდნელად იქვე ცხენი დაინახა... საჩქაროდ ქალაქში დაბრუნდა და ყველას უყვებოდა, რაც თავს გადახდა.

### კაცთმოთნეს (მაამებელს) ღმერთი არ შეეწევა

ერთი ოჯახი, რომელმაც ოპტის უდაბნოსთვის მოწყალება გაიღო, ერთხელ სავანეს ესტუმრა და მონასტრის სასტუმროში დასახლდა. გავიდა ხანი და არქიმანდრიტს შესჩივლეს: „მამაო, თქვენს ხალხს (ჩვენ) გულისხმიერებით ვამშვიდებთ, სავანის საკეთილდღეოდ ფულსა და სიყვარულს არ ვიშურებთ; თქვენმა ერთ-ერთმა მსახურმა კი გაგვანაწყენა, რაღაც ვთხოვეთ და უარით გამოგვისტუმრა". „ჩვენ გვეგონა, – მიუგო ღვთივგანბრძნობილმა ბერმა, – მოწყალებას ღვთის გულისათვის გაიღებდით და სიკეთის გამო ჯილდოს უფლისაგან ელოდით. ხოლო, თუ საზღაურს ჩვენგან ელით, უმჯობესია, ქველმოქმედება შეწყვიტოთ, რადგან, ლატაკი და გამოუსწორებელი ბერები ვართ და ჯეროვნად ვერ გიზღავთ." სტუმრები ბერის გულახდილი საუბრით დაკმაყოფილდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე სიამოვნებით და მადლიერების გრძნობით იხსენებდნენ, რომ, მოწიწებისა და თავმოყვარეობის დაკმაყოფილების სანაცვლოდ, ბერისგან მათი სულების გადასარჩენად მაღალსულიერი დარიგება მიიღეს. ამ შემთხვევაში სავანის წინამძღვარმა იცოდა, საქმე ვისთანაც ჰქონდა, ხოლო, ის ძმა კი, რომელმაც სტუმრები გაანაწყენა, თავისთან იხმო და რჩევა მისცა.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც გზაზე უცნობი მღვდელმსახური გვხვდება?**

**პასუხი**: როდესაც ჩვენ მართლმადიდებელ მღვდელმსახურს ვხვდებით, უნდა მივეახლოთ მას და დალოცვა ან კურთხევა ვთხოვოთ.

**კითხვა: რომელი წმიდანის მიმართ ვილოცოთ განსაკუთრებულად, რომ ჩვენს სულებში სიმშვიდემ დაისადგუროს და ჩვენს ოჯახშიც ბედნიერება სუფევდეს?**

**პასუხი**: როდესაც გვსურს, შეეწეობა მივიღოთ უფლისგან და წმიდანებისგან, არა მარტო უნდა ვილოცოთ, არამედ, მთელი ცხოვრება უნდა ავაგოთ უფლის მცნებათა მიხედვით. უფალი მოგვიწოდებს, ვიყოთ კეთილნი, მოყვარულნი, თავმდაბალნი, თუმცა ჩვენ ხშირად ყურად არ ვიღებთ ამ თხოვნას, თავად კი მოვითხოვთ დახმარებას. ისეც ხშირად ხდება, რომ უფალი და წმიდანები მხოლოდ განსაცდელის ჟამს გვახსენდება. რაც შეეხება ჩვენს სურვილებს, მათ აღსასრულებლად შეგვიძლია მივმართოთ უფალს, ღვთისმშობელს, სხვადასხვა წმიდანს, მანამდე კი, სასურველია, ვიცნობდეთ სახარებას და წმიდანთა ცხოვრებას, რათა ისინი უფრო ახლობელნი გახდნენ ჩვენთვის.



**კითხვა: რა მანძილით უნდა იყოს დაშორებული სასაფლაო დასახლებული ადგილებიდან?**

**პასუხი**: ქრისტიანული ტრადიციით, სოფელს ან რომელიმე დასახლებულ ადგილს საერთო სასაფლაო ჰქონდა, სასაფლაოზე კი ეკლესია იდგა. რაც შეეხება მანძილს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორ იქნება დაშორებული სასაფლაო საცხოვრებლიდან. სიკვდილ-სიცოცხლე ხომ მუდამ ერთმანეთის გვერდით დგანან.

**კითხვა: ცოდვად ითვლება თუ არა პატარა ტყუილების თქმა, რომელიც არავის ავნებს?**

**პასუხი**: პატარა სიცრუეს დიდ სიცრუესთან მივყავართ; ყველაფერი – კარგიც და ცუდიც – მცირედიდან იწყება. თუ უფალს გულით ვთხოვთ, გამოსავალს ტყუილის თქმის გარეშეც ვიპოვით. წმიდა მამები გვირჩევენ: როდესაც არ შეგვიძლია სიმართლის თქმა, ვთქვათ – „არ ვიცი" ან დავდუმდეთ. ასეთ დროს ცოდვაში არ ჩავიგდებთ თავს.

# 2013 წლის ყველაზე სწრაფი ფეხბურთელების ტოპ-ათეული

***მრავალწლიანი გამოცდილება, სისწრაფე და ელვისებური რეაქცია – ასეთ თვისებებს ფლობენ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელები. სისწრაფეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ფეხბურთში და ბრიტანულმა „დეილი მეილმა" შეადგინა 2013 წლის მსოფლიოს ყველაზე სწრაფი ფეხბურთელების რეიტინგი.***

## №10 – უეინ რუნი

მეათე პოზიცია „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ლიდერმა უეინ რუნმა დაიკავა, რომელიც საფეხბურთო მოედანზე



35 კილომეტრ-საათი სიჩქარით დარბის. რუნი მეოთხეა „მანჩესტერის" ისტორიაში ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელების სიაში. მას 400-ზე მეტი მატჩი აქვს მორგებული „წითელი ეშმაკების" მაისურით და, ყველაფერთან ერთად, იგი კლუბის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ფეხბურთელია, რაც, მისი გაბარიტებიდან გამომდინარე, გაკვირვებას იწვევს.

## №9 – ფრანკ რიბერი

მიუნჰენის „ბაიერნისა" და საფრანგეთის ნაკრების შეტევების ორგანიზატორი, ფრანკ რიბერი ასევე პლანეტის ერთ-ერთი უსწრაფესი ფეხბურთელია. რუნის მსგავსად, რიბერი საათში 35 კილომეტრი სიჩქარით



დარბის. რიბერი გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა ევროპაში და 2013 წლის №1 ფეხბურთელის ტიტულის ერთ-ერთი ფავორიტია.

## №8 – აარონ ლენონი



ათეულის მერვე პოზიციაზეა აარონ ლენონი, ლონდონის „ტოტენჰემის" შემტევი ნახევარმცველი, რომელიც მოედანზე საათში 35,7 კილომეტრი სიჩქარით გადაადგილდება. ლენონის სიმაღლე 165 სანტიმეტრია – ის პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ფეხბურთელია, თუმცა, ეს არ უშლის მას ხელს, იყოს სწრაფი ფეხბურთელი.

## №7 – ლიონელ მესი

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული არგენტინელი ლიონელ მესი მოედანზე 36 კილომეტრ-საათი სიჩქარით დაქრის და აფრთხობს მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს. არგენტინის ნაკრების კაპიტანი და კატალონიური „ბარსელონის" ნომერ პირველი ვარსკვლავი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც „ოქროს ბურთის" ოთხგზის ლაურეატობა მოიპოვა. მესი



ჯერ მხოლოდ 26 წლისაა და, სავარაუდოდ, კიდევ არაერთხელ გახდება ამ პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი, რაც მის ვარსკვლავურ სტატუსს კიდევ უფრო განამტკიცებს.

## №6 – ედენ აზარი

ბელგიის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" ახალგაზრდა ნახევარმცველი ედენ აზარი საათში 36,4 კილომეტრ სიჩქარით დარბის და ის პრემიერლიგის ერთ-ერთი უსწრაფესი ფეხბურთელია. აზარი ბელგიური ფეხბურთის ახალი თაობის წარმომადგენელია, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებენ სამშობლოში. აზარის დახმარებით, პირველად 2002 წლის შემდეგ, ბელგიამ მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა და ფეხბურთის ქომაგები მოუთმენლად ელიან აზარის ვარსკვლავის გაბრწყინებას ბრაზილიის სტადიონებზე.



## №5 – გაბრიელ აგბონლაჰორი

ყველაზე სწრაფი ფეხბურთელების „დეილი მეილის" ხუთეულს ბირმინჰემის „ასტონ ვილას" შემტევი გაბრიელ აგბონლაჰორი ხსნის, რომელიც მოედანზე საათში 36,8 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს. აგბონლაჰორი, ინგლისის პრემიერლიგის დონეზე, საშუალო კლუბის ლიდერია და არაერთი სეზონია, რაც მიდის საუბარი მის გადასვლაზე გაცილებით დიდი ამბიციების მქონე კლუბებში, თუმცა, საქმე ჯერ არ დაძრულა, არადა, აგბონლაჰორის სისწრაფე და შედეგიანობა არაერთ სახელოვან კლუბს გამოადგებოდა.

## №4 – რამირესი

ბრაზილიელი რამირესი 37,5 კილომეტრ-საათი სიჩქარით დარბის და ლონდონის „ჩელსისთვის" ის, პრაქტიკულად, შეუცვლელი ფეხბურთელია. ლონდონურ კლუბში რამირესი 2010 წლიდან ასპარეზობს და მისი ტრანსფერი რომან აბრამოვიჩს 22 მილიონი ევრო დაუჯდა. 2014 წლის ბოლოს რამირესის კონტრაქტი იწურება, თუმცა, ბრაზილიის ნაკრების წევრს, სავარაუდოდ, ლონდონიდან არ გაუშვებენ და ახალ, გაუმჯობესებულ კონტრაქტს შესთავაზებენ.

## №3 თეო უოლკოტი

მესამე ადგილისა და, შესაბამისად, ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ლონდონის „არსენალის" გარემარბი თეო უოლკოტია, რომელიც მოედანზე საათში 37,5 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს. 2012 წელს თეო უოლკოტი პლანეტის ყველაზე სწრაფ ფეხბურთელად იყო დასახელებული. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ის „არსენალის" ლიდერად ითვლება და ინგლისის ნაკრებშიც წარმატებული თამაშით ახარებს ფეხბურთის ქომაგებს.

## №2 – გარეთ ბეილი

ამ მომენტისთვის მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი უელსელი გარეთ ბეილი მოედანზე 38 კილომეტრ-საათი სიჩქარით დარბის და პლანეტის ერთ-ერთ უსწრაფეს ფეხბურთელად ითვლება. მადრიდის „რეალის" ახალწვეული ჯერჯერობით აკლიმატიზაციის პერიოდს გადის და შორს არის იმ გარეთ



ბეილისგან, რომელიც გასულ სეზონებში შიშის ზარს სცემდა ინგლისის პრემიერლიგის კლუბებს.

## №1 – კრიშტიანუ რონალდუ

„დეილი მეილის" ჟურნალისტების ვერსიით, პლანეტის უსწრაფესი ფეხბურთელია პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ, რომელსაც მატჩის დროს შეუძლია, 39,2 კილომეტრ-საათი სიჩქარე განავითაროს. რონალდუს სიჩქარე მიახლოებულია იამაიკელი სპრინტერის, პლანეტის უსწრაფესი ადამიანის, უსაინ ბოლტის სიჩქარესთან – ბოლტის სიჩქარე 100 მეტრზე 37,5 კილომეტრ საათს შეადგენს, ხოლო საუკეთესო 20 მეტრზე იგი საათში 44,71 კილომეტრს ავითარებს. რონალდუ სამართლიანად ითვლება თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო და, ასევე, ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ ფეხბურთელად.

***P.S. „დეილი მეილის" პარალელურად, მსოფლიოს ყველაზე სწრაფი ფეხბურთელების რეიტინგი „ფიფამაც" გამოაქვეყნა, მაგრამ, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს რეიტინგი რადიკალურად განსხვავდება ბრიტანელი ჟურნალისტების ვერსიისგან:***

***№1 თეო უოლკოტი – 35,7 კილომეტრ-საათი; №2 ანტონიო ვალენსია – 35,2 კილომეტრ-საათი; №3 გარეთ ბეილი – 34,7 კილომეტრ-საათი; №4 აარონ ლენონი – 33,8 კილომეტრ-საათი; №5 კრიშტიანუ რონალდუ – 33,6 კილომეტრ-საათი; №6 ლიონელ მესი – 32,5 კილომეტრ-საათი; №7 უეინ რუნი – 32,1 კილომეტრ-საათი; №8 ფრანკ რიბერი – 30,7 კილომეტრ-საათი; №9 არიენ რობენი – 30,7 კილომეტრ-საათი; №10 ალექსის სანჩესი – 30,1 კილომეტრ-საათი.***

## მესი და ბოლტი ერთ რეკლამაში

„ბარსელონის" არგენტინელი ვარსკვლავი ლიონელ მესი, „იუვენტუსის" ჩილელი ნახევარმცველი არტურო ვიდალი, იამაიკელი სპრინტერი-რეკორდსმენი უსაინ ბოლტი და კიდევ რამდენიმე სპორტსმენი, მათ შორის მოცურავეები და ძიუდოისტები, ახალი სარეკლამო რგოლის გმირები გახდნენ. სპორსტმენები სპორტული სასმლის – „გატორადის" სარეკლამო სახეები გახდნენ. „გატორადის" მთავარი ფუნქციაა შეჯიბრების ან ვარჯიშის შემდეგ ორგანიზმში დაკარგული სითხისა და გლუკოზის აღდგენა. სასმელი მსოფლიო სადოპინგო კომიტეტის მიერ სპორტსმენებისთვის აუცილებელ პრეპარატად არის აღიარებული.




## „ბარსელონის" სექსუალური ქომაგი

ესპანურ „ბარსელონას" მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჰყავს თაყვანისმცემლები, რაც სულაც არ გახლავთ გასაკვირი, რადგან, ამ გუნდის ღირსებას პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელები იცავენ. ერთ-ერთი ასეთი ქომაგია პერუელი 23 წლის მოდელი ვიჩვიან ფლორესი, რომელმაც ეროტიკული ფოტოსესია მიუძღვნა საყვარელ გუნდს, რომელიც ფოტოსესიის დროს საკლუბო ფერებში იყო გამოწყობილი. ვიჩვიან ფლორესი არგენტინული „ბოკა ხუნიორსის" ვარსკვლავის, ხუან-რომან რიკელმეს თაყვანისმცემელიც გახლავთ. ცნობისთვის, რიკელმე 2000-იან წლებში „ბარსელონის" ღირსებას იცავდა.

## ვან პერსი ჰოლანდიის რეკორდსმენია

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა, რობინ ვან პერსიმ, უნგრეთის ნაკრებთან მატჩში ჰეთტრიკი გაიფორმა და ჰოლანდიის ნაკრების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა. მანამდე საუკეთესო ბომბარდირის სტატუსს ლეგენდარული პატრიკ კლუივერტი ფლობდა, რომლის ანგარიშზეც 40 გოლი იყო, ხოლო ამ მომენტისთვის ვან პერსის ანგარიშზე 41 გოლია და, იმის გათვალისწინებით, რომ ვან პერსი ჯერჯერობით კვლავ განაგრძობს საერთაშორისო კარიერას, მისი გატანილი გოლების რაოდენობა, სავარაუდოდ, კიდევ გაიზრდება.

## სექსუალური საფეხბურთო ჟურნალისტი

ტელეჟურნალისტ მონიკა აპორას ბრაზილიურ ტელევიზიაში მიჰყავს სპორტული გადაცემა, რომელიც ფეხბურთს ეძღვნება. მონიკა ბრაზილიური ტელევიზიის ვარსკვლავია და მომავალ წელს კარნავალისთვის ემზადება – იგი ცნობილი ბრაზილიური სამბას სკოლის – „სამეფო დრაკონების" წარმომადგენელი იქნება კარნავალზე. ამასთან ერთად, მონიკა არც გულახდილ ფოტოსესიებს ერიდება და ხშირად ახდენს თავისი სექსუალური სხეულის დემონსტრირებას. ბრაზილიაში მონიკას ყველაზე სექსუალურ საფეხბურთო ჟურნალისტს უწოდებენ.



## გუარდიოლა და „ბაიერნი" – „ოქტობერფესტზე"

ბავარიაში ოქტომბერში მიმდინარე ტრადიციულ „ოქტობერფესტს" მიუნჰენის „ბაიერნის" ფეხბურთელები და მწვრთნელები ოჯახებთან ერთად დაესწრნენ. საიუბილეო, რიგით 180-ე „ოქტობერფესტის" სტუმართა რაოდენობა წელს სარეკორდო იყო – 6,4 მილიონი ადამიანი და, საერთო ჯამში, ლუდის ფესტივალზე 6,7 მილიონი ლიტრი ლუდი დაილია. „ბაიერნის" ფეხბურთელებიდან ლუდის მოყვარულები აღმოჩნდნენ ტომას მიულერი, ბასტიან შვაინშტაიგერი, ფრანკ რიბერი, კლუბის უფროსი კარლ-ჰაიც რუმენიგე და მთავარი მწვრთნელი – ხოსეპ გუარდიოლა.

## რუსული „საფულეების ბრძოლა"

ლონდონის პრესტიჟულ რაიონში, მეიფაიაში (MayFair), ახალგახსნილ ღამის კლუბ Kitsch-ში შედგა ეგრეთ წოდებული „საფულეების ბრძოლა". თავდაპირველად ორმა სქელჯიბიანმა რუსმა ბიზნესმენმა 84 ბოთლი ელიტური შამპანური Dom Perignon შეუკვეთა – სულ 27 200 ფუნტი სტერლინგი ღირებულების, შემდეგ კი 30 ბოთლი Cristal – 41 400 ფუნტის.



ღამის 2 საათსა და 40 წუთზე, როდესაც „ათვისებული" სასმლის ღირებულება იანგარიშეს, აღმოჩნდა, რომ ერთს 66 ათას 778 ფუნტის დაელია, ხოლო მეორეს – 64 ათას 279 ფუნტი სტერლინგის ალკოჰოლი შეუსვამს. მომსახურების პროცენტმა კი თითოეულისთვის 8 ათასი ფუნტი შეადგინა. მათ, ასევე, „გაუსინჯავთ" 1998 წლის შამპანური Grug, ვისკი Chivas Regal, Espresso Martini და არაყი Belvedere. თვითმხილველები აღნიშნავენ, რომ ის მილიონერი, რომელმაც მეტი ფული დახარჯა, საკმაოდ ემოციურად გამოხატავდა გამარჯვების სიხარულს. მათი ვინაობა არ სახელდება, თუმცა, აღნიშნავენ, რომ ორივე მილიონერი ოცდაათ წლამდე თუ იქნებოდა. „კონკურსანტებს" თვალყურს ადევნებდა და მხარს უჭერდა გოგონების გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ შეკვეთილი სასმლის ათვისებაში მეტოქეებს თანმხლები პირებიც ეხმარებოდნენ, კლუბის დაკეტვისას, მაგიდებზე ბევრი გაუხსნელი და ნახევრად დალეული ბოთლი დარჩა.

კლუბი Kitsch ოთხშაბათს გახსნეს მარკ ფულერმა და სერჟ ივომ, რომლებსაც მიჰყავთ რეალითი შოუ Fox – „გაიცანით რუსები". შოუ მაყურებელს ლონდონში მცხოვრებ რუსებზე მოუთხრობს.

## არ მოეფეროთ კატებს!

აღმოჩნდა, რომ კატებს სულაც არ უყვართ, როდესაც მათ მოფერებით ზურგზე ხელს უსვამენ... თანაც, არა მხოლოდ არ უყვართ, არამედ, ამით სტრესს იღებენ, – ასეთი მოულოდნელი დასკვნა გამოიტანეს მკვლევრებმა და გამოაქვეყნეს კიდეც ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალში „ფიზიოლოგია და ქცევა".



როგორც ბრაზილიელმა, ავსტრიელმა და დიდი ბრიტანეთის მეცნიერებმა გამოიკვლიეს, როდესაც ფისოებს მოსაფერებლად ხელს ვუსვამთ, მათ ორგანიზმში გამომუშავდება „სტრესის ჰორმონი" – კორტიზოლი.

„განსაკუთრებით დიდ სტრესს ის კატები განიცდიან, რომლებსაც არ სიამოვნებთ, მაგრამ, პატრონებს მაინც აძლევენ საშუალებას, მოეფერონ მათ", – აღნიშნავს კვლევის ერთ-ერთი ავტორი, დენიელ მილსი.

მეცნიერებმა, ასევე, დაადგინეს, რომ ეს ფაფუკი ცხოველები, მიუხედავად გავრცელებული აზრისა, არ არიან წინააღმდეგნი, რომ ბინაში მათ გარდა, სხვა კატებიც იყვნენ – ამით ისინი ზედმეტ და მათთვის არასასურველ ყურადღებას – პატრონის მოფერებას აცილებენ თავიდან.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



### რა სიმპტომები ახასიათებს ინფარქტისა და ინსულტის განვითარებას

გულის უპირველესი მტერი ათეროსკლეროზია. მის განვითარებას ხელს უწყობს ცხიმიანი საკვები – ის არის სისხლძარღვების კედლებზე ქოლესტერინის ბალთების წარმოქმნის მიზეზი, რომელიც აზიანებს შიდა ფენას. დაზიანებულ ადგილას გროვდება სისხლის სხეულაკები, რომლებიც დროთა განმავლობაში გარდაიქმნება თრომბად და ნელ-ნელა ეცობა ვენებს, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს ხუთვას, გულში სიმძიმის შეგრძნებას, ეს კი, შესაძლოა, ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდეს. შეტევა იწყება ჭამის ან ნერვიულობის დროს. მისი სიმპტომებია გაძნელებული სუნთქვა, ხუთვა და წვა ბეჭის არეში.

პროფილაქტიკისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კვების რაციონს, კვების რეჟიმს, ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას, სისხლში ქოლესტერინის შემცველობის დონეს, დიაბეტის პროფილაქტიკას და ასე შემდეგ. გულის საშიში მტერია, აგრეთვე, ინსულტი, რომლის მთავარი მიზეზია ტვინში სისხლის მიმოქცევისა და მიწოდების მკვეთრი შემცირება. სისხლჩაქცევა ხდება ტვინისთვის სისხლის მიმწოდებელი ერთ-ერთი ძარღვის შევიწროების გამო. ინსულტის უძლიერესი შემთხვევა ტვინში სისხლის ჩაქცევის მიზეზით ხდება. დარტყმის დროს ტვინის უჯრედები იღებს ნაკლებ ჟანგბადს, საკვებ ნივთიერებას და იღუპება. ინსულტის სიმპტომებია: სხეულის ერთი მხარის დაბუჟება, გონების დაბინდვა, გაძნელებული მეტყველება და აღქმა, მხედველობის დაქვეითება, კოორდინაციის დარღვევა და ძლიერი თავის ტკივილი. ხშირად, ინსულტს წინ უძღვის მინიინსულტი, რომელიც რამდენიმე წუთს გრძელდება. პროფილაქტიკის მიზნით, აუცილებელია დასვენება, ჯანსაღი კვება, ნორმალური ფსიქოლოგიური გარემო, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობა.

ასევე, გულის საშიში მტერია მიოკარდის ინფარქტი. ის იწვევს წვრილი არტერიული ძარღვების დახშობას. შეტევის დროს ერთ-ერთი არტერია, რომელიც გულს კვებავს, წყვეტს საჭირო რაოდენობის სისხლის მიწოდებას გულის კუნთებისთვის, შედეგად კი ზიანდება გულის კუნთების ქსოვილის ნაწილი. მიოკარდის ინფარქტის სიმპტომებია: გულში აუტანელი ტკივილი, რომელიც ბეჭის არესაც გადაეცემა; ამ დროს სუნთქვა გაძნელებულია, სახის კანი – მკრთალი შეფერილობის. ზოგჯერ ინფარქტი უსიმპტომოდაც მიმდინარეობს. პროფილაქტიკის მიზნით, დროულად ჩაიტარეთ გულ-სისხლძარღვთა დაავადების მკურნალობა, აკონტროლეთ ემოციები, უარი თქვით მავნე ჩვევებზე, არეგულირეთ სისხლში ქოლესტერინის შემცველობის დონე და დაიცავით დიეტა.

### რა იწვევს ეგზემის განვითარებას და რატომ უნდა ჭამოთ ამ დაავადების დროს ჭარხალი

ეგზემას ახასიათებს კანზე სხვადასხვაგვარი ზომის წითელი ლაქების გაჩენა. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ნერვული, ენდოკრინული, იმუნური სისტემების მოშლა, ნივთიერებათა ცვლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის დარღვევა, დისბაქტერიოზი და ალერგია; ნერვული სტრესები, უარყოფითი ემოციები, ფიზიკური და გონებრივი დაძაბვა, არასწორი კვება.

ეგზემის დროს კარგია მცენარეული ნაყენი, რომელიც მზადდება კატაბალახას ძირებისგან, ორკბილასგან, გვირილის ყვავილებისგან: კალენდულას, ძირტკბილას, უკვდავასა და ფარსმანდუკისგან. ყველა ჩამოთვლილი მცენარე თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს. ნარევის 1 სადილის კოვზს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დაახურეთ თავზე და დადგით ნახევარი საათით. ნაყენი მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა, დღეში ორჯერ, ჭამის შემდეგ. აბაზანის მისაღებად, შეგიძლიათ, გამოიყენოთ. სალბის, ორკბილას, კრაზანას, გვირილის, პიტნისა და მრავალძარღვას ნარევისგან დამზადებული ნაყენი; ასევე, კარგია სახამებელიანი და მუხის ქერქის აბაზანები.

ეგზემის გამწვავების პროფილაქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტის დაცვას. ავადმყოფის საკვები უნდა იყოს სრულფასოვანი და საკმაო რაოდენობით შეიცავდეს ვიტამინებსა და მიკროელემენტებს. რაციონიდან გამორიცხეთ ციტრუსი, მარწყვი, ჟოლო, ნესვი, ანანასი, კაკაო, ყავა, შოკოლადი, რძე, შებოლილი პროდუქტები, მწარე და ცხარე საკვები, ალკოჰოლი. მენიუში ჩართეთ ვეგეტარიანული პროდუქტები, ასევე, საქონლის ხორცი, რძემჟავა პროდუქტები, მაგალითად: მაწონი და ხაჭო, მზესუმზირის ზეთი, ვაშლი, ქლიავი, ალუბალი. ყოველდღიურად ჭამეთ ბოსტნეულის სალათები. მკურნალობის მნიშვნელოვანი ნაწილია ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისა და წიდებისგან, ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ კუჭ-ნაწლავის მუშაობას. ამისთვის კარგი საშუალებაა რძემჟავა პროდუქტები, ჭარხალი და ნიახური. ჭარხალი მოხარშეთ და დილა-საღამოს მიირთვით, კერძებში კი გამოიყენეთ ნიახური. შეგიძლიათ, სვათ ნიახურის წვენიც – 1 ჩაის კოვზი, დღეში სამჯერ.

### ადამიანის ორგანიზმისთვის თხილისა და ნიგვზის მიღება აუცილებელია

თხილი მდიდარია სხვადასხვა სასარგებლო ნივთიერებით, კერძოდ, ცილებით, ნახშირწყლებით, შაქრით, სახამებლით, $B_1$ და C ვიტამინებით, კაროტინით, მინერალური ნივთიერებებით, ცხიმებით, რაც, გარკვეული თანაფარდობის გამო, განსაკუთრებით სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისთვის. თხილში გაცილებით მეტი რკინაა, ვიდრე ხილში, ბოსტნეულში, ხორცსა და მარცვლეულში.

ნიგოზი შეიცავს დაახლოებით 60-65 პროცენტ ცხიმს. ის, ასევე, ამცირებს ცხიმების შემცველობას სისხლში. ამის მიზეზია მასში უჯერი ცხიმმჟავების დიდი შემცველობა. მათი სასურველი თანაფარდობა მინერალურ ნივთიერებებთან, კერძოდ, ფოსფორთან, მარგანეცთან და იოდთან, საშუალებას იძლევა, ნიგოზი შეიტანონ ათეროსკლეროზითა და ჰიპერტონიით დაავადებულთა რაციონში. ნიგოზი შეიცავს 16 პროცენტამდე ცილებს, ანუ, იმდენივეს, რამდენსაც ხაჭო. კალიუმისა და მაგნიუმის შემცველობის გამო, ნიგოზს სისხლნაკლებობის დროს, ძალების აღსადგენად და დაღლილობის მოსახსნელად იყენებენ.

კედრის წიწიბოში ბევრია ზეთი, ასევე, უჯერი ცხიმმჟავები, ამიტომ, მისი ჭამა კარგია ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადების, ჰიპერტონიის პროფილაქტიკისთვის. ის, ასევე, ამაღლებს შრომისუნარიანობას. მასში ბევრი უჯრედისია, არ აღიზიანებს კუჭს და ამიტომ სასარგებლოა მათთვის, ვისაც გასტრიტი აწუხებს.

ადამიანის ორგანიზმის შემადგენელ უჯრედებს დაზიანებისგან იცავს და დაავადებებთან ბრძოლაში ეხმარება ბუნებრივი ქიმიური ნივთიერებები – ანტიოქსიდანტები. მიწის თხილი შეიცავს ანტიოქსიდანტების დიდ რაოდენობას. მასში გაცილებით მეტი ანტიოქსიდანტია, ვიდრე ვაშლსა და სტაფილოში. ამიტომ, მიწის თხილის ხშირად ჭამა, უბრალოდ, აუცილებელია.

### ანემიის თავიდან ასაცილებლად ხშირად მიირთვით საქონლის ღვიძლი

რკინის დეფიციტის დროს ძლიერდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან ტყვიის შეწოვა. ეს საკმაოდ ტოქსიკური ელემენტია. რკინადეფიციტური ანემიის გამოსავლენად საკმარისია სისხლის ანალიზი, რომელიც ჰემოგლობინის დაქვეითებას და ზოგიერთი სხვა მაჩვენებლის ცვლილებას გამოავლენს. ანალიზი აჩვენებს მორფოლოგიურ ცვლილებებს ერითროციტებში, ფერადობის მაჩვენებელს, ერითროციტების საშუალო დიამეტრს და ასე შემდეგ. ჰემოგლობინი რთული ცილოვან-პიგმენტური კომპლექსია, რომელიც შეიცავს რკინას და ჟანგბადი ფილტვებიდან ქსოვილებში, ნახშირორჟანგი კი ქსოვილებიდან ფილტვებში გადააქვს.

ცხოველური პროდუქტებიდან, მაგალითად, როგორიცაა ხორცი, თევზი და ღვიძლი, რკინა გაცილებით ინტენსიურად შეიწოვება, ვიდრე მცენარეულიდან, ამიტომ, ანემიის დროს ვაშლით, სტაფილოთი და ბროწეულით კვების ტრადიცია მეცნიერულად მაინცდამაინც არ არის გამართლებული. ამ პროდუქტების პარალელურად, აუცილებლად უნდა მიირთვათ მოხარშული კარტოფილი, პომიდორი, წიწიბურა, ჭარხალი, სტაფილო, თხილი, შვრია. ადამიანის ორგანიზმში რკინის დეფიციტს კარგად ავსებს საქონლის ღვიძლი, განსაკუთრებით – C ვიტამინის შემცველ საკვებთან ერთად. C ვიტამინი ასტიმულირებს რკინის შეწოვას. ამ

მიზნით კარგია ასკილი, ციტრუსი, ბულგარული წიწაკა.

ანემიის პრობლემას მხოლოდ დღის რეჟიმისა და კვების გაუმჯობესებით ვერ მოაგვარებთ, აუცილებელია სპეციალური სამკურნალო საშუალებები. ისინი სწორად უნდა შეარჩიოთ, რადგან, შეიძლება, რკინა შინაგან ორგანოებში ჩალაგდეს და ღვიძლის, თირკმელებისა და ფილტვების მძიმე პათოლოგიური ცვლილებები გამოიწვიოს. რკინის შემცველი პრეპარატების მიღება უნდა მოხდეს ჭამამდე ერთი საათით ადრე. სასურველია, მას ციტრუსის წვენიც დააყოლოთ. ანემიის დროს გარკვეული დოზით რეკომენდებულია B ჯგუფის ვიტამინებისა და ასკორბინის მჟავის მიღება.

### შაკიკის მთავარი გამომწვევი ნერვული დაძაბულობა და უძილობაა

შაკიკი, იგივე ანგიოდისტონია, მეტად გავრცელებული დაავადებაა. გამომწვევ მიზეზებს შორის ერთ-ერთი მთავარია ნერვული დაძაბულობა. შაკიკს გენეტიკური ხასიათი აქვს. მისი შეტევა ადამიანს თრგუნავს, ეწყება თავის ტკივილი, გულისრევის შეგრძნება, სისუსტე.

კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ადამიანები, რომლებიც შეტევის მომენტში იძულებულები ხდებოდნენ რთული ამოცანები გადაეჭრათ ან ძლიერ ემოციურ დატვირთვასთან დაკავშირებულ სიტუაციათა გადალახვაზე ეფიქრათ, ხელოვნურად აძლევდნენ ბიძგს ორგანიზმს დაცვითი რეაქციების გასააქტიურებლად და ტკივილიც ადვილად ქრებოდა.

შაკიკით დაავადებულთა უმრავლესობას სისხლში დაქვეითებული აქვს ეგრეთ წოდებული ძილის ჰორმონის – მელატონინის კონცენტრაცია. ძილთან შაკიკს მართლაც რთული ურთიერთობა აქვს. საკმარისია, ავადმყოფმა შეტევისას ოდნავ ჩათვლიმოს, რომ აშკარა შვებას იგრძნობს.

შაკიკი ციკლურად მიმდინარე დაავადებაა, რომლის ბიოქიმიურ ცვლილებათა პა-



თოლოგიური ჯაჭვის საბოლოო რგოლი შეტევითი ტკივილებია. უმჯობესია, დაავადებულმა შაკიკთან ჰარმონიული თანაცხოვრება ისწავლოს. ასე შეტევებიც გაიშვიათდება და მათი სიმწვავეც დაიკლებს. ამისთვის საჭიროა, ზუსტად დაადგინოთ გამწვავების მიზეზი, რაც შეიძლება შორს დაიჭიროთ მისგან თავი და ასე დაიცვათ საკუთარი ჯანმრთელობა.

### მარილების დაგროვებას ხალხური რეცეპტები შველის

მარილების დაგროვების საწინააღმდეგოდ, გთავაზობთ ხალხურ მედიცინაში ნაცად და აპრობირებულ რეცეპტებს. კერძოდ:

*40-50 გრამ დაქუცმაცებულ ნიახურს დაასხით 10 სადილის კოვზი ადუღებული წყალი. გააჩერეთ 4-5 საათი. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ, დღეში სამჯერ, სადილის კოვზით.

*ნიახურის ახალი ფესვების წვენი, 1 ჩაის კოვზი, მიიღეთ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. მკურნალობის კურსი ერთი თვეა, ორი კვირის შუალედის შემდეგ კვლავ გაიმეორეთ.

*100 ცალ თუთის ფოთოლს დაასხით 2 ლიტრი წყალი, ადუღეთ და დააყენეთ ნახევარ ლიტრამდე. დალიეთ დღეში 3-ჯერ, ყავის ჭიქით, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

*3 კბილი ნიორი და ერთი ცალი ლიმონი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაასხით ერთი ლიტრი წყალი, გააჩერეთ ერთი დღე-ღამის განმავლობაში. მიიღეთ უზმოზე, ნახევარი ჩაის ჭიქა, 15 დღის განმავლობაში.

*ნახევარ ლიტრ არაყში ჩაყარეთ 5 ცალი დანაყილი ნიორი. ერთი კვირის შემდეგ, მიღებული ნაყენი დალიეთ დღეში 3-ჯერ, თითო ჩაის კოვზი, ჭამამდე.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

## ექიმის რჩევები

**კითხვა: მაქვს ჰიპოთირეოზი, მცვივა თმა, წონაში ვარ მომატებული. მირჩიეს კოჭას („იმბირი") ნაყენი. როგორ მოვამზადო?**

პასუხი: კოჭა სასარგებლოა, მაგრამ, არა ყველასთვის. გულის პრობლემებისა და ნაღვლკენჭოვანი დაავადების დროს მის მიღებას არ ურჩევენ. წონაში დასაკლებად ამზადებენ კოჭას ჩაის: 1 ჩაის კოვზ თხლად დაჭრილ კოჭას ფესვებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში. გაგრილებულ სასმელს ჩაუმატეთ თაფლი და ლიმონი. მას საღამოს საათებში არ ღებულობენ, რადგან, აქვს მატონიზებელი მოქმედება და აფხიზლებს. ჰიპოთირეოზის სამკურნალოდ, გირჩევთ, მიმართოთ ენდოკრინოლოგს.

**კითხვა: ჩემს 3 თვის გოგონას დაუსვეს დიაგნოზი: მარჯვენა თირკმლის ჰიდრონეფროზი. მაინტერესებს, რა საშიშროებას შეიცავს ეს დიაგნოზი?**

პასუხი: ხშირად დგება ქირურგიული ჩარევის საკითხი, მაგრამ, შესაძლებელია, რომ ყველაფერი დროთა განმავლობაში ალაგდეს. ეცადეთ რეგულარულად ჩაატაროთ გამოკვლევა და დაადგინოთ ჰიდრონეფროზის მიზეზი.

**კითხვა: მყავს 14 წლის გოგონა. გუშინ სარძევე ჯირკვალში იპოვა უმტკივნეულო, ბარდისმარცვლისოდენა გამაგრება. ვიზუალური ცვლილებები ან გამონადენი არ აქვს. პანიკაში ვარ, ონკოლოგია ხომ არ არის?**

პასუხი: ამ ასაკში ონკოლოგია პრაქტიკულად გამორიცხულია, მაგრამ, აუცილებელია გამოკვლევა: მამოლოგის და გინეკოლოგის კონსულტაცია, სარძევე ჯირკვლებისა და ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია. კვლევების საფუძველზე უნდა დაისვას დიაგნოზი და მომდევნო ტაქტიკა, საჭიროების შემთხვევაში კი – მკურნალობა.

**კითხვა: სარძევე ჯირკვლებში (ორივეში) ექოსკოპიურად აღმოაჩნდა 3-4-მილიმეტრიანი კისტები, დანარჩენი ყველაფერი ნორმაშია. დიაგნოზი: ფიბროზულ-კისტოზური მასტოპათია. საშიშია თუ არა ეს და თუ არის შესაძლებელი ოპერაციის გარეშე მკურნალობა?**

პასუხი: ექოსკოპიის დასკვნას თუ დავეყრდნობით, ქირურგიული მკურნალობის ჩვენება თქვენს შემთხვევაში არ არის. აღმოჩენილი ცვლილებების მიზეზის დასადგენად სასურველია მამოლოგის კონსულტაცია და მისი დროული კონსერვატიული მკურნალობა.

**კითხვა: ვარ 24 წლის მამაკაცი. სამი წელია, ნიკაპის მიდამოში მაქვს ჩირქოვანი გამონაყარი. ჩავიტარე კუჭ-ნაწლავის გამოკვლევა. მქონდა უმნიშვნელო დარღვევა. მკურნალობის პერიოდში სახე მისუფთავდება, მაგრამ, ერთი კვირის შემდეგ ისევ მაყრის. გთხოვთ, მირჩიოთ რამე. ხომ არ შეიძლება, სულ ანტიბიოტიკი ვსვა. კიდევ რა ანალიზი შეიძლება გავიკეთო?**

პასუხი: აუცილებლად უნდა დაითესოს ჩირქი ფლორაზე და მგრძნობელობაზე, უნდა გამოიკვლიოთ კუჭ-ნაწლავისა და ყელის მდგომარეობა. პრობლემის არსებობის შემთხვევაში, უნდა დაინიშნოს მკურნალობა. ხშირად ჩირქოვანი გამონაყარის მიზეზი ორგანიზმში არსებული ჩირქოვანი კერაა და, თუ არ მოხდა ამ კერის ლიკვიდაცია, ადგილობრივი მკურნალობით გამქრალი გამონაყარი კვლავ გაგიჩნდება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რას უთვლიდა თამარ ციციშვილს ქმარი მეშჩანობად და როგორ დაუსახიჩრდა მას სახე „დარიკოს" გადაღებებზე

ქართულ კინოს ყოველთვის ჰყავდა ისეთი ქალბატონები, რომელთა სილამაზე ქალსაც და კაცსაც ერთნაირად ატყვევებდა. ერთ-ერთი იყო თამარ ციციშვილი, რომელიც ეკრანებზე გამოჩნდა სიკო დოლიძის ფილმით – „დარიკო."


ახალგაზრდა თამარი

თამარ ციციშვილი დაიბადა ოდესაში, 1908 წელს. მამა ოდესის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა; დედა კი, რომელიც წარმოშობით გერმანელი იყო, იქ ცხოვრობდა. ოჯახმა პირველი ორი წელი იქ გაატარა, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და თავიანთ მამულში (ქარელის რაიონი, სოფელი ხვედურეთი) დასახლდა. როდესაც თბილისში ჩამოდიოდნენ, სასტუმროში ცხოვრობდნენ. თამარ ციციშვილი სიამოვნებით იხსნებდა ხვედურეთში რევოლუციამდე გატარებულ ბავშვობის წლებს, განსაკუთრებით კი – პაპამისის ულამაზეს და ცნობილ ბაღს, რომელიც, თურმე, დავით ციციშვილის დიდი გატაცება იყო. ამ ბაღში ხარობდა 400-მდე სხვადასხვა ჯიშის ვარდი. სწორედ იქ გაიზარდა ჩვენი ლეგენდარული მებაღე მიხეილ მამულაშვილი. იგი უვლიდა, აგრეთვე, ილია ჭავჭავაძის


კადრი ფილმიდან „მონანიება"

საგურამოსა და ცნობილი სვეტიცხოვლის ბაღებს. დავით ციციშვილს ის ოჯახის წევრივით ჰყავდა, მერე კი გაგზავნა ბერლინში, სადაც დამატებით გადიოდა მებაღეობის კურსებს. საქართველოში დაბრუნებულმა, დავითის დაფინანსებით გახსნა მაღაზია. ქალბატონი თამარის ქალიშვილი მანანა გედევანიშვილი გვიამბობს: „3-4 წლის იქნებოდა დედა, ციმბირის წყლული რომ დაემართა. საუკეთესო მკურნალები დააყენეს თავზე, მაგრამ ვერაფერს შველიდნენ, უკვე ჩაქნეული ჰქონდათ ხელი. მათთან ცხოვრობდა პაპამისის და, ნატო ციციშვილი, რომელიც დაქვრივების შემდეგ დაბრუნდა მშობლების სახლში. ის გახლდათ დიდი მცოდნე ამ სამკურნალო საშუალებებისა. წინაპრის, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის (პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი, ავტორი სამკურნალო წიგნის „კარაბადინი". ციციშვილთა ფეოდალური საგვარეულოსა და საციციანოს ერთ-ერთი ფუძემდებელი) რეცეპტები ჰქონდა შემონახული და, აი, ამ რეცეპტებით, ის ნათესავებს, სოფლად ყველას მკურნალობდა, ძალიან განათლებული ქალი იყო. დაჯდა ბავშვთან მთელი ღამე, არავინ შედიოდა-გამოდიოდა და მალამოს უსვამდა ყურზე, იმიტომ, რომ ყურზე ჰქონდა დედას წყლული. დილისთვის ბავშვმა თვალები გაახილა და ცოტა ხანში უკეთ გახდა. თუმცა, წყლულთან ერთად, ბიბილოს ნაწილიც მომძვრალიყო. შემდეგ, როდესაც რევოლუცია მოხდა, ბოლშევიკები შეესივნენ გორს, ქარელს და ციციშვილები ამოწყვიტეს. ჩვენებს ისევ გლეხები დაეხმარნენ: ერთ ურემში, ჩასხეს დიდები, ბავშვები და გამოუშვეს. გავიდა წლები. დედას ყველაზე მეტად იმაზე სწყდებოდა გული, რომ იქ პაპიდა ნატოს სამკურნალო რეცეპტების რვეული და მამამისის პორტრეტი (შესრულებული მეცხრამეტე საუკუნეში) დარჩა და ამას გაუთავებლად ახსენებდა. თბილიში რომ ჩამოვიდნენ, ბინა იქირავეს. ცოტა სამკაული წამოეღოთ და მათი გაყიდვა დასჭირდათ, რადგან, მამამისს, როგორც თავადს, რევოლუციის შემდგეგ სამსახურში არსად იღებდნენ. დედა კონსერვატორიაში საფორტეპიანოზე სწავლობდა, პარალელურად სწავლობდა უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. მათ ოჯახს ჰყავდა მუსიკოსების, მწერლების, ექიმების უზარმაზარი სამეგობრო წრე. დედამ სრულიად შემთხვევით გაიცნო თავისი მომავალი ქმარი: 19 წლის იყო, როდესაც დასჭირდა პატარა ოპერაციის გაკეთება და მოხვდა მიხეილ გედევანიშვილის კერძო საავადმყოფოში, რომელიც ამ სახლის პირველ სართულზე იყო განთავსებული (მიხეილ გედევანიშვილის სახლში, ასევე, გახსნილი იყო საბავშვო ბაღი, სადაც იაკობ გოგებაშვილი ასწავლიდა). მომავალი მეუღლე დიმიტრი გედევანიშვილი მამამისის, მიხეილის კლინიკაში მუშაობდა ექიმად. მანმადე კი, ორი წლით ადრე, იოსებ გრიშაშვილი, რომელიც დედასთან მეგობრობდა, დიმიტრის დას სწერდა: მე მიტო ძალიან მომწონს. ასეთი განათლებული, პატრიოტი, კულტურული ადამიანი იშვიათია და მისთვის არავინ მემეტება, გარდა ერთისა. არის ასეთი მშვენება – თამარ ციციშვილი, რომელიც თოვლზე დაგდებულ ალმასს ჰგავსო. გრიშაშვილის ეს წინასწარმეტყველება ახდა. ერთხელ დედამ, გათხოვებამდე, მიიღო ღია ბარათი ყირიმიდან, კურორტ ანაპიდან. რაღაც ბარათები იყო იმ დროს გამოშვებული პლაჟის სურათებით. გაუკვირდა დედას ძალიან. გადმოაბრუნა და, ხედავს, სოსო გრიშაშვილის ლექსია. იმ ფოტოში მოხვედრილა თამარი ქოლგით ხელში, სადაც წერტილივით ჩანს და როგორ იცნო გრიშაშვილმა, არ ვიცი. რომ უნახავს, მიუწერია პატარა ლექსი და დედაჩემისთვის გამოუგზავნია.


კადრი ფილმიდან „ქეთო და კოტე"

მამამისის პორტრეტი, რომლის დაკარგვასაც ასე განიცდიდა დედა, 40 წლის შემდეგ იპოვა. ერთ დღეს ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელი, რომელიც იმ სოფლიდან იყო, ურეკავს დედას და ეუბნება: თამარა, შენ რომ ასე დარდობ მამაშენის პორტრეტზე, მგონი, ვიპოვეო. თურმე, რომელიღაც გლეხის სხვენში იდო და წვიმისგან გაფუჭებულიყო. ფრესკას ჰგავს, ნახევრად წაშლილია, მაგრამ, მაინც არაჩვეულებრივია. ეს პორტრეტი დღესაც ინახება ჩვენს ოჯახში.


გრიგოლ ორბელიანის საწერი მაგიდა

დედამ ერთი ასეთი ეპიზოდი მოგვიყვა: ნათლია ჰყავდა, გიორგი ხერხეულიძე, რომელიც დაახლოებული იყო იმპერატორის კართან. რუსეთში რევოლუცია რომ მოხდა, თავისი ოჯახით საქართველოში გამოიქცა. ერთხელ, დაპატიჟეს სადილზე (დედა მაშინ 13 წლის იქნებოდა). ამ სადილზე იყვნენ დედა, თავისი მშობლებით და კიდევ სამი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელთა შორის ერთმა ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დედაზე, რადგან, არნახული სილამაზის ახალგაზრდა კაცი ყოფილა. საშინლად სევდიანი და დაღვრემილი მჯდარა მაგიდასთან, ხმას არ იღებდაო. მოუყვანეს ბოშები, სხვა მომღერლებიც, მაგრამ, მაინც მოწყენილი იჯდა. ბოლოს წავიდნენ. მერე უკითხავს დედას, ეს კაცი ვინ იყოო. აღმოჩნდა იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ძმისშვილი, რომელიც რასპუტინის მკვლელობაში მონაწილეობდა. გამოაპარეს, რომ არ დაეჭირათ და თურქეთში ცხოვრობდა. არაფერი იცოდა, რა ბედი ეწია მის ოჯახს და თბილისში ჩამოვიდა, რომ ამბები გაეგო. აქ შეიტყო, რომ ნიკოლოზის მთელი ოჯახი დახვრიტეს და ამიტომ იყო, თურმე, ასეთი დადარდიანებული. მერე დაბრუნდა თურქეთში, იქიდან


მეუღლე – დიმიტრი გედევანიშვილი


კადრი ფილმიდან „მზე შემოდგომისა"

კი პარიზში აღმოჩნდა. მას ძალიან ახლო მეგობრობა ჰქონდა კოკო შანელთან."

1977 წელს ჟურნალ „დროშაში" ერთი საინტერესო ეპიზოდი დაიბეჭდა: თამარ ციციშვილს ერთი გლეხის ოჯახში ნიკო ფიროსმანის ნახატი – „შველი" აღმოუჩენია. მაშინ, როცა მთელი ოჯახი სოფელ გლდანში ისვენებდა, ეს შედევრი ლურსმნით ყოფილა მიჭედებული კედელზე. ქალბატონ თამარს უთქვამს, ეს დიდი მხატვრის სურათია და დაგვითმეთო. რას ამბობთ, ეს სურათი „თეთრი დუქნიდან" წამოვიღეო, – უპასუხია იმ გლეხს. ჩამოუხსნია და მიუცია. ეს იყო 1949 წელს. ფიროსმანის ეს ნახატი დღეს საცავში ინახება.

„დედა ძალიან სპორტული იყო, სპორტული კლუბის – „შევარდენის" წევრი გახლდათ და ხშირად დადიოდა წვრთნებზე. „დარიკოში" რომ დასჭირდა ცხენზე ჯირითი, კასკადიორი მოუყვანეს და უთხრეს, შენ მხოლოდ ახლო კადრებს გადაგიღებთო. დედამ უარი თქვა – არავითარ შემთხვევაში, მე თვითონ უნდა ვიჯირითოო. ერთ მშვენიერ დღეს, გადაღებაზე რომ წავიდა, გამოუყვანეს სრულიად უცნობი, გადარეული ცხენი, რადგან, მისი ცხენი ვილაცას წაეყვანა. დაიწყო გადაღება. შეჯდა დედა ცხე-

ნზე და გააქენა, უკანა გზაზე, თურმე, ისე აიწყვიტა ცხენმა, რომ დედას ხელიდან გაუვარდა აღვირი, დაეკარგა და ცხენი ველარ დაიმორჩილა, ამიტომ, კისერზე ხელებით შემოეხვია. გადაღება შორს იყო და ბევრი პატარა სოფელი გამოიარა. პატარა ბიჭებს ეგონათ მთვრალი კაცი ზისო და ქვები დაუშინეს, რითაც სულ გააგიჟეს და ცხენი მთელი სისწრაფით შევარდა თავლაში, დედას უკვე დაკარგული ჰქონდა გონება, ამიტომ, თავი ვერ შეიმაგრა, პირდაპირ შუბლით შეენარცხა კარს და საშინლად დაშავდა. სულ დაულურჯდა და დაუსახიჩრდა სახე, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო. გავიდა სამი თვე, დედა არ ჯანმრთელდებოდა და მაშინ სიკო დოლიძემ უთხრა: რა ვქნა, თამარა, სხვა უნდა ავიყვანო, ამდენს ვერ მოვიცდიო. მაშინ არ შეიძლებოდა გადაღებების შეჩერება, ყოველი დღე გაწერილი იყო, თუმცა, ნაწილი უკვე გადაღებული ჰქონდათ. მოიყვანეს შემცვლელი და განაგრძეს გადაღება. გადაიღეს რამდენიმე დღე, მერე ისევ მოვიდა სიკო და უთხრა: თამარა, რამდენ ხანსაც არ უნდა იყო ავად ვერავის ვერ გადავიღებ შენ გარდაო. მომჯობინდა დედა, ისევ შეჯდა თავის ცხენზე და ჯირითობდა.


ქალბატონი თამარი


შვილი – მანანა გედევანიშვილი (ცენტრში)

მისი ხასიათის გამორჩეული, მთავარი თვისება სწორედ ეს იყო, რომ არავისი და არაფრის არ ეშინოდა. ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის – მთაშიც, სადაც იყო ცოტა საშიში სიტუაციები და მეგობრები ეუბნებოდნენ: თამარა, შენ ნამდვილი დარიკო ხარ, არაფრის გეშინიაო. „დარიკო" რომ გამოვიდა ეკრანებზე, ქართული კულტურის დღეები იყო მოსკოვში. ეს იყო 1937 წელი. მაშინ უნახავს სტალინს, მოეწონა და მოინდომა მისი გაცნობა. გააცნეს კრემლში, ბანკეტზე. მერე ისე მოხდა, რომ სტალინის აგარაკზე მოხვდნენ დედა და მამა ვიწრო წრეში. სუფრასთან დედა სტალინის გვერდზე მჯდარა. სტალინმა მას ციციაანთ „მრავალჟამიერი" სთხოვა. დედა შეცბა – არ შემიძლია, რადგან, ძალიან რთული სამღერაა, ტექსტიც არ ვიციო. იქ ორი გუნდის წარმომადგენელიც მჯდარა – პაჭკორიასა და სანდრო კავსაძის. დედაჩემი პაჭკორიასთან ცეკვავდა და ფანდურზე უკრავდა. სანდრო კავსაძემ – მეც არ ვიციო. პაჭკორიაზე ცუდად იმღერა შენმა გუნდმა და არც ციციაანთ „მრავალჟამიერი" იციო, – უთქვამს სტალინს და ბოლოს თვითონ უმღერია. სანდრო გაფითრებული მჯდარა. კიდევ უსაყვედურია სტალინს, რაზეც სანდროს უთქვამს: რა ვქნა, წამოსვლის წინ ორი მთავარი მომღერალი დამიჭირესო. რომლებიო, – უკითხავს სტალინს. არავინ უპასუხა. მაშინ დედას უთქვამს: მე ვიცი, რომლებიც არიან, კრინის მიმცემნი – ჯიღაური და მჭედლიშვილიო. სტალინს გვარები თავის პატარა წითელ წიგნაკში ჩაუწერია. თბილისში რომ დაბრუნებულან, სანდრო კავსაძის კონცერტი იყო კლუბში და დედა და მამა დაპატიჟეს. რომ მივიდნენ, დაინახეს, ისევ თავიანთ ადგილზე სხედან მჭედლიშვილი და ჯიღაური. მაშინ, აგარაკზე სტუმრობისას, სტალინმა დედას აჩუქა ძალიან ძვირფასი შვეიცარიული ოქროს საათი, წარწერაც აქვს უკან.

თამარს ჰყავდა ისეთი თაყვანისმცემლებიც, რომლებიც პირდაპირ ამჟღავნებდნენ თავიანთ გრძნობებს. ზოგჯერ ეს არ სიამოვნებდა მის მეუღლეს და ერთი-ორჯერ პატარა უსიამოვნებაც ყოფილა, მაგრამ, დედას ამაზე ეცინებოდა. საერთოდ, როგორც წესი, ჩემი მშობლები არსად არ დადიოდნენ ცალ-ცალკე, ერთად მოიარეს მთელი ქვეყნები, მარტო დასვენება ვერ წარმოედგინათ. მამას ძალიან აინტერესებდა აღმოსავლეთის ქვეყნები და ინდოეთში ორჯერ წავიდა. დედას ძალიან უყვარდა სახლის ინტერიერის მოწყობა, მამას კი ეს არ მოსწონდა – მას მიაჩნდა, რომ ეს არის მეშჩანობა და სახლში უნდა დადგა ის, რაც მოსახერხებელია და არა დეკორატიული. ამაზე ჰქონდათ ხოლმე დავა. დედას უნდოდა რაღაცეების შეძენა, მაგრამ, ამის გამო ვერ ყიდულობდა. რაღაცეები მაინც შეიძინა. დანარჩენი, რასაც აქ ხედავთ, არის ვახტანგ გედევანიშვილის ნივთები. ისინი ფასეულია იმით, რომ ძველია, ამ ოჯახის საკუთრება და დაკავშირებულია რაღაც მომენტებთან. გედევანიშვილების ოჯახში ხშირად მოდიოდნენ სტუმრად ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვანო მაჩაბელი, ვაჟაფშაველა... აი, იმ მრგვალ მაგიდასთან, სავარძლებში ისხდნენ. ეს კაბინეტის მაგიდა, მაგალითად, ფასეულია იმით, რომ გრიგოლ ორბელიანისაა. ის თავისი სკამით გრიგოლ ორბელიანის სახლიდან შეიძინა თამარის მამამთილმა".


როდესაც დედამ ნახა გუდიაშვილის ეს ნახატი ასე გულამოღებულ კაბაში, შეცბა, მამას კი ძალიან მოეწონა

ქალბატონი მანანას პაპა, მიხეილ გედევანიშვილი, ერთდროულად რამდენიმე დარგის სპეციალისტი გახლდათ: ფსიქიატრი, ნევროპათოლოგი, რენტგენოლოგი. მათ ოჯახში, პაპამისის კაბინეტში, ინახება რევმატიზმის, სახსრებისა და სხვა დაავადებების სამკურნალო აპარატურა, რომელშიც ადამიანი ჯდებოდა, თავი კი ამოყოფილი ჰქონდა. ეს ის აპარატია, რომელზეც, თურმე, ყველა ფიზიკოსი გიჟდება. მოკლედ, რას არ ნახავთ აქ: გედევანიშვილების საგვარეულო სიგელს, რომელსაც ხელს აწერს ორი მეფე და ორი კათალიკოსი: ერეკლე მეორე, გიორგი მეთორმეტე, ანტონ პირველი და ანტონ მეორე; ასევე, აქ ინახება ილიას ფაქსიმილე. გედევანიშვილ-ციციშვილების ოჯახში უცხოელები დღესაც ხშირად დადიან სტუმრად. მათ იციან, რომ აქ ნახავენ არა მხოლოდ სამუზეუმო ნივთებს, არამედ, მეცხრამეტე საუკუნის ცოცხალ თბილისურ ცხოვრებას.


თამარ ციციშვილის შვილიშვილი _ ქეთი ქობულია მეუღლესთან, ირაკლი ჩარკვიანთან ერთად

**ეკა პატარაია**

# თბილისის რომელ უბანში იმართებოდა ყველაზე დიდი კრივი, ვინ იყვნენ ცნობილი თბილისელი მოკრივეები და რა წესები დაუწესა მოკრივეებს იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა

(23-ე გვერდიდან)

აიკრძალა. დარჩა მხოლოდ ჩვეულებრივი მუშტის კრივი, რომელმაც 1870-იან წლებამდე გასტანა. ამ გვიანობამდე დარჩენილ მუშტის კრივს, რომელიც ქალაქგარეთ იმართებოდა პოლიციის ზედამხედველობით, თავისი წესები ჰქონდა გამომუშავებული. ხშირად ზოგიერთ მოკრივეს საშინელი მაგარი ცაცია ჰქონდა და, ვისაც შემოჰკრავდა – მორჩა, ცოცხალი ველარ ადგებოდა. აი, ამისთანა მოკრივეს სიტყვა ჰქონდა მიცემული, ან, როგორც ამბობენ, ხელი ჰქონდა მოწერილი, რომ ის აღარ იკრივებდა. ყოველ ათეულ წლებს თავისი ცნობილი მოკრივე ჰყავდა, მეთვრამეტე საუკუნის ფალავან-მოკრივეთა სახელები ჩვენამდე არ მოსულა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან კი თბილისში ცნობილი იყვნენ შემდეგი მოკრივენი: შერმაზანა, საათო (მთავარმართებელ ციციანოვის ფალავანი), ხარფუხელი მკალავი ლეკუა, ოქრომჭედელი თაფანა, ბებუთაანთ გიგა (ლობჟანიძე), ყასაბი გელუაშვილი, ცხრაფეხაანთ გოლა, გამხდარი სიმონა (გოცირიძე), ლეჰენძაანთ ავეტიქა (ლენჩიშვილი), ბაბამ სირქია, ჭონი კვინიხა (არჩილ მუხრანბატონის ფალავანი), მჭედელი სია, ჩუღურეთელი თეთრახალუხა, წითელფუფაიკა კოლა, მეჩანგლე ლოპიანა (გრიგოლ ორბელიანის ფალავანი), თოქმაჩი გულაზა, მთაწმინდელი კომშუა, ჭიანუა, პაჭუა, ღორუა, გიჟუა (დათიკო მელექსედეს ძე ბებუთოვის ფალავანი), ყასაბი ჟირნაშვილი, ნიკოლა ცაცანაშვილი, გიჟ-მიხაკა, ბოშ-ოჰანეზა, მიკიტანი გრიშა (მამულოვი), დაბალი ლოხოშა, დაბალი პეტუა, დაბალი ბეჯინშა, ბაყალი გომფუა, განჯელი ალია, ფარქასტუ კოლა, ასასი ბუჟუჟა, კუკიელი ვირიცოხნაშვილი და სხვები.


სიონის ქუჩა 1900-იან წლებში

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ნაწყვეტები წიგნიდან: იოსებ გრიშაშვილი, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა."**



**გამოკვლევების თანახმად, ადამიანების უმრავლესობა წინასწარ გრძნობს სიკვდილის მოახლოებას. როგორც ჩვენი დღევანდელი რუბრიკის სტუმარი, ექიმი-ეზოთერიკოსი, ქალბატონი ნანა ამბობს, ადამიანი სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე, დეპრესიულ მდგომარეობაში ვარდება და, შესაძლოა, ეს რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდეც კი გაგრძელდეს. თუ რას გულისხმობს სიკვდილის ფენომენი და არსებობენ თუ არა რეალურად გარდაცვლილთა აჩრდილები ჩვენ გვერდით, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# სად მიდის ადამიანის აურა მისი გარდაცვალების შემდეგ და რას გრძნობს მომაკვდავი ამ დროს

**ნანა**: ბოლოდროინდელი მონაცემებით, ექიმებისა და ეზოთერიკოსებისგან შემდგარმა ჯგუფმა დაკვირვებების საფუძველზე დაადგინა, რომ ადამიანი სიკვდილის მოახლოებას გრძნობს და ის ამ პერიოდში დეპრესიულია. ეს რეალობაა და დაკვირვებების შედეგად დამტკიცდა კიდეც. დეპრესიას იწვევს ორგანიზმში ჰორმონული ცვლილებები. მისი ფსიქოლოგიური ფუნქცია კი ის არის, რომ დეპრესია ამზადებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ადვილად მიიღოს სიკვდილი. ინტუიცია გვაძლევს იმ საიდუმლოს ამოცნობის საშუალებას, რასაც სიკვდილის მოახლოების შეგრძნება ჰქვია. უამრავი ადამიანი მოსულა ჩემთან და მოუყოლია, თუ როგორ გრძნობდნენ, მათ ახლობელს სულ მალე სიკვდილი რომ ეწვეოდა. ანუ, როგორ იგრძნეს მათ ახლობელი ადამიანების გარდაცვალება წინასწარ.

**– ცოტა დაუჯერებელია, რომ ამის შეგრძნება რეალურად შესაძლებელია.**

– სიკვდილი – ეს არის ცნობიერების გადასვლა ყოფიერების სხვა ფორმაში. ამისთვის კი ადამიანის ორგანიზმი წინასწარ გადის ფსიქოლოგიურ მომზადებას. ბევრისგან გამიგია, სიკვდილის სუნს ვგრძნობ. ესეც სიმართლეა. მაგალითად, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც პარანორმალურად განვითარებული ყნოსვის ორგანო აქვთ და სწორედ სუნით ხვდებიან, კონკრეტულ ადამიანს უახლოეს მომავალში სიკვდილი რომ ელის.

**– და მაინც, თქვენი, როგორც პარაფსიქოლოგის აზრით, რა არის სიკვდილი?**

– ამ კითხვას ბევრი მისვამს და, მინდა, მათ ვუპასუხო: ადამიანი არის არსება, რომელიც ორი სახის – მკვრივი და თხევადი მატერიისგან შედგება. მკვრივი მატერია ადამიანის ფიზიკური სხეულის ფორმირებას უწყობს ხელს, თხევადი კი მის სულიერ ბუნებას ძერწავს. ასე რომ, სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა თხევადი სხეულის გამოყოფა ფიზიკური სხეულიდან. სიკვდილის წინ ცოცხალი ორგანიზმის უჯრედები რადიაქტიური სხივების მოულოდნელ გამოდევნას ახდენს. გამქრალი აურა, როგორც კოსმიური მატერიების ნებისმიერი სახეობა, სივრცეში უკვალოდ არ ქრება, ადამიანის ენერგეტიკულ კომპლექსთან ერთად, მას სხვა სამყაროში გადააქვს მთელი ინფორმაცია მომაკვდავზე. ვისაც ზებუნებრივი ძალები მეტად განვითარებული აქვს, ამ ინფორმაციას იღებს და ასე იტყობს ადამიანის სიკვდილს წინასწარ.

**– ადამიანის ფიზიკური სხეულის სიკვდილის შემდეგ ცნობიერება კვლავ განაგრძობს არსებობას ენერგეტიკულ სივრცეში?**

– დიახ, სწორედ ასეა. გარდაცვალების მომენტში ადამიანის ცნობიერება სხვა სამყაროში გადადის, ანუ, კვდება მხოლოდ მისი ფიზიკური სხეული, ცნობიერება კი განაგრძობს ყოფიერებას ენერგეტიკულად. გაგიგიათ, ალბათ, ადამიანები რომ ყვებიან, თუ როგორ დაინახეს ღამით თეთრებში გამოწყობილი აჩრდილი თუ მოლანდება. ეს ბევრს არ სჯერა, არადა, რეალურად, მართლაც მოდიან ჩვენთან გარდაცვლილთა აჩრდილები და მათ ხშირად ისინი ხედავენ, ვისაც მემკვიდრეობით დარჩათ წინაპართა კარმული ვალები გადასახდელი. ასე რომ, გარდაცვლილი წინაპრების აჩრდილები დღევანდელ ყოფაშიც შეიძლება გამოგვეცხადონ და მათი ხილვაც რეალურია. როცა ადამიანები გარდაცვლილ წინაპრებს ხედავენ და მათთან კონტაქტსაც კი ამყარებენ, ამას უხილავი კონტაქტი ჰქვია. ეს კი, შესაძლოა, ნებისმიერ ჩვენგანს შეემთხვას. არც რაიმე ზებუნებრივი ნიჭი სჭირდება წინაპრის აჩრდილის ხილვასა და მასთან კონტაქტის დამყარების და არც ეგრეთ წოდებული „მესამე თვალი." ხშირ შემთხვევაში, ადამიანი ხედავს იმას, ვინც რეალურად იქ არ არის; სინამდვილეში, იმ ადგილას არის მისი ენერგეტიკა და ადამიანის გრძნობათა ორგანო სწორედ ამას აღიქვამს კონკრეტულ მომენტში.

**ინტუიცია გვაძლევს იმ საიდუმლოს ამოცნობის საშუალებას, რასაც სიკვდილის მოახლოების შეგრძნება ჰქვია**

**– გარდაცვლილის აჩრდილს, ანუ, მის ენერგეტიკას, მხოლოდ მისი შთამომავალი ხედავს თუ მის გარშემო მყოფი ადამიანებიც?**

– შეიძლება, გარდაცვლილი ადამიანის აჩრდილი მისმა შთამომავალმა დაინახოს, ხოლო მის გვერდით მყოფებმა ვერაფერი შენიშნონ. თუმცა, აქვე იმასაც გეტყვით, რომ არსებობს ფაქტები, როცა თეთრებში ჩაცმული გარდაცვლილის სილუეტი ერთდროულად რამდენიმე ადამიანმა დაინახა. ამ დროს ხდება კოლექტიური გენის შეერთება და მოქმედება. კერძოდ, მათი გრძნობათა ორგანოები ინფორმაციას ერთმანეთს გადასცემს. ინფორმაციის მიღების შემდეგ ადამიანის გონებაში ხდება მისი იდენტიფიკაცია. შედეგად კი, როცა ენერგეტიკა მას გადაეცემა, გააქტიურებას იწყებს წარმოსახვის უნარიც. არ არის გამორიცხული, ამ დროს გარდაცვლილის აჩრდილი დაინახოთ სხვებთან ერთად. ზოგადად, აჩრდილები წარმოსახვითი მოვლენაა, მაგრამ, მას მაინც რეალური საფუძველი უდევს, კერძოდ, მიღებული ინფორმაცია. ბევრი ამბობს, გარდაცვლილი ახლობლების აჩრდილები ხშირად მაკითხავენ ღამით, მაგრამ, მათთან კონტაქტს ვერ ვამყარებო. ამ დროს მათი გრძნობათა ორგანოები გარდაცვლილთა ენერგეტიკის არსებობას ვერ გრძნობს. ასეთი უამრავი ფაქტი არსებობს და ეს ნამდვილად რეალური, ცხოვრებისეული მოვლენებია. ამის უარყოფა, უბრალოდ, სისულელეა. ყოველ შემთხვევაში, ამის თვითმხილველები არსებობენ და მათი მონაყოლიც ნამდვილად დამაფიქრებელია. ეს მოწმობს, რომ გარდაცვლილთა აჩრდილები რეალურად არსებობენ და ისინი, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენს დასახმარებლად მოდიან.

**– აქვე გკითხავთ: ამბობენ, რომ კლინიკური სიკვდილი, ანუ ლეთარგიული ძილი და იმქვეყნიურ სამყაროში დროებით მოხვედრა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ამაზე რას გვეტყვით?**

– კლინიკური სიკვდილის შემთხვევა, ალბათ, რჩეულთა ხვედრია, რადგან, ადამიანები ამ დროს არამიწიერ მშვენიერებასა და გარდაცვლილ ახლობლებს ხედავენ და არც უკან დაბრუნება სურთ. ზოგადად კი ის, რომ კლინიკური სიკვდილი ზებუნებრივ შესაძლებლობებს იძენს, ჯერ კიდევ კვლევის საგანია.

**ნონა დათეშიძე**

## წესრიგის მედროშე

ქალები უფრო წესრიგის მოყვარულები არიან თუ კაცები?

თუ დაუფიქრებლად გასცემთ ამ კითხვას პასუხს, იტყვით, რომ ქალები, მაგრამ, ეს არ იქნება სიმართლე. წესრიგისადმი სიყვარული ადამიანის ხასიათის ნაწილია, განურჩევლად სქესისა. უბრალოდ, გემოვნების საკითხია, ვის როგორი დალაგებული სახლი მოსწონს. თქვენ, შეიძლება, ფეხსაცმელები შუა ოთახში არ დაალაგოთ, მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იდეალურად მოწესრიგებული ხართ. სხვათა შორის, წესრიგისადმი სიყვარული ყველაფერში ვლინდება: ურთიერთობაში, აღზრდაში, ფულთან დამოკიდებულებაში... აბა, დაფიქრდით, დედასთან ან დასთან არასდროს გიკამათიათ დალაგების თემაზე? იმათი დალაგებული თქვენ არეულად არ მოგჩვენებიათ ან პირიქით?! ზუსტად იგივე ხდება მეუღლესთან ურთიერთობაშიც. უბრალოდ, ზოგიერთ კაცს აქვს უნარი, ყურადღება არ მიაქციოს უწესრიგოდ მიყრილ ნივთებს. ასეთ მამაკაცს არც უნდა უსაყვედურო, თუ რომელიმე ნივთი მისთვის განკუთვნილ ადგილას არ დადო. დაფიქრდით, ნუთუ ღირს ურთიერთობის დაძაბვა და სიტუაციის გამწვავება საწოლზე დაუდევრად მიგდებული შარვლის გამო?! არც აქეთ-იქით მიყრილი წინდები ღირს ოჯახური სკანდალის ფასად.

გაიღიმეთ და გამხიარულდით. შეხედეთ მის უწესრიგობას იუმორით. ყველა თქვენსავით „წესრიგის მედროშე“ ვერ იქნება და არც არის საჭირო. წარმოგიდგენიათ მაინც, როგორ იცხოვრებს ორი სუპერმოწესრიგებული ადამიანი ერთ ჭერქვეშ?! სრული კატასტროფა იქნება...

და, ბოლოს... ქმარს გემრიელი კერძიც უნდა მოუმზადოთ და ბლინებიც გამოუცხოთ... თუნდაც ხშირად არა, მაგრამ, თქვენი ხელით მომზადებული „ყურადღება“ მას ყოველთვის გაახარებს!

## გადამრჩენი

ნებისმიერ ქალს თანდაყოლილი აქვს მოთხოვნილება ოჯახზე მზრუნველობისა, ანუ, ამას ბუნებრივად, ძალდაუტანებლად აკეთებს. თუმცა, თითოეული მათგანი ინდივიდუალურად. მართალია, ჭურჭლის რეცხვა სულაც არ არის სასიამოვნო, მაგრამ, ეს პრობლემად არ უნდა გადააქციოთ. არ უნდა იფიქროთ იმაზე, რომ ოჯახის წევრები ბოროტად სარგებლობენ თქვენი სიმშვიდითა და მოთმინებით. გახსოვდეთ, რომ, სულერთია, დიასახლისი ხართ თუ წარმატებული პროფესიონალი – მაინც რჩებით ქალად და თქვენგან აუცილებლად მოითხოვენ იმას, რაც ქალს ევალება. მოგვწონს ჩვენ ეს თუ არა, მაინც არსებობს ქალის საქმე. უბრალოდ, უნდა შეძლოთ და მეუღლეს მისი ვალდებულებები გააცნოთ. დიახ, ის მხარში უნდა ამოგიდგეთ და თავისი ფუნქცია – იყოს მონადირე – ოჯახის კეთილდღეობებს მოახმაროს. ქალი ნამდვილად არის ოჯახური სიმყუდროვის, ტრადიციებისა და ფასეულობების გადამრჩენი. თუ პირდაპირ და კატეგორიულად მოსთხოვთ, დაგეხმაროთ, შედეგად მიიღებთ პროტესტს, საყვედურებს, შესაძლოა, ჩხუბსაც კი... გააკეთეთ ისე, რომ ოჯახური საქმიანობა მამაკაცს ჰობის რანგში „შეაჩეჩოთ“. თქვენ ხომ გადამრჩენი ხართ – გაითავისეთ ეს როლი და შეიფერეთ. არასოდეს დააყვედროთ ოჯახის წევრებს ის, რასაც მათთვის აკეთებთ, თუმცა, პატივისცემა, ყურადღება და აღიარება უნდა მოითხოვოთ.

ნუ გაგალიზიანებთ სავარძელში მოკალათებული ქმრის დანახვა მაშინ, როცა თქვენ თავად ქურასთან დგახართ დაღლილი. მას მიაჩნია, რომ მართებულად იქცევა და ამით არაფერს აშავებს. თქვენ თუ აყვირდებით, მას მხოლოდ გაუკვირდება. მერე კი, გაბრაზდება.

ერთიც გახსოვდეთ: თუ ხართ გადამრჩენი, ნურასოდეს გახდებით კონფლიქტის ინიციატორი – ამით მხოლოდ წააგებთ.

## მუდამ ახალგაზრდა...

ფსიქოლოგებს არაფერი აქვთ საწინააღმდეგო სურვილისა – გამოიყურებოდეთ ყოველთვის ახალგაზრდად. ეს არც კომპლექსია და არც რაიმე ფობია. პირიქით, საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა ამაღლებს თვითშეფასების კრიტერიუმს, აუმჯობესებს განწყობას, აძლიერებს პერსპექტიულობის განცდას. „მე“ – უნდა მიყვარდეს. ეს აუცილებელია. ნორმალურ ცხოვრებაში ის უფრო შეგიშლით ხელს, თუ საკუთარ თავს ისეთს არ მიიღებთ, როგორიც ხართ.

მთავარია, შეინარჩუნოთ სულის ახალგაზრდობა და ეს სხეულზეც აისახება. ეს სულაც არ გახლავთ ლამაზი მეტაფორა. არც დაბადების დღეზე წარმოსათქმელი სადღეგრძელოა, არამედ მეცნიერული რეკომენდაციაა.

თქვენი შინაგანი ემოციური მდგომარეობა განსაზღვრავს, რამდენ ხანს შეინარჩუნებთ ახალგაზრდობას. დაფიქრდით – როგორ გგონიათ, რა ტოვებს თქვენს სახეზე სვალალო კვალს? – ემოციები. ეს იწვევს მიმიკურ მოძრაობებს. ზოგჯერ ვერც კი ვამჩნევთ, ისე... საჭიროა, გაითვალისწინოთ შემდეგი მითითებები:

* გაიფართოოთ ინტერესთა არეალი;
* ცხოვრებას უფრო მარტივად შეხედოთ;
* ისწავლოთ, როგორ მიიღოთ სიამოვნება წვრილმანებისგან;
* ადამიანების მიმართ გქონდეთ პოზიტიური დამოკიდებულება;
* ისწავლოთ პატიება და ნეგატიურის დავიწყება;
* ისწავლოთ, დაინახოთ მეტი პოზიტივი და კარგი.

ადამიანი იმდენი წლის არის, რამდენისაც თავს გრძნობს – ეს სულაც არ არის უბრალო გამონათქვამი – ჭეშმარიტებაა. სცადეთ და თავადაც დარწმუნდებით. საპირისპირო სქესიც აუცილებლად დაინახავს ამას.

## მორალი – ჭეშმარიტება!

ყოველთვის უნდა იბრძოლოთ საკუთარი თავისთვის, იმისთვის, რომ კარგად იყოთ და ცხოვრება გიხაროდეთ. გაიხსენეთ პატარა გოგონა გერდა „თოვლის დედოფლის“ ზღაპრიდან – რამდენი იბრძოლა, რომ საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფილიყო. იქნებ მასაც უჭირდა და სულაც არ ეადვილებოდა ქარში, წვიმასა და ყინვაში კაის მოსაძებნად ხეტიალი; არც გულქვა თოვლის დედოფალთან შებმა იქნებოდა სასიამოვნო. მაგრამ, გერდამ გააკეთა თავისი ცხოვრებისეული არჩევანი – დაიცვა და გადაარჩინა თავისი სიყვარული. სულის სიმხნევე, საკუთარ თავში შენ თვითონ უნდა აღზარდო და წინააღმდეგობების გადასალახავადაც მზად უნდა იყო. იყავი გერდა შენს რეალობაში – მაშინ, კარიერასაც გაიკეთებ და პირად ცხოვრებაშიც დაალაგებ ყველაფერს. აუცილებელია, იცოდეთ და ისწავლოთ საკუთარი



თავის ფასიც. თქვენ ყველაფერი საუკეთესოს ღირსი ხართ და მიიღებთ კიდეც, თუკი გულხელდაკრეფილი არ დაჯდებით და არ დაელოდებით ვიღაცის ჯადოსნური ჯოხის აქნევას.

მამაკაცების უმრავლესობისთვის დღემდე სასურველია და მისაღები ქალი მზრუნველობის, სიყვარულისა და თავგანწირვის სრული კომპლექტით. კაცი ბედნიერია, როცა ხედავს, როგორ იბრძვით მისთვის. შეიძლება, არ იმჩნევდეს ამას, მაგრამ, სიამაყით სავსე, აუცილებლად შეეცდება, არ დაგკარგოთ – აი, მთავარი მორალიც და ჭეშმარიტებაც!

გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რომელ კოსმეტიკას მოიხმარს ქეით ბლანშეტი და რატომ არის მისი „ოსკარი“ უნიკალური

***ქეით ბლანშეტი თვით სრულყოფილებაა. ის არის სანიმუშო მეუღლე და დედა. რეჟისორები მას ყველაზე რთულ როლებს ანდობენ, კოლეგა მსახიობები კი აღფრთოვანებულები არიან მისი ოსტატობითა და პროფესიონალიზმით. პაპარაცები კი დიდი ხანია, შეეშვნენ, რადგან ძნელია ის რაიმე სახის სკანდალში გამოიჭირო. ქეითი მეფურად უნაკლოა, ისევე როგორც თავისი გმირები.***

* ქეით ბლანშეტი 1969 წლის 14 მაისს ავსტრალიაში ქალაქ მელბურნში დაიბადა, რობერტ და ჯუნ ბლანშეტების ოჯახში. მამა წარმოშობით ტეხასის შტატიდან იყო და ავსტრალიაში საზღვაო ოფიცრად მსახურობდა, დედა კი მელბურნის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. დაქორწინებიდან რამდენიმე ხანში რობერტ ბლანშეტმა ავსტრალიის მოქალაქეობა მიიღო და სარეკლამო ბიზნესი წამოიწყო. 1979 წელს რობერტ ბლანშეტი გულის შეტევით გარდაიცვალა და ოჯახზე ზრუნვა მთლიანად ჯუნ ბლანშეტს დააწვა კისერზე. მან მარტომ გაზარდა ქეითი და მისი უმცროსი და-ძმა – ბობი და ჟენევიევა. ბობი ამჟამად პროგრამისტად მუშაობს, ხოლო ჟენევიევა თეატრში დეკორაციების მხატვარია.



* ქეით ბლანშეტი პირველად სცენაზე მელბურნის ქალთა მეთოდისტურ კოლეჯში სწავლის პერიოდში გამოჩნდა. მან რამდენიმე თეატრალურ წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა, რის შემდეგაც სწავლა გააგრძელა მელბურნის უნივერსიტეტში. თუმცა, მალევე მიატოვა სწავლა. სამოგზაუროდ ინგლისში გაემგზავრა. ევროპაში ყოფნის დროს ქეითს ვიზა დაუმთავრდა და ის იძულებული გახდა, ეგვიპტეში წასულიყო. იქ კი ფულიც დაუმთავრდა. სასტუმროში, სადაც ქეითი გაჩერდა, მავანმა პროდიუსერმა პატარა როლის შესრულება შესთავაზა ეგვიპტურ ფილმში კრივზე. იმის გამო, რომ ქეითს ფული არ ჰქონდა, დათანხმდა და მხოლოდ მასობრივ სცენებში გამოჩნდა. ამ შემთხვევითი როლით დაიწყო ქეით ბლანშეტის კარიერა კინოსა და თეატრში.

* ავსტრალიაში დაბრუნების შემდეგ, ქეით ბლანშეტმა დრამატული ხელოვნების ნაციონალურ ინსტიტუტში ჩააბარა და ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო კურსზე. 1992 წელს ქეით ბლანშეტმა წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი და სიდნეის თეატრალურ სცენაზე დაიწყო მოღვაწეობა. 1993 წელს საუკეთესო დებიუტისთვის ქეით ბლანშეტი ავსტრალიელი კრიტიკოსების ფავორიტი გახდა და იმავე წელს ავსტრალიის საუკეთესო თეატრალურ მსახიობადაც დაასახელეს.

* სხვადასხვა თეატრის სცენაზე წარმატებულ თამაშს მოჰყვა, ქეით ბლანშეტის მიწვევა ტელევიზიასა და კინოში. 1993-1995 წლებში ქეითმა რამდენიმე ცნობილ ავსტრალიურ ტელესერიალში ითამაშა და ასევე აგრძელებდა კარიერას თეატრში, სადაც მისით აღფრთოვანებული იყო ცნობილი ავსტრალიელი მსახიობი და რეჟისორი – ჯეფრი რაში. რაში სპეციალურად ქეითისთვის დგამდა სპექტაკლებს. 1996 წელს ქეითმა პირველი დასამახსოვრებელი როლი ითამაშა კინოში – მოკლემეტრაჟიან „პარკლენდში“, რასაც კიდევ რამდენიმე მეტ-ნაკლებად წარმატებული როლები მოჰყვა კინოში. თუმცა, მსახიობი იმ დროისთვის მხოლოდ ავსტრალიის მასშტაბით იყო ცნობილი და ქეითი სერიოზულად ფიქრობდა, საერთაშორისო დონეზე მიეღწია წარმატებისთვის.

* ქეით ბლანშეტის კინოკარიერაში მთავარი მოვლენა 1998 წელს კინოეკრანებზე გამოსული „ელიზაბეტია“. ფილმი დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელიზაბეთ პირველს ეძღვნება და ინდოელმა რეჟისორმა შეკხარ კაპურმა გადაიღო. ბლანშეტთან ერთად, ფილმში მთავარი როლები შეასრულეს: ჯეფრი რაშმა, ვინსენ კასელმა, ჯოზეფ ფაინსმა. ამ როლით ქეით ბლანშეტმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა: ნომინირებული იყო „ოსკარზე“ და მიიღო „ოქროს გლობუსის“ ჯილდო. კინოკრიტიკოსების აზრით, ქეით ბლანშეტმა დედოფლის როლი ბრწყინვალედ შეასრულა.

* 1999 წელს ჟურნალმა „ფიფლ“ ქეით ბლანშეტი პლანეტის 50 ყველაზე ლამაზ ადამიანს შორის მოიხსენია.

* 2001 წელს ქეით ბლანშეტმა ხუთ ფილმში მოასწრო გადაღება და იმავე წელს დედაც გახდა.

* ფილმში „ბეჭდების მბრძანებელი“ ქეით ბლანშეტმა ელფი გალადრიელის როლი შეასრულა. სპეციალურად ამ როლისთვის მან ელფების ენა შეისწავლა.

* ქეით ბლანშეტის აზრით, სპორტი დროის დაკარგვაა და თავად მსახიობი არც მალავს, რომ არასდროს ვარჯიშობს. ქეითის თქმით, მისი იდეალური სხეულის საიდუმლო მხოლოდ იმაშია, რომ ის ბედნიერი დედაა. ქეითის სიმაღლე 178 სანტიმეტრია, წონა კი – 65 კილოგრამი. სამივე მშობიარობის შემდეგ ქეითი ყოველგვარი დიეტისა და ვარჯიშის გარეშე ჩადგა ფორმაში. ქეით ბლანშეტი არ გამორიცხავს, რომ მეოთხე ბავშვის გაჩენის შემთხვევაში, პლასტიკურ ქირურგიას მიმართოს, რათა სხეულს ფორმა დაუბრუნოს.

* ქეით ბლანშეტი მხოლოდ იაპონურ კოსმეტიკას მოიხმარს. თუკი მას სხვადასხვა ქვეყნებში უწევს გადაღებებზე წასვლა, კოსმეტიკით სავსე ჩემოდნით მოგზაურობს.

* ფილმ „სამოთხეს“ გადაღების დროს, ქეით ბლანშეტმა თავი გადაიპარსა.

* 1997 წელს სპექტაკლ „თოლიაზე“ მუშაობისას ქეით ბლანშეტმა გაიცნო რეჟისორი და მონტაჟის რედაქტორი ენდრიუ აპტონი. იმავე წლის 27 დეკემბერს წყვილი დაქორწინდა. ქორწილი შედგა ავსტრალიის შტატ ახალ სამხრეთ უელსში, ნაციონალურ პარკ „ცისფერ მთებში.“ თავდაპირველად, ოჯახი სიდნეიში დასახლდა, შემდგომ მცირე ხანს ლონდონში ცხოვრობდნენ და საბოლოოდ, ისევ ავსტრალიაში დაბრუნდნენ. ქეითს და ენდრიუს სამი ვაჟი ჰყავთ – დეშიელ ჯონი, რომან რობერტი და იგნატიუს მარტინი.

* 2001 წელს ქეით ბლანშეტი განიხილებოდა კლარისა სტარლინგის როლის შემსრულებლად, რიდლი სკოტის ფილმში „ჰანიბალი“. თუმცა, როლი ჯულიანა მურს ხვდა წილად.

* ქეით ბლანშეტი რუსული კულტურის დიდი მოყვარულია. მისი საყვარელი სპექტაკლია ჩეხოვის „თოლია“, ხოლო ფილმებიდან ნიკიტა მიხალკოვის „დაუსრულებელი პიესა მექანიკური პიანინოსთვის“.

* 2009 წელს ავსტრალიაში გამოიცა საფოსტო მარკა, რომელზეც „ოსკაროსანი“ ავსტრალიელი მსახიობები იყვნენ გამოსახულნი: ჯეფრი რაში, ნიკოლ კიდმანი, რასელ ქროუ და ქეით ბლანშეტი.

* 2008 წლის 5 დეკემბერს ქეით ბლანშეტს გაუხსნეს ვარსკვლავი ჰოლივუდის დიდების ხეივანში.

* ქეით ბლანშეტს სცენის სიყვარული მას შემდეგ გაუჩნდა, ბავშვობაში ილუზიონისტის გამოსვლა რომ ნახა სკოლის თეატრში.

* ქეით ბლანშეტს მიღებული აქვს „ოსკარი“ ფილმ „ავიატორში“ ქეთრინ ჰეპბერნის როლის შესრულებისთვის. ეს ერთადერთი შემთხვევაა კინოისტორიაში, როცა მსახიობმა „ოსკარი“ იმ პერსონაჟის განსახიერებისთვის მიიღო, რომელსაც თავად აქვს მიღებული „ოსკარი“.

* ქეით ბლანშეტს უნდა ეთამაშა ფილმში „მისტერ და მისის სმიტები“. თუმცა, საბოლოოდ, უარი განაცხადა და ანჯელინა ჯოლის დაუთმო ასპარეზი.

* ქეით ბლანშეტის წინაპრები დედის მხრიდან საფრანგეთიდან იყვნენ.

* პიტერ ჯექსონის ბლოკბასტერში „ჰობიტი“, რომლის მეორე სერიის პრემიერა დეკემბერში შედგება, ქეით ბლანშეტი ელფ გალადრიელის როლს დაუბრუნდა. გადასაღებ მოედანზე მან სულ 8 დღე გაატარა, თუმცა მისი როლი სამ ფილმზე გაიყო.

**უშანგი რუხაძე**


ერდო ჯგუფი
როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.............................
მარიკა 599 24 28 31

# ვის ენდობოდა სტალინი ყველაზე მეტად და რა საიდუმლო გაანდო მას



ვასილ სტალინი ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვანი ადამიანებიდან, ვინც დიდი ბელადის ნდობით სარგებლობდა. უფრო მეტიც, ვასილი იყო ის ერთადერთი ადამიანი, ვისაც ბოლომდე ენდობოდა დიდი ბელადი.

ვასილს მე ომის შემდეგ დავუახლოვდი და, მას შემდეგ, რაც დიდი ბელადის პირად დაზვერვას ჩავუდექი სათავეში, თავად ვასილი მეკონტაქტებოდა და ხშირადაც მაკითხავდა ხოლმე სამსახურში. ის საკმაოდ გულღია, კარგი ადამიანი იყო, თუმცა ზოგჯერ ზედმეტის გადაკვრაც უყვარდა და ამ დროს იგი უზომოდ ბევრს ლაპარაკობდა ხოლმე. არა, მე იმას არ ვამბობ, ლაყბობდა-მეთქი, მაგრამ, რასაც ის ნასვამი ამბობდა, სიფხიზლეში ამაზე სიტყვასაც კი ვერ დააცდენინებდი. 1949 წელს, მაისის ბოლოს, ვასილს რაღაც უსიამოვნება მოუვიდა სამსახურში და ის ფრენებიდან (ვასილი სამხედრო მფრინავი იყო) დაითხოვეს პირადად მამამისის მითითების საფუძველზე. ვასილი გაღიზიანებული იყო, სმას უმატა და ერთხელ ჩემთან, სამსახურში მოვიდა. იგი საკმაოდ ნასვამი იყო, მაგრამ, უბიდან ერთი ბოთლი „სტოლიჩნაია“ ამოიღო და, დალიოთო, – შემომთავაზა. მე საერთოდ არ ვსვამდი, მით უმეტეს – სამსახურში და მას კატეგორიული უარი ვუთხარი. ვასილმა ხელი ჩაიქნია, არაყი 200-გრამიან ჭიქაში სანახევროდ ჩაასხა, „დიდ სტალინს გაუმარჯოსო“, თქვა და სულმოუთქმელად გადაკრა. ერთი სიტყვით, ვასილმა ნახევარი ბოთლი გამოცალა და მხოლოდ ამის შემდეგ ამოიდგა ენა: „მიშა, – მომმართა, – შენ კიდევ არ იცი, რა კაცის სიცოცხლეს იცავ. მე ამას იმიტომ კი არ გეუბნები, რომ ის მამაჩემია, – ვასილი გაჩუმდა, კიდევ დაისხა, გადაკრა და განაგრძო: სტალინი ყველას მამაა, მამა და მსაჯული, მათი მფარველი და მხსნელი“. ვასილი კვლავ დადუმდა, თუმცა მეტი აღარ დაულევია, თავი ხელებში ჩარგო და თვალები აუცრემლდა. შემდეგ თავი მოთოკა და განაგრძო: „შენ გგონია, მას გული არა აქვს ან ნერვები? მაგრამ, მას ასეთი ტვირთი დააკისრა განგებამ, მძიმე მისია არგუნა და ბოლომდე უნდა ზიდოს. იაკობი რომ მოკლეს (სტალინის უფროსი ვაჟიშვილი), მამამ ერთი სიცოცხლე გაათავა და ლამის გული გაუსკდა, მაგრამ, მას ამის უფლება არ ჰქონდა და არც განგებამ დაუშვა ეს“. ვასილის ამ სიტყვების გაგონებაზე ინტუიციამ რაღაც მიკარნახა და მთელი ამ შეხვედრის განმავლობაში პირველად ამოვიღე ხმა – რა განგებაზე საუბრობ, ვასია, მე ვერაფერს ვხდები-მეთქი. ვასილმა დარჩენილი სასმელი ჭიქაში დაისხა, გადაკრა და მცირედი პაუზის შემდეგ დაიწყო: „დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მამა რევოლუციონერი იყო და ცარიზმს ებრძოდა, ის ციმბირში, კერძოდ კი ტურუხანსკში გადაასახლეს“. ტურუხანსკის ხსენებაზე ჟრუანტელმა დამიარა, მაგრამ, არაფერი შემიმჩნევია, ვასილმა კი განაგრძო: „მამას ციხეში დიდხანს გაჩერება არ უყვარდა და ყოველთვის გარბოდა ხოლმე (სტალინი სხვადასხვა საპატიმროდან 17-ჯერ გაიქცა). ერთი სიტყვით, მან არც ტურუხანსკში ისურვა დიდხანს გაჩერება და პირველივე ხელსაყრელი შემთხვევისას, შუა დეკემბერში, იქიდან გაიქცა. წარმოიდგინე, ციმბირში, შუა დეკემბერში რა ამინდი იქნებოდა, თანაც, ირგვლივ ყველგან გაუვალი ტაიგაა და, თოვლსა და ყინულს თუ გადაურჩი, ნადირს მაინც ვერ გადაურჩები. მამაჩემი მიყვებოდა, რომ ყინვა ორმოცდაათ გრადუსამდე აღწევდა და, როცა გადააფურთხებდი, ძირს ყინული ეცემოდაო. ერთი სიტყვით, მამას იმ ქარბუქში გზა აერია და, იმის ნაცვლად, რომ მარხილთან (სტალინს წინასწარ დათქმულ ადგილას მარხილიანი კაცი ელოდებოდა, რომელსაც ის სამშვიდობოზე უნდა გაეყვანა) მისულიყო, სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა. მამა მიყვებოდა: „უზარმაზარ ლისტვენიცასთან რომ მივედი, ძალები თითქმის გამოცლილი მქონდა, მაგრამ, რაღაც ძალამ მიბიძგა და გზა განვაგრძე. როგორც კი ლისტვენიცას გავცდი, თითქოს ძალები ერთბაშად მომემატა, აღარც მციოდა და უფრო ენერგიულად ავმოძრავდი. უეცრად, უკან მოვიხედე და ჩემს კვალზე გამოშვებული, გაქცეულ პატიმრებზე სპეციალურად დაგეშილი ათამდე ძაღლი დავინახე, რომლებიც კუდში მომყვებოდნენ და სადაცაა დამეწეოდნენ კიდეც. პატიმრებისგან ვიცოდი, რომ ეს ძაღლები მგლებთან იყვნენ შეჯვარებულები და მათგან გაქცევა თითქმის შეუძლებელი იყო. რა უნდა მექნა, იარაღი არ მქონდა, მაგრამ, ცხვარივით ხომ არ ჩავბარდებოდი და მათთან შესახვედრად მოვემზადე. უეცრად, ჩემს ზურგს უკან რაღაც ხმაური გაისმა და მიტრიალებაც ვერ მოვასწარი, რომ უზარმაზარმა ტაიგის ვეფხვმა ჩამოირბინა და პირდაპირ გამძვინვარებული ძაღლებისკენ გაემართა, ხოლო აქეთ-იქიდან მას მგლები შემოუერთდნენ და ჩემი მდევრები თვალის დახამხამებაში დაგლიჯეს. ამის შემხედვარეს თავი სიზმარში მეგონა, მაგრამ, ყველაფერი რეალურად მოხდა და მე ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე. ვეფხვი და მგლები უკან მობრუნდნენ და ჩემკენ წამოვიდნენ, მაგრამ, შიშის ნატამალიც არ მქონია. ინსტინქტურად შევტრიალდი და გზა განვაგრძე, ნადირების ამალა კი უკან მომყვებოდა. კარგა ხნის შემდეგ პატარა მდელოზე მივედით, რომელიც, ჩემდა გასაოცრად, იმ ზამთარში მწვანე ბალახით იყო დაფარული. ვეფხვი და მგლები დაწინაურდნენ, მე კი შევჩერდი. ცოტა ხნის შემდეგ ქოხიდან კაცი გამოვიდა და სახლში შემიყვანა“. ერთი სიტყვით, მამაჩემი ტურუხანსკიდან რომ გაიქცა და გზა აერია, თურმე, ტაიკის წმინდა ადგილზე მოხვდა, სადაც, ბოროტი, არამართალი ადამიანი უეჭველად იღუპება. ამ ადგილს წმინდანი განაგებს, რომელსაც, თურმე, სხვადასხვა ნადირი ჰყავს მოთვინიერებული და მას ემსახურებიან. ისიც, როგორც მამამ მითხრა, ენით არ მეტყველებს, მაგრამ, გელაპარაკება ფიქრით და, თურმე მას ნადირთა ენაც სცოდნია. იმ კაცს მამასთვის ასეთი რამ უთქვამს: „შენ აქ უზენაესმა ძალამ მოგიყვანა, რათა მომავალი დიდი განსაცდელისთვის ძალები მოგეცეს. ორმოცი წლის შემდეგ კი კვლავ აქ დაბრუნდებიო (ეს რომ ვასილი სტალინმა მითხრა, კვლავ გამაჟრჟოლა, რადგან, გამახსენდა, თუ როგორ მივედით იმ მდელოზე 1941 წლის ივლისში, ხოლო სტალინი ტურუხანსკიდან 1901-ში გაიქცა, ანუ, 40 წლით ადრე)“. შემდეგ მამა იქ სამი დღე დარჩენილა და ამ დროის განმავლობაში ის კაცი მამას რაღაც მწვანე სითხეს ასმევდა და თან დაატარებდა ტაიგაში. როგორც მამა მიყვებოდა, თურმე, არანაირ დაღლას არ გრძნობდა და, როდესაც დასაძინებლად წვებოდა, ვიღაც ადამიანები ესიზმრებოდა, რომლებიც მას სხვადასხვა დარიგებას აძლევდნენ. „ბევრი მათი სიტყვა უკვე ხელისუფლებაში მისვლის შემდეგ ამიხდაო, – მეუბნებოდა მამა, – ტაიგიდან როგორ გამოვედი, არ მახსოვს. თუმცა, ჩვენი ერთ-ერთი თანამებრძოლის კონსპირაციულ ბინაზე რომ მივედი და ვუთხარი, ტურუხანსკიდან გავიქეცი-მეთქი, არ დაიჯერა, რადგან, მართლაც დაუჯერებელი იყო ტაიგაში 2 500 კილომეტრის უვნებლად გავლა, თანაც, შუა დეკემბერში. მამას ბოლომდე კიდევ არ უთქვამს ამ კაცთან შეხვედრის ყველა დეტალი, მაგრამ, მივხვდი, რომ მამაჩემი მასთან ზებუნებრივმა ძალამ მიიყვანა, რადგან, მას კაცობრიობის გადარჩენის მისია აკისრია“. ვასილმა რომ საუბარი დაასრულა, საათს დავხედე და უკვე საკმაოდ გვიან იყო. ამ ლაპარაკში ვასილი სრულიად გამოფხიზლდა, წასასვლელად მოემზადა და წამოდგა. მე ის კარამდე მივაცილე, უკან დავბრუნდი და ვასილის მონაყოლისა და ჩემ მიერ განცდილი შთაბეჭდილებების ანალიზს შევუდექი. აშკარა იყო, მართლაც რაღაც ზებუნებრივ (ფიზიკურ კანონებს რომ არ ემორჩილება) ისეთ ადგილას ვიყავით. არც ის იყო ტყუილი, რომ იმ ტერიტორიაზე უცნაურობები ხდებოდა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავებს, ასე მოგვეჩვენა) და იქიდან წამოსულებს დიდი ენერგია გამოგვყვა თან. არაა გამორიცხული, რომ დიდი ბელადი მართლაც რაღაც ზებუნებრივი ძალებისგან იყო ჩვენს მმართველად მოვლენილი და, თუ ეს მართლა ასეა, მაშინ ეს ძალები სიკეთეს ემსახურებოდნენ...

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# განვითარების რა ეტაპებს გადის ორსული ქალი ასტროლოგიურად და რა კავშირშია დაავადებები დაბადების თვეებთან



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
**მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

***სანამ ახალი სიცოცხლე მოევლინება ქვეყანას, ორსული ქალი გადის განვითარების რამდენიმე ეტაპს. კერძოდ, ასტროლოგიური კუთხით, ორსულობის ყოველ თვეს თავისი მფარველი პლანეტა მართავს. ამის მიხედვით, ორსულმა ქალმა უნდა იცოდეს, რომელი მოვლენა უნდა წამოწიოს წინა პლანზე და რა გაითვალისწინოს ამ ეტაპებზე. მაგალითად:***

ორსულობის **პირველ** თვეს მართავს მზე და მისი ენერგია. ამ დროს მომავალი დედა ვალდებულია, ხელი შეუწყოს ბავშვის ჰარმონიულ განვითარებას კოსმიური ენერგიებისა და მათი ზეგავლენის მიხედვით. ამ პერიოდში ორსულმა ქალმა მეტი დრო უნდა დაუთმოს მუსიკის მოსმენას, ხატვას, სიმღერას, შემოქმედებით საქმიანობას. მზის ენერგია ამ დროს ხელს უწყობს ემბრიონში ფიზიკური შესაძლებლობების ჩამოყალიბებას, მის სამომავლოდ დაინტერესებას ხელოვნებისადმი; ასევე, მუცლად ყოფნის პერიოდში, ამაღლებს მის სულიერ პოტენციალს.

ორსულობის **მეორე** თვეს მართავს მთვარე და ხდება ემბრიონის ქვეცნობიერი სამყაროს ჩამოყალიბება. უმჯობესია, ამ დროს მომავალი დედა ხშირად განმარტოვდეს, დაემალოს სხვების თვალს, რათა ნეგატიური ზეგავლენისგან დაიცვას ბავშვი და ხელი შეუწყოს მის ზრდასა და პოტენციალის განვითარებას.

**მესამე** თვე უკავშირდება მარსის პლანეტის გამოვლენას. ორსულმა ქალმა ყველაზე მეტი ყურადღება და სიფრთხილე ამ დროს უნდა გამოიჩინოს, რომ არ გაცივდეს, არ მიიღოს ტრავმები და ამით ბავშვი არ დააზიანოს.

ორსულობის **მეოთხე** თვეს პლანეტა მერკური მართავს. მომავალმა დედამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას. უნდა უყუროს შემეცნებით გადაცემებს, რომანტიკულ ფილმებს, იაროს მუზეუმებში. ამით ის გააღრმავებს ბავშვის მიდრეკილებებს ცოდნისადმი.

**მეხუთე** თვე უკავშირდება იუპიტერის ზეგავლენას. ამ დროს ბავშვზე დიდ ზემოქმედებას ახდენს დედის მოქალაქეობრივი პოზიცია. ის ამით ბავშვის მომავალ ცნობიერებას აყალიბებს.

ორსულობის **მეექვსე** თვეს მართავს ხელოვნებისა და სიყვარულის პლანეტა – ვენერა. ის უზრუნველყოფს ბავშვის ემოციებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ამ პერიოდში დედა ეზიაროს სილამაზეს, შეიძინოს ლამაზი ნივთები, უსმინოს მუსიკის ჰარმონიულ ჰანგებს, იცხოვროს კომფორტულ და ლამაზი დიზაინის მქონე ბინაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ დროს, დედის მუცელში მყოფ პატარას ყველაზე მეტად მამის ხმის ტემბრი ამახსოვრდება. ორსულობის მეექვსე თვეში ხდება მამა-შვილს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა.

**მეშვიდე** თვეს მართავს პლანეტა სატურნი. ამ დროს ბავშვი ოჯახური იდილიის შეგრძნებას იწყებს. ამიტომ ორსულმა ქალმა მეტი დრო უნდა გაატაროს ოჯახის წევრების გვერდით, მეგობრებთან, საყვარელ ადამიანებთან. საგვარეულო ზეგავლენას ბავშვი მუცლად ყოფნის სწორედ მეშვიდე თვეს შეიგრძნობს.

ორსულობის **მერვე** თვეს მართავს პლანეტა ურანი. ამ პერიოდში ქალი ხდება ცნობისმოყვარე, აინტერესებს სიახლეები, მეგობრებთან აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ურთიერთობები და ამას ბავშვიც გრძნობს.

**მეცხრე** თვეში პლანეტა ნეპტუნი ახდენს გავლენას ორსულ ქალსა და მის შვილზე. ამ დროს აუცილებელია სიახლოვე ბუნებასთან. ეს არის სიბრძნის მიღების, ინტუიციის განვითარების პერიოდი. თუმცა, ქალში ჩნდება შიშის შეგრძნება, რაც ბავშვის ფსიქიკაზე ნეგატიურად აისახება. ამიტომ, ქალმა ამისგან თავი უნდა დაიზღვიოს და მეტი დრო დაყოს ბუნებაში, მშვიდ გარემოში.

აგრეთვე, ვარსკვლავებისა და პლანეტების წამიერი განლაგება განსაზღვრავს ადამიანის ბედს მისი დაბადების მომენტში და ეს ბედი მას მთელი ცხოვრების განმავლობაში გასდევს.

ჩასახვისა და დაბადების თარიღი ბავშვის ცხოვრებაზე მართლაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამიტომაც არის საჭირო ასტროლოგიური პროგნოზის შედგენის დროს ადამიანის დაბადების ზუსტი საათისა და წუთის გათვლა. სხვათა შორის, ჩასახვის მომენტი ადამიანის ჯანმრთელობაზეც აისახება. კერძოდ:

ზაფხულსა და შემოდგომაზე მომავალი დედის ორგანიზმი ვიტამინებით, მიკროელემენტებითა და მინერალებითაა სავსე და შედარებით სუფთა ჰაერსაც ჩაისუნთქავს. ამიტომ, მეტი შანსია, ამ დროს ჩასახული ბავშვი ჯანმრთელი დაიბადოს.

ზამთარში და ადრეულ გაზაფხულზე ქალი ნაკლებ ვიტამინებს იღებს, განიცდის მზის სხივების დეფიციტს, ორგანიზმი დასუსტებულია და, ამიტომ, მეტი შანსია, ადამიანს სეზონური დეპრესია ან ვირუსული ინფექცია შეეყაროს. ყოველივე ამის ფონზე, ამ დროს ჩასახული ბავშვები შედარებით სუსტები იბადებიან.

ასტროლოგიურად თავისებური კავშირი აქვს ბავშვის გუნება-განწყობასთან მამასაც. შესაბამისად, გაზაფხულზე შედარებით მხიარული გუნების ბავშვები ისახებიან, შემოდგომით კი – მოწყენილები და ნელები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის ასაკსაც და, ასევე, მნიშვნელოვანია მომავალი დედის სწორი კვება, სიმშვიდე, სუფთა გარემო და ასე შემდეგ.

მართალია, ბუნებაში შემთხვევების უმეტესობა სპონტანურად ხდება, თუმცა, კარგი იქნება, თუ ბავშვის ჩასახვას მაინც ვარსკვლავებს „დაეკითხებით.“

ასევე, ასტროლოგებმა გამოიკვლიეს, რა კავშირია ადამიანის დაბადების თარიღსა და ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს შორის. აღმოჩნდა, რომ დეკემბერსა და იანვარში დაბადებულ ადამიანთა უმრავლესობას სასუნთქი ორგანოების დაავადებები აწუხებთ; თებერვალსა და მარტში დაბადებულებს – ეპილეფსია და შიზოფრენია, ასევე, ხშირი დეპრესიები; აპრილსა და მაისში დაბადებულებს – ანორექსია და პარკინსონი; ივნისში და ივლისში დაბადებულ ადამიანებს – ალერგია; აგვისტოში დაბადებულებს – ლეიკემია; სექტემბერსა და ოქტომბერში დაბადებულ ადამიანებს – ალკოჰოლიზმი და შიშები; ნოემბერში დაბადებულებს – ხშირი დეპრესიები და ვენების გაგანიერება.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1988 წლის 14 მაისს, დილის 6 საათიდან 7-ის ნახევრამდე. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები და წარმატების მომტანი ცხოვრებაში?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმული მისია არ არის, თუმცა, არც ცუდია. იქ გამგზავრება და ძალების მოსინჯვა ნამდვილად გიღირთ. რაც შეეხება ქვეყნებს, თქვენთვის მისაღებია: პორტუგალია, ბრაზილია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, პაკისტანი, კუნძული მალტა, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, ჩრდილო და დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, ინგლისის დასავლეთი ნაწილი, კანადა, საბერძნეთი, კუნძული სარდინია, ნორვეგია.

**კითხვა: დავიბადე 1993 წლის 19 იანვარს, ღამის 2 საათზე. რომელი პროფესიებია ჩემთვის მისაღები ასტროლოგიური კუთხით?**

**პასუხი:** თქვენთვის მისაღებია: დრამატურგია, სცენარისტობა, რეჟისურა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, აუდიო-ვიდეო სისტემები, სოციოლოგია, ავიაციის ბიზნესი, შემოქმედება, სამეცნიერო კვლევა, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, საკონსტრუქტორო-საგამომგონებლო საქმე, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, პედიატრია.

**კითხვა: დავიბადე 1982 წლის 17 იანვარს. რომელ უცხო ქვეყანაში მელის წარმატება?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კოსმიური მისია ნამდვილად არ არის, ის თქვენთვის საშუალოა. ქვეყნებიდან კი უკეთესია: ინგლისის აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, კანადა, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი მხარე, კუნძული სარდინია, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები, უელსი, ნორვეგია, იტალია, არგენტინა, ბირმა, ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი, ეგვიპტე, ტიბეტი, სანმარინო, ესპანეთის კატალონიის მხარე, მონაკო, ლატვია, ჰავაის კუნძულები, გვატემალა და ავსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1994 წლის 22 მარტს, ღამის საათებში. მაინტერესებს, რომელი პროფესიაა ჩემთვის წარმატების მომტანი მომავალში?**

**პასუხი:** პროფესიებიდან თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა, მედიცინის ფართო სპექტრი, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, სარეკლამო, საგამომცემლო საქმე, პედაგოგიური მოღვაწეობა, მთარგმნელობითი საქმე, ლინგვისტიკა, პოლიტიკის ფართო სპექტრი, მშენებლობა, საინჟინრო საქმე, სამართალდამცავი ორგანოები, უშიშროების სფერო.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

23-24 ოქტომბერი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 20.15 - **„ოპუსი 7"** - ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი" 2013 - (ბილეთის ფასი - 40 - 50 ლარი), (დიდი სცენა), დიმიტრი კრიმოვის ლაბორატორია. იდეა, კომპოზიცია და რეჟისურა - დიმიტრი კრიმოვი. მონაწილეობენ: ანა სინიაკინა, მაქსიმ მამინოვი, მეხეილ უმანეცი, სერგეი მელკონიანი, მარია გულიკი, ნატალია გორჩაკოვა, ვარვარა ვოეცკოვა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26-27 ოქტომბერი, **შაბათი-კვირა** 20.15 - **„ონორე დე ბალზაკი"** - ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი" 2013 - (ბილეთის ფასი - 40 - 50 ლარი), (დიდი სცენა), დიმიტრი კრიმოვის ლაბორატორია. იდეა, კომპოზიცია და რეჟისურა - დიმიტრი კრიმოვი. მონაწილეობენ: მარია სმოლნიკოვა, ქრისტინა პივნევა, ვერონიკა ტიმოფეევა, ვადიმ დუბროვინი, ალექსანდრე ანუროვი, მიხეილ უმანეცი, მაქსიმ მამინოვი, ევგენი სტარცევი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

22 ოქტომბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„პიგმალიონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, აკაკი ხიდაშელი, გივი ჩუგუაშვილი, გივი ბერიკაშვილი, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, თეონა ქოქრაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

22 ოქტომბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„სილამაზის დედოფალი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი: გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გომართელი, ირაკლი ჩოლოყაშვილი, პაატა პაპუაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

23 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა;

23 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ექსტრავაგანსა"** - თითების თეატრი - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: ზაალ კაკაბაძე, თეონა მალალაშვილი, გიორგი მებალიშვილი, ელენე ფირცხალავა, თინათინ წულაძე. ***ხანგრძლივობა: 55 წუთი.***

24 ოქტომბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„დეკამერონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, ირმა ბერიანიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ბაია დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნიკა კუჭავა, მარლენ ეგუტია, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 3სთ. 15წთ;***

24 ოქტომბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები"** - სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი: გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ნინო შავგულიძე, მერაბ ბრეკაშვილი, მარინა სოლომონია, ნუგზარ წერედიანი;

25 ოქტომბერი, **პარასკევი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

25 ოქტომბერი, **პარასკევი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვარლამ კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 ოქტომბერი, **შაბათი** 20.00 - **„ბრონჰოლმის მეთოდი"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

27 ოქტომბერი, **კვირა** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

22 ოქტომბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

23 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

24 ოქტომბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ვიზიტი ფსიქოლოგთან"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: ეკა შარიქაძე, მაია დობორჯგინიძე, თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: მაია ხორნაული, გიორგი ჯიქია, ნათია კვაშალი, შაკო მირიანაშვილი, სალომე ჭულუხაძე, გიორგი მარშანია, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 ოქტომბერი, **პარასკევი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 ოქტომბერი, **შაბათი** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

27 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

## თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164.**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

21 ოქტომბერი, **ორშაბათი** 14.00 - **„ქალი და მამაკაცი"** - ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი" - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: გურამ ლალიაშვილი, ილია ჭეიშვილი, თამრი ბზიავა, გაგი შენგელია, ნუცა მჭედლიშვილი, ნინი კვასხვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

21 ოქტომბერი, **ორშაბათი** 20.15 - **„ჟირაფის სიკვდილი"** - ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი" 2013 - დიმიტრი კრიმოვის ლაბორატორია. მოსკოვი, რუსეთი - (ბილეთის ფასი - 30 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი კრიმოვი. მონაწილეობენ: ინა სუხარეცკაია, ირინა დენისოვა, ნატალია გორჩაკოვა, მარია სმოლნიკოვა, მიხეილ უმანეცი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 ოქტომბერი, **პარასკევი** 14.00 - **„დუპლეტი"** - ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი" - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატული თეატრი. რეჟისორი: კოტე აბაშიძე. მონაწილეობენ: დავით როინიშვილი, ზვიად სვანაძე, ელზა სულაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 ოქტომბერი, **კვირა** 14.00 - **„ბალადა ვეფხვისა და მოყმისა"** - ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი" - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე. მონაწილეობენ: მზია არაბული, გუგა კახიანი, ნათია მეტრეველი, ანა ნიკოლაიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292-38-70, 299-61-71.**

21 ოქტომბერი, **ორშაბათი** 20.00 - **„სტრიპტიზი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნიკა თავაძე. მონაწილეობენ: პაატა ინაური, დათა თავაძე ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

23 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ლივ შტაინი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნინო ხარატიშვილი. მონაწილეობენ: ნინო ბურდული, გია ბურჯანაძე, თამარ მამულაშვილი, კატო კალატოზიშვილი, იაკო ჭილაია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

26 ოქტომბერი, **შაბათი** 20.00 - **„ტროელი ქალები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: ნატუკა კახიძე, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

24-25-26-27 ოქტომბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„სიყვარულისთვის"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), დამდგმელი ქორეოგრაფი: თინათინ ქოიავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. თელ.: 262-59-73, 262-61-97.**

25 ოქტომბერი, **პარასკევი** 19.00 - **„წარღვნა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ გაჩავა. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, ალეკო ალავიძე, ვასილ შიხაშვილი, ანდრო სარიშვილი, ანა მატუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

26 ოქტომბერი, **შაბათი** 19.00 - **„გასროლა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

## თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1.**
**ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

22, 25 ოქტომბერი, **სამშაბათი, პარასკევი** 15.00 - **„ჭინჭრაქა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გოგა ქაჩიბაია. ***ხანგრძლივობა: 90 წუთი;***

25 ოქტომბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ზამთრის სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 ოქტომბერი, **შაბათი** 13.00 - **„სათაგური"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ.;***

26 ოქტომბერი, **შაბათი** 19.00 - **„ირინეს ბედნიერება"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

## გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90.**

24, 27 ოქტომბერი, **ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

25 ოქტომბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

26 ოქტომბერი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## ორშაბათი 21 ოქტომბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"კუზიანი"** (ჟ.მარე) **17.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **18.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.20** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **23.20** მხ/ფ **"ძვირფასი მეგობრები"** (ა.ვილაჯო) **01.30** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფულთან თამაში (**05.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა — პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **00.20** მხ/ფ **"ოჯახის ღირსება"** (კ.ტერნერი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ქალა"** **11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** ვანოს შოუ (პარასკევის **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **22.00** ნიჭიერი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **29 02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** (გამ) . **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.). **16.00 სერიალი "რთული გზა". 17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ **"გაზაფხული გადის"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.15** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ქალაქი ანარა"** **13.20** ქართული მულტფილმი **13.40** დოკ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.25** სპექტაკლი **"ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი"** **17.10** კონცერტი - ელისო ვირსალაძე და ნატალია გუტმანი I ნაწ. **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"უღმერთოთა ღამე"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.30** მოკ/ფ **"ახალგაზრდა სიყვარული"**,**"კარუსელი"** (რეჟ.მიხეილ კობახიძე) **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. V **23.40** დოკ/ფ "სტუმრად თუშებთან" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"მე ბებია ილიკო და ილარიონი"**

## სამშაბათი 22 ოქტომბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ბინგო ბონგო"** (ა.ჩელენტანო) **17.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **18.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **19.05** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **19.30** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი (პ/რ) **00.40** მხ/ფ **"ესროლე"** (მ.ბელუჩი).

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კონცერტი:"პაემანი ვერაზე – გიზო ნიშნიანიძე" **1** ნაწ. (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ **"შუაღამე პარიზში"** (რ.მაკადამსი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ქალა"** **11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. **01.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა". 12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) . **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "სტუმრად თუშებთან" **06.25** მხ/ფ **"მე ბებია ილიკო და ილარიონი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. V **11.05** დოკ/ფ "ჯავახეთის გაზაფხული" **11.15** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"უღმერთოთა ღამე"** **13.30** ქართული მულტფილმი **14.00** დოკ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" **14.45, 23.50** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი - ელისო ვირსალაძე და ნატალია გუტმანი II ნაწ. **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** მოკ/ფ **"ქოლგა"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.30** ირაო **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"არსენას ლექსი"** I ნაწ. **02.00** ნიამორი.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**21 – 27 ოქტომბერი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„მანდარინები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წთ.;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.45, 17.15, 20.00, 22.15 - **„გრძელი ნათელი დღეები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 45წთ.;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„თვითმფრინავები"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წთ.;*

20.00 - **„გრძელი ნათელი დღეები"**. *ხანგრძლივობა 1სთ. 45წთ.;*

22.30 - **„ჯობსი"**, *ხანგრძლივობა 2სთ. 05წთ.;*

*დარბაზი 4*

12.15 - **„საზიზღარი მე 2"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 45წთ.;*

14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„გრავიტაცია"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წთ.;*

*დარბაზი 5*

12.15, 14.30, 17.30, 20.00, 22.30 - **„ასტრალი 2"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 45წთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.00 - **„თვითმფრინავები"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წთ.;*

15.50 17.50, 20.00, 22.30 - **„მანდარინები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წთ.;*

*მცირე დარბაზი*

12.00 - **„საზიზღარი მე 2"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 45წთ.;*

14.00, 16.00 - **„გრავიტაცია"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წთ.;*

18.00 - **„ცისფერთვალება ჟასმინი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 45წთ.;*

20.00, 22.30 - **„ჯობსი"**, *ხანგრძლივობა 2სთ. 05წთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი ბზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ფარში სოკოთი















**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი შერეული ფარში (ღორის და ძროხის ხორცის), 500 გრამი ქამა სოკო (ნედლი), 1-2 თავი ხახვი, 1 კვერცხი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სოკო გაარჩიეთ და დაჭერით, მოხრაკეთ ცხელ ტაფაზე, დაუმატეთ რგოლებად დაჭრილი ხახვი. ფარშს უყავით მარილი, პილპილი, 1 კვერცხი. კარგად აურიეთ და აზილეთ. წყლით დაასველეთ ცელოფანი (საკვები პროდუქტებისთვის) და გაშალეთ მასზე ფარში 0,5 სანტიმეტრის სისქეზე. ზემოდან მოათავსეთ სოკო და ცელოფანის დახმარებით აკურატულად გადაახვიეთ, როგორც რულეტი. მოაშორეთ ცელოფანი და გადაიტანეთ გამოსაცხობ ტაფაზე. თუ ხელებს წინასწარ დაისველებთ, არ გაგიჭირდებათ. გამოაცხვეთ 30 წუთის განმავლობაში 180-200 გრადუს ტემპერატურაზე. გასაოცრად არომატული და ნოყიერია!

# კომბოსტოს მსუბუქი სალათა







**საჭირო ინგრედიენტები** (ოთხი პერსონისთვის): ერთი თავი კომბოსტო (დაახლოებით – 400 გრამი), 2 ცალი კვერცხი, 1 კონა კამა, მარილი და მაიონეზი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კომბოსტო ძალიან წვრილად ჩაჭერით სასალათეში. ჩაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი კამა, ნახევარრგოლებად დაჭრილი მოხარშული კვერცხი, მოაყარეთ ცოტა მარილი და დაუმატეთ მაიონეზი. ყველაფერი აურიეთ და მზად არის.

# საყვარელი სალათა








**საჭირო ინგრედიენტები:** შავი პურის „სუხარიკები“, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი (სიმინდისაც შეიძლება), 400 გრამი ლორი, 1 თავი ხახვი, 3 ცალი პომიდორი, 3 ცალი კვერცხი, 280 გრამი მაგაერი ყველი, მაიონეზი.

**მომზადების წესი:** თუ პურის მზა „სუხარიკები“ არ გაქვთ, შავი პური დაჭერით კუბიკებად და მოხრაკეთ ზეთში.

კვერცხი მოხარშეთ. ყველა ინგრედიენტი დაჭერით კუბიკებად. პომიდორს მოაშორეთ შიგთავსი (თესლი) და დაჭერით.

ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად. ყველა ინგრედიენტი მოათავსეთ სასალათეში, მოასხით მაიონეზი და აურიეთ. სალათას „სუხარიკები“ მოაყარეთ ბოლოს, სუფრასთან მიტანის წინ – რომ არ დალბეს.

# ᲮᲐᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲑᲝᲡᲢᲝᲡ ᲦᲕᲔᲖᲔᲚᲘ










**ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲜᲒᲠᲔᲓᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ:** 500 გრამი ნახევრადფენოვანი ცომი, 300 გრამი კომბოსტო, 150-200 გრამი მშრალი ხაჭო, 4 ცალი კვერცხი (2 ცალი – მოხარშული, 2 ცალი – უმი), 100 გრამი მაგარი ყველი, 100 გრამი არაჟანი, კამა, ოხრახუში, პილპილი, თითო ჩაის კოვზი მარილი და შაქარი.

**ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ:** მოშუშეთ ზეთში წვრილად დაჭრილი კომბოსტო დარბილებამდე. შეგიძლიათ, ოდნავ ხრაშუნაც დატოვოთ. გადმოდგით ცეცხლიდან. უყავით მარილი, პილპილი (გემოვნებით), შაქარი, შეურიეთ ხაჭო, წვრილად დაჭრილი მოხარშული კვერცხი, მწვანილი. აურიეთ და მოასხით ცოტა არაჟანიც.

ცომი გააბრტყელეთ ფორმაში. თუ ფორმა იკრავს, ქვეშ ფოლგა ან გამოსაცხობი ქაღალდი გაუფინეთ. წაუსვით ზეთი. კომფორტულია რულეტივით დახვეული, მზა ცომი, რომელიც მარკეტებში იყიდება. თუ ცომი დიდია, ნაპირები ჩამოაჭერით, დაჭერით სამკუთხედებად, მოაყარეთ შაქარი და გამოაცხვეთ საშუალო სიძლიერის ცეცხლზე. უგემრიელესია ჩაისთან.

ფორმა მოათავსეთ 200 გრადუსამდე გაცხელებულ აირღუმელში 10 წუთით. გამოიღეთ, გააციეთ. ფირფიტაზე გადაიტანეთ უკვე შეზავებული ჩაშუშული კომბოსტო. მოასხით ზედ ერთად კარგად ათქვეფილი არაჟანი და კვერცხი. მოაყარეთ დაფხვნილი ყველი და ისევ შეაბრუნეთ აირღუმელში. 20, მაქსიმუმ, 25 წუთის შემდეგ, მზად იქნება.

ცხელი არ დაჭრათ.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# თევზი „პაპილოტი“

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ნაჭერი ორაგულის ფილე, 1 სადილის კოვზი კაპარი, 2 ნაჭერი ლიმონი, 2 ცალი პომიდორი, 2 სადილის კოვზი მოხარშული ბარდა, 2 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 სადილის კოვზი თეთრი მშრალი ღვინო, მწიკვი მარილი, 2 ღერი რეჰანი, პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ფოლგას მოაყარეთ მარილი და პილპილი, წაუსვით ზეთი და ზედ მოათავსეთ თევზის ნაჭერი რეჰანის ფოთლებთან ერთად. დაუმატეთ ლიმონი, პომიდორი, ბარდა, ღვინო და კაპარი. პროდუქტები ფოლგაში გაახვიეთ და 250 გრადუსზე გახურებულ ღუმელში შედგით. 10 წუთში მზად არის.



# ქათმის შნიცელი



**საჭირო ინგრედიენტები:** 3 სადილის კოვზი პურის ფქვილი, 1 ჩაის კოვზი გამშრალი, დაფხვნილი რეჰანი, 1/4 ჩაის კოვზი მარილი, 1/4 ჩაის კოვზი პილპილი, 4 ნაჭერი ქათმის ფილე, 0,5 ჭიქა ზეითუნის ზეთი, 0,5 ჭიქა საფანელი, 1 ცალი კვერცხი.

**მომზადების წესი:** ფქვილი, პილპილი, მარილი, საფანელი და რეჰანი ერთმანეთში აურიეთ. ქათმის ფილეს ნაჭრები დაბეგვეთ და ამოავლეთ ჯერ გათქვეფილ კვერცხში, შემდეგ კი – საფანელიან ნარევში. ტაფაზე დაასხით ზეთი და გააცხელეთ. დააწყვეთ ქათმის ხორცის ნაჭრები და ორივე მხრიდან შეწვით საშუალო ტემპერატურაზე.

# კაპუჩინოს ჟელე

**საჭირო ინგრედიენტები:** 5 პატარა შეკვრა ჟელატინი, 600 მილილიტრი მაგარი, გადაწურული ყავა, 100 გრამი ყავისფერი შაქარი, 4 სადილის კოვზი ლიქიორი, ათქვეფილი ნაღები, შოკოლადის „ღილები“ – მოსართავად.

**მომზადების წესი:** ჟელატინს დაასხით 150 მილილიტრი ყავა და დაალბეთ. შემდეგ დაუმატეთ კიდევ 150 მილილიტრი ყავა და შაქარი. მასა დაბალ ცეცხლზე გაადნეთ და ურიეთ, სანამ ბოლომდე გაიხსნება. დარჩენილი ყავა გადაურიეთ ლიქიორში, შეურიეთ გაცივებული ჟელატინის მასას, გადაანაწილეთ ფორმებში და გააცივეთ. დესერტი სუფრაზე მიტანის წინ მორთეთ ათქვეფილი ნაღებით და შოკოლადის ღილებით.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 23 ოქტომბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ვინეტუ -I"** **17.00** დ/ფ "თანამედროვე იარაღი" **18.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **19.05** "მეხსიერება" **19.30** "ჩვენი ეზო" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი (პ/რ) **00.40** მხ/ფ **"სუინი თოდი:წყეული დალაქი ფლით სტრიტიდან"** (ჯ.დეპი).

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ღამის შოუ (**06.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) **00.00** მხ/ფ **"შოპაჰოლიკი"** (ჰ.დენსი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. **01.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.).

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) . **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00** თოქ-შოუ "არგუმენტები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** ნიამორი **07.05** მხ/ფ **"არსენას ლექსი"** Iნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **10.10** ჩვენი ფონდი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ/ფ **"ქოლგა"** **13.10** დოკ/ფ "მესაზღვრე ბერები" **14.45, 21.55** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - საქართველო სახელმწიფო საგუნდო კაპელა **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ალყა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"არსენას ლექსი"** II ნაწ. **02.00** ნიამორი.

## ხუთშაბათი 24 ოქტომბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"პროფესიონალი" პროფესიონალებს შორის"** (ჟან-პოლ ბელმონდო) **17.00** დ/ფ "სამხედრი საზღვაო შეიარაღება" **18.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **19.05** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.20** "უცნობი მუსიკა" **00.20** მხ/დოკ/ფ **" ჰაჯი მურატი – ფილმი რომელიც არ დაიდგა"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.55** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ. **14.40, 15.05** კაცების შოუ **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** (გ/ჩ) **01.00** მხ/ფ **"ფლამანდიური დაფა"** (ჯ.ვუდი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ნათია და ნათია"** **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **22.00** პროფილი (**1** სარეკლამო ჭრა) **00.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.).

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ). **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** ნიამორი **07.05** მხ/ფ **"არსენას ლექსი"** II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი" **11.20, 14.45** ფოტოგალერეა **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ალყა"** **13.25** ქართული მულტფილმი **13.55** დოკ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან"**14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი -ანს. "ერისიონი" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"სინემა"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** დოკ/ფ "მტკიცედ და ერთად" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ზღვარზე" გად. II **23.40** ჩვენი ფონდი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"გლახის ნაამბობი"**.

## პარასკევი 25 ოქტომბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ბუმი-2"** (ს.მარსო) **17.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **18.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **19.05** "შეხვედრები მცხეთაში" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) **23.15** მხ/ფ **"საგანგებო ექსტრადიცია"** (რ.უიზერსპუნტი).

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.55** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40** იმედის გმირები (**06.10.13** გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** თოქ შოუ — ღია ეთერი (პ/ე) **00.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** (გ/ჩ) **01.00** მხ/ფ **"გრინსტრითელი ხულიგნები"** (კ.ფორლანი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ."**ბრაზილიის გამზი-რი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 17.00 სერ. "**ნათია და ნათია**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი). 7.40 მულტფილმი სონიკ- ს 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა. 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.15, 16.00 **სერიალი "რთული გზა"**. 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აზები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.).

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვი-დგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზ-აურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მხ/ფ "**გლახის ნაამბობი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "მტკიცედ და ერთად" 11.00 "ზღვარზე" გად. II 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**სინემა**" 13.20 ქართული მულტფილმი 13.40 დოკ/ფ "მთასაყდარი" 14.00 დოკ/ფ "აკაკი" 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუ-მარი 15.35 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.00 კონცერტი -ანს. "მთიები" 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" 18.40 ძველი აღთ-ქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**სანამ წვიმა გადივლი-დეს**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობ-ლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ "**ქრისტინე**" 00.30 განთი-ადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**აბეზარა**".

## შაბათი 26 ოქტომბერი

08.00 საბ/ფ "**ვილის გათავისუფლება**" 10.00 "პეპე და მეგობრები" 11.00 საბ.ან/სერ "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 კონცერტი: "გალობანი სინანულისანი" – დ. ევგენიძე" ვ. მაჭავარიანი 14.10 მხ/ფ "**ოსტინ პაუერსი გოლდმემბერი**" 16.30 ქართ. მხ/ფ "**ხარება და გოგია**" 18.00 "ეტალონი" 19.00 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 19.30 "გურმანია" 21.00 "სოციალური თოქ შოუ" 22.20 "წითელი ზონა" 23.20 მხ/ფ "**მდევარი**" 01.30 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები".

08.00 ან/ფ "ავატარი" 09.00 მხ/ფ "**კადეტი კელი**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ეკოვიზია 12.00 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" 13.00 სერ."**ჰანა მონტანა**" 14.30 ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) 17.50, 19.05 სერ. "**უდანაშაულო**" 20.55 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 23.00 კაცების შოუ 00.00 სერ."**კა-მორას კლანი**" 01.00 მხ/ფ "**სისხლიანი შოუ**" (კ.მილერი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 09.00 მხ/ფ 11.00 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები. 15.30 "ნანუკას შოუ". გ/ჩ 18.50 გააცინე და მოიგე. 20.00 სერ. "**ნათია და ნათია**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 23.00 რა? სად? როდის? 00.00 პოკერი 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი.

7.00, 0.00, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტრონი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"**. 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე".

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 დოკ/ფ "ანტიკური ქალაქები" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05 ერთსულოვნების ვერნი-საჟი 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**სანამ წვიმა გადივლიდეს**" 13.30 მოკ/ფ "**ქრისტინე**" 14.05 ღია აუდი-ტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა "**დონ ჟუანი**" (მაყვალა ქასრაშვილი) 18.10 საქართველოს ქალაქები 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყე-ნებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსუ-ლოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 "თვენი" -წმინდა ანტონ ჭყონდიდელი 22.40 დოკ/ფ "ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ "**ოქროს ტბასთან**".

## კვირა 27 ოქტომბერი

08.00 "ეტალონი" 09.00 "მოამბე" საგანგებო რეჟიმით 13.00 "სამოთხის ვაშლები" 20.00 "მოამბე" 21.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 ქართ. მხ/ფ "**ხარება და გოგია**" 00.30 მხ/ფ "**ტროა**" (ბ.პიტი).

08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 08.05, 09.10, 10.05 მხ/ფ "**ასტერიქსი და ობელიქსი ცეზარის წინააღმდეგ**" 11.15 ბასტი ბუბუ 12.05 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 13.05 სერ."**ჰანა მონტანა**" 14.30, 15.05, 16.05 მხ/ფ "**ქორწილის ორგანიზატორი**" 17.40 იმედის გმირები 18.05, 19.05 ცეკვავენ ვარსკვლავები (24.10.13 გ/ჩ) 20.55 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 00.00 სერ."**კამორას კლანი**" 01.00 მხ/ფ "**იტალი-ური ისტორია**" (ა.ბონი) (ტიტ.).

08.00 კურიერის დაიჯესტი 09.00 მხ/ფ 11.00 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 შერეკილები. 14.00 ეკი ვოკი. 15.30 ნიჭიერი - გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 სერ. "**ნათია და ნათია**" 21.00 P.S. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 23.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 "ფარული კამერა" 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 3.15 ახალი ამბები 8.05, 9.05 მულტფილმი "ტრონი" (გამ) 9.30, 10.05, 11.05, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.10, 19.00, 0.30 **სერიალი "ასი"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55 კვირის აზრები 20.00, 22.00 თოქ-შოუ "საპრეზიდენტო არჩევნები" 0.00 ახალი ამბები (პირდაპირი) 1.15, 6.00 **სერიალი "სკანდალი"** 2.15 საპრე-ზიდენტო არჩევნები -2013 ნაწ.1 4.00 საპრეზიდენტო არჩევ-ნები -2013 ნაწ.2.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 საქართველოს ქალაქები 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ტრაპეზი 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**კაპიტნები**" 13.15 ქრისტიანული ხელოვნება 14.00 მოკ/ფ "**ახალგაზრდა სიყვარული**","**კარუსელი**" (რეჟ.მიხეილ კობა-ხიძე) 14.20 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.25 მხ/ფ "**ცისფერი მთები**" 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.30 მხ/ფ "**გზა**".

## ვერძი



თავს ენერგიულად იგრძნობთ, თუმცა, ხშირად შეგეცვლებათ გუნება-განწყობა. მეტი იმოქმედეთ, რათა შემოსავალი გაზარდოთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. კარგია სასიყვარულო ურთიერთობები, დასვენება და გართობა. ეს პერიოდი, ასევე, ხელს შეგიწყობთ, მოაგვაროთ საოჯახო ურთიერთობები.

## კურო



გაძლიერდება თქვენი ფსიქოსომატური მდგომარეობა. საქმეში ორიგინალური მეთოდები გამოიყენეთ. პირად ურთიერთობებში, შესაძლოა, საყვარელი ადამიანის მხრიდან სიცივე იგრძნოთ, მაგრამ, ეს დროებითია. პროფილაქტიკის მიზნით კარგია ექიმებთან კონსულტაცია და მკურნალობის ჩატარება.

## ტყუპები



თავს სანაქებოდ იგრძნობთ და მოგინდებათ ახალი მწვერვალების დაპყრობა. იყავით მეტად დიპლომატიური. თქვენი მომხიბვლელობის წინაშე ამ პერიოდში გულგრილი ვერავინ დარჩება. კარგია დამატებითი ცოდნის მიღება. არ გირჩევთ დრო გართობასა და ფლირტზე დახარჯოთ, ჯობია ის სწორად გადაანაწილოთ.

## კირჩხიბი



პროფესიონალურ სფეროში წარმატების მისაღწევად იმოქმედეთ დამოუკიდებლად. მატერიალური მდგომარეობა სტაბილური იქნება, რაც თქვენს გუნება-განწყობაზე დადებითად აისახება. არ გირჩევთ უცხოელებთან კონტაქტს. ეცადეთ არ გადატვირთოთ ორგანიზმი.

## ლომი



ბევრ ყურადღებას მოგთხოვთ როგორც საქმიანი, ასევე, საოჯახო და პარტნიორული ურთიერთობები, სადაც მოგიწევთ თქვენი პოზიციების გამყარება. იყავით მეტად აქტიური. ჯობია, რთული საქმეები დამოუკიდებლად არ შეასრულოთ. არსებობს კარიერაში წინსვლის დიდი ალბათობა. სასიყვარულო შეხვედრები კი სიამოვნებას მოგანიჭებთ.

## ქალწული



გაგიადვილდებათ საქმეების რეალიზება პარტნიორების დახმარებით. მეტად მოუსმინეთ ინტუიციას. გაიზრდება კონტაქტებისა და გადაადგილებების რიცხვი. გარკვეული დრო დაუთმეთ მშობლებთან ურთიერთობას. სასიყვარულო საქმეებში კი მოერიდეთ ზედმეტი ემოციის გამოვლენას.

## სასწორი



კარგი გუნება-განწყობა და ჯანმრთელობის მდგომარეობა დაგეხმარებათ ძველი საქმეების დასრულებასა და სამომავლო გეგმების დასახვაში. რჩევები ჰკითხეთ ჭკვიან ადამიანებს. სასიყვარულო ურთიერთობაში იყავით მეტად მეგობრული. არ გირჩევთ მოგზაურობას.

## მორიელი



მეტად უსმინეთ შინაგან ხმას და დრო უქმად არ დახარჯოთ. სამსახურში ნუ გექნებათ სწრაფი წარმატების იმედი. ახალი ნაცნობობა მოგვიანებით კარგ მეგობრობაში გადაიზრდება. მოიმატებს სასიყვარულო კავშირებისა და შეხვედრების რაოდენობაც. კარგია მოგზაურობა.

## მშვილდოსანი



სირთულეებია მოსალოდნელი გარშემო მყოფებთან და ახლობლებთან ურთიერთობებში. მოერიდეთ კრიტიკასა და სხვების გაქილიკებას. ეცადეთ ნაკლები ურთიერთობა გქონდეთ უცნობებთან. ნუ იეჭვიანებთ საყვარელ ადამიანზე. დასვენება დადებითად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე.

## თხის რქა



ადვილად მიიზიდავთ გარშემო მყოფთა ყურადღებას. შეხვედრები და გადაადგილებები ახალი კავშირების დამყარებაში დაგეხმარებათ. გააკონტროლეთ ემოციები ოჯახში და საყვარელ ადამიანს მეტად დაუდექით გვერდში. კარგია იმიჯის შეცვლა და ჯანმრთელობის გაკაჟება ვარჯიშებით.

## მერწყული



პროფესიონალურ და პირად ცხოვრებაში მოსალოდნელია წინსვლა. თუმცა, გირჩევთ, პერიოდულად განმარტოვდეთ და დაისვენოთ, რათა თქვენი ნერვული სისტემა არ დაიძაბოს. ეცადეთ, იყოთ უკონფლიქტო და არ გაამძაფროთ მოვლენები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

## თევზები



მოგინდებათ პირადი ცხოვრების გახალისება, ამის საშუალებას კი საყვარელი ადამიანი არ მოგცემთ თავისი მოუცლელობის გამო. იზრუნეთ იმიჯის დახვეწასა და შეცვლაზე. ფინანსურ საკითხებში მცირეოდენი რისკი გამართლებულია. დაძაბულობა ცუდად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე, ამიტომ, დროდადრო დაისვენეთ.

**ახალმთვარეობა – 3 ნოემბერი, 12 სთ: 47 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

## ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

არ გირჩევთ მოლაპარაკებებს, რადგან ამ მხრივ სირთულეებია მოსალოდნელი. მიუტევეთ სხვებს – ეს დღე კარგია ამისთვის. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი, მწვანე ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ტოპაზი, ნეფრიტი ან ჰელიოტროპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია სასიყვარულო შეხვედრები და ურთიერთობები, ახალი ნაცნობობა, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სასუნთქი ორგანოები, ხელები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

## სამშაბათი

მოერიდეთ ფულის ვალში გაცემას, სესხის აღებას. აკონტროლეთ სულსწრაფობა, უყაირათობა. მოიმატებს ცდუნებების, მოტყუებისა და ინტრიგების ალბათობა. მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობასა და გარეგნობის მოწესრიგებას. მოერიდეთ თმის შეჭრას. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ვერცხლისფერი, ჩალისფერი, ცისფერი ან იასამნისფერი სამოსი, ქვებიდან კი – ტოპაზი, ლაბრადორი, ჯესპილიტი, ამაზონიტი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია სამეცნიერო კვლევა, მშენებლობა, საბანკო ოპერაციები. სუსტდება ბრონქები, ფილტვები, მხრები, ხელები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

## ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გამახვილდება ინტუიცია და ვნება. მოერიდეთ ეჭვიანობას. დაეხმარეთ სხვებს. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, იასამნისფერი, ცისფერი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ჟადეიტი, წითელი იასპი, ქარვა ან საფირონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია კონტაქტები, მოლაპარაკებები, სავაჭრო გარიგებები, მშენებლობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ხელები, მხრები, ბრონქები, ფილტვები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

## ხუთშაბათი

მოერიდეთ ხანგრძლივი პროექტების დაგეგმვას. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, ვაჭრობა, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობები, სასამართლო პროცესების დაწყება. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, იისფერი, ცისფერი ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ოპალი, აქატი, ამეთვისტო ან ყვითელი იასპი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. გაითვალისწინეთ თქვენამდე მოსული დღევანდელი ინფორმაცია. არ ვარგა სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

## პარასკევი

გართულდება გეგმების რეალიზება. მოერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. აკონტროლეთ ემოციები. ატარეთ თეთრი, ვერცხლისფერი, მწვანე, იისფერი, ნაცრისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მარგალიტი, ამეთვისტო, მწვანე იასპი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. კარგად გადაამოწმეთ საბუთები, სანამ მათ ხელს მოაწერთ. კარგია ვაჭრობა, სასამართლო პროცესების დაწყება, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

## შაბათი

იყავით თვითკრიტიკული. ნუ ილაპარაკებთ ზედმეტს. აკონტროლეთ ემოციები და წყენა. გამახვილდება ინტუიცია და შემოქმედებითი ნიჭი. კარგია მონანიება და პატიება. მოერიდეთ თმის შეჭრას. ატარეთ მწვანე, თეთრი, ვერცხლისფერი, იისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მარგალიტი, მარჯანი, მალაქიტი ან ოპალი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, სახლის მშენებლობის დაწყება, სესხის აღება. კარგია ხელოვნებასთან ურთიერთობა. სუსტდება კუჭი, მკერდი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

## კვირა
### გეომაგნიტური დღე

პრობლემების გადაწყვეტის დღეა. ადვილად დაიძვრენთ თავს კრიტიკული სიტუაციებიდან. მეტი ყურადღება დაუთმეთ საკუთარ თავს. აკონტროლეთ სულსწრაფობა და უყაირათობა. ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. მეტი დრო გაატარეთ ოჯახში. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ოქროსფერი, ლურჯი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ჩალისფერი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, მთის ბროლი ან სარდიონი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას, ფინანსურ გარიგებებს. კარგია გართობა, თმის შეჭრა, მშენებლობის დაწყება. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ქვენიფნეველი

**ქვენიფნეველები** ფეოდალური საგვარეულოა. ისინი ცხრაზმისხევის (რომელიც ქსნის ხეობის ნაწილია) ფეოდალები ყოფილან. საგვარეულოს დამფუძნებელი, ქსნის ერისთავთა საგვარეულო „ძეგლ ერისთავთა“ ცნობით, იყო როსტომ **ბიბილური**. მეექვსე საუკუნეში როსტომს ცხრაზმისხევში სამფლობელოდ მიუღია **ქვენიფნევი**, რის შედეგად მის გვარიშვილებს ეწოდათ **ქვენიფნეველები**. სახელი **ქვენიფნეველი ბიბილურებში** მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებამდე გვხვდება.

1721 წელს იესე სოლოღაშვილთან მონასტერში მოიხსენიება ქიტია **ბიბილური.**

მთიულეთში არის სოფელი **ბიბილიანი.**

ამავე ძირისაა გვარები: **ბიბილაური, ბიბილაშვილი, ბიბილურიძე, ბიბილაია.**

საქართველოში 865 **ბიბილური** ცხოვრობს: თბილისში – 301, გორში – 298, ბორჯომში – 68. არიან სხვაგანაც.

### ახვერდაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ახვერდა**, რაც თურქულიდან ქართულად ღვთის ნაბოძებს ნიშნავს.

მზეჭაბუკ ჯავახიშვილის ყმების, ხოვლელებისადმი მიცემულ არზაში მოიხსენიება **ახვერდა.**

საქარტველოში 261 **ახვერდაშვილი** ცხოვრობს: საგარეჯოში – 93, თბილისში – 63, თელავში – 47. არიან სხვაგანაც.

### ბაზიერაშვილი

გვარის ფუძეა საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვა **ბაზიერი**, რაც ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშავ მწვრთნელსა და ყურისმგდებელს ნიშნავს.

1721 წლის, აღწერაში მოხსენიებულია ყაფლანიშვილების მემამულე გიორგი **ბაზიერაშვილი**, რომელიც ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სოფელ ქციაში.

საქართველოში 108 **ბაზიერაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 74, თბილისში – 29, გურჯაანში – 5.

### წითელაშვილი-წითლაძე-წითელაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **წითელა**.

1721 წელს მოიხსენიება როსტომა და გუგუნა ნამანგლელიშვილების ყმა გიორგი **წითელაშვილი.**

ამ ფუძითაა წარმოქმნილი შემდეგი გვარები: **წითლაძე, წითელაძე.**

მსგავსად წარმოქმნილი გვარებია: შავაძე, შავიანიძე, შავიშვილი, შავიძე, თეთრაშვილი, თეთრაული, თეთრაძე.

საქართველოში 402 **წითელაშვილი** ცხოვრობს: ზესტაფონში – 244, თბილისში – 70, ბაღდადში – 13. არიან სხვაგანაც.

### იონათამაშვილი

**იონათამაშვილი** მცირერიცხოვანი ქართული გვარია.

აზნაური **იონათამიშვილები** არიან როგორც ციციშვილების, ისე ბარათაშვილთა შთამომავლობისანი.

„აზნაურ **იონათამიშვილთა** წინაპართაგანნი ვინმე იყო მონათესავე ციციანთა (ციციშვილთა), **იონად** წოდებული და პირველივე მოსახლენი, გვერდის ძირს მოსულა კონსტანტინე მეფის დროს, 1843 წელს. ცნობილნი მეფისა როსტომისავე დროსა და გაუგვარდათ **იონათამისა** გამო შვილთა მათთა




**იონათამის** შვილობა და არიან ტრაქტატსა შინაცა მოხსენიებულნი“.

საქართველოში 42 **იონათამაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 21, გორში – 12, მცხეთაში – 1. არიან სხვაგანაც.

### ჩუნთიშვილი

ამ გვარის წინაპარს სახელად უთუოდ **ჩუნთა** ერქვა (მნიშვნელობა უცნობია). საკუთარი სახელი რამდენიმე ქართველ მეცნიერს აქვს დაფიქსირებული. აკადემიკოს ალექსანდრე ღლონტის წიგნში – „ქართველური საკუთარი სახელები“ – ვკითხულობთ: „მამაკაცის საკუთარი სახელი **ჩუნთი**; სერგი მაკალათიას ჩაუწერია ფშავში **ჩუნთა**; ასევე, თუშეთში, ალვანში, ახმეტის რაიონში; **ჩუნთია** – აკაკი შანიძეს ჩაუწერია ხევსურეთში; **ჩუნთო** – გიორგი ცოცანიძეს თუშეთში; **ჩუნო** კახეთში, ქიკაანელ კაცს ერქვა. მომავალშიც მოგიწევთ ხოლმე სადღეგრძელოში თქმა ჩვენი წინაპრის – **ჩუნთის** ხსოვნა-მოგონება იყოსო“.

**ჩუნთიშვილები** ცხოვრობენ გარე კახეთში. საგარეჯოს გარდა, ასევე, ცხოვრობენ თბილისში, რუსთავში, გარდაბანში და ასე შემდეგ.

საქართველოში 83 **ჩუნთიშვილი** ცხოვრობს.

### მარგველაშვილი

გვარის ფუძეა სადაურობის სიტყვა **მარგველე, მარგველა**, მიღებულია სოფლის და, ძველი მნიშვნელობით – მთელი მხარის, ზემო იმერეთის სახელწოდებისგან – **არგვეთი**.

ამავე აგებულებისაა გვარები: მაჩაბელი, მაწყვერელი, მარადელი და ასე შემდეგ.

ამავე ძირისაა გვარები: **მარგველანი, მარგველაძე, მარგველიშვილი, მარგველიძე.**

**მარგველაშვილები** იყვნენ აზნაურებიც.

საქართველოში 2 164 **მარგველაშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 823, თბილისში – 332, წყალტუბოში – 252. არიან სხვაგანაც.

### მორჩილაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მორჩი.**

ვანო **მორჩაძე** ოჯახითურთ მოიხსენიება სოფელ ბორბალოში, 1823 წლის აღწერაში.

ამავე ძირისაა გვარები: **მორჩილაძე, მორჩილაშვილი.**

საქართველოში 760 **მორჩილაძე** ცხოვრობს: ქუთაისში – 421, ტყიბულში – 75, თბილისში – 57. არიან სხვაგანაც.

### ნანუაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ნანუა**, რომელიც ქალის სახელად იყო გავრცელებული.

1721 წელს მოიხსენიება ყმა ლუარსაბ **ნანუაშვილი.**

საქართველოში 324 **ნანუაშვილი** ცხოვრობს: საგარეჯოში– 165, თბილისში– 87, გურჯაანში – 40. არიან სხვაგანაც.

### ლაიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ლაილა.**

**ლაიშვილები** 1941 წლის სექტემბერში ამბროლაურის რაიონის სოფელ მორიდან ასურეთში გადავიდნენ საცხოვრებლად.

გადმოცემის მიხედვით, **ლაიშვილები** წარმოშობით მესტიის რაიონის სოფელ **ლაიშიდან** არიან.

საქართველოში 64 **ლაიშვილი** ცხოვრობს: ამბროლაურში – 20, თბილისში – 19, თეთრი წყაროში – 9. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---



# ბატონ ჯანო ბაგრატიონს!

სიბერეშიც კი მზესავით ბრწყინავთ,
თქვენ საქართველოს გულისძგერა ხართ!
კაცურ კაცობით ყველა კაცს სძირავთ
და პიროვნული საოცრება ხართ!
თბილისელების მეფეთა-მეფე
და ვაჟკაცობის გვირგვინოსანი!
ინტელიგენტი – მოჭირნახულე
და მეგობრობის ფრიადოსანი!

ქართულ სიტყვათა ლექსიკონშიც კი
ვერ გამოვძებნი თქვენს სამკობ სიტყვებს,
თქვენი ღირსების გამოსახატავს
ვერც ვენა იტყვის, ვერც გული იტევს!
ბაგრატიონთა მამშვენებელი,
ქართული სიტყვის სიმღერად მთქმელი,
ქართული სპორტის პატივმგებელი,
ქართული სუფრის ზეიმად მქცევი!
ბატონო ჯანო! სიბერეშიც კი
დარჩით ბრწყინვალე ადამიანი

და სიკვდილამდე თქვენ თაყვანს გცემდათ
ერთიც – ჯუმბერი კვანტალიანი!
ჰოდა, იარეთ, ჰოდა, იცოცხლეთ!
დიდო ქართველო, კაცურო კაცო!
მხნედ და ჯანმრთელად იყავით მარად,
არ დაილალოთ, არ დაიქანცოთ!
დღემდე უქრობელ სანთლად ანთიხართ
და გზა – ნათელი სიცოცხლით განვლეთ!
დედამიწაზე მყარად დადიხართ,
მთელ საქართველოს უყვარხართ, გწამდეთ!

**მაგული წულაია**

**თქვენზე ფანატიკურად შეყვარებული კაცის, ჯუმბერ კვანტალიანის მეუღლე**

**ქუთაისი, 2013 წელი.**

# შეაქეთ და გაამხნევეთ საკუთარი თავი და იყავით მუდამ ტონუსში!

***ეს რომ მოახერხოთ, ცხოვრების წესად უნდა აქციოთ ის რჩევები, რომლებსაც დღეს შემოგთავაზებთ:***

1) სრულყოფილი ძილი (თუ ღამით ვერ იძინეთ საკმარისად, „დაკლებული" საათები დღისით შეივსეთ).

2) მინიმუმ 2 ლიტრი წყალი დღეში.

3) იუმორით შეხედეთ ყველა მოვლენას (ტრაგედიისგან ღმერთმა დაგიფაროთ), რაც თქვენ გარშემო ხდება.



4) შეეცადეთ, თვით უსიამოვნო სიტუაციაშიც კი რაიმე კარგი და სასარგებლო დაინახოთ.

5) ნებისმიერი საქმიანობის დროს, შეურჩიეთ საკუთარ თავს კომფორტული მდგომარეობა და, შეძლებისდაგვარად, წაივარჯიშეთ, მაგალითად, დილით, გაღვიძებისას, კარგად გაიზმორეთ (როცა არავინ გიყურებთ, ეს უზრდელობად არ ჩაგეთვლებათ), შემდეგ კი 5-6-ჯერ შეასრულეთ კისრის, ხელების, ფეხებისა და წელის მოძრაობა.

6) მთლიანად გამორიცხეთ ალკოჰოლი და თავი დაანებეთ სიგარეტს – ის თქვენს კანს ნაადრევად დააბერებს და ჯანმრთელობას გამოუსწორებლად დაგიზიანებთ.

7) თუნდაც არსად წასვლას არ გეგმავდეთ, დილით აუცილებლად მიხედეთ სახეს – მასაჟი, დამატენიანებელი, მკვებავი, მაკიაჟი... – მოკლედ, არაფერი გამოგრჩეთ.

8) ხშირად ჩაიხედეთ სარკეში და ხმამაღლა შეაქეთ საკუთარი თავი (არა უშავს, სხვებიც თუ გაიგონებენ).

9) შეამცირეთ თვითკრიტიკის ხარისხი და რაოდენობა.

10) ყველამ უნდა იგრძნოს და დაინახოს (უპირველესად კი – თქვენ თვითონ), რომ პატივს სცემთ საკუთარ თავს – ამით სხვებსაც აიძულებთ, პატივი გცენ.

11) დაემშვიდობეთ ბავშვურ კომპლექსებს – დროა, გაიზარდოთ!

12) ხანდახან მაინც მიეცით თავს პატარ-პატარა შეცდომების ჩადენის უფლება, ანუ, ნუ იქნებით ზედმეტად მკაცრი და მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ.

13) ადეკვატურად მიუდექით თქვენს გარეგნულ მონაცემებს.

14) სტუმრად, წვეულებაზე და, საერთოდ, საზოგადოებაში ყოფნისას, იყავით ზომიერად სექსუალური.

15) ხანდახან მიეცით საკუთარ თავს მსუბუქად წათავხედების უფლება (ოღონდ, უზრდელობაში ნუ გადახვალთ).

16) იყავით დარწმუნებული საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში.

17) ნუ იქნებით ზედმეტად მორიდებული ნურც სახლში და ნურც გარეთ.

18) ხელოვნურად ნუ შეიქმნით პრობლემებს (ეს „სიკეთე" ისედაც ჭარბად გვაქვს) და, საერთოდ, მსუბუქად შეხედეთ ცხოვრებას.

19) იყავით მიმტევებელი – ამით საკუთარ თავს უფრო მეტ სარგებელს მოუტანთ, ვიდრე სხვას.

20) იყავით ხალისიანი; შეეცადეთ, ყველაფერში სილამაზე დაინახოთ და, რაც მთავარია – ხშირად გაიღიმეთ!

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: დიეტის დროს ვსვამდი უმი კომბოსტოს წვენს, მაგრამ, ახლობელმა მითხრა, რომ ამით კუჭს დავიზიანებ. ეს მართალია?**

**პასუხი:** პირიქით, კომბოსტოს წვენი სასარგებლოა გასტრიტისა და კუჭის წყლულის გაღიზიანების პროფილაქტიკისთვის. დალიეთ ნახევარი ჩაის ჭიქა კომბოსტოს წვენი დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ, 2-3 კვირის განმავლობაში. გარდა ამისა, ის დადებითად მოქმედებს კანის სტრუქტურაზე.

**კითხვა: ერთი თვეა, ფრჩხილები მექერცლება, თმის ღერები კი მტვრევადი გახდა. მაინტერესებს, ეს ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობის ბრალია?**

**პასუხი:** სრულიად შესაძლებელია, ასეც იყოს. საერთოდ, კალციუმის საკმაო რაოდენობის მიღება მხოლოდ საკვები პროდუქტებით შეუძლებელია. მიმართეთ ექიმს და ის გამოგიწერთ შესაბამის პრეპარატს, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ თქვენი პრობლემა სხვა მიზეზით იყოს გამოწვეული, მაგალითად, ჭურჭლის სარეცხი საშუალებებით, უხარისხო შამპუნით, ფრჩხილის ლაკით და ასე შემდეგ.

**კითხვა: არასდროს მქონია ქერტლი, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ზღვიდან ჩამოვედი (ივლისში), ველარ მოვიშორე. არანაირი სპეციალური შამპუნი არ მშველის. რას მირჩევთ?**

**პასუხი:** უპირველეს ყოვლისა, მიმართეთ დერმატოლოგს ან ტრიქოლოგს, რომლებიც დაადგენენ ქერტლის გაჩენის მიზეზს. გარდა ამისა, გახსოვდეთ, რომ ქერტლის მოსაშორებლად უნდა გამოიყენოთ არა კოსმეტიკური, არამედ, სამკურნალო შამპუნი, რომელიც არა მარტო კარგად წმენდს კანს, არამედ, სპობს ქერტლის გამომწვევ სოკოვან ფენას თავის კანზე, აქრობს ანთების პროცესს, ქავილსა და კანის გაღიზიანებას.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# როგორ შევამზადოთ ორგანიზმი ზამთრისთვის და მოვიშოროთ ზედმეტი კილოგრამები

***ამ შემთხვევაში, ალბათ, უმჯობესი იქნება, კვლავ ტრადიციულ მეთოდს მიმართოთ, ანუ, დაიცვათ ქვემოთ მითითებული დღის რეჟიმი და რაციონი:***

ა) დღეში 4-5-ჯერადი კვება (საათები თავად დაარეგულირეთ, ოღონდ, კვებასა და კვებას შორის შუალედები არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს).

ბ) დილით, უზმოზე, დალიეთ მინერალურ წყალში გახსნილი უცხიმო მაწონი.

გ) დღეში 2 ლიტრი წყალი (სითხე, შეძლებისდაგვარად, არ მიიღოთ საღამოს 8-9 საათის შემდეგ.

დ) სვით ახალგამოწურული უმი ხილისა და ბოსტნეულის წვენები (გააზავეთ წყალში, პროპორციით: 1 წილი წყალი, 2 წილი წვენი).

ე) მთლიანად გამორიცხეთ ალკოჰოლი და ტკბილი გაზიანი სასმელები.

ვ) მინიმუმ დღეში 2-ჯერ მიირთვით ხილის სალათა (შეეცადეთ, მაქსიმალურად ბევრი სხვადასხვა ხილი გამოიყენეთ).

ზ) კვირაში თითოჯერ მიირთვით მოხარშული (უმარილო) ხორცი: ერთ ჯერზე ქათმის ან ინდაურის ფილე; ერთ ჯერზე – საქონლის მჭლე ხორცი; ერთ ჯერზე – მოხარშული უცხიმო თევზი. ძალიან სასარგებლო და დიეტურია, ასევე, კურდღლის ხორციც (თითოეული მათგანი – 200-200 გრამი). ხორცეული მიირთვით ცოცხალი ბოსტნეულის სალათის ან უცხიმოდ მოხარშული წიწიბურას ან მაკარონის გარნირით.

თ) დღეში ერთხელ დალიეთ წყალში გაზავებული ტომატ-პასტა.

ი) უზმოზე მიირთვით 1 ჭიქა მწვანე ჩაი 1 ჩაის კოვზი თაფლით.

კ) თუ ორსაათიანი შუალედი თქვენთვის ხანგრძლივი აღმოჩნდა და ძალიან მოგშივდათ, 2-3 ფოთოლი უმი კომბოსტოთი, 1 ცალი სტაფილოთი ან 1 ჭიქა მაწვნით „ჩაიქრეთ" შიმშილი.

ლ) არავითარ შემთხვევაში ერთი ლუკმაც კი არ ჭამოთ საღამოს 19 საათის შემდეგ. თუ სტუმრად წახვედით ან რაღაც სხვა მიზეზით მაინც მოგიწიათ 19 საათის შემდეგ საკვების მიღება, მეორე დღეს მკაცრი განტვირთვის დღე მოაწყვეთ (მაგალითად, მთელი დღის განმავლობაში 1 კილოგრამი ვაშლი და 2 ლიტრი წყალი).

მ) კვირაში ერთხელ მაინც გაიწმინდეთ კუჭი.

ნ) თითოეული ულუფა არ უნდა აღემატებოდეს 300 გრამს.

ო) დიეტის დაწყების წინ აუცილებლად აიწონეთ.

წარმატებებს გისურვებთ!


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ გაეპარნენ უცხოეთში „სუკს“ დემიდოვის კოლექციის გამტაცებლები

1961 წლის 12 აპრილს, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირი იური გაგარინის კოსმოსში გაფრენას ზეიმობდა და მოსკოვის ქუჩებში ათეულ ათასობით ადამიანი გამოვიდა, ძველ არბატზე, მეცხრამეტე საუკუნეში აშენებული, ეგრეთ წოდებული „კარამზინის სახლი“ დაიწვა. იმ დილით, ვიღაც ანონიმმა „მურის“ სამორიგეოში დარეკა და ბოხი ხმით თქვა:

– მაიორ ლოდკინს გადაეცით, რომ ძებნილი ბერიძე კარამზინის სახლში, მესამე სართულზე იმალება და, სავარაუდოდ, თან აქვს ლალის თვლების კოლექცია...

ირაკლი ბერიძე საკავშირო ძებნილი იყო და მილიცია მას 1960 წლიდან ეძებდა, რადგან, ეგრეთ წოდებული „დემიდოვის კოლექციის“ გატაცებაში იყო ეჭვმიტანილი.

„მურის“ ოპერჯგუფი ოპერატიულად მივიდა მითითებულ ადგილზე და ძებნილის აყვანას უნდა შესდგომოდნენ, რომ მესამე სართულის ერთ-ერთი ფანჯრიდან ჯერ ორი გასროლის ხმა გაისმა, შემდეგ ბინაში ცეცხლი გაჩნდა, რომელიც ელვისებურად მოედო ხის სახლს და შენობა ოც წუთში ისე ჩაიფერფლა, რომ შიგნით „მურის“ ოპერმუშაკებმა შესვლა ვერ მოასწრეს.

**კარამზინის დანახშირებულ სახლში დამწვარი მამაკაცის ცხედარი და პისტოლეტი „ტეტე“ აღმოაჩინეს**

კარამზინის სახლი იმ პერიოდში ცარიელი იყო, სარესტავრაციოდ ამზადებდნენ და მოსკოვის ქალაქკომმა იქიდან მობინადრეები გამოიყვანა.

შემთხვევის ადგილზე მისულ ექსპერტ-კრიმინალისტებს შენობაში მამაკაცის დანახშირებული ცხედარი დახვდათ, რომელიც, მილიციის ვარაუდით, ირაკლი ბერიძე უნდა ყოფილიყო. იპოვეს „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტიც და ბალისტიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სწორედ ამ იარაღიდან განხორციელდა ორი გასროლა მურელების მიმართულებით. ასევე, დადგინდა, რომ ხანძარი გამოიწვია ნავთით სავსე ბიდონის აფეთქებამ, რომელიც ბერიძეს ოთახში ედგა და რომელსაც მილიციის მიერ გახსნილი საპასუხო ცეცხლის დროს ტყვია მოხვდა. ყველაზე სამწუხარო და ბინდით მოცული კი ის იყო მილიციისთვის, რომ დანახშირებულ სახლში დემიდოვის კოლექციის ლალის თვლები ვერ იპოვეს.

– უცნაურია, – თქვა ვიტალი ლოდკინმა, – ნუთუ ბერიძემ სხვაგან გადამალა კოლექცია? ან ის ანონიმი ვინ იყო, ვინც ჩვენ ინფორმაცია მოგვაწოდა?

### დემიდოვის კოლექცია

ცნობილი რუსი მრეწველი, ციმბირის ძვირფასი საბადოების მფლობელი, მილიონერი ვასილი დემიდოვი, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში მსოფლიოში უდიდესი ლალების კოლექციის მფლობელი იყო – 107 ცალი უნიკალური თვალის საერთო წონა 2 ათას კარატზე მეტი იყო და, მაშინდელი შეფასებით, კოლექციის ღირებულება 8 მილიონ მანეთს აჭარბებდა. „ციმბირელი ლომი“, როგორც ვასილი დემიდოვს უწოდებდნენ რუსეთში, თავის კოლექციაში ათკარატიანზე ნაკლებ ლალს არ აჩერებდა და მსხვილი თვლების შესაძენად ფული არ ენანებოდა.

1917 წელს კი, როდესაც ხელისუფლებაში კომუნისტები მოვიდნენ, დემიდოვის კოლექცია სახელმწიფო საცავში მოხვდა და მას სპეციალურ სეიფში ინახავდნენ. დიდი სამამულო ომის დროს კოლექცია ტაშკენტში წაიღეს შესანახად, შემდეგ კვლავ მოსკოვში, ძველ ადგილას დააბრუნეს. 1960 წლის 4 მაისს კი ცნობილი კოლექცია სპეცსაცავიდან გაქრა და, როდესაც საქმეში მილიცია ჩაერთო, დადგინდა, რომ ძვირფასი თვლები ირაკლი ბერიძემ გაიტაცა.

31 წლის ირაკლი ბერიძე ხელოვნებათმცოდნე იუველირი იყო, სპეცსაცავში მუშაობდა და მოსკოვში მარტო ცხოვრობდა ოროთახიან ბინაში. გამოძიებამ დაადგინა, რომ 1960 წლის 4 მაისს, დილის 9 საათსა და 45 წუთზე, ირაკლი ბერიძემ ღამის მორიგეობის შემდეგ დატოვა სპეცსაცავის შენობა და წავიდა. ვახტიორი ნიკიტა კუზნეცოვი გამომძიებელს გამოუტყდა, რომ მან ბერიძე სავალდებულო შემოწმების გარეშე გაატარა, რაც აუცილებელი პროცედურა იყო.

– ამხანაგო გამომძიებელო, – ამბობდა ვახტიორი, – ირაკლი ისეთი წესიერი კაცი ჩანდა, რას წარმოვიდგენდი, თუ ასეთ რამეს ჩაიდენდა. მას არაერთხელ უცია ჩემთვის პატივი, ხელიც გაუმართავს და მისი ჩხრეკა ვიუხერხულე.

ბერიძის მეწყვილე, სევა კოროლიოვი, რომელმაც იმ დილით ირაკლი შეცვალა, მილიციელებმა გაკოჭილი, პირში ჩვარჩატენილი და საკუჭნაოში ჩაკეტილი იპოვეს.



– ნამდვილად არ მეგონა, თუ ირაკლი ამას ჩაიდენდა, – იმავეს იმეორებდა კოროლიოვიც, – ჩვენ წლების განმავლობაში ერთად ვმუშაობდით, ვახლობლობდით კიდეც. ეტყობა, სიხარბემ სძლია, თუმცა, ეს მისთვის არასდროს შემიმჩნევია. ცვლა რომ გადავიბარე და სეიფისკენ შევტრიალდი ჩასაკეტად, თავში მძიმე საგანი მომხვდა და მას მერე არაფერი მახსოვს.

ირაკლი ბერიძე ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი იყო, პარალელურად კი მინერალოგიის ინსტიტუტში ლექციებსაც კითხულობდა. მაიორმა ვიტალი ლოდკინმა, რომელიც ბერიძის საქმეს იძიებდა, გულდასმით შეისწავლა მისი დოსიე და დაადგინა, რომ მას არც ნათესავი ჰყავდა, არც მეგობარი, რომ საიმედოდ დამალულიყო და, იმედოვნებდა, რომ მას შეიპყრობდა.

– ბერიძე მარტოხელაა, – ეუბნებოდა კოლეგებს ლოდკინი, – საზღვარგარეთ ვერ გავა. ვერც ვინმესთან დაიმალება ისე, რომ ვერ მივაგნოთ, რადგან, საიმედო ზურგი არ აქვს. სავარაუდოდ, მას სადღაც სამალავი უნდა ჰქონდეს, სადაც თაგვივით მარტო იმალება, მაგრამ ჩვენ მას აუცილებლად მივაგნებთ.

ლოდკინის დიდი იმედების მიუხედავად, ბერიძე თითქმის ერთი წელი მოუხელთებელი იყო და მაიორის სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კარამზინის დამწვარ სახლში მხოლოდ ბერიძის დანახშირებული ცხედარი იპოვეს, გატაცებული ლალების კოლექცია კი უკვალოდ გაქრა...

### ექიმ ვოროზიოვის საქმე.

1963 წლის 11 თებერვალს საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტმა 57 წლის ქირურგი, პროფესორი გავრილ ვორობიოვი დააპატიმრა. გამომძიებლები მას სახის შეცვლის არალეგალური ოპერაციების ჩატარებაში სდებდნენ ბრალს. ვორობიოვზე კი „კაგებე“, შეიძლება ითქვას, შემთხვევით გავიდა. საქმე ის იყო, რომ ვორობიოვის ასისტენტმა, 30 წლის გრიგორი პეტუხოვმა, 1963 წლის 9 თებერვალს, მოსკოვში, წითელ მოედანზე, ამერიკელი ტურისტისგან სუვენირი – პლასტმასისგან გაკეთებული „თეთრი სახლი“ მიიღო. პეტუხოვს ტურისტი გამოელაპარაკა და ჰკითხა, როგორ უნდა მისულიყო ტრეტიაკოვის გალერეასთან და, როდესაც პეტუხოვმა აუხსნა მისასვლელი გზა, სწორედ ამის შემდეგ აჩუქა უცხოელმა სუვენირი. იმ პერიოდში ყველა უცხოელს „კაგებე“ უთვალთვალებდა და, როგორც კი ტურისტი წავიდა, პეტუხოვი დააკავეს, სუვენირი ჩამოართვეს და რაიონულ განყოფილებაში მიიყვანეს ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად, რაც უბრალო ფორმალობას წარმოადგენდა და დაკავებულს მაქსიმუმ ერთ საათში უპრობლემოდ გაუშვებდნენ. მიტკალივით გაფითრებული, შეშინებული გრიგორი პეტუხოვი კი ისე დაიბნა, რომ „კაგებეს“ თანამშრომელს უთხრა: ჩემი უფროსი, პროფესორი გავრილ ვორობიოვი სახის შეცვლის არალეგალურ ოპერაციებს ატარებს და მე მას ვეხმარებიო.

პეტუხოვის განცხადება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, რადგან, მსგავსი ქმედებები სახელმწიფო დანაშაულად ითვლებოდა. ამიტომ, „კაგებე“ ღრმად ჩაეჭიდა პეტუხოვის სიტყვას და დაადგინა, რომ 1962-1963 წლებში ვორობიოვმა ოთხი ოპერაცია ჩაატარა და თითოეული ადამიანისგან 2 ათასი მანეთი აიღო.

– ჩემი წილი იყო ხუთასი მანეთი, – თქვა პეტუხოვმა, – ორი კვირა მე ვუვლიდი ნაოპერაციევ პაციენტს და მათი ფოტოებისა და ნეგატივების განადგურება მევალებოდა, მაგრამ, ყველაფერი დღემდე მაქვს შენახული.

„კაგებემ“ პროფესორ ვორობიოვს ორი დღე უთვალთვალა, შემდეგ კი დააპატიმრა და სამხილად პეტუხოვის აღიარება და ნაოპერაციევი პაციენტების ფოტოსურათები დაუდეს. როგორც გაირკვა, ოთხივე ნაოპერაციევი, ანუ სახეშეცვლილი პაციენტი, ძებნილი იყო, სამი

მათგანი – რეციდივისტი, მეოთხე კი – ირაკლი ბერიძე...

„კაგებემ“ ვორობიოვის საქმე თავის უწყებაში დაიტოვა, „მურიდან“ „ლალების საქმეც“ გამოითხოვა და გამოსაძიებლად ნოდარ ლომიძეს გადასცა, რომელიც ცენტრალური აპარატის გამოცდილი გამომძიებელი იყო.

როდესაც ყველაფერი „კეგებეს“ მაშინდელ თავმჯდომარეს, სემიჩასტნის შეატყობინეს, ის გაბრაზდა და თქვა:

– საქმე 8 მილიონი მანეთის ღირებულების გატაცებული ლალების კოლექციას ეხება და მხოლოდ სამი წლის მერე ჩამოართვით ეს საქმე მილიციას! აბა, რაც შეიძლება, ჩქარა დაადგით თავი ამ საქმეს და კოლექცია უკან დააბრუნეთ, დამნაშავეები დაიჭირეთ და დასაჯეთ!

**ზღაპრული თვლები**

საქმის ასეთმა შემობრუნებამ მთელი „მური“ შოკში ჩააგდო, „კაგებესგან“ შეურაცხყოფილმა ხელმძღვანელობამ შური მაიორ ლოდკინზე იძია და ის დააქვეითა.

ნოდარ ლომიძემ კი გულდასმით შეისწავლა „მურიდან“ გადმოგზავნილი მასალები და მტკიცედ თქვა:

– ერთი ნაღდია – ბერიძე მარტო არ მოქმედებს, მას აუცილებლად ჰყავს თანამზრახველი. კარგია, რომ მისი ახალი გარეგნობა ვიცით. ეს დიდს ვერაფერს მოგვცემს, მაგრამ, მისი ფოტო გაამრავლეთ და ყველგან დაგზავნეთ. ჩემი აზრით, მთავარი ამ საქმეში ისაა, რომ მას საიმედო მფარველი, ანუ, თანამონაწილე ჰყავს და მისი მეშვეობით ჯერ ბერიძეზე უნდა გავიდეთ, ბოლოს კი – თვლებზე.

## კოლექციაში დემიდოვი 10 კარატზე ნაკლები ზომის თვალს არ აწყობდა

გამოცდილი ქართველი გამომძიებლის ყურადღება ბერიძის მეწყვილის, სევა კოროლიოვის პიროვნებამ მიიქცია. ლომიძეს ინტუიცია ჰკარნახობდა, რომ კოროლიოვი ის კაცი არ იყო, როგორადაც თავს ასაღებდა, ამიტომ, მის დოსიეს ჩაუღრმავდა, თუმცა, საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა. მიუხედავად ამისა, ლომიძემ ფარული თვალთვალი დაუწესა კოროლიოვს, მაგრამ, ესეც უშედეგო აღმოჩნდა. სევა კოროლიოვი უცოლშვილო იყო და მოსკოვის ერთ-ერთ ძველ რაიონში მარტოდმარტო ცხოვრობდა ოროთახიან, ძველებურ ბინაში. ის მხოლოდ სამსახურში დადიოდა, საეჭვოს არავის ხვდებოდა და თვეში ორჯერ-სამჯერ კინოში მიდიოდა. ერთთვიანი თვალთვალის შემდეგ, ნოდარ ლომიძემ არალეგალურად შეაღწია კოროლიოვის ბინაში და თავის ხელქვეითებთან ერთად საგულდაგულოდ გაჩხრიკა, მაგრამ, ვერაფერი საეჭვო ვერ აღმოაჩინა. მიუხედავად ამისა, ლომიძეს მაინც ეჭვი ეპარებოდა სევა კოროლიოვში, ის ბერიძის თანამზრახველად მიაჩნდა და მისი გაშიფვრის მიზნით მორიგ ეშმაკობას მიმართა. ღამით მან კოროლიოვს დაურეკა ბინაში და უთხრა:

– სევა, მე შემთხვევით გავიგე, რომ შენ და ირაკლი ბერიძემ ლალების კოლექცია მოიპარეთ და, თუ არ გინდა, რომ ეს ამბავი განვაცხადო, სამი ათასი მანეთი გადამიხადე.

– იდიოტო, რას როშავ! მეძინება და აღარ დამირეკო, თორემ, მე თვითონ განვაცხადებ შენზე და საგიჟეთში ჩაგსვამენ! – მიუგო სევამ და ტელეფონი გაუთიშა

ლომიძემ ღიმილით ჩაილაპარაკა:

– „და მაინც, ის ბრუნავს...“ დარწმუნებული ვარ, რომ კოროლიოვი დამნაშავეა. ის მიხვდა ჩემს ტრიუკს; არ გამოვრიცხავ, ისიც კარგად იცოდა, ფარულად რომ ვუთვალთვალებდით და ისიც, რომ მისი ბინა ფარულად გავჩხრიკეთ.

1963 წლის 11 ივლისს, ანუ, პროფესორ ვორობიოვის დაპატიმრებიდან ზუსტად ხუთი თვის თავზე, სევა კოროლიოვი სამსახურში არ გამოცხადდა. ის არც სახლში აღმოჩნდა და, მიუხედავად იმისა, რომ მას არაფერში ედებოდა ბრალი, „კაგებემ“ მისი ძებნა დაიწყო. ლომიძე და მისი ჯგუფის წევრები ხელმეორედ შევიდნენ სევას სახლში და კომოდზე ბარათი აღმოაჩინეს, რომელშიც ეწერა: „ახლა მე და ირაკლი ძალიან შორს ვიმყოფებით და თქვენგან მიუწვდომლები ვართ. მაინც მოვახერხეთ თქვენი კლანჭებიდან თავის დაღწევა. მართალია, ბევრ ეშმაკობას მიმართეთ ჩვენს გასაშიფრად და შესაპყრობად, მაგრამ, ჩვენ მაინც გაჯობეთ. ლალები? ლალები, რა თქმა უნდა, ჩვენთანაა და მათი ზღაპრული შუქი გვინათებს მომავლის ნათელ გზას“.

როგორც ძიებამ დაადგინა, კარამზინის დამწვარ სახლში აღმოჩენილი დანახშირებული ცხედარი ბომჟს ეკუთვნოდა, რომელიც ქუჩიდან მიიტანეს იქ ბერიძემ და კოროლიოვმა, „ტეტედან“ გასროლა კი მექანიკური მოწყობილობიდან განხორციელდა და მისივე საშუალებით გაჩნდა ხანძარიც. ეს ყველაფერი კი მილიციის დასაბნევად იყო გამიზნული და, რომ არა შეშინებული პეტუხოვის ლაყბობა, ბერიძის ამბავი არ გამჟღავნდებოდა.

***P.S. ირაკლი ბერიძე და სევა კოროლიოვი მხოლოდ მაშინ გაახსენდათ უშიშროებაში, როდესაც, 1982 წელს ერთ-ერთ ცნობილ ევროპულ აუქციონზე 3 მილიონ გირვანქად გაიყიდა ათკარატიანი ლალი, რომელიც, სავარაუდოდ, დემიდოვის კოლექციიდან იყო...***

**ნიკა ლაშაური**

# რა მოხდა ამ დღეს

**21 ოქტომბერი**

1520 – ფერნანდო მაგელანმა აღმოაჩინა „მაგელანის სრუტე“ ცეცხლოვან მიწასა და სამხრეთ ამერიკას შორის.

1805 – ტრაფალგარის ბრძოლაში ინგლისის ფლოტმა ჰორაციო ნელსონის მეთაურობით. გაანადგურა საფრანგეთის ფლოტი და მასთან ერთად, ნაპოლეონის იმედები ბრიტანეთის დამორჩილებისა

1879 – თომას ალვა ედისონმა გამოიგონა ელექტრონათურა.

1923 – მიუნჰენში გაიხსნა მსოფლიოში პირველი პლანეტარიუმი.

1997 – ყაზახეთის დედაქალაქი ალმა-ატიდან ასტანაში გადავიდა.

**22 ოქტომბერი**

1797 – ფრანგი ანდრე ჟან გარნერენი მსოფლიოში პირველი გადმოხტა პარაშუტით (საჰაერო ბურთიდან).

1842 – გუსტავ ფაბერჟემ მოსკოვში პირველი საიუველირო სალონი გახსნა.

1844 – უილიამ მილერმა ამერიკის შეერთებულ შტატებში დააარსა ადვენტისტების სექტა.

1883 – ნიუ-იორკში გაიხსნა „მეტროპოლიტენ ოპერა“.

1909 – ელიზა დეროში გახდა მსოფლიოში პირველი ქალი პილოტი.

**23 ოქტომბერი**

1917 – ბოლშევიკებმა მიიღეს გადაწყვეტილება, 25 ოქტომბერს გადატრიალების მოწყობისა.

1956 – უნგრეთში დაიწყო ანტისაბჭოთა გამოსვლები.

**24 ოქტომბერი**

1857 – ინგლისი. შეფილდში, დაარსდა მსოფლიოში პირველი საფეხბურთო კლუბი.

1901 – ვინმე ანა ტეილორმა უცნაური რეკორდი დაამყარა – კასრში ჩაჯდა და ნიაგარას ჩანჩქერიდან გადახტა.

1929 – „შავმა ოთხშაბათმა“ დასაბამი დაუდო მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს.

1939 – პირველად გასაყიდად გამოიტანეს ნეილონის წინდები.

1970 – სალვადორ ალიენდე გახდა ჩილეს პრეზიდენტი.

**25 ოქტომბერი**

1513 – ამ დღეს ესპანელმა კონკისტადორმა ვასკო ნუნიეს ი-ბალბოამ ევროპელთაგან პირველმა იხილა წყნარი ოკეანე.

1555 – აუგსბურგის რელიგიურმა ზავმა დროებით შეაჩერა ომები კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის.

1883 – ჟენევაში გიორგი პლეხანოვმა შექმნა პირველი რუსული მარქსისტული ორგანიზაცია.

**26 ოქტომბერი**

1581 – ერმაკ ტიმოფეევიჩმა თავისი რაზმით დაიწყო ციმბირის დაპყრობა.

1863 – ჟენევაში დაარსდა საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაცია.

1863 – ლონდონში დაარსდა ინგლისის საფეხბურთო ორგანიზაცია, რომელმაც შეიმუშავა ფეხბურთის თამაშის თანამედროვე წესები.

1951 – თავის უკანასკნელი მატჩი ჩაატარა ლეგენდარულმა მოკრივემ ჯო ლუისმა.

1965 – ჯგუფ „ბითლზის“ წევრები დააჯილდოვეს ბრიტანეთის იმპერიის ორდენებით.

1984 – ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ტერმინატორი 1“.

**27 ოქტომბერი**

1492 – ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა კუნძული კუბა.

1904 – გაიხსნა ნიუ-იორკის მეტროს პირველი ხაზი.

1925 – ფრედ უოლერმა დააპატენტა წყლის თხილამურები.

1962 – ავსტრალიელმა მოცურავემ დონ ფრეზერმა პირველმა გაცურა 100 მეტრი ერთ წუთზე მცირე დროში.

1971 – კონგოს რესპუბლიკას ეწოდა ზაირი.

1982 – ჩინეთის მოსახლეობამ გადააჭარბა მილიარდს.

1991 – იჩქერიის პრეზიდენტი გახდა ჯოჰარ დუდაევი.

**ცოტა ხნის წინ გამოვიდა ნიჭიერი მომღერლის, ოთო ნემსაძის სადებიუტო ალბომი – „ფიქრების ზღვა," რომლის შეძენა ყველა მსურველს შეუძლია მაღაზია „გურუში". ამ ალბომში შესული ათივე სიმღერის მოსმენა ნებისმიერ ადამიანს უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებს.**

# რატომ უნდოდა ოთო ნემსაძეს პროკურორობა და რატომ ხოხავდა ის დილის 5 საათზე თამარაშვილის ქუჩაზე დესანტივით

**ოთო ნემსაძე:** მიხარია, რომ „ბრავო რექორდსის" დახმარებით გამოვიდა ჩემი ალბომი, რომელშიც შესულია ნამდვილი ქართული, ხარისხიანი მუსიკა. ძალიან მეამაყება, რომ ალბომი მაღალი დონის არის და ჩაწერილია ყველასთვის საყვარელი მუსიკოსების მიერ. მათთან მუშაობისას ბევრი რამ ვისწავლე. ამ ალბომში შესულ ერთ-ერთ სიმღერას ჰქვია „ფიქრების ზღვა". ეს სიმღერა ყველას ძალიან მოეწონა, აიტაცეს და ამიტომაც დავარქვით ასე ალბომს. ალბომში შესულია 10 სიმღერა და მეთერთმეტე – ბონუს ტრეკი: ჩემი და ბატონ ოთარ რამიშვილის დუეტი. თბილისობას დაემთხვა ალბომის საპრეზენტაციო კონცერტი, ბევრი ხალხი მოვიდა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ ხალხს ძალიან ვუყვარვარ. ამისთვის მათ დიდ მადლობას ვუხდი: რომ არა თქვენ, ჩემში ასეთი დოზით მუსიკა ვერ იარსებებდა!

**– ახლა მითხარი, რა ხდება უკრაინაში, როდის მიდიხარ?**

– 18 ოქტომბერს მივდივარ ლვოვში საცხოვრებლად, რადგან, მინდა, ვისწავლო ენა. ჩემი პროდიუსერი ყველაფერს აგვარებს – გზისა და საცხოვრებელ ხარჯებს ისინი იღებენ საკუთარ თავზე. საკმაოდ ბევრი შემოთავაზება მაქვს, მაგრამ, ყველგან ვერ ვიმღერებ. სხვა სეგმენტზე გვაქვს გათვლილი – დიდ სცენაზე უფრო ვიმღერებ, ვიდრე კორპორაციულ საღამოებზე. ალბომისთვის უკვე მზად არის შვიდი სიმღერა, შვიდი კიდევ დაემატება და უკრაინაშიც გამოვა ალბომი. ახლა რომ ჩავალ, დავიწყებთ სიმღერების ჩაწერას, შემდეგ რადიოში წავა და, თუ გაამართლებს, მერე ჩაიწერება ალბომი, რასაც აუცილებლად მოჰყვება კონცერტები, თან, არა პატარა სცენაზე. ჩემი მწვრთნელი მიწერს ძალიან კარგ სიმღერებს, სულ ახალი რეპერტუარი იქნება: უკრაინულ-ინგლისური და, შეიძლება, ქართული სიმღერებიც შეერიოს. მასთან რომ არ მოვხვედრილიყავი, შეიძლება, ყველაფერი ასე კარგად არ წასულიყო – პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არის ერთადერთი ადამიანი უკრაინის მუსიკალურ სივრცეში, რომელსაც არა მხოლოდ მე, არამედ, მთელი უკრაინა და მთელი მსოფლიო დიდ პატივს სცემს. ყველასგან განსხვავებული პიროვნებაა. პროფესიით ფიზიკოსია და ამ დარგში უცხოურ ჟურნალებშიც სერიოზულ სტატიებს წერს. თან, ჩემსავით გვიან დაიწყო სიმღერა. ბავშვობიდან კი ვმღერი, მაგრამ, დიდ სცენაზე 20 წლის ასაკში დავდექი.



**დილის 5 საათი იყო, ტელეფონსაც არავინ მპასუხობდა, მერე ვილაც გოგომ და ბიჭმა გამოიარეს და მათ მიპატრონეს – მეგობართან დარეკეს, მოკლედ, თაბაშირში ჩამისვეს. ახლა უკვე მოვიხსენი და კარგად ვარ**

**– ახლა ცხოვრების რა ეტაპზე ხარ?**

– ალბათ, ახლა გარდამავალი ეტაპი მაქვს. ვგრძნობ, ვიზრდები როგორც ადამიანი. ცოტა დავსერიოზულდი კიდევ, მაგრამ, ხანდახან ისევ მიქშუტუნებს. მიმაჩნია, რომ ახალი რაღაც უნდა დაიწყოს, რადგან, სხვა შემთხვევაში, წრეზე წავალ, წრეზე სიარული კი აღარ მინდა. უკვე ოთხი წელია, წრეებზე დავდივარ – საქართველოში, სამწუხაროდ, ასეთი რეალობაა. ამიტომაც მინდა, სხვა ქვეყანაში წავიდე, ბევრი რაღაც უფრო მარტივად გავაკეთო, ვიდრე ეს საქართველოში ხდება და მერე ისევ ჩემს ქვეყანაში დავბრუნდე.

**– როგორია შენი ფიქრების ზღვა?**

– მინდა, ძალიან ბევრ ქვეყანაში ვიმოგზაურო, გავაცნო ჩემი თავი და, უცხო ქვეყანაში რომ ჩავალ, იყვირონ: ეს ქართველიაო. კიევში უკვე ყვირიან. მეოცნებე არ ვარ, ოცნებებიც არ მაქვს. როცა შეყვარებული ვარ, არც მაშინ მაქვს ოცნებები. ძირითადად, მიზნები მაქვს, არარეალურზე არ ვფიქრობ და არ ვოცნებობ. საკუთარი თავის ყველაზე დიდი ფსიქოლოგი თვითონ ვარ. თუ მართლა დამჭირდება ფსიქოლოგი, მაშინ, ჯობია, პირდაპირ ასათიანზე წამიყვანონ. სულ ვესაუბრები საკუთარ თავს, ანალიზებს ვაკეთებთ ერთად.

**– როგორი იყო ოთო ბავშვობაში, რა სურვილები ჰქონდა მას ყველაზე ხშირად?**

– ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, მშობლებსაც ვაბრაზებდი. უფრო ხშირად მე და ჩემი ძმა ვურტყამდით ერთმანეთს. ხშირად ქუჩაშიც ვჩხუბობდი, მაგრამ, ხუთოსანი მოსწავლე ვიყავი. 6 წლის რომ გავხდი, მეგონა, გავიზრდები, დიდი ხელფასი მექნება და დედიკოს მივეხმარები-მეთქი, მაგრამ, ასე არ აღმოჩნდა. თუმცა, ამაზე ახლაც ვფიქრობ და ეს უკვე რეალობაა – აუცილებლად დავეხმარები და ვეხმარები კიდეც. ისე, ჩემი ბიზნესიც მქონდა – პირველ კლასში უკვე ბიზნესმენი ვიყავი: სიმინდი ვიყიდე, ბატიბუტი მოვხალე და ბებოს ჩავაბარე გასაყიდად. ისიც ჭიქას 20 თეთრად ყიდდა, იქიდან 15 თეთრი ჩემი იყო, 5 თეთრი კი მისი უნდა ყოფილიყო. 1 თვის მერე მივაკითხე, ერთი ჭიქა ჰქონდა გაყიდული, 15 თეთრი გამოვართვი და დანარჩენი ბატიბუტი უკან წამოვიღე. მოკლედ, ჩემი პირველი შემოსავალი 15 თეთრი იყო. რაც მთავარია, კონტრაქტის პირობები არც ერთს არ დაგვირღვევია. როცა გავიზარდე, უფრო დიდი ბიზნესიდეები გამიჩნდა, მაგრამ, მერე ფული აღარ მქონდა. ისე, ბავშვობაში პროკურორობა მინდოდა, მაგრამ, რატომ მინდოდა – არ ვიცი.

**– ხალხის დაჭერა ხომ არ გინდოდა?**

– არა, არც კი ვიცოდი, რას ნიშნავდა, ეტყობა, სიტყვა მომწონდა. საბოლოოდ კი, გავხდი ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი. ეს შეგნებული გადაწყვეტილება იყო და ახლაც ვფიქრობ, რომ ეს არ არის ჩემი მეორადი პროფესია, ამ კუთხით აუცილებლად ვიმუშავებ. უბრალოდ, ჯერჯერობით, მინდა, მუსიკას მივხედო, რადგან, სადაც თავს შევყოფ, იმას ვაწვები ბოლომდე.

**ჩემი ბიზნესიც მქონდა – პირველ კლასში უკვე ბიზნესმენი ვიყავი: სიმინდი ვიყიდე, ბატიბუტი მოვხალე და ბებოს ჩავაბარე გასაყიდად. ისიც ჭიქას 20 თეთრად ყიდდა, იქიდან 15 თეთრი ჩემი იყო, 5 თეთრი კი მისი უნდა ყოფილიყო**

**– როდის იყო შენს ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი?**

– ჩემს ცხოვრებაში მაშინ იყო ყველაზე რთული პერიოდი, როდესაც უნივერსიტეტში ჩავაბარე და გორიდან წამოვედი. უფასოზე მოვხვდი – ხომ გითხარი, ცხოვრებაში მიმართლებს-მეთქი. დილის 9-ის ნახევარზე ლექციები მეწყებოდა, არადა, ქალაქიდან ძალიან შორს ვცხოვრობდი; პირველზე მიმთავრდებოდა ლექციები, 2 საათზე უკვე სამსახურში ვიყავი და საღამოს 9 საათამდე ვმუშაობდი. დღეში ხან 5 ლარი მქონდა, ხან - 10 ლარი.

**– სად მუშაობდი?**

– ერთ-ერთი ქარხნის მშენებლობაზე. მე ვამაყობ ამ პერიოდით, ბევრჯერ გამიკეთებია ასეთი რაღაცეები და, თუ დამჭირდება, კიდევ გავაკეთებ. იმ კუთხით იყო რთული პერიოდი, რომ ძალიან ვიღლებოდი ფიზიკურად, ასაკითაც საკმაოდ პატარა ვიყავი. თან, რომ მოვდიოდი, მერე ღამის 1-2 საათამდე ვმეცადინეობდი. რადგან ძალიან შორს ვცხოვრობდი, ამიტომ დილის 5-6 საათზე ვდგებოდი, რომ 9-ის ნახევარზე მოვხვედრილიყავი მაღლივში. თუმცა, არასდროს მილაპარაკია იმაზე, როგორ მიჭირს, როგორ ვიღლები. მახსოვს, 7-8 წლის წინ სამი კარტოფილი მქონდა და „პლიტაზე" შეწვა ვცადე – რა ვიცოდი, რომ დაიწვებოდა. მოკლედ, იმ დღეს მშიერი დავრჩი. საქართველოში ასეთი რთული პერიოდი ყველას გვქონია, ამიტომ, ყველას ვეტყვი, რომ ძალიან ბევრი უნდა იმუშაონ. ახლაც მაქვს ხოლმე რთული პერიოდები, მაგრამ, არ მიყვარს ასეთ რაღაცეებზე საუბარი, წუწუნი; თან, საშინელი ოპტიმისტი ვარ. რაც მთავარია, ის ადამიანები, ვისთანაც ერთადაც ვმუშაობდი, ჩემზე 40-45 წლით უფროსები იყვნენ და მათგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ასეთ დროს როგორც პიროვნება, ადრე იწყებ ჩამოყალიბებას და, რაც მთავარია, მარტო შეგიძლია ბევრი რამის კეთება.

**– რომელმა ეტაპმა მოახდინა გარდატეხა შენს ცხოვრებაში?**

– რომ გითხრათ, „ჯეოსტარის" შემდეგ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა-მეთქი, რა თქმა უნდა, არ იქნება სიმართლე. თუმცა, ეს პროექტი ჩემს ცხოვრებაში ნამდვილად იყო გარდამტეხი, მას შემდეგ ბევრი რაღაც მიადვილდება, მიმარტივდება, თუნდაც, ადამიანებთან ურთიერთობა. რა თქმა უნდა, იმაზე კარგად ვარ, ვიდრე მანამდე ვიყავი, მაგრამ, ძირეულად არაფერი შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ ხალხისადმი და მუშაობისადმი ჩემი დამოკიდებულება, გავხდი პოპულარული და არავინ თქვას, რომ ეს არ არის სასიამოვნო. ყველაზე მეტად მსიამოვნებს მზესუმზირის გამყიდველი რომ ჩამეხუტება და მეუბნება, როგორ მიყვარხარო. თუმცა, რადგან პოპულარული ვარ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაღაცეებზე უარს ვამბობ: ან დალევაზე, ან სადმე წასვლაზე. თავისუფალი ადამიანი ვარ, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი იმისთვის, რომ ის რაღაც „ვარსკვლავი" გავხდე. არც ერთი დღე არ ყოფილა ისე, რომ რამე გეგმა არ მქონოდა, რამე არ მეკეთებინა, თუმცა, დღეს ჩემი ალბომი რომ არ გამოსულიყო, შეიძლება, უსაქმური დამრქმეოდა. მაგრამ, მაინც სულ რაღაცას ვაკეთებდი; პლუს, მიმართლებს კიდეც – საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდები ხოლმე.

**– ცოტა ხნის წინ ფეხი მოიტეხე. სად შეგემთხვა ეგ ამბავი?**

– ჩემს სადარბაზოში კიბის ერთი საფეხური სხვებთან შედარებით უფრო დიდია, თან, ბნელა. ღამით სიგარეტის საყიდლად ჩამოვედი და გადამიბრუნდა ფეხი. გახურებულზე ვერ ვიგრძენი, წამოვდექი, ისევ გადამიბრუნდა და მოკლედ დესანტივით ვიხოხე თამარაშვილის ქუჩაზე. დილის 5 საათი იყო, ტელეფონსაც არავინ მპასუხობდა, მერე ვილაც გოგომ და ბიჭმა გამოიარეს და მათ მიპატრონეს – მეგობართან დარეკეს.

**ნათია უტიაშვილი**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: ჩემს ავტომობილს უცნაური რამ დაემართა, თანაბრად მიდგას გაზზე ფეხი, მაგრამ ძრავის ბრუნები თავისით იმატებს. კომპიუტერზე შევაერთებინე, მაგრამ ვერ დამიდგინეს მიზეზი. იქნებ ამიხსნათ, რა შეიძლება იყოს პრობლემა?**

**პასუხი:** ავტომობილს ხშირად უჩნდება ისეთი პრობლემები, რომლის მოგვარება ხელოსნებსაც კი უჭირთ. განსაკუთრებით, მაშინ, თუ პრობლემა ელექტროსისტემებს ან ძრავის სექტორს უკავშირდება. სავალ და მექანიკურ ნაწილში კი ნებისმიერი პრობლემა შედარებით იოლი ამოსაცნობია. ერთ-ერთი რთულად მოსაგვარებელია თქვენი შემთხვევაც, როცა ძრავა მოულოდნელად მაღალ ბრუნებზე იწყებს მუშაობას. მაღალ ბრუნებზე მუშაობა ზოგჯერ არასტაბილურიცაა. სირთულე კი ისაა, რომ მიზეზი ხშირ შემთხვევაში, ისეთი წვრილმანი შეიძლება იყოს, რომლის პოვნაც თითქმის შეუძლებელია, მით უმეტეს, კომპიუტერული დიაგნოსტიკური ხელსაწყოების ჩარევით. მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ 50-60 პროცენტ შემთხვევაში ასეთ დროს დამნაშავეა ძრავის შემშვებ კოლექტორში „დაუპატიჟებლად" მოხვედრილი ჰაერი. შემშვებ კოლექტორს მრავალი სხვადასხვა ტიპის წვრილი თუ მსხვილი მილი უერთდება, მით უმეტეს, თანამედროვე ავტომობილებში. ეს მილები უზრუნველყოფს სხვადასხვა მოწყობილობების ერთმანეთთან შეთანხმებულ მოქმედებას. სპეციალური ხელსაწყოები, ამ მილების გავლით, გაზის პედალზე ფეხის დაჭერის და გაშვების დროს, ძრავას შესრუტულ ჰაერის ნაკადს ზუსტად ითვლის. ხშირ შემთხვევაში, მიზეზიც სწორედ ამ რომელიმე მილის დაზიანებაა. ძრავას სექტორში მაღალი ტემპერატურის გამო დროთა განმავლობაში ეს მილები გამოშრება და მწყობრიდან გამოდის. უნდა იპოვოთ სკურპულოზურად მომუშავე ხელოსანი, რომელიც დაუღალავად გაჰყვება ამ მილებს და პრობლემას იპოვის. თუ მიაგნებს, მერე ძრავას მუშაობის სტაბილურობა პრობლემას აღარ წარმოადგენს.

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
**მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს „ტოიოტა" და როგორც მითხრეს, ის დიდი ბრუნვებისთვის არ ვარგა. რატომ, რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი:** საერთოდ, ძრავებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა დეტალების ბალანსს და წონას. მაგალითად, თუ ქაღალდისა და ტყვიისგან ჩამოსხმულ რგოლებს გავუყრით ღერძს და დავატრიალებთ. რა თქმა უნდა, ქაღალდის უფრო სწრაფად დატრიალდება. ის შეიძლება, მალე დაიხეს, მაგრამ თუ იდეალურად დაატრიალეთ და რგოლსაც კარგი ფორმა ექნება, ის ძალიან დიდხანს იტრიალებს და არ დაზიანდება. მაგრამ, არათანაბარი დატრიალების შემთხვევაში, თანაც თუ ამ ქაღალდის რგოლს ცალ მხარეს სიმძიმეს დაკიდებთ, ის ძალიან მალე გაფუჭდება. მძიმე ბურთს ეგრევე სწრაფად ვერ დაატრიალებთ. მაგრამ, შეგიძლიათ, ნელ-ნელა მოუმატოთ სიჩქარე და თან, დიდხანს ატრიალოთ ისე, რომ არ დაზიანდეს. სწრაფბრუნვადი ძრავების მთელი პრინციპიც ესაა. ნელა მბრუნავი ძრავები კი, ისევე როგორც „ტოიოტა," მძიმე დეტალებისგან შედგება, საკმაოდ კომფორტული სატარებელია. ანუ, ნაკლებად მკვეთრ მანევრებს აკეთებს, შენელებისთვის თავის მასას იყენებს, რბილად ჩერდება და დაიძვრება. მკვეთრ გადასვლებს არ აკეთებს, გათვლა კომფორტულობაზეა და ასეც არის. მაგრამ, შესაბამისად, მაღალ ბრუნს ვერ აღწევს, რადგან მძიმე ლითონისაა. აბსოლუტურად პირიქით ხდება მაღალბრუნვიან ძრავების შემთხვევაში. მაგალითად, „ჰონდა", როცა გაზს ფეხს დააჭერთ, ის მკვეთრად ჩქარდება და ეს რა თქმა უნდა, დისკომფორტს ქმნის, თუ სპორტული რეჟიმით არ გინდათ ატაროთ მანქანა. იგივეს იგრძნობთ გაზიდან ფეხის აშვებისას, როცა ის ძალიან მკვეთრად ჩერდება.

**კითხვა: მუდმივად ჰქონდა სიჩქარეთა კოლოფის პრობლემა ჩემს ავტომობილს. მირჩიეს, გავყიდო და „ბეემვეს" რომელიმე მოდელი შევიძინო. „ბეემვე" ჩემთვის სისწრაფესთან ასოცირდება, მაგრამ მისი კოლოფების შესახებ არასდროს არაფერი მსმენია. სწორია ეს შეხედულება?**

**პასუხი:** „ბეემვეს" მოდელებს ძალიან ძლიერი ძრავა აქვთ და დიდია ალბათობა, სიჩქარეთა კოლოფი ხშირად გამოვიდეს მწყობრიდან. მაგრამ სინამდვილეში, პირიქით ხდება. ის უძლებს ყველანაირ დატვირთვას და ძალიან დიდხანს მუშაობს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ „ბეემვეს" განსაკუთრებულად და ზოგადად უკანა წამყვანი თვლებით აღჭურვილ ავტომობილებს, გაცილებით უფრო მდგრადი სიჩქარეთა კოლოფი აქვს.

აგიხსნით რა არის ამის მიზეზი. სიჩქარეთა კოლოფის შიდა მოწყობილობა გრძივად და მარტივად არის განლაგებული. ანუ, ის დაწოლას ერთი მხრიდან იღებს და გადასცემს გრძივად განლაგებულ მეორე ნაწილს, რის შემდეგადაც მბრუნავი მომენტი თვლებს გადაეცემა. შესაბამისად, უკანა წამყვანის სიჩქარეთა კოლოფი გაცილებით გამძლეა. ამ კატეგორიაში გადის „მერსედესის" სიჩქარეთა კოლოფიც, რომელიც ასევე ძალიან მძლავრია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ლოგიკური დასკვნა გავაკეთოთ, რომ წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილ მოდელებს შედარებით სუსტი კოლოფი აქვთ და ეს ასეცაა. წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილი მოდელების სიჩქარეთა კოლოფის სისუსტეს ის განაპირობებს, რომ მბრუნავი მომენტი გრძივად არ გადაეცემა. ძრავას ნაწილში არის ერთი დეტალი, ხოლო მეორე დეტალი მის ქვემოთაა განთავსებული, რომელიც ასევე ხიდის, ანუ რედუქტორის ფუნქციას ითავსებს. თუ უკანა წამყვანს ჯერ სიჩქარეთა კოლოფი აქვს და მერე მოდის ეგრეთ წოდებული რედუქტორი, რომელიც მბრუნავ მომენტს ანაწილებს და თვლებისკენ უშვებს, წინა წამყვანის შემთხვევაში ეს ყველაფერი ერთად არის განთავსებული. ანუ კიდევ უფრო რომ დავწვრილმანდეთ, მას მბრუნავი მომენტი არა გრძივად, არამედ რამდენიმე დეტალზე ერთად გადააქვს და მერე უნდა მიაწოდოს თვლებს. თან, ეს ყველაფერი განთავსებულია ერთ კოლოფში. ამასთან ერთად, დეტალებზე დაწოლა სხვადასხვა კუთხით ხდება – ბევრი საკისარი, ეგრეთ წოდებული „პაჩებნიკია" განთავსებული, რომლებზეც სხვადასხვა მანევრის დროს, სხვადასხვა კუთხით ხდება დაწოლა. შესაბამისად, მისი მწყობრიდან გამოყვანა ადვილია. მაგრამ, ისე არ იფიქროთ, რომ წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილი ყველა მარკა ძალიან ცუდია. აქაც არის განსხვავებები. ზოგი მოისუსტებს და ზოგი – მაინც ახერხებს, შედარებით მძლავრი სიჩქარეთა კოლოფი ჰქონდეს.


რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

იხილე ფოტო - ბიჭიკოს დედა
(......) ვეკუა / რელიეფის ნაწილი
ყელის ტკივილი
ჭეშმარიტება ასეთიც არის
რკინის ჯოხი

თავისი საქმის კარგი მცოდნე
ბუნებრივი, დაუმორჩილებელი
ჩვენს მხარეში მცხოვრები
არც ცხელი, არც ცივი
პატარა / ხარაგაულის სოფელი

ბადურაშვილი
აქლემის ასაკიდი
ციებცხელება
სპარტელებიც, არაგველებიც

რჩეული საზოგადოება
შესაძლებლობა
ინდოეთის მდინარე

ესკორტი
დიდი წერილი
დათოს დედა სერიალში

აზიიდან მომდინარე
(.......) გაგარინი
ძველი ოსი / იტალიის ოლქი

ხელოვნური მდინარე
მსახიობის ინვენტარი
ნაზი, სათუთი / უარის სიტყვა

მეტყველების ორგანო
დასავლურქართული სახლიც და სახოტბო ლექსიც
არის ასეთი სანელებელი
მაღაზია „(.......) პარი“
არშიყი / ცხვრები

ოდისევსის სამშობლო
„გმირი (........) ზრდილობით“
ოპერის სიმღერა
კომპიუტერული ერთეული
(.......) ბესინჯერი
გაზაფხული შემოსულა......!

ჯვაროსანთა მტერი სულთანი ეგვიპტისა
ვარდის მცველი / ჭადრაკის ფიგურა

შეხმატკბილება
ჩვენი თვლის საწყისი
ხელოსანთა გაერთიანება
წვერის სადებავი

საქართველოს დიდი დედა
ჩეხური მანქანა
ჩვენი საზღვარი თურქეთთან
გორბაჩოვის ცოლს ერქვა
კაზაკების ლიდერი

ახმეტის მდინარე
ვაშლი, მსხალი, ატამი
ცეცხლის მიღების საშუალება
მთვრალი კაცის “დასახაზი“

სარეცხი ფხვნილი
ბაირონის პოემა

არგენტინელი მწერალი ხულიო...
დიდი ჭიანჭველა
კვლავ
შესაბოძი საშუალება

ღრმული ზოგის გაღიმებისას
შუა სს იტალ. არქიტექტორი
თეფში

სახელს ენაცვლება იმერეთში
მარადიული ქალაქი
მღვდლის საზეიმო სამოსი
პატიოსანი



სიცილის გამომწვევი ცნება
პეპი გრძელი წინდას მეგობარ.
დიდი ჩაქუჩი
სათაყვანო კერპი
მრუდების სახაზავი

შუა აზიის მთები

ჩოხის ატრიბუტი
პირის ღრუშია
არის ასეთი მწვანილი
აფრიკის ქვეყანა

ახირებული ჩვევა

სითხის ჭურჭელი
რაქაშია
არის ასეთი ხილი

ინგლისელთა მიმართვა
სახის მოძრაობა

ბელეტრისტი
აჩრდილი

| სვეტი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 34 | 2 | 1 | 1 | 1 1 | 1 4 2 | 1 6 3 | 1 6 3 | 1 7 3 | 1 7 6 3 | 1 8 8 4 | 1 8 8 3 4 | 1 7 8 2 3 | 1 11 2 2 4 | 1 8 4 2 2 | 1 6 4 3 2 | 1 5 3 7 | 1 8 3 2 2 | 1 8 6 2 | 1 8 3 2 2 |

| სვეტი | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 5 3 4 2 | 1 6 4 3 1 2 | 1 9 4 2 4 | 1 8 3 2 2 4 | 1 9 7 2 4 | 1 10 3 2 4 | 10 5 4 | 9 4 | 9 3 | 6 2 | 2 | 1 2 | 1 2 | 1 2 | 1 1 | 1 1 | 1 | 1 | 2 | 34 |

| სტრიქონი | |
|---|---|
| 1 | 25 2 8 |
| 2 | 2 3 2 |
| 3 | 1 2 4 1 |
| 4 | 1 4 5 1 |
| 5 | 1 6 6 1 |
| 6 | 1 7 6 1 |
| 7 | 1 7 6 1 |
| 8 | 1 8 6 1 |
| 9 | 1 7 7 1 |
| 10 | 1 7 6 1 |
| 11 | 1 6 5 1 |
| 12 | 1 6 6 1 |
| 13 | 1 5 5 1 |
| 14 | 1 11 1 |
| 15 | 1 10 1 |
| 16 | 1 12 1 |
| 17 | 1 14 1 |
| 18 | 1 3 5 2 1 |
| 19 | 1 2 3 1 1 |
| 20 | 1 2 2 3 2 1 1 |
| 21 | 1 3 2 3 2 1 1 |
| 22 | 1 8 6 1 |
| 23 | 1 8 7 1 |
| 24 | 1 3 2 2 2 1 |
| 25 | 1 2 3 1 1 |
| 26 | 1 2 3 1 1 |
| 27 | 1 3 2 1 2 2 1 |
| 28 | 1 7 1 6 1 |
| 29 | 1 14 1 |
| 30 | 1 5 1 |
| 31 | 1 4 4 1 |
| 32 | 1 7 6 1 |
| 33 | 1 8 2 9 1 |
| 34 | 1 9 17 1 |
| 35 | 1 8 2 11 1 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | 3 | 7 | 6 | 8 | 1 | |
| 5 | | 7 | 9 | | | | 3 | 6 |
| | 6 | 1 | | 5 | 4 | 7 | | 2 |
| | 2 | 9 | 7 | | | | 4 | |
| 8 | | 4 | | 1 | 3 | 6 | | 9 |
| 7 | 3 | | 4 | 9 | | | 5 | 1 |
| | 7 | | 5 | 4 | 2 | 1 | | |
| 2 | 1 | | 6 | | | 9 | 8 | 4 |
| 6 | 4 | | | 8 | 9 | | 2 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | 8 | | | | 7 | |
| 4 | | | 6 | | 1 | | 8 | |
| | 8 | | | | 7 | | 1 | |
| | 9 | | 1 | | | 2 | | |
| | 6 | | 3 | | | 4 | | 8 |
| | 5 | | | 8 | | | | 7 |
| 8 | | | | 2 | | 7 | | |
| 6 | | 9 | | 1 | | 8 | | |
| | | 5 | | 6 | | | 4 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. სამკუთხედით დაიწყეთ მანგუსტის ხატვა

2. სამკუთხედში ჩახატეთ თვალები და მიახატეთ ქოჩორი





3. დაასრულეთ მანგუსტის თავის ხატვა



4. მიახატეთ ტანი და მხრები



5. ხელებიც აქ დაგავიწყდეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია



6. დაასრულეთ ტანი



7. მიახატეთ ფეხებიც



8. გააფერადეთ

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დააჭერინე თევზი



## იპოვე თოვლის კაცის ზუსტი ასლი



# მგელი და დედაბერი

## (იგავ-არაკი)

მშიერი მგელი საკბილოს ეძებდა და სოფელ-სოფელ დაძუნძულებდა. უცებ ბავშვის ტირილი შემოესმა. ატირებულ ბავშვს ბებია ეუბნებოდა: ნუ ტირი, თორემ ახლავე მგელს დავუძახებ და შენს თავს წავაყვანინებო. მგელს მართალი ეგონა და კარგა ხანს იცადა.

საღამოს მგელმა ყური მოჰკრა, ბებია ბავშვს ეალერსებოდა და ეუბნებოდა: მგელი რომ მოვა, მოვკლათო.

– ერიჰაა, ამ ქოხში ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენო, – თქვა მგელმა და წაძუნძულდა.

## რიცხვრებუსი

,,3, 2,, 5,, ,20

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ცხოველი, რომელსაც ზამთარში სძინავს | | | დათვს უყვარს / მომღერალი ... პუგაჩოვა | |
| | | | | |
| ერთგვარი ტკბილეული | | | ხეხილი და ... | |

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**

**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: როგორ გავუწიოთ ძაღლს პირველადი დახმარება ინტოქსიკაციის დროს?**

**პასუხი:** ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა მივიყვანოთ ძაღლი ვეტერინართან, მანამდე კი აუცილებელია, ცხოველს მოაშოროთ ინტოქსიკაციის გამომწვევი მიზეზები: ამოურეცხოთ კუჭი, გაუკეთოთ ოყნა. სასურველია, მისცეთ დიდი რაოდენობით სითხე და ნახშირი. მკურნალობის პროცესში საჭიროა, ცხოველს მიეცეს საგულე საშუალებები, ელექტროლიტები, ვიტამინები და სპეციფიკური ანტიდოტები – შხამის საწინაალმდეგო პრეპარატები, რომელთა შერჩევა დამოკიდებულია ინტოქსიიკაციის გამომწვევ ტოქსინზე. უნდა მიეცეს, ასევე, გლუკოზა და ვიტამინები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – კორტიკო სტეროიდები. ინტოქსიკაციის საწინააღმდეგოდ ყველაზე კარგი საშუალებაა მისი პრევენცია, ანუ, უნდა მოარიდოთ თქვენი ოთხფეხა მეგობრები საყოფაცხოვრებო ქიმიასთან ურთიერთობას; ასევე, არ უნდა მისცეთ საეჭვო საჭმელი და განსაკუთრებით სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ სხვადასხვა საწამლავის გამოყენების დროს, კერძოდ, არ უნდა დადოთ თაგვის, ტარაკანის, ჭიანჭველებისა და სხვა სახის საწამლავები მათთვის მისაწვდომ ადგილას.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ბოლო დროს პირდან არასასიამოვნო სუნი ამოსდის. იქნებ, მითხრათ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** არასასიამოვნო სუნი ძირითადათ მიუთითებს რაიმე დაავადებაზე. განსაკუთრებით შემაწუხებელია და არასასიამოვნოა სუნი იმ შემთხვევაში, თუ ძაღლი იმყოფება ოთახის პირობებში, ჩვენ გვერდით. როცა პირის ღრუდან ძაღლს ცუდი, ან, უხეშად რომ ვთქვათ, მყრალი დამპლის სუნი ამოსდის, ამ დროს მას შეიძლება აწუხებდეს ღრძილების ანთება (გინგივიტი), რომელიც გვხვდება კბილების ამოჭრის, კბილის ქვების და პარადონტიტის დროს. ამ დროს საჭიროა, მას სათანადო მკურნალობა ჩაუტაროთ. აუცილებელია, დროულად მიიყვანოთ ვეტერინართან და აღმოფხვრათ არასასიამოვნო სუნის გამომწვევი მიზეზი. პირის ღრუდან სუნთქვის დროს მომჟავო, არასასიამოვნო სუნი შეიძლება მიუთითებდეს გასტრიტსა და თორმეტგოჯა ნაწლავის ანთებით პროცესებზე, რომელიც უფრო ხშირად აწუხებთ ძაღლის ჯუჯა ჯიშებს, რომლებსაც აქვთ საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ანთებითი პროცესებისკენ მიდრეკილება. ასევე, ხშირად გვხვდება განსაკუთრებით კი ლეკვებში, კოპროფაგია – თავისი ან სხვისი ექსკრემენტების ჭამა, რაც მიუთითებს არასრულფასოვან კვებაზე ან საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვადასხვა ეტიოლოგიის მქონე ქრონიკულ ანთებით პროცესებზე.

გაითვალისწინეთ, ამიაკის სუნი სუნთქვის დროს და კანის საფარველზე, არის საშიში სიმპტომი, რომელიც, შეიძლება, მიუთითებდეს თირკმელების ფუნქციის დარღვევაზე, აცეტონის სუნი კი დიაბეტისთვისაა დამახასიათებელი. ასევე, ყურადღებით უნდა დაათვალიეროთ ცხოველის ბეწვი ღამით გასეირნების შემდეგ, რადგან, დეფეკაციის დროს, ის შეიძლება დაისვაროს ფეკალური მასებით, რაც არასასიამოვნო სუნის გამომწვევი მიზეზი ხდება. არასასიამოვნო სუნი შეიძლება გამოწვეული იყოს თათის ბალიშებიდან კანის ანთებითი პროცესების გამო, ფოლიკულიტის დროს, რომელიც ჩირქოვანი ჰემორაგიული ხასიათის გამონადენით ხასიათდება.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა ოსტეოართროზის განკურნება ძაღლებში?**

**პასუხი:** სამწუხაროდ, ძაღლებში ოსტეოართროზის განკურნება ბოლომდე შეუძლებელია. რადიკალური მკურნალობის ერთადერთი მეთოდია სახსრის შეცვლა ხელოვნური იმპლანტანტით, ენდოპროთეზირებით, რომელიც ძაღლებში კეთდება მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლასის დროს, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არაა ხელმისაწვდომი. კონსერვატიული მკურნალობის დროს გამოიყენება სხვადასხვა სახის არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები, რომლებსაც ახასიათებს ანთების საწინაღმდეგო ტკივილგამაყუჩებელი და მსუბუქი ქონდროპროტექტორული მოქმედება (რაც სუსტად ამუხრუჭებს ოსტეოართროზის განვითარებას). ამ პრეპარატების თვითნებურად დანიშვნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან, მათ ახასიათებთ მთელი რიგი უკუჩვენებები. თუ თქვენი ცხოველი კოჭლობს, ამის გამომწვევი მიზეზის დასადგენად და სამკურნალოდ აუცილებლად უნდა მიმართოდ ვეტერინარს, რომელიც გამოიკვლევს თქვენს ცხოველს და, შეიძლება, გამოიყენოს გამოკვლევის სპეციალური მეთოდები, როგორიცაა, მაგალითად, რენტგენოგრაფირება, რის საფუძველზეც დასვამს ზუსტ დიაგნოზს და დაუნიშნავს საჭირო პრეპარატს საჭირო დოზით.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**

**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო ოპუნციას?**

**პასუხი:** ოპუნცია მარადმწვანე მცენარეა, მისი სამშობლოა ჩრდილო ამერიკის სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი. მცენარე ბოჭკოვან სისტემად იზრდება და მისი სიმაღლე 1 მეტრს აღწევს. ოპუნციის ყველაზე დადებითი თვისება ისაა, რომ არ უშინდება ყინვას, ასე რომ, შეგიძლიათ, თამამად ამყოფოთ ის დაბალ ტემპერატურაზე, რადგან, ყინვის მიმართ ძალიან გამძლეა. ოპუნცია სინათლის მოყვარული ჯიშია. კარგი იქნება, თუ ისეთ ადგილას დადგამთ, სადაც მზე კარგად ხვდება. მას ძალიან ორიგინალირი ფორმა აქვს, ამიტომ, კარგია ოფისების და დიდი ოთახების გასალამაზებლად. მისი ყვავილობა საოცრად ორიგინალურად და ორნამენტულად ხასიათდება. მცენარე ხარობს როგორც ტოტით, ასევე მისივე თესლით. ადრე გაზაფხულზე მიაწოდეთ საკვები ელემენტები, რომ კარგად გაიზარდოს. ასევე გახსოვდეთ, რომ მას ემტერება ბუგრი, ამიტომ, რამდენიმე დღის განმავლობაში მოასხურეთ კოლისის 1-პროცენტიანი ხსნარი, რათა არ დაავადდეს. ის კარგად ემორჩილება გაკრეჭასა და ფორმირებას. შეგიძლიათ, ამ სეზონზე ოპუნცია გარეთ დადგათ – როგორც უკვე მოგახსენეთ, დაბალი ტემპერატურა და ყინვა მასზე ცუდად არ მოქმედებს.

**კითხვა: ჩემმა პელარგონიამ მოიწყინა. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** პელარგონია ტროპიკული მცენარეა და მას დიდი ყურადღება ესაჭიროება და ზაფხულის სეზონზე აუცილებელია მისი გარე კლიმატში გატანა. რაც შეეხება ზამთარს, ის აუცილებლად უნდა ვამყოფოთ ორანჟერეაში ან ბინაში, სადაც მინიმალური ტემპერატურა პლუს 18-22 გრადუსია. პელარგონია ზაფხულში უნდა მოირწყას ყოველ სამ დღეში ერთხელ, ხოლო ზამთარში – კვირაში ერთხელ, რათა მცენარემ კარგად აიღოს წყლის მარაგი. გაითვალისწინეთ, რომ ის უნდა ამყოფოთ ნახევრად დაჩრდილულ ადილას, რათა მზემ არ დაწვას. გადარგეთ ყოველ წელს და ამით ახალი ფესვები წამოვა. პელარგონია მრავლდება ამონაყრით, რომლის დარგვა საჭიროა ერთი თვის შემდეგ.

**კითხვა: დიფემბახიას, რომელიც გარე კლიმატში მქონდა, ფოთლები გასცვივდა და ლპობა დაიწყო. იქნება, მირჩიოთ, როგორ ვუშველო?**

**პასუხი:** საერთოდ, ეს მცენარე ძალიან ფაქიზი და მგრძნობიარეა როგორც ორპირ ქარზე, ასევე, მაღალ ტემპერატურაზე. ამიტომ, მას ესაჭიროება ერთი და იგივე ადგილი, ანუ, არ უყვარს ადგილის შეცვლა და, ასევე, ცუდად რეაგირებს დიდი დოზით მორწყვაზე. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მცენარეს ზაფხულის სიცხეში ესაჭიროება კვირაში 3-4-ჯერ მორწყვა, ხოლო ზამთარში მაქსიმალურად უნდა შეამციროთ წყლის რაოდენობა და უნდა მორწყათ მხოლოდ მაშინ, როდესაც შეამჩნევთ, რომ მისი ნიადაგი შრება. ამ სეზონზე გირჩევთ, მუდმივად 20 გრადუსზე ამყოფოთ, რადგან, მისთვის ცუდია ტემპერატურის ცვალებადობა. ზაფხულობით მიაწოდეთ მინერალური საკვები, თუმცა, მასში არ უნდა ერიოს აზოტი, რადგან, მცენარის ფესვი მას მალე ითვისებს, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ფესვთა სისტემის გადაწვა და მცენარის კვდომა. დიფენბახია ყვავის ადრეულ ასაკში და მისი ყვავილობა კალისებურია. ის ძალიან ლამაზი და სურნელოვანი მცენარეა. ეცადეთ, არ გადაჭრათ და არც გასხლათ. თუ ამ პირობებს გაითვალისწინებთ, თქვენი მცენარე თავს მშვენივრად იგრძნობს.

**კითხვა: მაქვს ჰორტენზია, რომელიც უკვე ხუთი წელია, არ ყვავის. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ჰორტენზია სუბტროპიკული მცენარეა და მას არ უყვარს სახლის პირობებში ყოფნა. თუ სხვაგან გაზრდის პირობები არ გაქვთ, მცენარეს შეურჩიეთ განიერი და მაღალი ქოთანი, რათა მცენარის ფესვებმა კარგად და თავისუფლად იგრძნოს თავი და ხშირად გაიტანეთ გარეთ თბილ ამინდში. დიდი დოზით მიაწოდეთ სასუქები, ასევე, ყოველ ადრე გაზაფხულზე მინიმალურად გასხალით. მცენარე იკალმება ძალიან იოლად და მრავლდება თესლითაც. ჰორტენზია კარგია ეზოებისა და ზამთრის ბაღების გასაფორმებლად.

**მოამზადა**
**თეოგა გოზალიშვილმა**

# ქმარმა ცოლი ვალებისა და სახლის მალულად გაყიდვისთვის მოკლა

43 წლის ნონა ო-ძის გვამი მეზობლებმა საკუთარ სახლში აღმოაჩინეს – ქალს გულმკერდის არეში 2 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ორივე ჭრილობა სიცოცხლისთვის შეუთავსებელი იყო, თუმცა როგორც მოგვიანებით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით გახდა ცნობილი, ქალი შემთხვევის ადგილზე სისხლისგან დაიცალა. იმ შემთხვევაში, თუ მას დროულად აღმოუჩენდნენ სამედიცინო დახმარებას, ქალი შესაძლოა, გადარჩენილიყო კიდეც. მაგრამ, როგორც გამოძიებამ დაადგინა, ცხედრის აღმოჩენა მკვლელობიდან რვა საათის შემდეგ მოხდა.

ქალბატონი, ვინც ნონა ო-ძის ცხედარი აღმოაჩინა, მისი მეზობელი იყო და იმავე სადარბაზოში ცხოვრობდა, სადაც გარდაცვლილი ქალი. ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „ნონა ო-ძემ ჩვენს სადარბაზოში ბინა 7 წლის წინ იყიდა, თუმცა მასთან დიდი ხანია, ვმეგობრობ. პატარა რაიონში ვცხოვრობთ, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. ნონა რამდენიმე წელი საბერძნეთში იყო წასული სამუშაოდ და მასთან კავშირი არ მქონდა. მაგრამ, როგორც კი დაბრუნდა, ჩვენს სადარბაზოში ერთოთახიანი ბინა იყიდა და მას შემდეგ ჩვენს შორის ახლო ურთიერთობა დამყარდა. საღამოებს ხშირად ვატარებდით ერთად და ნონაც გვიანობამდე იყო ხოლმე. მარტო ცხოვრობდა და მარტოობას ასე გაურბოდა. ნონას ორი შვილი ჰყავს, რომლებიც რამდენიმე წლის წინ მამამ თავისთან წაიყვანა გასაზრდელად. თავად ბავშვებმა მოისურვეს ასე. ნონა ამაზეც ხშირად წუხდა ჩემთან – რას არ უკეთებდა ბავშვებს, მაგრამ მათი გული ვერა და ვერ მოიგო. ბოლო წლებში თითქოს შეურიგდა კიდეც ქმარს, რომელთანაც ოფიციალურად განქორწინებული არ იყო.

იმ დღეს როდესაც მკვლელობა მოხდა, ნონასთან გვიანობამდე ვიყავი. ალბათ, ღამის პირველი საათი იქნებოდა, სახლში რომ ავედი დასაძინებლად. შევთანხმდით, დილის ათ საათზე ჩემთან ამოვიდოდა – ბაზრობაზე უნდა წავსულიყავით საყიდლებზე. დილით ათი რომ გახდა, დავურეკე, ტელეფონზე არ მიპასუხა. ცოტა ხანში კიდევ გადავურეკე, კიდევ რომ არ მიპასუხა, გამიკვირდა. ფხიზელი ძილი ჰქონდა და ვერ დავიჯერებდი, რომ ზარმა არ გააღვიძა. ნახევარ საათში მეორე სართულზე ჩავედი, კარი ღია დამხვდა. ნონას ცხედარი სამზარეულოში ვიპოვე – სულ დასისხლიანებული იყო. იქვე ეგდო დანაც, რომლითაც, როგორც ჩანს, სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს. მე მაშინვე პოლიცია და სასწრაფო გამოვიძახე. მათ ბინაში შესვლის უფლება არავის აღარ მოგვცეს. ამის მეტი ამ შემთხვევის შესახებ არაფერი ვიცი.“

სამართალდამცველებმა სისხლის სამართლის საქმე აძღრეს, დაიწყო გამოძიება. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ, სახლში ორი ერთმანეთისგან განსხვავებული თითის ანაბეჭდი აღმოჩნდა, რომელიც ბინის შესასვლელ კარზე იყო დატოვებული. დაიკითხნენ გარდაცვლილის მეზობლები, რომელთაც მომხდარის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. ბოლო, ვინც ახალგაზრდა ქალი ცოცხალი ნახა, ის მოწმე იყო, ვინც პირველი ინფორმაცია მიაწოდათ სამართალდამცველებს. მისგან ისიც გახდა ცნობილი, რომ ნონა ო-ძე ცხოვრობდა ახალგაზრდა მამაკაცთან, რომელსაც მეორე ქმრად მიიჩნევდა. ის იმ დროს, როცა მკვლელობა მოხდა, საქართველოში არ იმყოფებოდა. ვის და რატომ უნდა მოეკლა ახალგაზრდა ქალი, არავინ იცოდა. მოკვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ ქალს ბევრი მევალე ჰყავდა, რაც შესაძლოა, გამხდარიყო კიდეც მკვლელობის მიზეზი. გამოძიებამ ყველა ვერსიის გადამოწმება დაიწყო – დაიკითხა რამდენიმე ადამიანი, რომელთა მტკიცებით, მკვლელობასთან მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ქალს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა ორივე ქმართან. მისი პირველი ქმრის დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ ქალმა მას ძალიან დიდი ვალი დაადო, რასაც მამაკაცი წლების განმავლობაში იხდიდა. ამონაწერი ვალერი ბ-ძის ჩვენებიდან: „როდესაც ნონა საბერძნეთში წავიდა, ჩვენი სახლი იპოთეკით დატვირთა. დამპირდა, საბერძნეთიდან პირველივე ფულს შენ გამოგიგზავნიო, მაგრამ მომატყუა – სახლი რომ არ დამეკარგა, ნონას აღებულ ვალებს მე ვიხდიდი, ჯამში დაახლოებით, ათი ათასი დოლარი გადავიხადე. სულ მპირდებოდა, რომ ამ ფულს დაფარავდა, მაგრამ ეს დრო არა და არ დადგა. ჩვენ შორის ისეთი უსიამოვნება იყო, ამ ამბავს ლამის შევეწირე. შური იმით ვიძიე, რომ შვილები წავართვი და ჩემთან წავიყვანე გასაზრდელად. საბერძნეთიდან ისე ჩამოვიდა, კაპიკი არ ჩამოუტანია. ფეხებში ჩამივარდა, შემირიგდი და თქვენთან გადმოვალ საცხოვრებლადო. შემეცოდა, სახლი არ ჰქონდა და კარი, სად უნდა წასულიყო? სამი თვე იცხოვრა ჩვენთან, მერე ვიღაც გამოიჭირა და იმას გაეიკიდა. კიდევ რამდენიმე თვე იყო დაკარგული, მერე გავიგე, რომ ერთოთახიანი ბინა უყიდია სადღაც, მიტოვებულ საცხოვრებელ კორპუსში. ბოლოს მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ვნახე. ნასვამი ვიყავი, გამახსენდა და სახლში მივადექი. მითხრა, გავთხოვდი და ჩემი გზა დაივიწყეო. იმის მერე აღარც გამიხედავს ნონასკენ. ბავშვებისგან გავიგე, რომ საკუთარ სახლში იპოვეს მოკლული.“

## ქალის მკვლელობის კვალი მის ქმრებთან მიდიოდა

გამოძიება მკვლელობის კვალს ქმრებამდე მიჰყავდა – თუმცა, რომელი ქმარი უნდა ყოფილიყო გარეული ამ დანაშაულში – პირველი თუ მეორე, ეს უცნობი გახლდათ. ცხადი იყო, რომ ქალს პრობლემები ორივე ქმართან ჰქონდა. გამოძიებასთან ნონა ო-ძესთან დაახლოებულმა ქალმა განაცხადა: ნონა ერთ დღეს ნასვამი იყო და მითხრა, ორივე ქმარი მოკვლით მემუქრება და ან ერთი შემისრულებს მუქარას, ან მეორეო. როგორც სანდო წყაროსგან გახდა ცნობილი, ნონა ო-ძემ მეორე ქმარს, მალხაზ ს-იას, რომელთანაც გარდაცვალებამდე რვა თვის განმავლობაში ცხოვრობდა, თაღლითურად გადააფორმებინა საკუთარი ბინა, რომელიც ისე გაყიდა, ქმარს არაფერი ჰკითხა. საქმის მასალებით, სწორედ ეს გახდა ქალსა და მამაკაცს შორის დაპირისპირების მიზეზი. მკვლელობიდან რამდენიმე დღეში, გამოძიებამ დაკითხა მალხაზ ს-ია, რომელსაც ალიბი ჰქონდა. მან განაცხადა, რომ მკვლელობის დროს თურქეთში, მისი მეგობრის მიერ საბერძნეთიდან ჩამოყვანილი მანქანის გადმოსაყვანად იყო წასული. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით ძიებამ დაადგინა, რომ მალხაზ ს-ია მართლაც იყო თურქეთში, მაგრამ მკვლელობის დროს ის უკვე საქართველოში იმყოფებოდა. რაში დასჭირდა მას ძიების შეცდომაში შეყვანა და რისთვის იქმნიდა ალიბს?



ყველაზე მეტი ინფორმაცია, რის შემდეგაც მკვლელობას ნათელი მოეფინა, გამოძიებას უნებლიე მოწმემ მიაწოდა, რომლის კვალზეც გამოძიება შემთხვევით გავიდა. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ სწორედ მისი ხელის ანაბეჭდი იყო დატოვებული შემთხვევის ადგილზე. გარდაცვლილი ნონა ო-ძის მეზობლად მცხოვრებმა 20 წლის ნუკრი ჭ-ძემ მეგობრებთან მოჰყვა ინციდენტის დეტალები, რომლის შემდეგაც ყველა კითხვას პასუხი გაეცა. როგორც ნუკრი ჭ-ძე ჰყვებოდა, იმ ღამეს, როცა მკვლელობა მოხდა, ნასვამი იყო. რადგან იცოდა, რომ ნონა მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იყო, ორი ბოთლი შამპანური იყიდა და ნონას სახლს მიადგა. „ალბათ, ღამის პირველი-ორი საათი იქნებოდა. კარზე მორიდებულად დავაკაკუნე. კარი თავისით გაიხსნა. ჩუმად შევძვერი სახლში, სამზარეულოდან ქალისა და მამაკაცის ხმამაღალი საუბარი შემომესმა. შესასვლელში კარადა იდგა, არ ვიცი რატომ, ალბათ, ალკოჰოლმა შემმატა სითამამე, კარადაში შევძვერი და იქიდან ვუსმენდი ჩხუბს. კაცი ზურგით იდგა ჩემკენ და სახეზე ვერ ვხედავდი. ბინას, ფულს და ვალებს ახსენებდნენ. კაცი ძალიან აღშფოთებული იყო. კარადის კარი ოდნავ შევხსენი, ყველაფერი მესმოდა და ვხედავდი, რადგან კარადა პირდაპირ უყურებდა ღია თაღს, რომლის იქით ქალი და მამაკაცი ერთმანეთს საქმეს ურჩევდნენ. უცებ მამაკაცის ხელში დანა დავინახე. ქალს მან არაადამიანური ხმით რაღაც დაუღრიალა. დავინახე, როგორ ჩაიკეცა ქალი, მამაკაცმა ფეხი ჩაარტყა ძირს დაგდებულ ქალს, ზედ გადაუარა და გავიდა. მე დაბნეული, ალბათ, ხუთი წუთი მაინც ვიდექი შესასვლელში. შემდეგ გამოვედი და გავიქეცი. მაშინვე სახლში წავედი, დილით დედაჩემისგან გავიგე, რაც მოხდა ჩვენს სადარბაზოში.

სამართალდამცველებმა მალხაზ ს-ია დაკითხვის შემდეგ დააკავეს. ის დიდხანს უარყოფდა კავშირს მკვლელობასთან და ამტკიცებდა, რომ ქალი, რომელთანაც დიდი უსიამოვნებო ჰქონდა, მისი მოკლული არ იყო. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მალხაზ ს-იამ ცოლი იმ ბინის გაყიდვისთვის მოკლა, რომელიც მან თაღლითურად მიითვისა. ბინის მითვისების ფაქტს მალხაზ ს-იაც ადასტურებდა. როგორც მან გამოძიებასთან განაცხადა, ქალმა მისგან მალულად მიითვისა მისი კუთვნილი ბინა და საბუთების გაყალბების გზით, გაყიდა კიდეც. მამაკაცმა კი ამის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა ბინის ახალი მფლობელი სახლში საკუთარი ნივთების მისატანად მივიდა. მალხაზ ს-იას ჩვენებით, ამის გამო ქალს ის ფიზიკურად გაუსწორდა. მან კი თავი იმართლა, ბინა აუცილებელი და საჩქარო ვალების გამო გავყიდე და როგორც კი ფულს ვიშოვი, რომელსაც ახალი ბიზნესგარიგებიდან ველოდები, მაშინვე უკან დავიბრუნებო. სასამართლო პროცესზე ბრალდებულმა აღიარა, რომ ნონა ო-ძესთან საქმის დეტალებზე სასაუბროდ მივიდა: „ჩვენ ვიჩხუბეთ. ნონამ დანა აიღო და დარტყმას მიპირებდა“. მამაკაცი ირწმუნებოდა, რომ ქალი განზრახ არ მოუკლავს და პირიქით, მისგან იცავდა თავს. ის ბოლომდე ამტკიცებდა, რომ დანით შეიარაღებული თავად ნონა იყო, მაგრამ სასამართლომ ბრალდებულის მტკიცება არ გაიზიარა და მას განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში ჩადენილი მკვლელობისთვის, 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28-42(668)

ვასია მეჩენი თბილისში ზურა ქართველიშვილის დასაფლავებაზე ჩამოვიდა და, მიუხედავად იმისა, რომ ის პაბეგში იყო და საკავშირო ძებნაში იმყოფებოდა, არაფრად ჩააგდო ხიფათი და ზურა უკანასკნელ გზაზე გააცილა. ის ქელეხშიც დარჩა და ერთი დღე ჩემთან იყო. ვასია მეჩენის გრიმი ჰქონდა გაკეთებული და, მართალია, მილიციელები ზურა ქართველიშვილის დასაფლავების მთელ პროცესს რამდენიმე კინოკამერით, ფარულად იღებდნენ, ვასილი მიშკინის მაშინვე ამოცნობა მაინც ვერ მოახერხეს. როგორც ჩანს, ის გვიან გაშიფრეს და, რადგან ეჭვი ჰქონდათ, რომ ძებნილი ქურდი ჩემთან ათევდა ღამეს, თბილისის მილიციის სამმარველოს ოპერატიული ჯგუფი ღამის 2 საათზე დამადგა თავზე. თუმცა, „ძაღლების“ უდროო ვიზიტი დროზე შევნიშნე, ვასია საიდუმლო გვირაბში გადავმალე და კარი გავაღე. ოპერჯგუფს პირადად ხელმძღვანელობდა სამმართველოს უფროსი, ბესარიონ აბრალავა. მან შემომიბღვირა და მითხრა:

– მეჩენი შენთანაა?

– ვასია მეჩენზე მეკითხები, ძია ბესო? – ვუთხარი აბრალავას, რომელსაც ბავშვობიდანვე „ძია ბესოს“ ვეძახდი და არც დიდობაში დამიძახია მისთვის სხვაგვარად.

– „ძია ბესო“... – გამომაჯავრა აბრალავამ და დაამატა: შენთანაა თუ არა?

– არა.

– და, არც ყოფილა, ხომ?

– არა.

– არც გინახავს?

– ვნახე, როგორ არა, ეს თქვენ კინოფირზეც გაქვთ დაფიქსირებული, ჩემთან კი ნამდვილად არ ყოფილა. რა, გიჟი ვარ, ძებნილი ქურდი ჩემს სახლში დავაჭერინო მილიციას?

– ლოგიკურად ლაპარაკობ, მაგრამ, მაინც უნდა შევამოწმოთ. ასე მატყუებდი ბავშვობაშიც, დამაჯერე, რომ პატიოსანი იყავი და, საბოლოოდ, ქურდი გახდი. დროზე რომ გამეშიფრე და გასაქანი არ მომეცა შენთვის, ახლა ქურდი კი არა, პროფესორი იქნებოდი, – მითხრა აბრალავამ და ხელქვეითებს ანიშნა, შემოწმება დაიწყეთო.

სანამ მილიციის სამმართველოს ოპერები ჩემს ბინაში ვასია მეჩენის კვალს ეძებდნენ, მე და აბრალავამ წარსული გავიხსენეთ და მან მითხრა:

– ეეჰ, კობრა, კობრა, როგორ დამაგოიმეთ შენ და ყბედალომ...

– კარგი, რა, ძია ბესო, რა დაგაგოიმეთ? რას იზამდი, რო?! ჩვენ მაინც ქურდულ გზას დავადგებოდით და მერე უფრო მეტად ინანებდი, რადგან, იტყოდი – ცუდ გზას ვერ ავაცდინეო. ახლა კი ასეთი რამ არ გეხება, რადგან, არ იცოდი, რომ ვჩალიჩობდით.

– კობრა, გაფიცებ, მითხარი, ხუჭუჭაც თქვენთან ერთად ჩალიჩობდა?

რა თქმა უნდა, ხუჭუჭაც ჩვენთან ერთად ჩალიჩობდა ბავშვობაში, მაგრამ, აბრალავას ამას როგორ ვეტყოდი და მივუგე:

– არა, ძია ბესო, რას ამბობ! ხუჭუჭას არასდროს უჩალიჩია ჩვენთან ერთად. მე და ყბედალო მას ვუმალავდით და თან არ დაგვყავდა.

აბრალავამ ირონიულად შემომხედა და მითხრა:

– აბა, ბიჭო, მამა გიცხონდა, ხუჭუჭას რამეს გამოაპარებდი ან თავის ჭკუაზე სიარულს დაუშლიდი...

– ეეჰ, კარგი იყო ბავშვობა. მას მერე მთელი საუკუნე გავიდა, – სალაპარაკო თემა შევცვალე და ნაღვლიანად ჩამეცინა.

– შენ გგონია, არ ვიცი, როგორი გამოჭერილი გყავდათ ძევიატკა? – გაეცინა აბრალავას.

– საიდან იცი, ძია ბესო?

– ვიცი, ვიცი, – თავი გააქნია აბრალავამ, შემდეგ თავის ხელქვეითებს უბრძანა, რომ ჩემი ბინის დათვალიერება შეეწყვიტათ და, სანამ წავიდოდა, მითხრა: ვასია მეჩენის თუ შემთხვევით სადმე გადაეყრები, უთხარი, აქედან მალე აახვიოს.



როდესაც დანამდვილებით დავრწმუნდი, რომ მილიცია წავიდა და „კუდი“ არ დაუტოვებია, ვასია მეჩენი სამალავიდან გამოვიყვანე. მას ქართული მშვენივრად ესმოდა. მართალია, რუსული აქცენტით, მაგრამ, ასევე მშვენივრად ლაპარაკობდა ქართულად და ღიმილით მითხრა:

– მე ვფიქრობ, რომ ამ „ძია ბესომ“ იცოდა ჩემი აქ ყოფნის შესახებ და აქედან აახვიოსო, სწორედ ჩემს გასაგონად თქვა.

– თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსია. ჩემს ბავშვობაში კი ჩვენი რაიონის მილიციის უფროსი იყო. გახსოვს, ზონაში ჩემი ბავშვობის ძმაკაც ხუჭუჭაზე რომ გიყვებოდი, სწორედ მამამისის გაქაჩულია ეს აბრალავა. ბავშვობიდან კარგად ვიცნობ და, პა პრივიჩკე ძია ბესოს ვეძახი, – ვუთხარი ვასია მეჩენის, რომელსაც გაეცინა და მითხრა:

– მოკლედ, ასე, ჩემო კობრა: მე ამაღამვე დავიძრები სოხუმისკენ, ორი დღის მერე კი შენ და ბერძენაც შემომიერთდებით და სოჭის საქმის გასაკეთებლად წავალთ. არა მგონია, რამე შეიცვალოს, მაგრამ, თუ სიახლე იქნა, აუცილებლად შეგატყობინებ. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევის გარდა, თუკი ეს სიახლე ჩემი დაჭერა არ აღმოჩნდა.

– რას ამბობ, ვასკა, ღმერთმა დაგიფაროს, – ვუთხარი მეჩენის, გადავეხვიე და ჩემი სახლიდან მშვიდობიანად გავისტუმრე.

ვასია მშვიდობიანად ჩავიდა სოხუმში, ორი დღის შემდეგ მე და ბერძენაც შევუერთდით, ერთი დღის მერე კი სამივე ერთად ჩავედით სოჭში, რომ მსხვილი საქმე გაგვეკეთებინა, რომლის ნაკოლიც ვასია მეჩენის ერთმა ნაკოლშჩიკმა ქალმა მისცა.

– ნაკოლშიცა ქალი იმ ფრაერის ნაშაა, ვისი ბაითიც უნდა დავბომბოთ, – აგვიხსნა ვასიამ მე და ბერძენას, – ის ფრაერი კი დიდი მაყუთის პატრონია, სოჩაში კერძო სახლი აქვს და სადღაც საიდუმლო სეიფი უნდა ჰქონდეს ჩამონტაჟებული. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს სეიფია. პახოდუ კი, რამეს თუ ვიპოვით, რა თქმა უნდა, თან წამოვიღებთ.

– როდის და რამდენი ხნით იქნება ეგ ბაითი ცარიელი? – ჰკითხა ბერძენამ ვასიას.

– ზეგ, საღამოს შვიდიდან ღამის პირველამდე. შეიძლება, უფრო მეტ ხანსაც, მაგრამ, ექვსი საათი გარანტირებული გვაქვს და ამ დროში უნდა ჩავეტიოთ.

– ზეგ რა ხდება? – ვკითხე მეჩენის.

– რა ხდება და, ზეგ საკონცერტო დარბაზ „ფესტივალნიში“ ალა პუგაჩოვას კონცერტია, ისინი იქ მიდიან და ჩვენი საქმეც სწორედ ამ დროს უნდა გაკეთდეს, – მითხრა მეჩენიმ.

სოჭელი „ობიექტი“ ამ სახელგანთქმული ქალაქის ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო დაწესებულების დირექტორი იყო და, სანამ ალა პუგაჩოვა „ფესტივალნიში“ მღეროდა, მე, ბერძენა და ვასია მეჩენი მის ფეშენებელურ სახლში საიდუმლო სეიფს ვეძებდით.

– იქნებ, ნაკოლშიცა შეცდა და არანაირი საიდუმლო სეიფი არ არსებობს? – თქვა ბერძენამ, – უკვე სამ საათზე მეტია, ვჩალიჩობთ და ვერ მივაგენით. მოდი, ანტიკვარიატი წავიღოთ და წავიდეთ.

– ჩემი ნაკოლშიცა არასდროს ცდება.

უბრალოდ, კარგად უნდა ვეძებოთ, – თქვა ვასიამ.

– ვასკა, იქნებ, ბერძენა მართალს ამბობს? რაც მე სეიფები მიძებნია, ერთ საათზე მეტი არასდროს დამჭირვებია, – ვუთხარი მეჩენის, მან კი თავი გააქნია და გაიმეორა:

– არა, ძმებო! მერწმუნეთ, რომ საიდუმლო სეიფი არსებობს, უბრალოდ, კარგად უნდა მოვძებნოთ.

კიდევ ნახევარი საათი ვეძებე სეიფი და მეჩენის ვუთხარი:

– ვასკა, თავს დავდებ, რომ ბაითში სეიფი არ არის და, თუ ის მართლა არსებობს, მაშინ, სხვაგანაა, – მე ეზოში გადავიხედე, სადაც განცალკევებით იდგა საუნა და დავამატე: ერთადერთი, ეს საუნა დარჩა და, თუ სეიფი არსებობს, მაშინ, იქაა.

– საუნაში? – ერთხმად თქვეს მეჩენიმ და ბერძენამ.

– ჰო. წამოდით, იქ მოვძებნოთ.

საუნაში მართლაც აღმოჩნდა საიდუმლო სეიფი, რომელიც კედლის ბარს მიღმა იყო ჩამონტაჟებული და შიგნით ბლომად ფული, ძვირფასეულობა და კუსტარულად დამზადებული ბაჯაღლო ოქროსგან ჩამოსხმული ოქროს ზოდი აღმოჩნდა, რომელიც 1 კილოგრამსა და 250 გრამს იწონიდა.

– მაგარი კუშია, ძმებო! – სიხარულს ვერ მალავდა ვასია მეჩენი, – მეოთხედი ნაკოლშიცას, დანარჩენს ქურდულად მივხედავთ. აქედან კი დღესვე უნდა ავახვიოთ და რაც შეიძლება სწრაფად და, რა თქმა უნდა, სუფთად.

სოჭი მართლაც იმავე ღამეს დავტოვეთ და პირდაპირ ლენინგრადში გავემგზავრეთ კეშასთან, ანტიკვარიატისა და ოქროს გადამყიდველთან, რომელმაც ტავარის ნახევარი თანხა მაშინვე გაგვიმაზა, ნახევრისთვის კი სამი თვის შემდეგ დაგვიბარა და მშვიდობიანად გამოგვისტუმრა.

ნაკოლშიცას წილი იქვე „გადავტეხეთ“ და წინასწარ შეთანხმებულ ადგილას გადავმალეთ, რომელიც ჩვენ გარდა მხოლოდ საქმის მომცემმა ქალმა იცოდა, დარჩენილი ფულიდან კი ლომის წილი ქურდულ ობშჩიაკში გავუშვით, დანარჩენი თანაბრად გავიყავით და იალტაში გავემგზავრეთ დროის გასატარებლად. გზად სიმფეროპოლში შევჩერდით, რომ ცნობილ ტალკუჩკაზე შმოტკები შეგვეძინა და ისე ჩავსულიყავი იალტაში.

შავიზღვისპირეთში ეს საყოველთაოდ ცნობილი „ტალკუჩკა,“ რომელსაც ბლატნოი ჟარგონზე „ტალჩოკს“ უწოდებენ, ქალაქ სიმფეროპოლის ცენტრალური უნივერმაღის სამხრეთ ნაწილში, პატარა ეზოში იყო განთავსებული და ბარიგებიც სწორედ იქ იკრიბებოდნენ.

– ერთი წუთით, ძმებო, შეჩერდით! – ვუთხარი ვასიასა და ბერძენას და უნივერმაღის კიბეებზე მიმავალ მაყუთიან ბიძას გავაყოლე თვალი, რომელსაც ყბედალომ ნა ხადუ ისე სწრაფად და შეუმჩნევლად ამოაცალა საფულე, რომ ბიძამ ვერაფერი გაიგო, გზა განაგრძო, ზურიკო ტაბიძე კი 180 გრადუსით შეტრიალდა და ძირს დაეშვა.

– რა მოხდა, კობრა? – მკითხა ბერძენამ, რომელსაც ვასიამ მიუგო:

– რა და, კობრამ ბალტუნი დაინახა.

– ყბედალო? – იკითხა ბერძენამ.

– ჰო, ყბედალო, – გაეცინა ვასიას და რუსულად დაამატა: ბალტუნის გამოთქმა უფრო კარგად გამომდის.

– არა, რა, ოქროს ხელები აქვს, ძალიან სუფთად მუშაობს, – ვთქვი მე.

ამასობაში ყბედალომ ტაქსების გაჩერებისკენ აიღო გეზი და ბერძენამ თქვა:



– ჩქარა დავუძახოთ, თორემ, წავა.

– ზურა! ზურა! ტაბიძე ზურა! – დაუყვირა ვასიამ ყბედალოს, რომელიც უკვე ტაქსიში ჯდებოდა, მაგრამ, რომ დაგვინახა, ჩვენკენ ღიმილით გამოემართა, სათითაოდ ჩაგვეხუტა და გვითხრა:

– საიდან სადაო, ძმებო?

– იალტაში, საგულაოდ. შენ? – მივუგე ყბედალოს, რომელმაც თვალი ჩაგვიკრა და გვითხრა:

– ახლა უკვე მეც საგულაოდ. სამი დღე მაგრად ვიპახავე, რომ ობშჩიაკის მაყუთი მეშოვა და ცოტაც რიტასთვის გამეგზავნა როსტოვში. ახლა კი, მე მგონი, საგულაო ფულიც მაქვს, – ყბედალომ ჯიბეზე დაირტყა ხელი, სადაც მოპარული საფულე ედო, – არ მგონია, რომ იმ ფრაერს ქაღალდით სავსე ლაპატნიკი სდებოდა ჯიბეში.

– ჩქარა მოვტყდეთ აქედან, – თქვა მეჩენიმ, – აი, ის ფრაერი გამოვარდა უნივერმაღიდან, შენ რომ გაპარსე... წავედით!

იქაურობას მაშინვე გავეცალეთ, იალტისკენ ავიღეთ გეზი და, როდესაც ბინა ვიქირავეთ და მოვეწყვეთ, მხოლოდ მაშინ გახსნა ყბედალომ მოპარული საფულე და, რვაას მანეთთან ერთად, მილიციის პოლკოვნიკის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, პასპორტი და მართვის მოწმობა ამოიღო.

– ფუი, ამის დედაც... – შეიგინა ყბედალომ, – ბედი არ გინდა? „ძაღლი“ გამიპარსავს, თანაც – „მურელი“.

მილიციის პოდპოლკოვნიკის საბუთები სიმფეროპოლის მილიციის სამმართველოს წინ დავაგდეთ, რისთვისაც სიმფეროპოლში სპეციალურად ჩასვლა დაგვჭირდა, რომ მილიციას სწორ კვალზე დადგომა გასჭირვებოდა. მოპარული ფულით კი კარგად მოვილხინეთ და ხუმრობით მილიციის საღლეგრძელოს ვსვამდით, ვხალისობდით და მშვენიერ დროს ვატარებდით. სამი კვირის შემდეგ ყბედალო და ვასია მეჩენი როსტოვში გაემგზავრნენ, მე და ბერძენა კი თბილისში დავბრუნდით და, სანამ ერთმანეთს დავშორდებოდით, შევთანხმდით, რომ ფულზე კეშას ვასია მიაკითხავდა ორი თვის შემდეგ.

– თუ დამიჭირეს და ვერ შევძელი, მაყუთზე თქვენ მიხვალთ კეშასთან, – გვითხრა მეჩენიმ, გადაგვეხვია და წავიდა. მას ენამ უყივლა – ორი კვირის მერე მილიციამ ის როსტოვში, კონსპირაციულ ბინაში აიყვანა და რვაწლიან სროკზე გაუშვა.

თბილისში დაბრუნებიდან ერთი თვის თავზე ბერძენაც გასროკეს, რომელმაც ქუთაისში ადგილობრივ მილიციელს სცემა. ბერძენა ერთ გოგონასთან ერთად მიდიოდა ქუჩაში, როცა ფორმიანი მილიციელი მას აუშარდა და, რომ გაიგო, თბილისელთან ჰქონდა საქმე, დაცინვა დაუწყო, ბოლოს შეაგინა და ბერძენას მუშტს ყბაც შეატეხა...

ბერძენა ოთხწლიანზე გაუშვეს. ამიტომ, კეშასთან მე გავემგზავრე, დარჩენილი თანხა ავიღე, ყველა წილი დანიშნულებისამებრ გავუშვი და თბილისში მხოლოდ ამის მერე დავბრუნდი. მიუხედავად იმისა, რომ სოჭის საქმის წილიდან არცთუ ისე მცირე თანხა შემომრჩა, ფული საკმაოდ სწრაფად მელეოდა და „ფოსტას“ შევსება სჭირდებოდა. გარდა ამისა, ჩემი პროფესია და ნებმანელი ქურდის სტატუსი მოითხოვდა, რომ უნდა მეჩალიჩა და ახალი საქმის მომზადებას შევუდექი. კვალიფიციური ქურდობა არასდროს ყოფილა ადვილი, მაგრამ, იმ მომენტში ყველაფერი ათმაგად გართულდა, რადგან, მარტო, პაძელნიკების გარეშე ვიყავი დარჩენილი და ყველაფრის კეთება თვითონ მიწევდა.

„ჭიჭიკია ხომ არ გავასუფთავო, ის ნაბოზარი ძაღლი, ბერძენა რომ ტყუილუბრალოდ გაასროკინა?“ – ჩავილაპარაკე ჩემთვის, როცა ახალ საქმეზე ვფიქრობდი და ჩემ უკან, სასამართლო დარბაზში მოსმენილი დიალოგის ფრაზა გამახსენდა, როდესაც ერთმა ქუთაისელმა მეორეს უთხრა – აი ბიჭი ტყვილა დააჭრინა ამ ღორმა და, რაცხა იქნება, ვინცხა სულ ერთიანად წაართმევს ან მოპარავს იმ არამად ნაშოვნ ქონებას და ოქრო-ვერცხლსო...

ეს ფრაზა ბერძენას სასამართლოზე გავიგონე და გადავწყვიტე, ერთი გასროლით ორი კურდღელი მომეკლა. მილიციელიც დამესაჯა და დიდი კუშიც ამეღო.

გამახსენდა, რომ ქუთაისში ვინმე მურადას ვიცნობდი, რომელიც წულუკიძის ზონაში გავიცანი, იქ კი მურადა იმის გამო იჯდა, რომ საფიჩხის ერთ-ერთ რესტორანში მოქეიფე ოთხი მილიციის ოპერი ისე სცემეს, რომ თითოეული მათგანი ორ-ორი



თვით იწვა საავადმყოფოში. ოცდახუთი წლის მურადა ძველი მოკრივე იყო, იმ პერიოდში კი მიმტანად მუშაობდა და ოთხწლიან სროკზე აბსოლუტურად უსამართლოდ გაუშვეს. წულუკიძეში მურადა ჩაის კრეფდა, საღამოს კი ჩვენს ბარაკში შემოდიოდა და ოხუნჯობებით გვართობდა:

– მურად, ძმაო, ოფიციანტი კაცი რატომ გაგსროკეს, ისეთი რა დააშავე? – ჰკითხა ერთხელ მურადას ვასია მეჩენიმ.

– რო არ გაუთენდეთ ხვალინდელი დღე იმ „ძაღლებსაც," პროკურორსაც, მოსამართლესაც და ჩვენი რესტორნის დირექტორ პარმენასაც, – თქვა მურადამ, – წითელი, როლიკებიანი კუბიკებით ვნახე მაგენი გასვენებული და ძაღლი მიაკვდა მაგათ.

– მაინც, რა მოხდა, აღარ იტყვი? – ვკითხე მე.

– რა მოხდა, კობრაია და, ერთ საღამოს უგროზისკის ოთხი ოპერი ჩვენთან ქეიფობდა. ჩემ გარდა მათ პარმენა დირექტორიც ემსახურებოდა პირადად. იმ ძაღლისშვილებმა ეიკლეს იქოურობა. ერთ-ერთი მათგანი კი ისე დათვრა, რომ მოსაფსმელად გარშოკი მეითხოვა.

– გარშოკი? – ვთქვი მე.

– გარშოკი, კობრაიას შემოვევლე, – თქვა მურადამ, – პარმენა სასიკვდილემ კი მართლა მოუტანა გარშოკი, თავისი ხელით ეჭირა, ის „ძაღლი" კი აფსამდა შით...

– რას ამბობ, მართლა?! – არ მჯეროდა მე.

– ისე ჩვენ გევიხაროთ და ისე დეიფსონ ჩვენი მტრები, რავარც ყველაფერი, რასაც მე ვყობი, მართალია, – თქვა მურადამ და განაგრძო: იმ ნაბოზარმა გარშოკში რომ ჩააფსა, მე დამიძახა და მითხრა, შარვლის დუქანი შემიკარიო, მე კი ვუპასუხე, შენს დაიას და დედას შეაკვრევინე-მეთქი და ამის მერე დეიწყო, რაც დეიწყო...

– მაინც, რა დაიწყო? – სიცილს ვერ ვიკავებდი მე.

– რა, კობრაია და, ეს ოთხი „ძაღლი," მათ შორის ერთ-ერთი – ნიფხავჩახდილი, ჩემზე წამოვიდა და ჩემი ცემა მეინდომეს, რა, ორი ჰუკი და ორი აპერკოტი რომ მიიღეს, ტარანა თევზებივით მაგიდებთან დაეწყვნენ და, რაფერც მერე გევიგე, ექიმებმა ძლივს მეიყვანეს სავანტყოფოში გონზე. პარმენა დირექტორმა კი ჩემ წინააღმდეგ ჩვენება დაწერა, სასამართლოზე მთავარ მოწმედ გამევიდა და სროკიც ევიკიდე. არადა, მაგისი ბოზი ცოლ-შვილი ხან ერთი ძაღლის ლოგინში გორაობს, ხან – მეორის, მაგან კი „ძაღლებს" დოუჭირა მხარი, – თქვა მურადამ, რომელიც ამ ტრაგიკულ ისტორიას ისე სასაცილოდ ყვებოდა, რომ მთელი ბარაკი ხარხარებდა.

მურადას ჯერ წინასწარ დავურეკე, შემდეგ კი ქუთაისში ჩავედი და პირდაპირ სახლში მივაკითხე.

– კობრაია, ძმაო, რაფერ ხარ, რამდენი ხანია, არ შევხვედრივარ, – გულწრფელად გაუხარდა ჩემი დანახვა მურადას, სახლში შემიყვანა და გადამეხვია.

– შენ როგორ ხარ, რას საქმიანობ? – ვკითხე მასპინძელს, რომელიც მარტო ცხოვრობდა.

– ფოსტალიონად ვმუშაობ და ვცხოვრობ მარტო. ისე კი, არა მიშავს, ვარ ძველებურად, – მითხრა მურადამ.

ქუთაისური საუზმის შემდეგ, როდესაც საფერავმა კარგი გუნება-განწყობა შეგვიქმნა, მურადამ მკითხა:

– კობრაია, ძამია, თქვი, რა გაგჭირვებია, ტყვილა არ ჩამოხვიდოდი აი მეფისტოლა კაცი აქ.

– მეფობამდე ცოტა მაკლია, – ჩამეცინა და მურადას ვუთხარი, – ერთი ნაბოზარი უნდა დავსაჯო და შენი დახმარება მჭირდება.

– შემოგევლოს ჩემი თავი. მიბრძანე, შენი ხმალი და ჩემი კისერი. მითხარი, ვინაა და როგორ უნდა დაისაჯოს.

მე მოკლედ მოვუყევი მურადას ყველაფერი და მილიციელის ვინაობა რომ დავუსახელე, თავისებურად შეიცხადა:

– ტიტუ! მაი ნაბოზარია, სწორედ, პარმენა დირექტორის დანაჭერ გარშოკში რომ აფსამდა და მე რომ მითხრა, დუქანი შემიკარიო, ამის გამო კი ყბა მოვტეხე.

– მით უმეტეს, – გამეცინა მე, – ორმაგი ხალისით იჩალიჩებ, თან, პოლნი წილში იქნები.

– მაგ საქმეზე ზა დარამაც ვიმუშავებ. შენ მხოლოდ მითხარი, რა უნდა გავაკეთო.

– ერთად მოვიფიქროთ და „ხუთიანზე" შევუსრულოთ, – ვუთხარი მურადას.

ობიექტი მილიციის პოლკოვნიკი, ქუთაისის სამმართველოს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო და, აქედან გამომდინარე, სახლი მაინცდამაინც დაცული არ ჰქონდა. მას ძაღლიც კი არ ჰყავდა ეზოში და ნებ-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს | ი | ც | ი | ლ | ი | ა | | ი | ლ | ო | ბ | | გ | | ს |
| | ნ | | ლ | | მ | | ბ | რ | ი | ტ | ა | ნ | ე | თ | ი |
| ს | ა | ნ | ა | ქ | ე | ბ | ო | | | ი | ნ | ა | მ | | ნ |
| ა | | | მ | | დ | | კ | რ | ი | ტ | ი | კ | ო | ს | ი |
| ვ | ე | რ | ხ | ვ | ი | | ვ | ი | ტ | ი | | ვ | | ა | |
| რ |  | | | | | | ე | | ნ | | მ | ე | ტ | რ | ი |
| ა | | | | | | ი | რ | გ | ა | მ | ა | ს | | მ | ლ |
| ს | | | | | | | ი | | რ | | მ | ი | ხ | ა | ი |
| ო | | | | | | ს | | ყ | ა | ნ | ა | | ა | | ო |
| ვ | | | | | | ი | ს | ა | გ | ა | | ი | ტ | ა | ნ |
| ი | | | | | | დ | | უ | | ბ | უ | ნ | ი | კ | ი |
| | | | | | | ნ | ო | რ | ი | ო | | ი | | უ | |
| მ | ა | ღ | რ | ა | ძ | ე | | მ | | ბ | უ | ხ | უ | ტ | ი |
| | მ | | წ | | ვ | ი | ტ | ა | მ | ი | ნ | ი | | ა | ნ |
| ს | ა | ვ | ე | ლ | ე | | რ | | | | გ | რ | ი | გ | ი |
| | ლ | | ვ | | ლ | უ | ი | | | ა | | | თ | ა | ნ |
| ტ | ა | ლ | ა | ნ | ი | | კ | ი | ს | ი | ს | ხ | ე | ვ | ი |
| ა | | ა | | ა | | ს | ო | ს | | ა | | ო | კ | ა | მ |
| ნ | ა | მ | ა | რ | ხ | ი | | ნ | ა | ზ | ი | რ | ი | | |
| ი | | ა | ნ | ი | ა | ს | რ | ა | | მ | ს | ა | ჯ | ი | |
| ტ | ე | რ | ე | ნ | ტ | ი | | მ | ხ | ა | ტ | ვ | ა | რ | ი |
| ი | | ი | რ | ი | ა | ნ | | ო | | | ი | ა | ტ | ა | კ |
| | კ | ა | ა | | | ი | ტ | რ | ი | ვ | კ | | | ბ | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 2 | 1 | 3 | 5 | 7 | 6 | 8 |
| 8 | 7 | 3 | 4 | 2 | 6 | 9 | 1 | 5 |
| 1 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 3 | 4 | 2 |
| 6 | 2 | 4 | 3 | 5 | 8 | 1 | 9 | 7 |
| 7 | 8 | 9 | 2 | 6 | 1 | 5 | 3 | 4 |
| 3 | 1 | 5 | 9 | 4 | 7 | 2 | 8 | 6 |
| 4 | 3 | 7 | 8 | 9 | 2 | 6 | 5 | 1 |
| 2 | 6 | 8 | 5 | 1 | 3 | 4 | 7 | 9 |
| 5 | 9 | 1 | 6 | 7 | 4 | 8 | 2 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | 5 | 7 | 9 | 2 | 1 | 3 | 4 |
| 9 | 1 | 3 | 5 | 4 | 6 | 8 | 7 | 2 |
| 4 | 7 | 2 | 8 | 1 | 3 | 5 | 6 | 9 |
| 3 | 4 | 7 | 6 | 8 | 9 | 2 | 1 | 5 |
| 2 | 5 | 6 | 1 | 3 | 4 | 9 | 8 | 7 |
| 1 | 8 | 9 | 2 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 7 | 9 | 1 | 4 | 2 | 8 | 3 | 5 | 6 |
| 5 | 3 | 4 | 9 | 6 | 1 | 7 | 2 | 8 |
| 6 | 2 | 8 | 3 | 5 | 7 | 4 | 9 | 1 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. ლუზა ოქროსგან იყო ჩამოსხმული 2. ქოლგა. 3. ტაჯიკები. 4. ქუდი (პანამა). 5. სასტვენიანი ჩაიდნის. 6. სალესი ქვა. 7. სოლფეჯიო. 8. მაცივარი. 9. მავთულხლართი. 10. ასოს.**

ისმიერ ყაჩაღს შეეძლო ღამით, ნიღბებით მის სახლში შევარდნა და დაყაჩაღება. მურადა ასეც მთავაზობდა, მაგრამ, მე ვუთხარი:

– არა, მურად, არაქურდულია და ასეთ რამეზე არ წავალ. ჩვენ სუფთა ქურდულად უნდა ვიმოქმედოთ, ცარიელ ბაითში შევიდეთ და პირწმინდად დავასუფთაოთ იქაურობა.

– როგორ, კობრაია, იმ ბოზს მთელი სასტავი ჰყავს სახლში – ცოლი სამი შვილი და ორი სიძე.

– შვილიშვილები?

– არა. ბოვშები ჯერ არ ჰყავთ. თავისი მათხოჯი გოგოები ერთი თვის წინ გაათხოვა.

– შვიდნი ყოფილან. გაუთხოვარი გოგო რამხელაა?

– ის ყველაზე უფროსია და ყველაზე მათხოჯი, – გაეცინა მურადას, – ასე რომ, კობრაია, მალალეტკები იმ ბოზს არ ჰყავს სახლში. დამიჯერე, შევუვარდეთ მასკებით და დავაყაჩაღოთ. ღირსია მაგ ბოზი!

– გამორიცხულია. გამოვიტყუებთ და ისე დავუბომბავთ ბაითს.

– კი, მაგრამ, რაფერ?

– მოვიფიქრებთ რამეს, – ვუთხარი მურადას.

მილიციელის ხელყოფას ნებისმიერი პრისტუპნიკი ერიდება, მაგრამ, ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო და განსაკუთრებულ მომზადებას მოითხოვდა. საქმე ისე სუფთად უნდა გაგვეკეთებინა, რომ მცირე „კუდიც“ არ დარჩენილიყო; ისეთი რკინის ალიბი უნდა გვქონოდა, რასაც წყალი არ გაუვიდოდა. ამ საქმის ყველაზე დიდი სირთულე ის იყო, რომ ბაითში, ფაქტობრივად, ბრმად შევდიოდი. ის კი ვიცოდი, რომ ობიექტს დიდძალი ფული და ძვირფასეულობა ჰქონდა, მაგრამ, სად ინახავდა, დაახლოებითაც კი არ ვიცოდი, ძებნას კი დრო სჭირდებოდა. ამიტომ, მთელი ოჯახი საკმაოდ დიდი ხნით უნდა გაგვეტყუებინა სახლიდან, რაც თითქმის შეუძლებელი იყო. ნადაშელებთან დაკავშირებული მაგნიტოფონის ტრიუკი აქ არ გამოდგებოდა, რამე უფრო დამაჯერებელი და განსხვავებული ხრიკი იყო მოსაფიქრებელი.

მურადა ბევრად უფრო საზრიანი და, დღეს რომ იტყვიან, კრეატიული ადამიანი აღმოჩნდა, ვიდრე მე წარმოვიდგენდი. ჩემი სტუმრობის მესამე დღეს მითხრა:

– კობრაია, ძამია, რადგან შენსას არ იშლი და ყაჩაღობას უარობ, ერთი ქურდული კომბინაცია მოვიფიქრე, მარა, ამ საქმეს ერთი ბოზი ქალი დასჭირდება და პატარა „ხატა“ – სადმე მიყრუებულში.

– აბა, თქვი, გისმენ, – ვუთხარი მურადას, მან კი გააბოლა და მითხრა:

– მაგ ბოზის შუათანა მათხოჯი თალიკია ჩემი კლასელი იყო და კარგად ვიცნობ. თალიკიას ქმარი, მირიანი, მასზე ოთხი წლით უმცროსი, ქალივით ლამაზი ბიჭია და ბავშვობაში „მირიკო კრასავიცას“ ეძახდნენ ქუთაისში. ის ერთი ბაბნიკი, უსაქმური ვინმეა და გარეგნობის გამო ჩაისიძეს, ჩააცვეს, დაახურეს და თალიკია ქორივით დასტრიალებს თავს, რომ ვინმესკენ არ გაიხედოს. კაროჩე, ეს ჩვენი მირიკო კრასავიცა ვინმე ლამაზ ბოზს უნდა შევახვედროთ და დავაძინებინოთ, შემდეგ კი თალიკია მათხოჯს დავურეკოთ და ვუთხრათ, რომ მისი ქმრისგან ორსულად არის ქალი, რომ მირიკო ახლა იმ ქალთანაა და თბილისის ტუფტა მისამართი მივცეთ. მერე შენ ნახავ, რა მოხდება: ფსიქოპატი თალიკია ისტერიკას ატეხავს, მთელ ოჯახს თბილისში წამოიყვანს მირიკო კრასავიცას დასაბრუნებლად და ბაითიც დაცარიელდება. რას იტყვი, კარგი გეგმაა?



– გენიალური, – გულწრფელად მივუგე მურადას, რადგან მისი გეგმა მართლაც ძალიან მომეწონა, – ლამაზი ბოზი ქალი და მირიკო კრასავიცას მოტეხვა ჩემზე იყოს. შენ, უბრალოდ, ის ადგილი შეარჩიე, სადაც მირიკო კრასავიცას ბოზ ქალს შევახვედრებთ.

– შევარჩიე უკვე. მაგ მირიკოს სიმამრმა „ნოლ შესტი“ ათხოვა და „სტეკლოტარის“ მიმღებ პუნქტში დააწყებინა მუშაობა ჭომას უბანში. ის ყოველდღე დადის სამსახურში. ლამაზ ბოზს რომ დაინახავს, მანქანას გაუჩერებს, მერე კი ბოზმა იცის და მისმა მარიფათმა.

– მშვენიერია. შენ ზუსტი ადგილი შეარჩიე. მე კი თბილისში წავალ. ზეგ ბოზთან ერთად დავბრუნდები და საქმეს მივხედოთ.

თბილისიდან ქუთაისში ერთი ციმბირელი ლამაზი რუსი ნაშა წავიყვანე, რომელსაც შესაბამისი ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა და ათასი მანეთიც გადავუხადე. იმ ნაშამ მირიკო კრასავიცა მანქანაშივე დააძინა, მისი სიმამრის მანქანის საჭეს მიუჯდა, ობიექტი სოჭში ჩაიყვანა და ერთ ნაქირავებ ბინაში მძინარე დატოვა. ღამით კი, ჩემ მიერ წინასწარ დაქირავებულმა მამაკაცმა თალიკოს თბილისიდან დაურეკა და უთხრა:

– ქალბატონ თალიკოს თხოვეთ, თუ შეიძლება.

– თალიკო ვარ, გისმენთ, – უპასუხა უცნობს თალიკიამ, რომელიც უკიდურესად შეშფოთებული იყო ქმრის გაუჩინარებით და არ იცოდა, რომ მირიკო კრასავიცას ტკბილად ეძინა სოჭის გარეუბან მამაიკის ერთ-ერთ კერძო სახლში.

– ქალბატონო თალიკო, მე სპირიდონ კოროშელიძე ვარ თბილისიდან, ზინაიდა კოროშელიძის ტყუპისცალი ძმა. ჩემი და თქვენი ქმრისგანაა ორსულად და ახლაც მასთან იმყოფება სახლში, მთვრალია და ვერ გამომყავს. არც მილიციას ვიძახებთ, რომ ჩემი დის რეპუტაცია არ შეილახოს. ზინაიდას კი კანონიერი ქმარი ჰყავს, რომელიც ამჟამად ორწლიან სასჯელს იხდის ციხეში. გთხოვთ, რეაგირება მოახდინოთ ამ ფაქტზე და ჩემს დას ოჯახი არ დაენგრეს, – თქვა კაცმა, ბოლოს კი არარსებული თბილისური მისამართი უკარნახა თალიკიას და ქალის რეაქციას დაელოდა, რომელსაც ყურმილი ხელიდან გაუვარდა, სახე ჩამოიხოკა და აკივლდა:

– ტიტუ, მირიკია უბედურო, ეს რა გეიგონა ჩემმა ყურებმა!

ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ მთელი ოჯახი ორი მანქანით თბილისისკენ დაიძრა. მე და მურადამ კი ცოტა მოვიცადეთ და, ყველაფერი რომ დაწყნარდა და მეზობლებიც დაიშალნენ, ცარიელ ბაითში შევედით და იქაურობის გასუფთავებას მივყავით ხელი. იმ ნაბოზარი პოლკოვნიკის სახლი ისე პირწმინდად გავწმინდეთ, ნემსი და ძაფიც კი არ დავუტოვეთ და ავეჯისა და ჭურჭლის გარდა, ყველაფერი გამოვზიდეთ. მივაგენით გადამალულ ძვირფასეულობასაც, რომელიც პოლკოვნიკს ხუთლიტრიან შუშის ქილაში ჰქონდა ჩატენილი და საძინებელი ოთახის კუთხეში, იატაკში შენახული. ერთი სიტყვით, მართლაც დიდი კუში ავიღეთ და, როგორც წინასწარ გვქონდა დაგეგმილი, მთელი ეს ტავარი ჯერ ადლერში ჩავიტანეთ იმავე ღამეს, შემდეგ კი ძვირფასეულობით სავსე ხუთლიტრიანი ქილა კეშას ჩავუტანე ლენინგრადში. როგორც ყოველთვის, კეშამ ნახევრის ფული გადამიხადა და მეორე ნახევრისთვის ორი თვის მერე დამიბარა.

– კეშა, იცოდე, რომ ეს ტავარი „ძაღლის,“ ბობოლა პოლკოვნიკის ბინიდანაა წამოღებული და ფრთხილად იყავი, – გავაფრთხილე ბარიგა, რომელსაც გაეცინა და მომიგო:

– დარდი ნუ გაქვს, კობრა, ყველაფერი ხუთიანზე იქნება. ნახვამდის. ორი თვის მერე დანარჩენი მაყუთის წასაღებად გელოდები.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-42(668)**

## მახასიათებელი შტრიხები

მამაკაცები და ქალები – დაუსრულებელი ლტოლვა და, ასევე, დაუსრულებელი ბრძოლა თვითდამკვიდრებისთვის... რამდენი გამოკვლევაც არ უნდა ჩაატარონ, შედეგი მუდმივად ერთნაირი იქნება: ძლიერი სქესის წარმომადგენლები ახდენენ იმის დემონსტრირებას, თუ როგორი დარწმუნებულები არიან საკუთარ თავში... ქალებს კი უნდათ, რომ კაცებმა აღიარონ მათი გონებრივი შესაძლებლობები, სილამაზე, ჭკუა, მიზანდასახულობა... ქალებს ფულის შოვნაც შეუძლიათ, კარიერის გაკეთებაც... მაგრამ, მათ ერთი პრობლემა აქვთ: ან საერთოდ არ აფასებენ საკუთარ თავს, ან მეტისმეტად ძვირად აფასებენ... მამაკაცს კი, თანაც, ნებისმიერს, ლიდერობა უნდა... „ძვირფასო, როგორ შეაფასებდი საკუთარ თავს?“ – კითხულობს ქალი... მამაკაცი პასუხობს: „ნორმალურად. ჩვენ, ღმერთები, უბრალო ხალხი ვართ!“ – ესეც მახასიათებელი შტრიხები პორტრეტებისთვის...

***

ქეთიმ კარგა ხანს იწრიალა შენობის შესასვლელთან. ეტყობოდა, რომ გადაწყვეტილების მიღება უჭირდა. ასვლა მაინც ვერ გაბედა. ქუჩა გადაკვეთა, პატარა კაფეში შევიდა. ვიტრინასთან ახლოს მდგარი მაგიდა შეარჩია, ყავა შეუკვეთა და მობილურით დარეკა...

– თიკო, გამარჯობა... კარგია, რომ მიცანი... შენთან მინდა შეხვედრა. რაღაც მაქვს სათქმელი... არა, არა, ზემოთ არ ამოვალ. აქვე ვარ, თქვენს ოფისთან, კაფეში... ერთი საათით ჩამოდი, რა... ყავა დავლიოთ... ახლა ხომ ლანჩის დროა... ვახო ოფისშია?! შესვენება ხომ გაქვთ, ჰოდა, ჩამოდი, გელოდები...

ქეთი ვერაფრით დამშვიდდა... თიკოს მოსვლამდე დრო უსასრულოდ გაგრძელდა... სამი ღერი სიგარეტის მოწევა მოასწრო, თან შემოსასვლელ კარს არ აშორებდა მზერას.

– მოვედი... ძალიან გელოდინეთ? – თიკომ ჩანთა მაგიდაზე დადო და დაჯდა, – უკაცრავად, მაგრამ ვერაფრით მოვახერხე დროზე გამოსვლა. ბატონ ვახტანგს ყავა უნდოდა და უარი ველარ ვუთხარი. ბოლო დროს ძალიან ნალვლიანია... უი, მაპატიეთ, მგონი, ზედმეტი წამომცდა!

ქეთიმ ყურადღება დაძაბა. თიკომ უნებლიეთ სწორედ იმაზე დაიწყო ლაპარაკი, რაც მას ყველაზე მეტად აინტერესებდა. შეეცადა, არ შეემჩნია, რომ გაუხარდა. თიკოს გაუღიმა და მიმტანს უხმო.

– ყავას შეუკვეთავ შენთვისაც და სენდვიჩებსაც.

– ჩაი მირჩევნია, თუ არ შეწუხდებით.

– თქვენობით ნუ მომმართავ, თორემ, თავი შუახანს გადაცილებული, სტერეოტიპებით შემოფარგლული ქალბატონი მგონია. ლამის თანატოლები ვართ. ძალიან ვნანობ, რომ ამდენ ხანს ვერ მოვახერხე შენთან დამეგობრება... – ქეთიმ სიგარეტს მოუკიდა. თითები შესამჩნევად უკანკალებდა.

– ქეთი, ტყუილად ნერვიულობთ. მე ვიცი, რატომაც დამიბარეთ აქ, – თქვა უცებ თიკომ.

ქეთი შეკრთა.

– ყავა რომ დაგველია, რა თქმა უნდა, – ჩაილაპარაკა შეცბუნებულმა.

– ქეთი, მესმის თქვენი, თანაც, ძალიან კარგად. კიდევ ბევრ რამესაც ვხვდები. დიდი სიამოვნებით ვიქნები თქვენი ინფორმატორი, ეგენი ყველაფრის ღირსები არიან. მკითხეთ, რაც გინდათ და გიპასუხებთ.

– ვინ არიან ყველაფრის ღირსები? – ლამის გაეღიმა ქეთის თიკოს გმირულ პათოსზე.

– ვინ და კაცები. თქვენი ვახოც არ არის გამონაკლისი. თუმცა, შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ, ჯერჯერობით სანერვიულო არაფერი გაქვთ. გიგისთან ცხოვრობს.

– ჰოო?! – გაუღიმა ქალს და შვებით ამოისუნთქა, – დარწმუნებული ხარ?

– თითქმის. ერთი ღამე, საერთოდაც, ოფისში გაათენა. ძალიან ნერვიულობს და ეს ყველაფერზე ეტყობა. გაგაბრაზათ, ხომ? ეჭვიც არ მეპარება. მაგათ მარტო ის შეუძლიათ, გაგანერვიულონ და დეპრესიაში ჩაგაგდონ. თვითონაც არ იციან, რა უნდათ.

– ფაქტია, რომ ვახოს ოჯახი აღარ უნდა, – ამოიოხრა ქეთიმ, – ესე იგი, გიგისთან ცხოვრობს.

– ჰო. მთლად დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ, ერთად მიდიან და დილითაც ერთად მოდიან. ოფისშიც სულ ერთად არიან. გიგი თითქმის აღარც გამოდის მისი კაბინეტიდან. ბატონი ვახო სულ გაღიზიანებულია და აშკარად ნერვიულობს.

– თუმცა, არ მირეკავს. თიკო, იცი, რა უნდა გთხოვო? შენ შეგიძლია, დამირეკო, როცა, მაგალითად, ვახო სადმე ისეთ ადგილას წავა, სადაც მასთან შემთხვევით შეხვედრა იქნება შესაძლებელი?

თიკო დაფიქრდა.

– ძალიან რთულია და ვიცი, რომ მეტისმეტს ვითხოვ შენგან, მაგრამ, შერიგება მინდა ძალიან და არ ვიცი, ეს როგორ გავაკეთო. მირჩიეს, შემთხვევით შეხვდიო. დამეხმარები?

– რა თქმა უნდა. იმაზე დავფიქრდი, როგორ შევძლებ, შენთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებას.

– მაპატიე, ბოროტად ვსარგებლობ შენი კეთილგანწყობით.

– არა, რას ამბობ. თუ რამე შემიძლია... პირიქით, მოხარულიც ვიქნები, თუკი თქვენი ოჯახის გადარჩენის საქმეში წვლილს მეც შევიტან. მაინც, რატომ არიან ასეთები? ზოგჯერ ყველა მძულს, განურჩევლად ყველა.

– შენც როგორ გაუმწარებიხარ ვიღაცას, – ქეთიმ თანაგრძნობით გაუღიმა აპილპილებულ გოგოს.

– „ვიღაცას“ რატომ? ყველა ერთნაირიამეთქი, ხომ ვთქვი?! ჰოდა, ყველა მამწარებს ერთნაირად.

– ჩემი ქმარი ანგელოზი მეგონა. თავიდან... თავზე მევლებოდა და ისე იქცეოდა, ვფიქრობდი, ამასთან უბედნიერესი ქალი ვიქნები-მეთქი, მაგრამ რა გამოვიდა? ერთპიროვნული ლიდერობა მოინდომა და, რომ იტყვიან, ჩემი პიროვნება ფეხებზე დაიკიდა. რას ვატყობ, იცი? სულ ერთია, კაცი წარმატებულია თუ წარუმატებელი, ყველას აქვს კომპლექსიც და ოფოფებიც. მიზნის მიღწევა თუ უნდათ, აგრესიას ავლენენ. ნებისმიერს ატკენენ გულს და თავს იმით იმშვიდებენ, მიზანი ამართლებს საშუალებასო. რა უნდა ელაპარაკო! საერთოდ არ წუხან, რომ დაგაზარალეს. რატომ ვართ ქალები ასე დამოკიდებული გარშემო მყოფებზე, საზოგადოებრივ აზრზე? ვახოსთან დაშორება მარტო პირადს კი არა, საყოველთაო პრობლემებს შემიქმნის – მინიმუმ ათი ადამიანი ინერვიულებს და კიდევ ათჯერ ათი ილაპარაკებს ჩემზე. არადა, ისინი კი არა, მე დავრჩები ქმრის გარეშე.

– მართალია, ჩვენ ყოველთვის სამმაგად და ოთხმაგად ვზარალდებით, – დაეთანხმა თიკო უხალისოდ.

– თუ ეს არ გინდა, უნდა დაუთმო, დაუთმო დაუსრულებლად... საშინელებაა!

– ქეთი, გინდა ვახოსთან შერიგება?

– ჰო, აბა?! იმიტომაც მჭირდება შენი დახმარება. არ მინდა, ისე გამოვიდეს, თითქოს ვეხვეწები.

– მესმის. შეეხვეწები და უარესია – მე ეს ვიცი. დათმობა მაინც აუცილებელია.

– რა თქმა უნდა. უბრალოდ, ვერ ვისწავლე, როდის უნდა დავუთმო ისე, რომ საკუთარ თავს ზიანი არ მივაყენო. ანუ, როგორც ერთი ჩემი მეგობარი ამბობს, უნდა დათმო წვრილმანში, რომ მთავარში მოიგო. მე კი ზუსტად ამას ვერ ვახერხებ. საერთოდ არ შემიძლია თამაში. არადა, კაცებთან ურთიერთობაში ეს აუცილებელია.

– მაგას ნიჭი უნდა, რომელიც ან გაქვს, ან – არა! – გამოცდილი ქალივით დაასკვნა თიკომ, – პირადად მე, აშკარად ძალიან უნი-



ჭო ვარ ამ მიმართულებით. არანაირი დიპლომატია – პირდაპირ შუბლით ვეჯახები პრობლემებს.

– შეყვარებული არ გყავს? – დაინტერესდა ქეთი.

– არა. იყო ერთი... კოშკები ამიშენა: ის ქალი ხარ, ვისაც მთელი ცხოვრება ვეძებდი.... ცოლს გავეყრები და სულ ერთად ვიქნებითო. ახლა მისი ცოლი ბავშვს აჩენს, ჩემს ზარებს კი საერთოდ აღარ პასუხობს... – თიკოს სახე დაუსევდიანდა, – ისე ცუდად ვარ... თავს უსარგებლო ნივთივით ვგრძნობ. მშურს იმ ქალების, რომლებსაც შეუძლიათ, დღეს ერთი კაცი შეაბან, ხვალ – მეორე, ზეგ – მესამე... მერე ყველა ერთ „სარეზერვო ფოლდერში“ ჩაყარონ და სიამოვნება მიიღონ.

– გიყვარს? – თანაგრძნობით ჰკითხა ქეთიმ.

– ვინ? აა, არ ვიცი, ალბათ, არა. თუმცა, რაღაც თბილი გრძნობა მქონდა. იმან მიშველა, რომ მალე დასრულდა ყველაფერი. წარმომიდგენია, რომ შემყვარებოდა, ახლა რა დღეში ვიქნებოდი... ისედაც სულ უგუნებოდ ვარ...

– მეც საშინელ გუნებაზე ვარ და ეს პაციენტებთან ურთიერთობაშიც მეტყობა. არ შემიძლია, გული გადავაყოლო ვინმესთან ფლირტს. არადა, იქნებ, ცოტა შვება მეგრძნო.

თიკომ საათზე დაიხედა.

– შესვენება დამთავრდა, ოფისში უნდა ავიდე.

– ჰო, მეც კლინიკაში უნდა მივბრუნდე... როგორ არ მირეკავს... საზიზღარი. ესე იგი, გიგისთან ცხოვრობს, ხომ?

– კი. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. ქეთი, ვეცდები, ეს ზუსტად გავიგო. მუდმივ კონტაქტში ვიქნები. ჩემი იმედი გქონდეს...

***

თიკო ოფისში დაბრუნდა. ჰოლში დივანზე გიგი და ზუკა ისხდნენ. გიგის მუხლზე საფერფლე ედო და სიგარეტს ეწეოდა, თან, რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ.

– აუ, ისარგებლეთ, ხომ, ჩემი არყოფნით და გაჭვარტლეთ აქაურობა?! სიგარეტის მოწევა როდის აქეთ შეიძლება ოფისში?

– მობრძანდა ავი დიასახლისი... – ჩაილაპარაკა გიგიმ, – რა გჭირს შენ, სულ როგორ უნდა ჩხუბობდე? სიგარეტი მოვწიე, „პლანი“ ხომ არა. გააღებ ფანჯარას და გაიწმინდება ჰაერი. ყველაფრისგან პრობლემას რატომ ქმნი?

– შენ საერთოდ არ ქმნი, ხომ, პრობლემებს? – უკან აღარ დაიხია თიკომ, – იმით სარგებლობ, რომ ვახოს მეგობარი ხარ და შენს ნებაზე დაპარპაშებ.

– აჰა, ახალი ბრალდებაც წამომიყენეს, – გადაიხარხარა გიგიმ, – ერთი ასეთი მოწმეც და... გოგო, რას ნიშნავს ჩემს ნებაზე პარპაში? სიგარეტი რომ მოვწიე არასამუშაო საათებში, ამისთვის ანათემას უნდა გადამცე?

– მოსაწევი ადგილი არ გვაქვს ოფისში? მგონი, თვითონ ვახომ გამოგიყოთ და თავადაც არ ეწევა სიგარეტს კაბინეტში.

– შენ რა იცი, ვახო კაბინეტში რას აკეთებს, – თვალები მოჭუტა გიგიმ, – ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებ? შენგან არ გამიკვირდება.

თიკო გაწითლდა.

– რა უნდა გელაპარაკო, იდიოტი ხარ!

– პირად შეურაცხყოფაზე ნუ გადმოდიხარ, ქალბატონო თიკო და, ზოგადად მამრობით სქესზე გაბრაზებული, ჩემზე ნუ იყრი ჯავრს.

– არავისზე არ ვარ გაბრაზებული. საიდან მოიტანე? რა გამოდის, შენიშვნა ველარ უნდა მოგცე, როცა შინაგანაწესს დაარღვევ?

– ვაიმე! მომეცი ფურცელი და დაგიწერ ახსნა-განმარტებას, მეტი რა ვქნა?

– მასხარა! – ბრაზით მიახალა თიკომ და ფანჯარას მივარდა გასაღებად.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ზუკა ჩუმად იჯდა და რაღაცაზე ფიქრობდა. მისი სახის გამომეტყველებით მიხვდებოდი, რომ ერთი სიტყვაც არ გაუგონია თიკოსა და გიგის საუბრიდან.

– ზუკა, წამოდი, ოთახში შევიდეთ. მორჩა, აქ მშვიდად ველარ ვილაპარაკებთ. მოვიდა მომსმენ-დამსმენი,

– მე ვარ მომსმენ-დამსმენი? თიკო დოინჯშემოყრილი შემობრუნდა და გაკაპასებული მიაჩერდა გიგის.

– აუ, გეყოფათ, რა, – გამოერკვა ზუკა, – რა სისულელეებზე ჩხუბობთ, გეხალისებათ?

– შენს ძვირფას მეგობარს მეტი საქმე არ აქვს და ერთობა ჩემს ნერვებზე თამაშით.

– გამოვა ვახო და ორივეს მოგხვდებათ. წამოდი, რა, ოთახში, ნორმალურად უნდა დაგელაპარაკო. ერთი, კარგად მითხარი, რა სისულელეს ბოდავდი წეღან.

გიგიმ თვალი ჩაუკრა თიკოს და ზუკას გაჰყვა, მაგრამ, მოულოდნელად ზუკამ მიმართულება შეცვალა და შემოსასვლელი კარისკენ წავიდა.

– სად მიდიხარ?

– დაგავიწყდა, ლაშას კლიენტი რომ ჰყავს? როგორ დაგელაპარაკო? გარეთ გავიდეთ.

გიგიმ მხრები აიჩეჩა და გაჰყვა. როგორც კი კარი მიხურა, ზუკა მაშინვე მიუბრუნდა და ჰკითხა:

– აბა, მითხარი, ოღონდ, მაიმუნობის გარეშე: რისთვის გჭირდება ლიზას სურათი?

გიგიმ ხელები გაშალა:

– ვა, შენ რა უკუღმა გესმის ყველაფერი... როდის გითხარი, რომ მჭირდება, შემახედემეთქი.

– რისთვის? – ეჭვით შეიჭმუხნა წარბები ზუკამ.

– აუ... ერთი საათის განმავლობაში ვცდილობდი, დამერწმუნებინე, რომ, უბრალოდ, მაინტერესებს, მეტი არაფერი. კომპიუტერში ხომ გაქვს მისი სურათები, ერთხელ მაჩვენე კიდეც. შემახედე, რა მოხდება?

– სანამ არ მეტყვი, ლიზა რისთვის გჭირდება, არ შეგახედებ.

– ბიჭო, შეყვარებული კი არ ვარ შენს ლიზაზე, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ შენც და მის ქმარსაც. ერთხელ შევხედავ ფოტოს და მორჩა.



ზუკა წამოენთო.

– ეგ რა თქვი? მართლა იდიოტი ხარ შენ, თიკო არ ცდება!

– ვიხუმრე, ვიხუმრე... შემახედე რა! ვიღაცას ვამსგავსებ და, მინდა, რომ დავრწმუნდე.

– მატყუებ. უსაქმოდ ხარ და ღადავი მოგინდა. ლიზას ხარჯზე ეგ არ გამოგივა.

– ვაიმე, როგორი კომპლექსიანი ხარ. რა უბედურებაა, ყველაფერში შეთქმულების თეორიას ხედავ!

გიგიმ ხელი ჩაიქნია:

– კარგი, ჯანდაბას, აღარ მაინტერესებს. არ მაჩვენებ და ნუ მაჩვენებ. რას წარმოვიდგენდი, ასე თუ გადაირეოდი.

– სად მიდიხარ? სანამ არ მიპასუხებ, რატომ გინდოდა ლიზას ფოტოს ნახვა, ფეხს ვერ მოიცვლი აქედან! – ხმას აუწია ზუკამ და მეგობარს მტრულად შეუბღვირა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



# რას ელით ოჯახისგან?!

**ოჯახური ფასეულობები უნივერსალურია – ურთიერთპატივისცემა, სითბო, მყუდროება, მხარდაჭერა და თანადგომა. თუმცა, ყველა ადამიანს თავისი უნივერსალური მოთხოვნები აქვს. თქვენ რა უფრო გჭირდებათ ოჯახისგან?**

*წარმოიდგინეთ, რომ საკუთარ დაბადების დღეს სახლში არ ხართ. დაბრუნებულს ოჯახში, ალბათ, მოგილოცავენ, რას ისურვებდით ყველაზე მეტად?*

**1. თუ ზუსტად შუაღამისას დამირეკავდნენ და მომილოცავდნენ, ძალიან გამიხარდებოდა;**

**2. გამიხარდება, თუ დაბრუნებულს რამე სიურპრიზი დამხვდება, თუნდაც სუვენირი;**

**3. დამახვედრონ სუფრა და მოპატიჟებული მეგობრები... ყვავილები, მუსიკა, მხიარულება;**

**4. მინდა, საჩუქარი დამახვედრონ – რამე ისეთი, რაც ძალიან გამიხარდება.**

**ნახეთ შედეგები:**

*თუ ვარიანტი 1 აირჩიეთ: თქვენ ყურადღების დეფიციტი გაქვთ. არც სითბო გყოფნით ახლობლების მხრიდან. განიცდით, წუწუნებთ... გაღიზიანებული და განერვიულებული ხართ. პირდაპირ უთხარით ოჯახის წევრებს, რაც გაწუხებთ და გჭირდებათ. შესაძლოა, ისინი ვერ ხვდებოდნენ.*

*ვარიანტი 2 თუ შეარჩიეთ: ძალიან მგრძნობიარე ხართ. ოჯახში ვის რა აწუხებს და სჭირდება, თითქმის უთქმელად ხვდებით. თქვენ ერთი მთლიანობა ხართ. უფრო ხშირად გაქვთ სურვილი, ხელი ხელზე მოგკიდონ და თავით მხარზე მიეყრდნოთ. ზოგჯერ აუცილებელია, იფიქროთ, რომ არსებობს „მე“.*

*ვარიანტი 3-ის შერჩევისას: სულ ცდილობთ, სახლში რაღაცაზე იკამათოთ. გიყვართ ოჯახური წვეულებები და დღესასწაულები. გინდათ, ყველაფერი ერთად აკეთოთ. აშკარაა, რომ თქვენი ემოციური აქტივობის რეალიზება ოჯახში ვერ ხდება. ამიტომაც, ხანდახან ფიქრობთ, რომ თქვენს ოჯახში რაღაც ისე ვერ არის.*

*ვარიანტი 4 თუ შეარჩიეთ: ოჯახი ცოტათი ჩრდილშიც უნდა იყოს. არ უნდა დაგძაბოთ, არ უნდა დაგღალოთ... გინდათ, რომ ოჯახის წევრები ყველა თქვენს საქმეში არ ერეოდნენ. ანუ, პირადი სივრცე, თქვენთვის წმიდათა წმიდაა. ხშირად ამბობთ: „მე ასეთი ადამიანი ვარ, მარტო ყოფნა მინდა“.*

## ჯენტლმენის თანამგზავრი



„მესამე ფეხი“, ანუ ტროსტი (ხელჯოხი) – ადამიანები მას უძველესი დროიდან იცნობენ... ამ ნივთს ყოველთვის დიდი დატვირთვა ჰქონდა მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში. ტროსტი არ არის მხოლოდ საყრდენი ჯოხი ხანდაზმული ადამიანებისთვის, მას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ძველ ეგვიპტეში სპეციალური დღესასწაულიც კი იმართებოდა ღმერთ ოსირისის ტროსტის პატივსაცემად.

პირველ ტროსტად შეიძლება მივიჩნიოთ ფარაონ ტუტანჰამონის ხელჯოხი. მის სამარხში აღმოჩენილი იქნა უამრავი სხვადასხვაგვარი ხელჯოხი, მორთული ძვირფასი ქვებით, ოქროთი და ვერცხლით; ასევე, ფერადი ბუმბულით, შუშით, მბრწყინავი ძაფებით. იქვე იყო მთლიანად ოქროს ასოებით დაფარული ბამბუკის ტროსტი, რომელზეც ეწერა: „ბამბუკი, რომელიც ბრწყინვალემ და დიდებულმა საკუთარი ხელით მოჭრა, ეკუთვნის ღვთიურს!“

გასული საუკუნის დასაწყისში ტროსტი ჯერ კიდევ მოდაში იყო.

მეჩვიდმეტე, მეთვარმეტე, მეცხრამეტე საუკუნეებში ტროსტის ბრწყინვალება და სიდიადე არაფერს დაუჩრდილავს, უფრო მეტიც, ის მაღალი საზოგადოების ეტიკეტის განუყოფელ ნაწილად იქცა. ძვირფასი ტროსტების რაოდენობითა და მათი გამოყენების ტექნიკით განსაზღვრავდნენ ადამიანის სტატუსს. ყველაზე ძვირფასი ტროსტები შავი ხისგან მზადდებოდა. ტროსტის გარეშე წარმოუდგენელი იყო ცილინდრი და ფრაკი.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყეს ისეთი ტროსტების დამზადება, რომელთა ბუნიკში ან საათი იყო ჩამონტაჟებული, ან – ძვირფასი თვლები. იყო შემთხვევები, როცა ბუნიკში სპეციალურ სამალავს აკეთებდნენ შხამისთვის.

## კაპიტოლიუმის ძუ

რომში, კაპიტოლიუმის გორაკზე დგას ყველაზე პოპულარული ძუ მგლის ქანდაკება. ის რომის ძლევამოსილების სიმბოლოა... თუმცა, იყო დრო, როცა ამ ადგილას სხვა სიმბოლოებიც იდგა...

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ეტრუსკების მოქანდაკემ – ვულკამ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მას მერე, რაც რომაელებმა დაამხეს ეტრუსკების დინასტია და გამოაცხადეს რესპუბლიკა, ბრინჯაოსგან ჩამოასხა „კაპიტოლიუმის ძუ მგელი“. ეს ის ძუ მგელია, რომელიც ტიბრის სანაპიროზე ცხოვრობდა, გადაარჩინა ძმები რომული და რემი, გაზარდა ისინი – მარსის შვილები, რომლებსაც სასიკვდილო საფრთხე მმართველ ამულიასგან ემუქრებოდათ.

სწორედ ამ ბრინჯაოს ქანდაკების გვერდით აღასრულებდნენ რომაელები სამართალს. შემდეგ ქანდაკება დაიკარგა და ხელახლა მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვით მეცხრე საუკუნეში იპოვეს.

მგელი თავიდან მარტო იდგა. ჩვილების – რომულისა და რემის ქანდაკებები მას მოგვიანებით, მეთხუთმეტე საუკუნეში, ოსტატმა ანტონიო დელ პოდაილომ დაუმატა.

თავად მგლის ქანდაკება წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. ის არ გამოხატავს აგრესიას, თუმცა, ნებისმიერი მიხვდება, რომ მზად არის, ბრძოლაში ჩაებას, თუკი ბავშვებს ვინმე დაემუქრება.

ძუ მგლის ქანდაკების სიმაღლე 745 სანტიმეტრია, ანუ, ფაქტობრივად, ნატურალურ ზომებშია დამზადებული. დღეს მისი ნახვა შეიძლება რომში, კაპტიოლიუმის მუზეუმში. რომაელების უმრავლესობა დღესაც დარწმუნებულია, რომ „კაპიტოლიუმის ძუ“ რომს უბედურებისგან იცავს.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# მკვლელობა წარსულიდან

## სტენლი ელინი

ადვოკატი ბერომ-ჰაუსის წინ იდგა და იხსენებდა, როგორ მოიხიბლა ერთ დროს ამ სახლით. მაშინ ის მართლაც ძალიან ლამაზი იყო: მთლიანად ბრწყინავდა და აივნებზე ვარდები ჰქონდა შემოხვეული, უზარმაზარ ფანჯრებში ფერადი მინები იყო ჩასმული... ამჯერად კი, შობის წინა დღეს, სახლი საკმაოდ უბადრუკად გამოიყურებოდა: ფანჯრები საგულდაგულოდ დაეგმანათ ჟალუზებით. სალებავი გადაქექილი იყო და მნახველზე მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა. ზარი დარეკა. კარი სილიამ გაუღო. შავი, ძველმოდური კაბა ეცვა. მკაცრნაკვთებიანი და პირქუში სახე ჰქონდა. უკან გადაწეული თმა კი მის სახეს კიდევ უფრო უკმეხ იერს ანიჭებდა...

– რატომ მოხვედი? ამ სახლში ჯერ ისევ გლოვაა. ის ჩემი ძმის ცოლი იყო...

– სილია, შეწყვიტე... შეგიძლია, სხვა მოატყუო, მე კი ყველაფერი ზუსტად ვიცი. მერე რა, რომ სასამართლომ უდანაშაულოდ გცნო. ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავს.

– ამ შემთხვევაში, ჩვენთან არაფერი გესაქმება. წადი აქედან! – სილია ერთიანად კანკალებდა ბრაზისგან, – ჩარლის შენი დანახვა არ უნდა.

– სილია, საშუალება მომეცი, სინათლე ავანთო... მაინც ავალ ზემოთ, ჩარლისთან. ამით ხელს ვერ შემიშლი – ხომ იცი, სიბნელეშიც მშვენივრად მივაგნებ მის ოთახს.

– რისთვის დადიხარ აქ? ჩარლი დადიოდა სასამართლოს სხდომებზე. ჩარლიმ გაიგონა, რომ მე არაფერ შუაში ვარ...

ადვოკატს ყურადღება არ მიუქცევია ქალის ისტერიკული წივილისთვის და ჩაბნელებულ კიბეს ნელი ნაბიჯით შეუყვა. მეორე სართულის ბაქანზე ყუთით ნივთები ეწყო. ადვოკატმა ფეხი წამოჰკრა და ლამის წაიქცა. „ჯულიას ნივთები, – გაიფიქრა ადვოკატმა, – ჯერ კიდევ არ გადაუყრია. ამით ჩარლის უარესად აცოფებს..."

– სინათლეს თუ არ ანთებ, სილია, იქნებ, გზა მაინც გაგეწმინდა ხარახურებისგან...

– ო, ეს საწყალი ჯულიას ნივთებია. უნდა გადავყარო, მაგრამ, ხელი არ მიბრუნდება. ჩარლის ნურაფერს ეტყვი, კარგი? – ქალის ხმაში მუდარა გაისმა. მაგრამ, ადვოკატმა ზუსტად იცოდა, რომ ქალი თამაშობდა. გავიდოდა რამდენიმე წუთი და ისევ ძველებურ სილიად გადაიქცეოდა – მბრძანებლობასა და ერთპიროვნულ ლიდერობას დაჩვეულ სილიად. ვინც მას იცნობდა, ეჭვი არ შეეპარებოდა, რომ სწორედ მან მოკლა საკუთარი რძალი. ეჭვი არც ადვოკატს ეპარებოდა, მაგრამ, მტკიცებულების არარსებობის გამო, სასამართლომ სილიას მიმართ ყველანაირი ეჭვი გამორიცხა. ჩარლი სიბნელეში იჯდა, საწოლზე... ოთახში სიგარის მძიმე სუნი იდგა. ადვოკატი ახლოს მივიდა და გვერდით ჩამოუჯდა. ჩარლიმ თავი ასწია და არეული მზერა მიაპყრო...

– მოხვედით? კარგია... მინდა, სილიამ ის მიიღოს, რაც დაიმსახურა... მომეხმარეთ, რამე უნდა მოვიფიქრო. ციხე მისთვის მეტისმეტი ფუფუნება იქნება. ბოლო უნდა მოვუღო, ისე, როგორც ჩემს ჯულიას მოუღო ბოლო...

– მოკვლას უპირებთ?

– ჰო... ხომ შეიძლება, ისე მოვკლა, რომ ბრალი ვერ დამდონ... ხომ არსებობს საშუალებები, რომლებიც კვალს არ ტოვებს?!

– მომისმინეთ, ჩარლი... იქნებ სილიას არ მოუკლავს ჯულია, რატომ ხართ დარწმუნებული?

– ისინი კიბის თავში ერთად იდგნენ, სილიამ ჯულიას ხელი ჰკრა და დააგორა. მე ეს არ დამინახავს, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ ასე იყო... თუმცა, რას გიხსნით? – თქვენ ორივეს ჩემზე კარგად იცნობდით – ჩარლიმ ხელი ჩაიქნია და სიგარას მოუკიდა, – მოკლედ, სილიამ პასუხი უნდა აგოს საკუთარი სიცოცხლით. რა თქმა უნდა, ერთხელაც არ მინახავს და არ გამიგონია, როგორ ჩაგრავდა ჩემი და ჯულიას, მაგრამ, საწყალი ჩემი ცოლი თვალსა და ხელს შუა დნებოდა. უსიხარულო და ჩამქრალი მზერა გაუხდა, აღარ იღიმებოდა. ადვოკატო, ამდენი წელია, ჩვენს ოჯახში დადიხართ, ხომ იცით, რომ სილიას შეეძლო ჯულიასთვის ხელი ეკრა...

– ჰო, შეეძლო... მაგრამ, არ არსებობს მოწმე, რომელიც ბრალს დაამტკიცებდა... სილიას ჯულიას ნივთები მოუგროვებია გადასაყრელად.

რეაქცია მყისიერი იყო – ჩარლი შეშლილივით წამოხტა. სიგარიდან დაცვენილი ფერფლი ხალიჩაზე დაიყარა...

– როგორი უღირსი საქციელია თქვენი მხრიდან, ადვოკატო! – ღია კარში სილია იდგა და ადვოკატს ზიზღით მისჩერებოდა, – ხომ დამპირდით, რომ ჩარლის არაფერს ეტყოდით... მე ხომ მასზე ვზრუნავ... როცა ამ ნივთებს ხედავს, უფრო ნერვიულობს, თქვენ კი გააღიზიანეთ...

ქალს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ჩარლი ეცა და ორივე ხელი გადაუგრიხა...

– როგორ გაბედე მის ოთახში შესვლა... როგორ გაბედე! მოგკლავ, ჩემი ხელით დაგახრჩობ!

ადვოკატი ჩარლისთან მიიჭრა და გაჭირვებით მოაშორა შიშისგან აკანკალებულ მსხვერპლს.

– დამშვიდდით, ჩარლი... ძალიან გთხოვთ... ასე არ შეიძლება... სილიას, შეიძლება, მართლაც სიკეთე უნდა თქვენთვის...

ჩარლიმ დაიგმინა:

– უბედური ვარ... ჩემი ჯულია... ვინ დამიბრუნებს ჩემს ცოლს? სილიას კი აუცილებლად ვაგებინებ პასუხს ყველაფრისთვის.

ნახევარი საათის შემდეგ ადვოკატი წასასვლელად მოემზადა. სალიამ კარამდე მიაცილა.

– რატომ უთხარი... ეს რატომ გაა-კეთე, ხომ შეიძლებოდა, მოვეკალი...

– მოეკალი? შეიძლებოდა, მაგრამ, არ მოგკლა... უკვე თექვსმეტი წელია, ეს გრძელდება, მაგრამ, ჩარლის საქმე ბოლომდე არასოდეს მიჰყავს – გამბედაობა არ ჰყოფნის...

– იმიტომ, რომ, დარწმუნებული არ არის, რომ ჯულიას ხელი მე ვკარი. სასამართლომაც ხომ გამამართლა.

– სულ არ გრცხვენია... მე ხომ იქ ვიყავი, როცა შენ ჯულიას ხელი ჰკარი... ძალიან ვნა-



ნობ, რომ სასამართლოზე მოწმედ არ გამოვედი. ახლა უკვე ძალიან გვიანია... სიყვარულმა შემიშალა ხელი... როგორ მიყვარდი სილია, შენ კი ბრმა იყავი, სიძულვილმა დაგაბრმავა.

– მერე, ვინ არის ამაში დამნაშავე? ვინ? ერთხელ მაინც რატომ არ მითხარი შენი გრძნობის შესახებ? მე გადავწყვიტე, რომ შენც ჯულიათი იყავი მოხიბლული, ისევე, როგორც ყველა სხვა... კაცები ხომ მასზე ჭკუას კარგავდნენ... ჩარლის გონებაც დააკარგვინა.

ადვოკატმა თავი გადააქნია...

– ეჰ, სილია, სილია... სიძულვილმა მკვლელად გაქცია... მკვლელი ვარ მეც, რომელმაც ამაში ხელი ვერ შეგიშალე... თექვსმეტი წელია, ეს მკვლელობა წარსულიდან მოსვენებას არ მაძლევს... სულ რაღაცას ველოდები და მოვდივარ თქვენთან... სილია. სილია... რატომ გააკეთე ეს?..

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# სერიული მანიაკები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №38-42(668)

ექსპერტი ანდრო ჩივაძე მოღუშული სახით შევიდა კაბინეტში. საქაღალდე მაგიდაზე დააგდო, სკამზე დაეშვა და მირიანს სახეში შეაცქერდა.

– რა მოხდა? – სწრაფად ჰკითხა მირიანმა, რომელსაც ცუდად ენიშნა მისი შეკრული შუბლი.



– თხუთმეტი წელია, რაც ექსპერტიზაში ვმუშაობ და ამ დროის განმავლობაში რა არ მინახავს: მკვლელობა, თვითმკვლელობა, ძალადობა, უბედური შემთხვევა. მაგრამ, ასეთ საქმეს არასოდეს შევხვედრივარ! – ანდრომ უმწეოდ გაშალა ხელები, – თავად რომ არ ჩამეტარებინა გამოკვლევა და სხვას ეამბო ჩემთვის ამის შესახებ, არ დავიჯერებდი!

– ეს ექსპერტიზის შედეგებია? – საქაღალდეს გადასწვდა მირიანი.

– ექსპერტიზა არ დასრულებულა, მაგრამ, ძირითადი მონაცემები მანდ არის. რაც არ უნდა მოხდეს, დანაშაულის სურათი მაინც აღარ შეიცვლება.

– რა დაასკვენი, მაინც, რასთან გვაქვს საქმე? – ჰკითხა მირიანმა.

– არც კი ვიცი, რა გითხრა, – თავი გააქნია ანდრომ, – ჩათვალე, რომ შეშლილებთან, აბსოლუტურ გიჟებთან, ნაბიჭვრებთან, ნაძირლებთან!.. ყველა ამ თვისებების ერთობლიობით, კი – ნამდვილ მანიაკებთან!

– მანიაკებთან?! – მოიღრუბლა მირიანი, – ესე იგი, მაინც ჯგუფური გაუპატიურებაა?!

– ამას ჯგუფური გაუპატიურება არ ჰქვია, ეს უფრო ჯოგური გაუპატიურება იყო!

– მაგით რისი თქმა გინდა? – ჰკითხა მირიანმა.

– ამჟამად თავდამსხმელთა ზუსტ რაოდენობაზე ვერაფერს გეტყვი, მაგრამ, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაულში ათ პიროვნებაზე მეტი მონაწილეობდა!

– რა თქვი?! – გაოცებული მზერა ესროლა მირიანმა.

– სწორედ ამას ვგულისხმობდი, როდესაც გითხარი, ჯოგურ გაუპატიურებასთან გვაქვს საქმე-მეთქი. ყური მოვკარი, რომ ამ საქმეზე ვიღაც უკვე აიყვანე, – თქვა ანდრომ.

– იმ პიროვნებას მყარი ალიბი აქვს, – უპასუხა მირიანმა.

– ალიბი?! – გაუკვირდა ანდროს, – მაშინ, რისთვის დააპატიმრე?!

– როგორ აგიხსნა... ალიბი აქვს, დარწმუნებული ვარ, რომ არ ტყუის, მაგრამ, რაღაცას მაინც მალავს, ბოლომდე არ ამბობს სათქმელს. ვნახოთ, შეიძლება საკანში გატარებულმა ორმა დღე-ღამემ უფრო გულახდილი გახადოს... – მირიანმა საქაღალდეს გახედა და დაამატა: ესე იგი, ჯგუფური გაუპატიურება!..

– ყველაფერი ამაზე მიუთითებს, – დაუდასტურა ანდრომ.

– საქმის თაობაზე კიდევ რისი თქმა შეგიძლია?

– ბუნდოვანი საქმეა. უეჭველია, რომ ძალადობაში ათზე მეტი პიროვნება მონაწილეობდა, მაგრამ, გარკვეული დეტალები მაინც არ ემთხვევა ერთმანეთს.

– მაგალითად, რა?

– ჩემმა კრიმინალისტებმა საგულდაგულოდ შეისწავლეს შემთხვევის ადგილი. შემიძლია, დანამდვილებით გითხრა, რომ იქ გოგონას გარდა კიდევ სამი-ოთხი პიროვნება იმყოფებოდა.

– ანუ...

– ჯერეჯერობით ამ ვერსიას კონკრეტული ფაქტებით ვერ გავამყარებ, მაგრამ, ჩემი აზრით, გოგონა ძალადობის შემდეგ მიიყვანეს შემთხვევის ადგილზე და ეს გვიან ღამით უნდა მომხდარიყო.

– მე მაქვს რამდენიმე ჩვენება, რომელთა მიხედვითაც გარკვეული ქრონოლოგიის აღდგენა შეგვიძლია, – ამ სიტყვებთან ერთად მირიანმა მაგიდის უჯრიდან საქაღალდე ამოიღო, გახსნა, საჭირო გვერდი მოძებნა და ლაპარაკი განაგრძო: საერთო სურათი ასეთია: იმ დილით გოგონა ჩვეულებრივად წავიდა სკოლაში. მისი მეგობრების ჩვენებებით, ნონან ჩვეულებრივად ეჭირა თავი და არც ერთი მათგანისთვის არ უთქვამს, რომ იმ დღეს ვინმესთან შეხვედრას აპირებდა. გაკვეთილები დაახლოებით ორი საათისთვის დამთავრდა. ხუთ საათზე მას მუსიკის მასწავლებელი ელოდა, რომელიც საბურთალოზე, უფრო ზუსტად კი, ვაჟა-ფშაველაზე ცხოვრობს. როგორც წესი, მუსიკის გაკვეთილი ორი საათი გრძელდებოდა და შემდეგ გოგონა შინ ბრუნდებოდა. იმ დღეს ნონამ სახლში მისვლა დააგვიანა. მისი დედა მუსიკის მასწავლებელს დაუკავშირდა და შეიტყო, რომ გოგონა საერთოდ არ მისულა მასთან. ამის შემდეგ დედამისმა განგაში ატეხა. საქმეში პოლიციის ადგილობრივი სამმართველო ჩაერთო, მაგრამ, გოგონას ადგილსამყოფელის დადგენა მაინც ვერ მოხერხდა. ვითარება მხოლოდ დილით გაირკვა – მაშინ, როდესაც ნონა თბილისის ზღვაზე სათევზაოდ მიმავალმა მამა-შვილმა აღმოაჩინა.

– ამ ჩვენებებიდან გამოდის, რომ, ნონა მაშინ აღმოჩნდა მოძალადეთა ხელში, მუსიკის მასწავლებელთან რომ მიდიოდა, – თქვა ანდრომ.

– მეც ასე ვფიქრობ, – თავი დაუქნია მირიანმა, – გოგონა დაახლოებით ორიდან სამის ნახევრამდე გაქრა.

– ერთი რამ არ მესმის. – თქვა ანდრომ, – რომ გაქრა, გასაგებია, მაგრამ, გოგონა ხომ ნივთი არ არის – დღის ორ საათზე, საბურთალოზე, ხალხის თვალწინ, საკუთარ უბანში, როგორ უნდა გამქრალიყო უკვალოდ? ვერასოდეს დავიჯერებ, რომ ის ძალით წაიყვანეს და ეს ვერავინ შეამჩნია.

– მეც არ მგონია, რომ გოგონა ძალით წაიყვანეს. სავარაუდოდ, ის საკუთარი ნებით გაჰყვა მოძალადეს, – დაეთანხმა მირიანი.

– ესე იგი ის, გოგონას ნაცნობებს შორის უნდა ეძებო.

– რაც შეეხება მის ნაცნობებს, იზოლატორში ამ საქმეზე დაკავებული რამაზ დევიძე იმყოფება. მე მინდა, რომ ბიოლოგიური ექსპერტიზა ჩაუტარო.

– ეს ის პიროვნებაა, რომელზეც წეღან ვსაუბრობდით? – ჰკითხა ანდრომ.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

– ისაა.

– თუ მას მყარი ალიბი აქვს, რისთვის უნდა ჩავუტაროთ ექსპერტიზა? – გაუკვირდა ანდროს.

– ალიბის დადასტურება სჭირდება. ვიდრე ეს არ მოხდება, ის ჩვეულებრივი ეჭვმიტანილია და მის მიმართ ყველა აუცილებელი პროცედურა განხორციელდება... შევთანხმდით?

– შევთანხმდით. გამოკვლევის შედეგებს პროკურატურაში გამოგიგზავნი, – თავი დაუქნია ანდრომ და დასამშვიდობებლად გაუწოდა ხელი.

* * *

ვაჟა ირემაძე გლდანისთვის ტრადიციულ კორპუსში ცხოვრობდა. რამდენიმე სადარბაზოთი შემოსაზღვრული ეზოს კუთხეში მაგიდა იყო მოწყობილი, რომელთანაც რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცს მოეყარა თავი. ორი მათგანი ნარდს თამაშობდა, დანარჩენები კი ლუდს სვამდნენ. იქვე იმყოფებოდა ირემაძეც. ის მაგიდის განაპირას იდგა და ნარდის მოთამაშეებს ადევნებდა თვალს.

გიომ მაგიდის საპირისპირო მხარეს შეაჩერა მანქანა და გვერდითა სავარძელზე მჯდარ ანას გახედა.

– ისაა?

ანამ საქაღალდეს ჩახედა, სადაც ირემაძის ფოტო იდო და შემდეგ უპასუხა:

– ყოველ შემთხვევაში, ძალიან ჰგავს. გადავამოწმოთ.

– გადავამოწმოთ, – დაეთანხმა გიორგი და მანქანიდან გადავიდა.

ახალგაზრდები უმალ დაინტერესდნენ მაგიდასთან მიახლოებული ლამაზი ქალით. მოთამაშეებმა ნარდი მიატოვეს და ყურადღებით დაუწყეს მზერა.

ამასობაში ანა ვაჟა ირემაძეს პირისპირ შედგა და მიესალმა.

– გამარჯობა, – დაბნეული სახით უპასუხა მან.

– თქვენ ვაჟა ირემაძე ხართ? – ჰკითხა ანამ.

– ჰო.... ვაჟა ვარ.

– მე მთავარი პროკურატურის გამომძიებელი ვარ. თქვენთან გასაუბრება მინდა, – ამ სიტყვებთან ერთად, ანა ხელჩანთას ნაეტანა, რათა თანამოსაუბრისთვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ეჩვენებინა, მაგრამ, ირემაძემ აღარ აცალა. ის მოულოდნელად მოსწყდა ადგილს და უახლოესი სადარბაზოსკენ გაიქცა. გიორგი ელვის სისწრაფით მიჰყვა უკან. დევნა რამდენიმე წამს გაგრძელდა. გიორგი სადარბაზოს საპირისპირო გასასვლელთან წამოეწია გაქცეულს, მხარში სწვდა, ძლიერი ბიძგით დააკარგვინა წონასწორობა, ძირს დასცა, მკლავები ზურგსუკან ამოუგრიხა და ხელბორკილი მოარგო.

– მიშველეთ!... – განწირული ხმით აყვირდა ირემაძე, – მეზობლებო, მიშველეთ!

– ნუ გაჰკივი ქალივით, ხომ გითხრეს, რომ მხოლოდ საუბარი გვინდა! – უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა გიომ და ფეხზე წამოაყენა.

ირემაძის ყვირილს უმალ გამოეხმაურნენ მაგიდასთან მყოფი ახალგაზრდები. ისინი უკმაყოფილო შეძახილებით შეგროვდნენ სადარბაზოსთან:

– რა გინდათ? შეეშვით, ავადმყოფი ბიჭია!..

ორიოდ წუთში ეზოში ირემაძის დედა და რამდენიმე ქალი გამოჩნდნენ. ისინი სადარბაზოსთან გამჭრივდნენ და გიორგისა და ანას დაკავებულის მანქანაში ჩასმის საშუალებას არ აძლევდნენ. ანას დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმის ასახსნელად, რომ ვაჟასთან მხოლოდ საუბარი სურდათ და მეტი არაფერი.



– რაზე უნდა ესაუბროთ? – აღშფოთებული გაიძახოდა ირემაძის დედა, – ბიჭი ხანდახან საკუთარ სახელსა და გვარს ვერ იხსენებს. ავად არის, ფსიქიატრიული ცნობაც მაქვს. თუ გინდათ, ახლავე გაჩვენებთ.

საბოლოოდ ვითარება პატრულის თანამშრომლების გამოჩენამ განმუხტა, რომლებიც ანამ თადარიგიანად გამოიძახა შემთხვევის ადგილზე. მათ უკან დაახევინეს აღელვებულ მეზობლებს და გიორგისა და ანას ირემაძის მანქანაში ჩასმის შესაძლებლობა მისცეს.

ირემაძის დაკითხვა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ის ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანად ითვლებოდა და პრაქტიკულად ვერ აგებდა პასუხს საკუთარ სიტყვებზე. მის დაკითხვას აუცილებლად უნდა დასწრებოდა ადვოკატი, მისი ოჯახის წევრი და მკურნალი ექიმი. მათ მოგროვებას ორ საათზე მეტი დრო დასჭირდა. ბოლოს პროკურატურაში ანასთვის უკვე ნაცნობი ექიმი კეკელიძეც მოვიდა. მისმა გამოჩენამ არნახულად იმოქმედა ირემაძეზე, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში აკანკალებული იჯდა კაბინეტის კუთხეში და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა.

– რა მოხდა, ვაჟა? რამე ხომ არ დააშავე? – კეკელიძემ შინაურულად მოიკითხა პაციენტი.

– არ ვიცი, რად დამიჭირეს. ყველაფერს გეფიცებით, მე არაფერი დამიშავებია, – სწრაფად უპასუხა მან.

– ჰოდა, ძალიან კარგი. შენთან მხოლოდ საუბარი სურთ. რამდენიმე კითხვას დაგისვამენ და შემდეგ, შეგიძლია, სახლში დაბრუნდე. უპასუხებ კითხვებს? – ჰკითხა კეკელიძემ.

ირემაძემ უხმოდ დაუქნია თავი.

– კარგი... მაშინ დავიწყოთ, – თქვა მირიანმა, მაგიდას მიუჯდა და ირემაძეს ჰკითხა: შეგიძლია, გაიხსენო, იყავი თუ არა ორი დღის წინ თბილისის ზღვის მიდამოებში?

ირემაძემ უარის ნიშნად თავი გააქნია.

– ვერ გავიგე, – ჩაეძია მირიანი, – არ გახსოვს თუ არ ყოფილხარ?

– არ მახსოვს, – ყრუდ ჩაილაპარაკა ირემაძემ.

მირიანმა კეკელიძისგან მიღებული დასკვნა მოიმარჯვა და ჰკითხა:

– იცი, რა არის ეს?

– არა, – თქვა ირემაძემ.

– ეს შენი ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობაა. აქ წერია, რომ შენ დროდადრო აგრესიის შეტევა გემართება, მაგრამ, ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები ამნეზია. თუ თბილისის ზღვაზე არ ყოფილხარ, უნდა მითხრა, სად და ვისთან ერთად იყავი იმ დროს.

– არ მახსოვს... ბოლო ხანებში ძალიან მტკივა თავი, – ჯიუტად გაიმეორა ირემაძემ.

– „ტრუქსალი“ თან გაქვს? – მოულოდნელად ჰკითხა მირიანმა.

ირემაძემ გაოცებით ახედა.

– მაჩვენე, – ხელი გაუწოდა მირიანმა.

ირემაძემ ჯიბიდან მედიკამენტის ქილა ამოიღო და მაგიდაზე დადო.

მირიანმა ქილა შემთხვევის ადგილიდან

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



ამოღებულ ქილას შეადარა. სერიული ნომერი იმაზე მიუთითებდა, რომ ორივე ქილა ერთი და იმავე პარტიიდან იყო.

– ეს ქილა ჩვენ თბილისის ზღვაზე ვიპოვეთ, მაგრამ, ეს ყველაფერი არ არის, – ამ სიტყვებთან ერთად მირიანმა საფერფლეზე მიანიშნა, რომელშიც ვაჟას მიერ მოწეული სიგარეტის რამდენიმე ნამწვავი ეგდო, – იქვე მივაგენით სიგარეტის რამდენიმე ნამწვავს. ერთი მათგანი, წითელი „ელემის" ნამწვავის ფილტრიც სწორედ ასე იყო გაღეჭილი. თუმცა, ასეთი მარჩიელობა მაინც არ გვჭირდება – ბიოლოგიური ექსპერტიზა ძალიან მარტივად დაადგენს, შენ დააგდე იქ ის ნამწვავი, თუ არა. ყოველთვის ასე ღეჭავ ფილტრს თუ მხოლოდ მაშინ, როდესაც ღელავ?

ირემაძემ თავი ჩახარა და ნერვიულად მოისრისა საფეთქლები.

მირიანი წინ გადაიხარა და ხმადაბლა ჰკითხა:

– ვაჟა, რა მოხდა ზღვაზე? რამ აგაღელვა ასე ძალიან იმ ღამით?

ირემაძემ დაძაბული მზერით შეხედა, შემდეგ კი მოულოდნელად იყვირა:

– რა გინდათ ჩემგან? თავი გამანებეთ! მე ხელი არ მიხლია იმ გოგოსთვის! პირიქით, ვთხოვდი, თავი გაანებეთ-მეთქი!

– დამშვიდდი.... – წყნარად განაგრძო მირიანმა, – ვინაა ის გოგო, ახლა რომ ახსენე?

– არ ვიცი...

– სახელი... გვარი... მისამართი...

– არ ვიცი... ყველაფერს გეფიცებით, არ ვიცი. შემთხვევით შეგვხვდა.

– ფოტოსურათი რომ გიჩვენო, ამოიცნობ? – ჰკითხა მირიანმა.

– არ ვიცი.... კარგად არ მახსოვს, – თავი გააქნია ირემაძემ.

– ტანსაცმელი? ტანსაცმელი თუ გახსოვს? თეთრი მაისური, ჯინსის ქვედაბოლო და თეთრი ფერის სპორტული ფეხსაცმელი ეცვა.

ირემაძემ შუბლი მოისრისა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

– ჰო... ასე ეცვა...

– შეგიძლია, მიამბო, რა მოხდა იქ? ვინ იყო შენთან ერთად? როგორ და სად შეხვდით იმ გოგონას?

ირემაძემ სიგარეტს მოუკიდა, ფილტრი ნერვიულად გაღეჭა, რამდენიმე ღრმა ნაფაზი დაარტყა და ლაპარაკი განაგრძო:

– იმ გოგოს შემთხვევით შევხვდით... ღამდებოდა.... კუკიიდან უბანში ვბრუნდებოდით...

– ერთი წამით, – შეაწყვეტინა მირიანმა, – რა გინდოდა კუკიაზე და ვისთან ერთად ბრუნდებოდი უბანში?

– უბნელ ბიჭებთან ერთად კუკიის სასაფლაოზე გადავედით, იქ ჩვენი ბავშვობის მეგობარია დაკრძალული და საფლავი მოვინახულეთ. სასმელიც დავლიეთ. მერე ბიჭებმა თავის კუკიელ ძმაკაცს შეუარეს და იქ უკვე მაგრად დათვრნენ. მე აღარ ვსვამდი, ჩემთვის დალევა არ შეიძლება.

– ვინ არიან ის ბიჭები? სახელები, გვარები! – სწრაფად ჰკითხა მირიანმა და ანას ანიშნა, ჩაიწერეო.

– ჩვენი უბნელები არიან... გივი ბადრიძე, კარენ ოგანესიანი და ილო... – ჩაილაპარაკა ირემაძემ.

– ილოს გვარი? – ჩაურთო ანამ.

– იმას არ ვიცნობ, – გახედა ირემაძემ, – გივის ძმაკაცია. კუკიაზე ილოს მანქანით გადავედით.

– კარგი, დავუბრუნდეთ გოგონას. ის სად შეგხვდათ? – განაგრძო მირიანმა.

– გზაზე.... ლოტკინს, რომ გამოვცდით და ზღვის გზაზე გავედით, მაშინ დავინახეთ. გზის პირას იდგა.

– უბრალოდ, იდგა? – გაუკვირდა მირიანს, – იქნებ, მანქანის გაჩერებას ცდილობდა?

– არა... მე მგონი, მიდიოდა და, როცა მანქანამ სინათლე მიანათა, შეჩერდა და შემობრუნდა.

– შემდეგ რა მოხდა? – ჰკითხა მირიანმა.

– ილომ თქვა, მგონი, ნაშა გაიჩითაო და მანქანა გააჩერა...

– რას ნიშნავს – „ნაშა გაიჩითა"?! – ბრაზი მოერია მირიანს.

– ის ბიჭი მთელი საღამო აშლილი იყო. სუფრასთან რომ ვისხედით, რამდენჯერმე დაურეკა ვიღაც ქალს, ამაღამ შენთან ამოვალო, მაგრამ, ის უარს ეუბნებოდა. ამან ისე გააბრაზა, რომ კინაღან მობილური ტელეფონი დაამტვრია. მერე კი ამბობდა, ამაღამ ქალის გარეშე მაინც არ დავრჩები, თემქაზე ნაშები მეგულება და იქ წავიდეთო.

– დანარჩენები რას პასუხობდნენ?

– ერთად გადაწყვიტეს თემქაზე გადასვლა.

– შენ?

– მე არა, – თავი გაიქნია ირემაძემ, – ქალებთან ურთიერთობა არ გამომდის. გადაწყვიტეს, რომ მე გლდანში გადამიყვანდნენ, თვითონ კი თემქაზე წავიდოდნენ.

– გასაგებია. რა მოხდა შემდეგ?

– ილომ მანქანა გააჩერა და იმ გოგოს გამოელაპარაკა. მან არაფერი უპასუხა. შებრუნდა და გზა განაგრძო. ილო მანქანიდან გადავიდა და დაუძახა: სად მიდიხარ? მოდი მანქანაში ჩაჯექი. სადაც იტყვი, იქ მიგიყვანო! გოგო არ გაჩერდა, პირიქით, ნაბიჯს მოუმატა. ამან მაგრად გააბრაზა ილო და შეაგინა: პასუხის ღირსიც არა ვარ, შენი დედაცო – და, უკან გაჰყვა გოგოს. იმან მოიხედა და, როგორც კი ილო დაინახა, გაიქცა. ჯერ გზის გასწვრივ გარბოდა. მერე ილო წამოეწია და ის გოგო პირდაპირ ზღვისკენ გაიქცა. ამ დროს მანქანიდან გივი და კარენა გადავიდნენ და მათ გაეკიდნენ.

– შენ რას აკეთებდი ამ დროს? – ჰკითხა მირიანმა.

– მანქანასთან ვიდექი. არ მომეწონა ეს ამბავი. ვგრძნობდი, რომ ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა. ჯობდა, ილოს საერთოდ არ გაეჩერებინა მანქანა. ევლო იმ გოგოს ფეხით. თვითონ კი თემქაზე წასულიყვნენ, – ჩაილაპარაკა ირემაძემ და ისევ მოუკიდა სიგარეტს.

– შემდეგ? – ჰკითხა მირიანმა, როგორც კი მან სიგარეტის ნამწვავი საფერფლეში ჩაჭყლიტა.

– ცოტა ხანში ბუჩქებიდან გოგოს ყვირილი მომესმა – ხელი არ მახლოთ, თქვე არაკაცებოო! მერე რამდენჯერმე დაიკივლა. შემეშინდა და მეც ზღვისკენ გავიქეცი.... – ირემაძემ თვალები დახუჭა, ნერვიულად მოისრისა საფეთქლები და ყრუდ განაგრძო: იქ... იქ... ბუჩქებს შორის, პატარა მოედანი იყო. ის გოგო მიწაზე იწვა და ყვიროდა... ილომ კი რამდენჯერმე დაარტყა – ნუ კივიხარ, შენი დედაცო... ის გოგო გაითიშა... მე ავყვირდი – თავი გაანებე-მეთქი, მაგრამ, კარენამ და გივიმ ხელის კვრით გამომაგდეს იქიდან... რა მოხდა შემდეგ, ბუნდოვნად მახსოვს. გავიქეცი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვირბინე, გზაც არ მახ-

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

სოვს. აზრზე ჩემს უბანში მოვედი.

– იმ გოგოს შესახებ აღარაფერი გსმენია?

– მსმენია, – თავი დაუქნია ირემაძემ, – უბანში ბიჭები ლაპარაკობდნენ, რომ ზღვაზე გოგო გააუპატიურეს და მის მოკვლას ცდილობდნენო.

– ის ბიჭები აღარ შეგხვედრიან?

– გივიმ მომაკითხა მეორე დღეს: რაც იქ მოხდა, შენ არ გეხება და, ვინმესთან ერთი სიტყვაც რომ დაგცდეს, თავს წაგაწყვეტო.

– იცი, სად ცხოვრობენ გივი და კარენი?

– ვიცი, – ჩაილაპარაკა ირემაძემ და მისამართი უკარნახა.

* * *

ის იყო ირემაძის დაკითხვა დამთავრდა, რომ მირიანს რამაზ დევიძის ადვოკატი, ერეკლე სვანიძე ტელეფონით დაუკავშირდა და განაწყენებული ხმით უთხრა:

– ორ საათზე მეტია, მისაღებში გელოდები. ბოლოს და ბოლოს, მოიცლი თუ არა ჩემთვის?

– დამელოდე, ახლავე ჩამოვალ, – უპასუხა მირიანმა, შემდეგ კი გიორგისა და ანას უთხრა, ჯერჯერობით უჩემოდ განაგრძეთო და კაბინეტიდან გავიდა.

ერეკლე ნერვიულად სცემდა ბოლთას მისაღებში და სიგარეტს ეწეოდა. მირიანის დანახვისას ნამწვავი საფერფლეში ჩააგდო, სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა და უკმაყოფილოდ უთხრა:

– შეგნებულად მიკეთებ ამას?

– რას? – გაუკვირდა მირიანს.

– გუშინ რაზე შევთანხმდით? – შეხვედრა შეახსენა ერეკლემ.

– მე რამაზთან დაკავშირებული ყველა საჭირო მონაცემი მოვაგროვე და მთელი დღის განმავლობაში ვერ მოვახერხე შენთან შეხვედრა. ხომ იცი, რა საქმეზეც ვმუშაობ. ახლაც დაკითხვიდან გამოვედი.

– მერედა, მე რას ვაკეთებ?! – მოჩვენებით გაიკვირვა ერეკლემ, – მეც შენ საქმეზე ვმუშაობ და სწორ მიმართულებას გაძლევ.

– რას გულისხმობ?

ერეკლემ საქაღალდე გაუწოდა:

– აქ ყველაფერია, რაც რამაზის ალიბის ადასტურებს. შეგიძლია, დღესვე გაათავისუფლო უდანაშაულო კაცი და ნამდვილი დამნაშავის ძებნაზე გადაერთო.

მირიანმა სწრაფად გადახედა საღალდეს. მასში რამდენიმე ჩვენება აღმოჩნდა.

– მოდი, ასე ვქნათ, – მიუბრუნდა ადვოკატს, – ახლა ჩემს კაბინეტში დაკითხვა მიმდინარეობს. სათათბირო ოთახში არავინ იქნება. იქ გადავხედოთ შენს მასალებს და დანარჩენზე შემდეგ ვიმსჯელოთ.

– წავიდეთ, – უმალ დაეთანხმა ერეკლე და დერეფანს გაუყვა.

საქაღალდეში სწორედ ის ჩვენებები აღმოჩნდა, რომელთა ნახვასაც მირიანი ელოდა. ერეკლეს ერთი დღე-ღამის განმავლობაში მოენახულებინა და ოფიციალურად დაეკითხა რამაზის ყველა ნაცნობი, რომლებსაც მისი ალიბის დადასტურება შეეძლოთ. არც გურჯაანის საავადმყოფოში ჩასვლა და იქაური ექიმების დაკითხვა დაზარებოდა. ყოველი დაკითხული პირი ადასტურებდა, რომ იმ ღამით რამაზი მართლაც გურჯაანის საავადმყოფოში იმყოფებოდა და აქედან გამომდინარე, არაფერი აკავშირებდა თბილისის ზღვაზე მომხდარ შემთხვევასთან



– კარგია... ძალიან კარგი, – მირიანმა საქაღალდე დახურა, – სხვას არაფერს ველოდი შენგან.

– მე ჩემი საქმე გავაკეთე. ახლა შენი ჯერია, – უპასუხა ერეკლემ.

– რამაზის გათავისუფლებას გულისხმობ?

– სხვას რას უნდა ვგულისხმობდე? – გაიკვირვა ერეკლემ, – შრომა უნდა დაფასდეს. შენ რა გგონია, ადვილი იყო, ამ პიროვნებების შეგროვება და ოფიციალური დაკითხვა?!

– თავს ნუ მაცოდებ, – გაეღიმა მირიანს, – დარწმუნებული ვარ, ოთახიდან ფეხიც არ გაგიდგამს და ყველა დასაკითხი პირი რამაზის ახლობლებმა მოგიყვანეს ოფისში.

– ეს არაფერს ცვლის ამ საქმეში. ახლა მისი ახლობლები იზოლატორთან ელიან შენს დადგენილებას.

– ასეთი ამბავი ატყდა იზოლატორში გატარებული ორი ღამის გამო?

– ამაზეც მინდოდა შენთან საუბარი. მე გაფრთხილებდი, რომ არ ღირდა რამაზის ასეთ საქმეზე და ასეთი ფორმით დაპატიმრება, მით უმეტეს, მაშინ, როცა მის წინააღმდეგ ერთი სამხილიც არ გქონდა.

– ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამაზე, – უპასუხა მირიანმა.

– ამაზე კი არ გვილაპარაკია. რამაზის ახლობლები ძალიან გააღიზიანა მისმა დაპატიმრებამ, თანაც, ახლა ირკვევა, რომ ის კაცი უდანაშაულოა. გაჩუმებას რამაზიც არ აპირებს – იზოლატორში პირდაპირ მითხრა: ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ უმუშევარი დავტოვოო!

– და, როგორ მოახერხებს ამას? – გაეღიმა მირიანს.

– ამისთვის არსებობს სასამართლო!

– კარგი, კარგი... შენ მაინც ხომ იცი, რომ რამაზის დაპატიმრებისთვის მთავარი პროკურორი საყვედურსაც არ გამომიცხადებს.

– ცალკე ექსპერტიზისთვის ანალიზების აღებამ გააღიზიანა. მოკლედ, იცოდე, რომ ის კაცი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს და ყველაფერს იღონებს, რომ პასუხი გაგებინოს.

– ეს მისი უფლებაა... რაც შეეხება რამაზის გათავისუფლებას, ძიებას მის მიმართ პრეტენზია აღარ აქვს. არსებობს შენ მიერ შეგროვებული ჩვენებები და გამოიკვეთა დამნაშავეთა წრე.

– ასე რომ... – აჩქარდა ერეკლე.

– ასე რომ, აქ დამელოდე, სანამ გათავისუფლების დადგენილებას შევადგენ, შემდეგ კი, შეგიძლია, შენი დაცვის ქვეშ მყოფი იზოლატორიდან გამოიყვანო, – მირიანი ადგა, მაგიდიდან საქაღალდე აიღო და კარს მიაშურა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**17 წლის, ნიჭიერი მომღერალი ანა ხანჩალიანი, ქართველმა მაყურებელმა სატელევიზიო შოუ „ნიჭიერიდან" გაიცნო, შეიყვარა და საკმაოდ კარგი მომავალიც უწინასწარმეტყველა. ცრემლიანი გოგონა სცენაზე დაბნეული იდგა და ისე მღეროდა, ყველას გული დაიპყრო. დღეს ანა სომხეთის სატელევიზიო შოუ „ახალი ხმის" კონკურსანტია. მან ბრმა ქასთინგზე შეძლო და ჟიურის ოთხი წევრიდან, მის ნამღერს სამი შემოუტრიალდა. მეოთხემ კი მხოლოდ იმით იმართლა თავი, რომ ანას ნამღერით ისეთი აღფრთოვანებული იყო, ეიფორიიდან ველარ გამოვიდა და ღილაკზე ხელის დაჭერა ვერ მოასწრო. ასეა თუ ისე, თბილისელი ანა დღეს სომხეთშიც პოპულარულია. მას უამრავი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი ჰყავს და იმედი აქვს, ამ შოუთი კიდევ ერთხელ გვასახელებს.**

# რა სიურპრიზს უმზადებს სომეხ და ქართველ ერს ანა ხანჩალიანი

**ანა ხანჩალიანი**: საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ვარ. ძალიან მიყვარს ჩემი თბილისი, მაგრამ სომხეთიც ჩემი სამშობლოა და აქაც თავს, როგორც საკუთარ სამშობლოში, ისე გვრძნობ. ქართველმა მაყურებელმა, პროექტ „ნიჭიერიდან" გამიცნო. აქ კი, ახლა ვიდგამ ფეხს. თუმცა, აქაც კარგად იციან, ის თბილისელი სომეხი გოგონა, „ევროვიზიის" კონკურსზე რომ გამოვდიოდი ჯგუფ „ქენდისთან" ერთად 2011 წელს და ამ კონკურსზე პირველი ადგილი მოვიპოვეთ. სხვადასხვა კონკურსზე საქართველო ბევრჯერ ვასახელე და ახლა მინდა, ჩემი ერის „ახალი ხმაც" გავხდე *(იცინის).*

**– როდესაც სომხეთის „ახალი ხმის" შესარჩევ კონკურსზე მიდიოდი, დარწმუნებული იყავი, რომ ჟიურის წევრების მოხიბვლას და შემოტრიალებას შეძლებდი?**

– რასაკვირველია, იმედი მქონდა, რომ ყველაფერი გამომივიდოდა. შევძლებდი ჩემს ნამღერზე ჟიური შემომეტრიალებინა და დამემტკიცებინა, რომ კონკურენციის არ მეშინია და ჩემი შრომით, კიდევ უფრო მეტს შევძლებ და მივაღწევ. საერთოდ, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი მოულოდნელად ხდება. „ნიჭიერშიც" შემთხვევით მოვხვდი. აფიშა ვნახე და შევიარე. ვიფიქრე, მეც ვცდი ბედს-მეთქი. მართალია აცრემლებული დავდექი სცენაზე, მაგრამ ბედმა მაინც გამიღიმა. აქაც, შემთხვევით მოვხვდი. მე და ჩემი ძმა ვიყავით სომხეთში და ვიფიქრე, მოდი, ვცდი ბედს-მეთქი. მივედი, ვიმღერე და შესარჩევი ტური წარმატებით გავიარე. უკვე ერთ თვეზე მეტია, აქ ვარ.



მინდა მქონდეს საკუთარი სახლები თბილისში, ერევანსა და გერმანიაში. აი, ეს ოცნება მაქვს

**– ამბობენ, ანა საცხოვრებლად სომხეთში აპირებს გადასვლასო. თუ ამ ქვეყნის „ახალი ხმა" გახდი, ხომ არ ფიქრობ, მანდ გააგრძელო სასიმღერო კარიერა?**

იმედი მქონდა, შევძლებდი, ჩემს ნამღერზე ჟიური შემომეტრიალებინა და დამემტკიცებინა, რომ კონკურენციის არ მეშინია

– იცით რა, თბილისი ძალიან მიყვარს, მანდ გავიზარდე, მაგრამ სომხეთი ჩემი სამშობლოა და ეს ქვეყანაც ძალიან მიყვარს. ყოველთვის ვინტერესდები, ამ ორ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური თუ სხვა პროცესებით. გული შემტკივა და განვიცდი მათ მომავალზე. მე, სასიმღერო კარიერა ავირჩიე ცხოვრების გზად. მინდა, გავხდე ცნობილი მომღერალი, მქონდეს საკუთარი სახლი თბილისშიც, ერევანშიც და გერმანიაში. აი, ეს ოცნება მაქვს *(იცინის).* ვნახოთ, სამომავლოდ, როგორ დალაგდება ჩემი საქმეები.

**– კონკურსზე გამოსვლის წინ, ჟიურის წინაშე რომ დადექი, ინერვიულე?**

– არ დაგიმალავთ და ძალიან ვინერვიულე. თუმცა, ზუსტად ვიცოდი, რომ ისინი ჩემს ნამღერს მოუბრუნდებოდნენ და შემდეგ ტურში გადავიდოდი.

**– მეორე ტურში გადახვედი. რინგზე ვისთან ერთად მოგიწევს გამოსვლა?**

– რინგზე ერთ ნიჭიერ ბიჭთან ერთად მიწევს გამოსვლა და ეს ისეთი დუეტი იქნება, ალბათ, ბევრი გაოცდება. მე დავარქვი ამას „სიურპრიზი ჩემს ქართველ და სომეხ ხალხს" *(იცინის).* მართლა ძლიერი კონკურენტები მყავს, მაგრამ არ მეშინია. ჟიურიში არიან: შუშან პეტროსიანი – მომღერალი ქალბატონი; ასევე, მომღერალი, პროდიუსერი და სიმღერების ავტორი – აიკ აკობიანი, იგივე აიკო, რომელიც მე ავირჩიე პედაგოგად; ქრისტინე პეპელიანი – მომღერალი და მიხაელ პოგოსიანი, რომელიც არ მომიტრიალდა *(იცინის),* უფრო სწორად ვერ მოასწრო ღილაკზე ხელის დაჭერა. კონკურსებზე რომ გავდივარ, ძალიან ვნერვიულობ, მაგრამ იღბალი ყოველთვის ჩემ მხარესაა. ამას ყოველთვის ვგრძნობ. სანამ გავალ, კონკურსანტებზე ვნერვიულობ და ეს ნერვიულობა ძალიან მოქმედებს ჩემზე. თუმცა, სცენაზე რომ გავდივარ და სიმღერას ვიწყებ, ეს ნერვიულობა ნელ-ნელა ქრება. სომხეთის „ახალ ხმაშიც" ასე მოხდა. ჩემი მეგობარი გამოდიოდა და ის ვერ გავიდა. ამან ძალიან იმოქმედა ჩემზე. თუმცა, იმხელა მუხტი წამოვიდა მაყურებლისგან, რომ მივხვდი, ჩემი თავის იმედი უნდა მქონოდა და მაქსიმუმი მეჩვენებინა. პირველი მოტრიალდა ქრისტინე პეპელიანი, მას მოჰყვა აიკო და შემდეგ პეტროსიანი. როცა სიმღერა დავასრულე და პოგოსიანიც შემობრუნდა, მითხრა, ეიფორიაში ვიყავი, ბოლომდე გისმინე და ვერ მოვასწარი ხელის დაჭერაო. ორი მწვრთნელი სცენაზეც კი ამოვიდა და ჩემს გვერდით დადგა. ყველაზე რთული მათი არჩევა აღმოჩნდა ჩემთვის. ვუბოდიშებდი, ხომ არ გეწყინებათ, რომ არ აგირჩიოთ-მეთქი *(იცინის).* საბოლოოდ, არჩევანი აიკოზე გავაკეთე. ძალიან ძლიერი კონკურენტები მყავს. არაერთი უცხო ქვეყნიდან ჩამოვიდნენ სომეხი ემიგრანტები. საქართველოდან კი, მხოლოდ მე ვარ. ვნახოთ, რა მოხდება. ჩემს მწვრთნელს ძალიან მოვწონვარ. ამბობს, ჩემი გუნდის რჩეული ხარო *(იცინის).*

**– ანა, შენ რომ გახდე სომხეთის „ახალი ხმა," რა შეიცვლება ამით შენს ცხოვრებაში?**

– მე მაქვს მიზანი, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ გაგანდობთ. თუმცა, გეტყვით რომ ის ჩემს ძმას ეხება. ნელ-ნელა მიზნებს ვისრულებ და მჯერა, ყველაფერი გამომივა. დიდი ბედნიერება იქნება, თუ სომხეთის „ახალი ხმა" გავხდები. „ნიჭიერის" დახმარებით, მალე გავხდი პოპულარული, „ახალი ხმით" უფრო მეტად ცნობილი გავხდები. მიხარია, რომ აქ ვარ და ჩემი თბილისელი თაყვანისმცემლები მგულშემატკივრობენ. სოციალურ ქსელში, უამრავი თბილი წერილი მხვდება. სანამ იღბალი მწყალობს, მინდა, სწორად ვიარო, შეცდომა არ დავუშვა და გამოვიყენო შანსები. მინდა, ჩემს ქართველ მაყურებელს ვუთხრა, ვიცი, გვერდით მიდგახართ და მგულშემატკივრობთ. მე ამას ვგრძნობ და ვეცდები, იმედები არ გაგიცრუოთ.



თბილისი ძალიან მიყვარს, მაგრამ სომხეთი ჩემი სამშობლოა

**ნონა დათეშიძე**

# მხიარული, უდარდელი და ოპტიმისტური „Pleats Please-ს" არომატი „ისი პარის" მაღაზიათა ქსელში






„ისი პარი" მომხმარებელს ყოველთვის ანებივრებს ინოვაციური სურნელოვანი სიახლეებით. ამჯერად, „Issy Miyake-ს" ახალი სუნამო „Pleats Please"-ს შეძენა ქართველ მომხმარებელს უკვე, „ისი პარის" მაღაზიათა ქსელში შეეძლებათ. ამ სუნამოს სახელწოდება მოდების ჩვენებას უკავშირდება, სადაც დაპლისული ქსოვილი და ნათელი ფერები იყო წარმოდგენილი, რომელიც ემორჩილებოდა და მიჰყვებოდა ტანის ჰარმონიულ მოძრაობას. დღეს ლეგენდარულ პლისეს, უკვე თავისი არომატიც აქვს. ამ სურნელს ადამიანი „Issy Miyake"-ს სახლის მოდური შთაგონების, კულტურისა და იაპონური ტრადიციების სამყაროში გადაჰყავს.



„Pleats Please" არის მხირული, უდარდელი და ოპტიმისტური არომატი, რომელიც სიცოცხლითა და ენერგიით სავსე სამყაროში გიწვევთ.

ასე რომ, თუ გსურთ, მსგავსი განცდები თავად შეიგრძნოთ, ეს სუნამო, ნამდვილად თქვენთვისაა შექმნილი.




**მოამზადა სალომე გველესიანმა**


# სენადე

## მცენარეული პრეპარატი




**შემადგენლობა:** თითოეული ტაბლეტი შეიცავს სენას ექსტრაქტს.

**ჩვენებები:** სენადე ნაჩვენებია მოზრდილებსა და ბავშვებში ყაბზობის დროს.

**სიფრთხილის ზომები:** სიფრთხილით მიიღეთ ნაწლავის ანთებითი დაავადების დროს.

ხანგრძლივი გამოყენება არაა რეკომენდებული.

**ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი:** ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში გამოიყენება მხოლოდ სარგებელი რისკის თანაფარდობის შეფასების შემდეგ.

**მიღების გზები და დოზირება:** ბავშვები: 1-დან 12 წლამდე: 1 ტაბლეტი ძილის წინ, მოზრდილები: 1-3 ტაბლეტი ძილის წინ ან ექიმის რეკომენდაციის მიხედვით.

**აფთიაქიდან გაცემის წესი:** ურეცეპტოდ

* გამოყენებისას გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას

აფთიაქი TITANI ქარხანა ციპლა

თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 ☎ 238-28-40; 238-88-71; 231-11-32

# როგორ მოიქცა თავისი დაუდევრობით დატყვევებული ივანე მხარგრძელი და დააყენა თუ არა თამარ მეფემ სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა მისი სიცოცხლე

*თამარის მეფობის პერიოდში საქართველომ თავისი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მწვერვალს მიაღწია. მის სიცოცხლეში ჩვენს ქვეყანას სერიოზული მარცხი არ უგემია. საზოგადოებისა და მეცნიერების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ის, რაც მისი მემკვიდრეების მეფობის ხანაში მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ მათი სისუსტის ბრალია და თამარის მეფობაში ისეთი არაფერი მომხდარა, რასაც შეეძლო ხელი შეეწყო მომავალში საქართველოს ასეთ დასუსტება-დაკნინებისთვის. თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ იმას, რაც მოხდა ლაშა-გიორგის და რუსუდანის მმართველობის დროს, სწორედ თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში ჩაეყარა საფუძველი. სწორედ ამ თემაზე ვიმსჯელებთ ისტორიკოს გოჩა საითიძის მასალებზე დაყრდნობით.*



თამარის მეუღლის, დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოში ჩამოყალიბდა დიდი ფეოდალების უპირობო ბატონობა. გაბატონებულ ფეოდალებში შესაძლოა, ვიგულისხმოთ ძმები მხარგრძელები – ზაქარია და ივანე, რომლებიც კარნახობდნენ დაქვრივებულ მეფეს, თუ როგორ უნდა ემოქმედა. ერთი მხრივ, მათი სახელები საქართველოს ისტორიაში ლეგენდებითაა მოცული და არ გვინდა ისე გამოვიდეს, თითქოს მხარგრძელებს მხოლოდ ნეგატიური კუთხით ვახასიათებდეთ, პირიქით, ზაქარია მხარგრძელის დამსახურებით გავიმარჯვეთ შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში. სხვათა შორის, ბასიანის ბრძოლის წინ ერთი საინტერესო და აღსანიშნავი ფაქტი მოხდა. რუმის სულთანმა რუქნადინმა თამარს ელჩის ენით შემოუთვალა: გაშორდი ქმარს, მიატოვე ორივე შვილი და ცოლად გამომყევი, თუ გინდა, რომ არ ავაოხრო შენი ქვეყანა. თუ არა და ნაცარტუტად ვაქცევ საქართველოსო. ელჩმა იმეტიჩრა და ზეპირი დანაბარებიც მოახსენა თამარს: ისიც დამაბარა, სულთანმა რუქნადინმა, რომ თუ ცოლად არ გამომყვები, ხარჭად დაგისვამო. თამარ მეფის შეურაცხყოფა ვერ მოითმინა ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა და ელჩს ისეთი სილა გააწნა, დიდი ხნის განმავლობაში მკვდარივით ეგდო ძირს. როცა მოასულიერეს, უთხრა: წესით და რიგით, შენთვის ჯერ ენა უნდა ამოგვეგლიჯა და თავიც ზედ მიგვეყოლებინა, მაგრამ, რა ვქნათ, ელჩი ხარ და ელჩობა გიცავსო. თამარმა კი დააბარა, გადაეცი რუქნადინს, წარმომიგზავნია ჩემი მხედრობა და შევებათ ერთმანეთსო. ამას მოჰყვა კიდეც ჩვენი სახელოვანი გამარჯვება.

მოგეხსენებათ, რომ ხშირად ადარებენ ერთმანეთს დავით აღმაშენებლისა და თამარის დროინდელ საქართველოს და ამბობენ, ერთი და იგივეაო. ვერ დავეთანმხებით ამ მოსაზრებას. – აღმაშენებლის სათავეში მოსვლამდე დიდაზნაურობა, ამა თუ იმ პროვინციის გამგებლობა, გადადიოდა მამიდან შვილზე. გავიხსენოთ, თუნდაც კლდეკარის ერისთავი ბაღვაშები. დავითმა სახელმწიფოს დამანგრეველი ეს სისტემა მოსპო და ყველაფერი ქვეყნის ინტერესებს დაუქვემდებარა. მან შექმნა მოსაკარგავეთა ინსტიტუტი. ვინც ივარგებდა, ის ინიშნებოდა თანამდებობაზე და ჯამაგირსაც იღებდა. ასე გაგრძელდა გარკვეულ პერიოდამდე. თუმცა, თამარის დროს, ეს წრე ხელმეორედ დატრიალდა. შეიძლება ითქვას, თამარის მეფობის ბოლო პერიოდში მხარგრძელები იქცნენ სახელმწიფოდ სახელმწიფოში. მათი პირადი და ოჯახურ-კლანური ინტერესები უფრო მაღლა იდგა, ვიდრე სახელმწიფო ინტერესები.

თამარის მეფობის დასასრულს, ზაქარია მხარგრძელი არის ამირსპასალარი – თავდაცვის მინისტრი, ივანე მხარგრძელი – მსახურთუხუცესი, ანუ სამეფო ქონებისა და მეურნეობის გამგებელი. ისინი ძალიან დიდი გავლენით სარგებლობდნენ. ჩრდილოეთ სომხეთი, რომელიც თამარის მეფობის პერიოდში საბოლოოდ შემოვიერთეთ, სამართავად გადაეცათ მხარგრძელებს. ჩრდილოეთ სომხეთის შემოერთების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს დღის წესრიგში დადგა სამხრეთ სომხეთის შემოერთება. სწორედ სამხრეთ სომხეთზე გადიოდა აბრეშუმის გზის მთავარი მაგისტრალი. განსაკუთრებით ცნობილი იყო ქალაქი ხლათი, რომელიც სწორედ მთავარ მაგისტრალზე მდებარეობდა. ამ დროისთვის ამ რეგიონში გაბატონებით ორი ძალა იყო დაინტერესებული – ჩვენ და ეგვიპტის სახელმწიფო. ეგვიპტის სულთანმა ალ-ადილმა დაგვასწრო და ხლათში გამგებლად თავისი ვაჟი, ალ-ავჰადი დასვა. ქართველებმა მხარგრძელების მეთაურობით ხლათას შეუტიეს. თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ამაზე ქართულ წყაროებში საერთოდ არაფერია ნათქვამი. მაგრამ, ნამუსს ვინ შეგვინახავდა?! ამ ისტორიას სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე ისტორიული წყარო გვიამბობს ოდნავი განსხვავებებით, თუმცა, საბოლოოდ, ერთი შინაარსი იკვრება. ალ-ავჰადმა ვერ გაბედა ქართველებთან შებრძოლება და ქალაქში შეიკეტა. მისი ბრძანებით, ქალაქში შესასვლელი ხიდი ჩაანგრიეს და ზემოდან თივა დააყარეს,

**რადგან მხარგრძელებს ამხელა დამსახურება მიუძღვოდათ საქართველოს წინაშე, ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ, თამარმა განიზრახა, მისი ძმა – ივანე დაენიშნა ამირსპასალარად. ეს პატივი ივანემ იცოტავა**

რათა ქართველთათვის ზიანი მიეყენებინათ, თუ ისინი ხიდზე გადასვლას განიზრახავდნენ. თუმცა, მათ არცკი უცდიათ ქალაქში შესვლა, ქართველებმა ალყა შემოარტყეს ხლათას. გარკვეული ხნის შემდეგ, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალაქი დანებებას აპირებდა. ასეთი ვითარება, ანუ მოლოდინის რეჟიმი მოსაწყენი აღმოჩნდა ივანე მხარგრძელისთვის. როგორც ისტორიკოსი გადმოგვცემს, ის მაგრად დათვრა, არავის არ დაუჯერა და გადაწყვიტა, ოციოდე კაცის თანხლებით, ქალაქისთვის წრე შემოერტყა. შედგა ხიდზე და წყალში ჩავარდა. ხლათელებმა დაინახეს თუ არა ეს, გამოცვივდნენ და დაატყვევეს. როგორც კი გამოფხიზლდა დატყვევებული ივანე, იმის მაგივრად, რომ საიდუმლოდ შეენახა თავისი ვინაობა, აყვირდა: მე საქართველოს ერთ-ერთი ხელისუფალი ვარ და არაფერი არ უნდა მომივიდესო. გარდა ამისა, წუწუნიც დაიწყო: სანამ მე აქ ვარ, შესაძლოა, ჩემს თანამდებობას სხვა იკავებს და დროზე გამიშვით აქედანო. როცა ხლათელებმა შეიტყვეს, თუ რა ძვირფასი „ნადავლი" ჩაუვარდათ ხელში, თავიანთი პირობები წამოაყენეს. ზაქარია მხარგრძელი გარედან უთვლიდა მუქარას, თუ ივანეს თმის ერთი ღერი მაინც ჩამოუვარდება თავიდან, მიწად ვაქცევ და მიმოვაბნევ ხლათასო! ხლათელებმა ის დაამშვიდეს: ივანე მხარგრძელს არაფერი დაემართება, თუ ჩვენს პირობებს შეასრულებთო. ალყაშემორტყმულ ხლათელებს შემდეგი პირობები ჰქონდათ – ყველა ტყვე უნდა გაათავისუფლოთ, დაახლოებით 5 ათასამდე კაცი ჰყავდათ ჩვენებს დატყვევებული. პირველ ჯერზე 100 ათასი დინარი გადაგვიხადეთ და მერეც ყოველწლიურად გარკვეული თანხა. ალყა ახლავე უნდა მოხსნათ და ის 27 ციხესიმაგრე, რაც უკვე სამხრეთ სომხეთში აიღეთ, უნდა დაგვითმოთ და ბოლოს, ჩვენს გამგებელს, ალ-ავჰადს ბევრი სმენია ივანე მხარგრძელის ულამაზესი ქალიშვილის თამთას შესახებ და ის მას უნდა მიათხოვოთო.

ჯერ ერთი, არ მოხდებოდა, მაგრამ დავუშვათ, დავით აღმაშენებლის დროს ასეთი ფაქტი რომც მომხდარიყო, ის გადაწყვეტილებას სახელმწიფოს სასარგებლოდ მიიღებდა. იმიტომ, რომ სახელმწიფოს ინტერესები ერთი კონკრეტული ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა დგას, რაც უნდა სახელგანთქმული იყოს ესა თუ ის პიროვნება; მით უმეტეს, როცა სახელმწიფო ინტერესებს ხიფათი ამ პიროვნების დაუდევრობის ან დანაშაულის გამო ექმნება.

ჩვენმა ხელისუფლებამ ყველა წამოყენებული პირობა შეასრულა. ივანე მხარგრძელი გაათავისუფლეს. საქართველოსა და ეგვიპტეს შორის 30-წლიანი ზავი დაიდო. ჩვენ დავკარგეთ სტრატეგიული გასასვლელი აბრეშუმის გზის ღერძზე. ეს ამბავი მოხდა 1210 წლის ოქტომბერში.

აღსანიშნავია ერთი ეპიზოდიც. – რადგან მხარგრძელებს ამხელა დამსახურება მიუძღვოდათ საქართველოს წინაშე, ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ, თამარმა განიზრახა, მისი ძმა – ივანე დაენიშნა ამირსპასალარად. ეს პატივი ივანემ იცოტავა. „ქართლის ცხოვრებაში" წერია: დიდი მადლობა, მეფეო, მაგრამ მეცოტავება ეს პატივი. მე ისეთი თანამდებობა მინდა, რომლის მსგავსიც აქამდე ჩვენში არ ყოფილაო. პასუხად თამარმა ათაბაგობა უბოძა მხარგრძელს. მანამდე საქართველოში ასეთი სავაზირო არ ყოფილა. ათაბაგს მაჰმადიანურ სახელმწიფოებში უფლისწულის აღმზრდელს უწოდებდნენ. არადა, ლაშა ამ დროს უკვე 16 წლის იყო, რაღა აღზრდა უნდოდა?! ჩვენი ისტორიკოსები ათაბაგს უპორტფელო მინისტრს უწოდებენ, რომელსაც რეალურად ფუნქცია არ ჰქონდა, გავლენა კი – უზარმაზარი. რეალურად, ის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დაუპირისპირდა, რამაც საქართველოს დასუსტება გამოიწვია. ივანე მხარგრძელმა ათაბაგობაც მიიღო და არც ამირსპასალარობაზე თქვა უარი. ამ მაგალითითაც კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, როგორ დადგა სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა კერძო პირის ინტერესი. როცა ეს ასე ხდება, მაშინ ქვეყანა სუსტდება და პირიქით. ეს 2 მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ საქართველოს დასუსტებას თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში ჩაეყარა საფუძველი.

**ეკა სალაღაია**

**ნოდარ მელაძე ჟურნალისტის პროფესიას 15 წლის ასაკიდან ეზიარა და მას შემდეგ ამ სფეროშია. ამ წლების განმავლობაში ის არაერთ ტელევიზიაში მუშაობდა; იყო ტელეკომპანიები – „ევრიკა,“ „კავკასია;“ რადიო „ფორტუნა“ „პირველი არხი,“ „მზე,“ „იმედი,“ „პირველი რადიო“ და „ტევე 3.“ ჩვენი რესპონდენტი თავისივე სურვილით, ძალიან იშვიათად არის პრესის ფურცლებზე, ამიტომ, მის მიმართ ინტერესი ყოველთვის დიდია. რა ხდება მის ცხოვრებაში და როგორ ახერხებს, აკეთოს ყველაფერი ხარისხიანად, ამ და სხვა თემების შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# ვინ და როგორ გამოიყენა ნოდარ მელაძის სახელი რეკლამირებისთვის და რატომ არ აქვს მას პირადი ცხოვრება

**– წლების განმავლობაში პოპულარული და წარმატებული ტელესახე იყავი, მოულოდნელად კი ყველაფრის გარეშე აღმოჩნდი. მიუხედავად ამისა, უმუშევარი დიდხანს არ დარჩენილხარ და ტელესივრციდან რადიოსივრცეში გადაინაცვლე. როგორ იმოქმედა ამ გარდატეხამ შენზე?**

– როდესაც ტელევიზიაში სიტუაცია შეიცვალა, ანუ ახალი მენეჯმენტი შემოვიდა, გადაწყვიტა, ტელევიზია სხვა ჟურნალისტებით დაეკომპლექტებინა. ჟურნალისტიკა არის პროფესია, რომელიც პირადად მე ძალიან მიყვარს. 15 წლის ასაკიდან ამ სფეროში ვარ და სხვა პროფესია არც არასდროს მქონია. ამიტომ, ძალიან მალე, მე და ჩემი მეგობრები, ყოფილი „იმედელები,“ მივხვდით, რომ სახლში ჯდომას აზრი აღარ ჰქონდა და საკუთარი ძალებით უნდა გვეპოვა ადგილი მედიასივრცეში. ასე შევქმენით „იმედის“ ყოფილმა ჟურნალისტებმა „პირველი რადიო“ – რადიო, რომელიც რაღაც პერიოდი განსხვავებული ფორმატით მაუწყებლობდა. ყველაფერი ნულიდან დავიწყეთ, სარდაფში ერთი კომპიუტერით, მეორე კი ვიღაცამ გვათხოვა. ნელ-ნელა, ყოველი თვის მერე, გვიჩნდებოდა ახალი შესაძლებლობა, განვვითარებულიყავით; შემდეგ გავაკეთეთ ვებ-პორტალი. დღეს კი „პირველი რადიო“ ინფორმაციის ერთ-ერთი წყაროა მათთვის, ვისაც სურთ, გაიგონ ან წაიკითხონ ახალი ამბები. არც ერთი დღე არ ყოფილა ისეთი გუშინდელი დღე რომ დღევანდელზე უკეთესი ყოფილიყო, ყოველდღიურად ვვითარდებით. რადიო ჩემთვის და ყველა იმ ჟურნალისტისთვის, ვინც აქ ვმუშაობთ, დამატებითი გამოცდილებაა. ეს არის პლატფორმა, სადაც უფრო მოკლედ და სხარტად ვისწავლეთ ახალი ამბების გადმოცემა.

**– გავიდა რვა თვე და შენს ცხოვრებაში რადიოს პარალელურად ისევ გამოჩნდა ტელევიზია.**

– ტელევიზია, ჩემი აზრით, სცენის მტვერივითაა – ერთხელ რომ „გადაყლაპავ“, მერე რთულია მასზე უარის თქმა. მართალია, ბევრი ჩემი მეგობარი სხვა სფეროში გადავიდა სამუშაოდ, მაგრამ, მათ ყოველთვის ენატრებათ ტელევიზია. პროფესორ მანანა ლითონიშვილს ხშირად უთქვამს, რომ, როცა წამყვანი ეთერში გადის და საინფორმაციო გამოშვება ან სხვა ნებისმიერი გადაცემა მიჰყავს, მისი გულისცემა და მფრინავის გულისცემა, რომელიც კოსმოსში მიფრინავს, აბსოლუტურად ერთმანეთის იდენტურია. შესაბამისად, ალბათ, ხვდებით, რამხელა დატვირთვა მოდის წამყვანზე და რამხელა პასუხისმგებლობა აქვს მას. ჩემთვის ეს ერთი წელი ძალიან რთული იყო – ჩემ წინ იხურებოდა ყველა კარი. ეს იმის გამო კი არ ხდებოდა, რომ რაღაცის კეთება არ შემეძლო ან სხვა უკეთ გააკეთებდა, არამედ, ვიღაცეები ფიქრობდნენ ასე – ისინი, რომლებიც ახალ რეალობებში იღებდნენ გადაწყვეტილებებს.

**– მიუხედავად იმისა, რომ შენ წინ ბევრი კარი დაუმსახურებლად იხურებოდა, შემოთავაზებებიც გქონდა.**

– ბოლოს ორი კონკრეტული შემოთავაზება მქონდა და ვიყავი არჩევნის ზღვარზე – სად წავსულიყავი. ბევრი ფიქრის შემდეგ, მივიღე გადაწყვეტილება, ყველაფერი თავიდან დამეწყო. „ტევე 3“ ახალი ტელევიზიაა, სადაც ყველაფერი ნულიდან იწყებოდა. ეს უფრო საინტერესო იყო ჩემთვის, ვიდრე აწყობილ ტელევიზიაში მუშაობა. დამირეკა ინგა გრიგოლიამ და შემომთავაზა, მასთან ერთად წავსულიყავი სრულიად ახალ არხზე, სადაც ის გადაცემის კეთებას იწყებდა.



**ინგა არის „ადამიანი კომფორტი“ არა მარტო საქმეში, არამედ, ყველაფერში. ის ძალიან კარგი მეგობარია და მასთან ურთიერთობა ერთი სიამოვნებაა**

**– მართალია, უცნობ ტელევიზიაზე არჩევნის გაკეთება დიდი რისკია, თუმცა, ამ შემთხვევაში რისკს ის ამართლებს, რომ ინგა გრიგოლიასთან წახვედი სამუშაოდ.**

– ზოგადად, ტელევიზიას სახეები ქმნიან და, შედეგად, რაც უფრო მეტი სახე ჰყავს ტელევიზიას, მით უფრო პოპულარულია. ინგა გრიგოლია ძალიან პოპულარული ტელეწამყვანია, რომელსაც მაყურებელი ძალიან ენდობა, ეს ყველაფერი კი გადაცემის რეიტინგზეც აისახება. ინგასთან მუშაობა საინტერესოა, რადგან, მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. ინგა არის „ადამიანი კომფორტი“ არა მარტო საქმეში, არამედ, ყველაფერში. ის ძალიან კარგი მეგობარია და მასთან ურთიერთობა ერთი სიამოვნებაა. „სტაფი“ ერთმანეთზე დამოკიდებული გავხდით, დასვენების დღეებსაც კი ერთად ვატარებთ.

**– ისიც მინდა აუცილებლად აღვნიშნო, რომ ნოდარ მელაძესთან მუშაობაც ძალიან დიდი კომფორტია. ასევე, მინდა, „ტევე 3-ზე“ შენი, როგორც წამყვანის, ტელედებიუტსაც შევეხო, რაც დაუგეგმავად მოხდა. როგორი შეგრძნებაა, როცა თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ მაყურებელს ესალმები და გადაცემის წაყვანას იწყებ?**

– დავიწყებ იმით, რომ თავიდან ინგას გადაცემის პროდიუსინგში უნდა მემუშავა, მაგრამ, ინგამ მითხრა, რომ, ამის პარალელურად, ჟურნალისტიც უნდა ვყოფილიყავი მასთან და ჩართვები მქონოდა გადაცემაში. ერთ დღესაც, რადიოში მიმყავდა ეთერი და ინგამ მოულოდნელად მითხრა, ჩემ ნაცვლად გადაცემა შენ უნდა წაიყვანო, რადგან, ცუდად ვარო. ეს ჩემთვის ძალიან დიდი მოულოდნელობა და პასუხისმგებლობა იყო. ბევრი ვიფიქრე, როგორ, რანაირად გამეკეთებინა. მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდი, ყველა ინფორმაცია მომეპოვებინა. საღამოს, როცა გადაცემის ქუდი გავიდა ეთერში, იგივე განცდა მქონდა, როგორიც ბევრი წლის წინ – მაშინ, როცა პირველად გავდიოდი ეთერში. თავი ავწიე, მივესალმე მაყურებელს და ამ დროს სუფლიორი გაჩერდა. ისღა დამრჩენოდა, ზეპირად მეთქვა ყველაფერი. პირველი ბლოკი ძალიან დაძაბული ვიყავი, მეორე ბლოკში კი მივხვდი, რომ უკვე ყველაფერი გავითავისე.

**– პირად ცხოვრებასაც შევეხები: რა ხდება?**

– სად არის პირადი ცხოვრება! პირადი ცხოვრება ყოველთვის ჩემივე სამსახურის მსხვერპლი იყო. გიჟური რეჟიმით რაღაც ურთიერთობას დაიწყებ, მაგრამ, იმის გამო, რომ მერე ვერ იცლი ამისთვის, მალევე მთავრდება. ამით ყველას ვღლიდი ხოლმე. მიუხედავად ამისა, „გამონათებები“ არის მაინც, რადგან, რთულია ვიღაცაზე არ გეფიქრებოდეს. ისე, ამ თემაზე საუბარი არ მიყვარს, რადგან, პირადი არის პირადი და შენთვის უნდა შეინახო.

**– რას ნანობ ყველაზე მეტად?**

– მართალია, ჯობია, ისწავლო სხვის შეცდომებზე, ვიდრე საკუთარზე, მაგრამ, ყოველთვის ასე არ ხდება. შეცდომას ერთხელ თუ დაუშვებ, მთავარია, მერე ის აღარ გაიმეორო.

**– ძლიერი ნერვების პატრონი ხარ და დიდი ნებისყოფით გამოირჩევი. ერთადერთხელ გნახე „აფეთქებული,“ როცა სოციალურ ქსელში ვიღაცამ დაწერა, ნოდარ მელაძე ავარიაში დაიღუპაო.**

– არასდროს ჩემს პირად მოსაზრებას არ გამოვხატავ სოციალურ ქსელში, რადგან, პირადი მოსაზრება შენთვის და შენი სამეგობროსთვის უნდა შეინახო. მართალია, ადამიანებს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება აქვთ, მაგრამ, ხანდახან საწყენია, როცა ეს ყველანაირ საზღვრებს გადადის. ალბათ, ეს ადამიანები არ ფიქრობენ, როგორი მტკივნეული და მწარე შეიძლება იყოს მათი კომენტარი სხვისთვის. კრიტიკა ყოველთვის გასაზიარებელი და გასათვალისწინებელია, მაგრამ, როცა ზღვარს სცდება, უსიამოვნო მომენტია. არ დავმალავ, ჩემთვისაც იყო ბევრი რამ მორალური დარტყმა, მაგრამ, ამ ყველაფერს ეთერში ვერ შევიმჩნევდი – ამის უფლება არ მაქვს. რაც შეეხება იმ პოსტს, რომელიც ახსენე, ვიღაცამ, უბრალოდ, რეკლამირებისთვის გამოიყენა – ამ პოსტს გახსნიდი და რაღაც ღონისძიების რეკლამაზე გადაყავდი. ეს პოსტი რომ წავიკითხე, პირველად ის გავაკეთე, რომ სახლში დავრეკე და მშობლებსველაპარაკე, რადგან, ვიღაც სხვას რომ დაერეკა და ეს ამბავი მათთვის ეთქვა, შეიძლება, ვერც გადაეტანათ.

**– რაზე არ იტყვი არასდროს უარს?**

– უარს არასდროს ვიტყვი ჩემს პროფესიაზე, რადგან, ძალიან მიყვარს. ვიღაცისთვის ჟანგბადი, შეიძლება, სხვა რამეა, მაგრამ, მე ამით ვსუნთქავ. ძალიან მაგარი შეგრძნებაა, როცა გელოდება მაყურებელი ან რადიომსმენელი, რომლისთვისაც ინფორმაციის წყარო ხარ.

**მარიკა ხიდურელი**



**სოფო: „ნათიამ აილო საერთაშორისო კონკურსის ლიცენზია და როგორც გამარჯვებულს, გაზაფხულზე მიშვებს „მის უნივერსიტეტზე” და ასევე „მის გლობალზე”**

**მართალია, სოფო სულაძეს სცენასთან შეხება ადრეც ჰქონია, მაგრამ ის შეგრძნება, რაც კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე დაეუფლა, სულ სხვა იყო. ორმაგი პასუხისმგებლობა და გამარჯვების მოლოდინი. 14 ოქტომბერს ის გახდა ჟიურის რჩეული და „სტუდენტური სახე – 2013.“ სოფო ამ კონკურსზე კავკასიის უნივერსიტეტს წარმოადგენდა. ის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია. ჩვენს რესპონდენტს, „სტუდენტური სახე – 2013-ის“ ტიტულის მოპოვების მეორე დღეს, კონკურსის ორგანიზატორთან, ნათია ცაბუტაშვილთან ერთად შევხვდით.**

# როგორ გახდა 600 სტუდენტს შორის სოფო სულაძე საუკეთესო და რატომ სდიოდა მას სიმწრის ცრემლები ფინალის დღეს სცენაზე

**– სოფო, „სტუდენტური სახე – 2013“ გახდი. ელოდი კონკურსში გამარჯვებას?**

**სოფო**: რა თქმა უნდა, გამარჯვების ძალიან დიდი სურვილი მქონდა. შესაბამისად, ძალიან გამიხარდა „სტუდენტური სახე – 2013“ რომ გავხდი. უპირველესად, დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო კონკურსის ორგანიზატორებს, რომ მომცეს საშუალება, ჩემი შესაძლებლობები გამომემჟღავნებინა. კონკურენცია დიდი იყო, რადგან მართლაც ღირსეული კონკურენტები მყავდა. ვფიქრობ, ჟიურის წევრებს არჩევნის გაკეთება საკმაოდ გაუჭირდებოდათ.

**– ნათია, ამ კონკურსის ორგანიზატორი იყავი. რამდენი გოგონა იღებდა მონაწილეობას და როგორ შეარჩიეთ ისინი?**

**ნათია**: შესარჩევ ტურში 600 სტუდენტი მოვიდა, რის გამოც ქასთინგი ორ ეტაპად ჩავატარეთ. საბოლოოდ, 25 მონაწილე შევარჩიეთ. სოფო ერთ-ერთი ლიდერი იყო თავიდანვე. თუმცა, ღირსეული კონკურენტები ჰყავდა. სოფომ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა და ჟიურისაც ეს ყველაფერი შეუმჩნეველი არ დარჩენია. ჟიურის ასევე ყველაზე მეტად მოეწონა სოფოს ჩაცმულობა. ნომინაციაში, – „მის პროფესიონალი სტუდენტი“, გოგონებს ისეთი სამოსი უნდა მოერგოთ, რაც მათ პროფესიას შეესაბამებოდა.

**– რამდენი ეტაპისგან შედგებოდა კონკურსი ფინალამდე?**

– ფინალურ ეტაპამდე გვქონდა 4 კონკურსი: „მის სპორტი,“ „მის მოდელი,“ „მის ინტელექტი“ და „მის ტალანტი.“ აქედან 3 ანაკლიაში ჩავატარეთ, სადაც 10 დღით გვყავდა გოგონები წაყვანილი. გვქონდა ასევე ნომინაცია „მის მეგობრობა,“ რომლის გამარჯვებულიც თვითონ გოგონებმა გამოავლინეს და ჟიურის წევრებს ამაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**– სოფო, მართალია სცენაზე არაფერს იმჩნევდი, მაგრამ, როგორც გავიგე, ფეხი ძალიან გტკიოდა. თაბაშირი სულ რამდენიმე დღის წინ მოგხსნეს.**

**სოფო**: მართლა ძალიან მტკიოდა ფეხი. რეპეტიციაზე ყინულები მედო და ყავარჯნებით დავდიოდი. კონკურსანტები და ორგანიზატორები ყველანაირად ხელს მიწყობდნენ. ცეკვის კონკურსის დღეს ძალები მოვიკრიბე, გავბედე და სცენაზე გავედი. „ტანგო“ იმ დონეზე ვიცეკვე, რისი საშუალებაც ფეხმა მომცა. იმ დღეს უკვე რამდენიმე დღის მოხსნილი მქონდა თაბაშირი.

**სოფო: „ძალიან ბევრი საჩუქარი მივიღე. მთავარი პრიზი იყო ერთთვიანი სასწავლო კურსი ლონდონში, რაც ყველაზე მეტად გამიხარდა“**

**ნათია**: ფინალის დღეს ისე სტკიოდა ფეხი, მეგონა, ვერც გავიდოდა სცენაზე. მაგრამ, სოფომ მართლა მოიკრიბა ძალების მაქსიმუმი და გაიმარჯვა კიდეც.

**სოფო**: თან პრეპარატის მიმართ, რომლის საშუალებითაც ანესთეზია უნდა გამეკეთებინა, რამდენიმე საათით ადრე გავიგე, რომ ალერგიული ვყოფილვარ. როგორღაც მაინც შევძელი, საღამომდე თავი ხელში ამეყვანა და ფინალის დღეს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ვმდგარიყავი. თუმცა, იმდენ ხანს გაიწელა ეს ყველაფერი, ბოლოს სცენაზე რომ ვიდექი, სიმწრის ცრემლები მდიოდა.

**– ამ ყველაფრის შემდეგ, რა იყო შენი პირველი რეაქცია, გამარჯვებულად რომ დაგასახელეს?**

– თავი მქონდა დახრილი და ველოდებოდი, ვის გამოაცხადებდნენ „სტუდენტურ სახედ.“ ჩემი სახელი და გვარი რომ გავიგე, საოცარი გრძნობა დამეუფლა. დიადემა რომ დამადგეს, თავი უკვე სხვა ადამიანად ვიგრძენი. საოცარი შეგრძნებაა. შევეცდები, მთელი წლის განმავლობაში ღირსეულად ვატარო ეს ტიტული.

**– რა პრიზებით დაგასაჩუქრეს?**

– ძალიან ბევრი საჩუქარი მივიღე. მთავარი პრიზი იყო ერთთვიანი სასწავლო კურსი ლონდონში, რაც ყველაზე მეტად გამიხარდა. ასევე, ორკვირიანი საგზური ანაკლიაში, სასტუმრო „ორქოს საწმისში”; საგზური ეგვიპტეში. „ნეფერტიტმა“ დამასაჩუქრა თავისი პრიზით, იყო სტომატოლოგიური კლინიკის სრული მომსახურების პაკეტი, მივიღე საჩუქარი „ვულე ვუსგან.“

**– მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დგომასაც, ალბათ, უფრო სხვა დატვირთვა ჰქონდა მონაწილეებისთვის?**

– მართალია, ბავშვობიდან მქონდა სცენასთან შეხება, რადგან ხშირად მიწევდა ქართული ცეკვებით გამოსვლა; მერე კავკასიის უნივერსიტეტში წამყვანის ამპლუაშიც ვიყავი, თუმცა, კონკურსის ფინალში მოხვდე და იდგე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, ეს უკვე ორმაგი პასუხისმგებლობაა.

**– კიდევ ხომ არ გეგმავ რომელიმე კონკურსში მონაწილეობას?**

– ამის გამოცდილება ადრე არ მქონია და სიმართლე გითხრათ, იმდენად მომეწონა და ისე თავისუფლად ვიგრძენი თავი სცენაზე, რომ სურვილი ნამდვილად მაქვს, კიდევ მივიღო მონაწილეობა სხვა კონკურსებში. სავარაუდოდ, ნათია მომცემს ამის საშუალებას, რადგან მან საერთაშორისო კონკურსის ლიცენზია აილო და როგორც გამარჯვებულს, გაზაფხულზე მიშვებს „მის უნივერსიტეტზე” და ასევე, „მის გლობალზე.”

**– სად ჩატარდება ეს კონკურსები?**

**ნათია**: „მის უნივერსიტეტი“ – ჩინეთში, ხოლო „მის გლობალი“ – სტამბულში.

**მარიკა ხიდურელი**


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

**გასულ კვირას რუსთავი 2-ზე „ნიჭიერის" პირველი გადაცემის გასვლის მეორე დღეს მთელი თბილისი ამ პროექტზე ლაპარაკობდა. გარდა იმისა, რომ წელს საკმაოდ ნიჭიერი ადამიანები მონაწილეობენ ამ კონკურსში, ჟიურის წევრებმაც მაყურებელს თავის მხრიდანაც კარგი შოუ აჩვენეს. ნიჭიერებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული დიმიტრი ფაცია იყო, რომელიც დიდი ხანია, როსტოვში ცხოვრობს და სწორედ „ნიჭიერისთვის" ჩამოვიდა რამდენიმე დღით საქართველოში.**

# რატომ დაბრუნდა დიმიტრი ფაცია 20 წლის შემდეგ საქართველოში და როგორ აპირებს ის 2 მსოფლიო რეკორდის დამყარებას

**დიმიტრი ფაცია**: 1886 წელს დავიბადე საქართველოში, ზუგდიდში. მე და ჩემი ძმა ერთ წელს ვართ დაბადებულები, ოღონდ ის იანვარში, მე კი – დეკემბერში. ახლა მე 26 წლის ვარ, ის კი – 27-ის. კარგად მახსოვს საქართველოში გატარებული პერიოდი. რომ არ ყოფილიყო სერიოზული ცვლილებები, სირთულეები, გაჭირვება, ალბათ, არ წამოვიდოდით საქართველოდან. თავიდან მამა წამოვიდა როსტოვში, შემდეგ დაბრუნდა და რამდენიმე თვეში, როცა მე პირველი კლასი დავამთავრე და მეორეში უნდა გადავსულიყავი, ზაფხულის არდადეგებზე ჩვენც წაგვიყვანა. ამის შემდეგ რუსეთ-საქართველოს შორის პირველი კონფლიქტი მოხდა და ჩვენ საქართველოში ახლობლების სანახავად ჩამოსვლაც კი ვერ მოვახერხეთ. ჩემი სამშობლო საქართველოა, ახლობლები აქ ცხოვრობენ. როცა ცხოვრობ სხვა ქვეყანაში, იქ მაინც უცხო ხარ და საბოლოოდ, შენი მენტალიტეტი ისე ვითარდება, ტვინი ისე იწყებს ფიქრს, რომ გგონია ირგვლივ ყველა შენი მტერია. ვერ ვიტყვი, რომ რუსეთში ცუდია, მაგრამ როდესაც სამსახურში მინდოდა მოწყობა, ეს ძალიან რთული იყო. ახლა, როცა საქართველოში ვბრუნდებოდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ აქაც უცხო ვიქნებოდი. მაგრამ, რომ ჩამოვედი ყველანი ისე დამხვდნენ, როგორც ძალიან ახლობელს, შინაურს და ეს ჩემთვის ცრემლებამდე სასიამოვნო იყო.

**– შენი მშობლებიც ჩამოვიდნენ?**

– არა, მხოლოდ მე და ჩემი გოგონა ჩამოვედით. როდესაც როსტოვში ჩავედი, ერთი სიტყვა არ ვიცოდი რუსულად. თუმცა მალე დავიწყე კარგად ლაპარაკი. როცა წამოვიზარდე, მივხვდი – აუცილებლად უნდა მემუშავა. ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში, ჩემი პატარა ბიზნესი მქონდა – ტელეფონის სიმ-ბარათებს ვყიდულობდი და ცოტა ძვირად ვყიდდი. იმის მაგივრად, რომ ჩემს ასაკში კლუბში წავსულიყავი, გავრთობილიყავი, ვცდილობდი, დედას და მამას დავხმარებოდი, ან სავარჯიშოდ წავსულიყავი. მე და ჩემი ძმა კარატეზეც დავდიოდით, თუმცა მერე საცხოვრებელი ადგილი შევიცვალეთ და ველარ გავაგრძელეთ ვარჯიში. დღემდე ხშირად ვიცვლით საცხოვრებელ ადგილს, არ გვაქვს ჩვენი სახლი. პრინციპში, არც გვინდა, რადგან ყველანი საქართველოში ვაპირებთ დაბრუნებას. ეს მხოლოდ დროის ამბავია. მოკლედ, კარატეს გარდა, კიდევ დავდიოდი აიკიდოზე, ძიუდოზე – სპორტის ოსტატიც ვარ, მაგრამ პარალელურად, მშენებლობაზეც ვმუშაობდი, ტომრებს ვეზიდებოდი. ამისი არასდროს მრცხვენოდა, ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ ოჯახს ვეხმარებოდი. ვიცოდი, რომ დედას და მამას არ ვთხოვდი ყოველდღე ფულს და ჩემით ვცდილობდი რაღაცეების კეთებას. 2009 წელს ვნახე რემი მარტინის გამოსვლა და მივხვდი, რომ მეც მინდოდა ეს მეკეთებინა. მაშინვე წავედი მშობლებთან ერთად და „ტურნიკზე" ვცადე, ყველა ის ტრიუკი გამეკეთებინა, რასაც ის აკეთებდა. პირველივე მცდელობაზე გამომივიდა და მივხვდი, ეს იყო ჩემი საქმე. მშობლებს ეგონათ, რომ ვივარჯიშებდი და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. მაგრამ, ასე არ მოხდა იმ დროს ვმუშაობდი, მაგრამ თავი დავანებე და გადავწყვიტე, ამ სფეროში წავსულიყავი წინ, რადგან არ არსებობს იმ სამუშაოზე უკეთესი, რომელიც ძალიან გიყვარს და სიამოვნებას განიჭებს. რუსეთში ამ სახეობას დღეს „პოლ დენსს" ეძახიან, მაგრამ მე სულ სხვა მიმართულება მაქვს. როგორც ნახეთ, მე თავიდან ბოლომდე სამოსში გამოვდივარ. „პოლ დენსში" არ არის ასე. იქ სხეულის გარკვეული ნაწილები, მაგალითად ხელი, ფეხი შიშველია და უფრო ადვილია ასე ბოძზე თავის დამაგრება, ვიდრე სამოსით ვარჯიში. ჩემს მიმართულებას ჰქვია *„Chinese Pole - китайский пилон"*-.2009 წლიდან უკვე ამ საქმით ვარ დაკავებული. 2011 წელს დავიწყე შეჯიბრებებში მონაწილეობა და სწორედ ამ წელს ავიღე პირველი ადგილი საერთაშორისო შეჯიბრებაში „ესენგეს" ქვეყნებს შორის. კრასნოდარში ჩატარდა ეს შეჯიბრება და როდესაც გამოაცხადეს: მესამე ადგილი, მერე – მეორე... უკვე იმედი არ მქონდა, რომ რომელიმე ადგილს ავიღებდი. 15 ადამიანი მონაწილეობდა და ყველა ძალიან ძლიერი იყო. პირველი ადგილის გამოცხადებისას შეჯიბრების ორგანიზატორმა თქვა: ამ ადამიანს არასდროს ჰყოლია მწვრთნელი, მასწავლებელი, არასდროს ჰქონია დარბაზი, სადაც ივარჯიშებდა, არ ჰქონია „მატრასი," „სტრახოვკა," რაზეც ვარჯიშის დროს დაეცემოდა. ყველაფერს თავისით მიაღწია. მივხვდი, რომ ჩემზე ლაპარაკობდა, სიხარულის ცრემლები წამომივიდა. გამოაცხადეს დიმიტრი ფაცია - და ამ ადამიანმა მომცა შანსი, სტიმული, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე წავიდე და ვიბრძოლო პირველი ადგილისთვის. ჩემი დიდი სურვილია, მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს სახელით გამოვიდე. მე დღემდე ქუჩაში ვვარჯიშობ – სიცივეში, სიცხეში, არ აქვს მნიშვნელობა. ეს ძალიან რთული და საშიშიცაა, რომ დაეცე ბეტონზე, ძალიან მტკივნეულია. სიმართლე, რომ გითხრა თითქმის ვფლობ 2 მსოფლიო რეკორდს. პირველი ეს არის „рекорд по флажку". მსოფლიო რეკორდი არის 39 წამი, რომელიც ეკუთვნის კანადელ დომენიკ ლუკასს. მე ამ მომენტში უკვე მაქვს 52 წამი. ამის შესახებ ლონდონში გინესის რეკორდის ფედერციას არაერთხელ მივწერე, მაგრამ მუდმივად მპასუხობენ, რომ ეს მათთვის არ არის საინტერესო. რა თქმა უნდა, ფულის გამო ისინი დაინტერესდებოდნენ. თუ არ ვცდები, დაახლოებით 1 000-2 000 ევროა საჭირო და კიდევ გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რის საშუალებაც არ მაქვს მე ახლა.. ასე რომ, საქართველოდან ვგეგმავ ორი მსოფლიო რეკორდის დამყარებას და ეს რა თქმა უნდა, რთულია.



კარატის გარდა, კიდევ ვვარჯიშობდი აიკიდოში, ძიუდოში – სპორტის ოსტატიც ვარ, მაგრამ პარალელურად, მშენებლობაზეც ვმუშაობდი, ტომრებსაც ვეზიდებოდი



დღემდე ქუჩაში ვვარჯიშობ - სიცივეში, სიცხეში, არ აქვს მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან რთული და საშიშიც იყო, რომ დაეცე ბეტონზე, ძალიან მტკივნეული იქნებოდა. ნელ-ნელა ვართულებდი ყველაფერს

**– რატომ გადაწყვიტე „ნიჭიერში" მონაწილეობა?**

– რუსეთში არის ასეთი პროექტი „ минута славы", ისევე როგორც უკრაინაში, სადაც ვმონაწილეობდი კიდეც. ვფიქრობდი, იქ ყველაფერი უფრო პატიოსნად, სუფთად იქნებოდა, ვიდრე რუსეთში, მაგრამ ასე არ ყოფილა. ნახევარფინალში გავედი, ორჯერ მიმიწვიეს, მაგრამ, ნახევარფინალში უკვე მითხრეს, რომ ვერ გადავედი. პირველად რომ გამოვედი, მაყურებელი ძალიან კმაყოფილი, ბედნიერი იყო. მაგრამ ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა მითხრა, რომ მას უფრო მეტად მოსწონს, როცა ბოძზე ცეკვავს ქალი, ვიდრე მამაკაცი. ამით უკვე ყველაფერი ითქვა. შემდეგ, როცა დამიძახეს ერთ-ერთ ტელეკომპანიაში და „ეცეკვე ვარსკვლავში" მონაწილეობა შემომთავაზეს, დიდ ხანს ცდილობდნენ ჩემს დათანხმებას. უარი ვუთხარი: თქვენმა არხმა უკვე აჩვენა თავისი სახე-მეთქი. ორჯერ დამიძახეს. „ნიჭიერი" სულ სხვაა, თან ჩემი ქვეყანაა და საკუთარი ქვეყნის სახელით გამოსვლას არაფერი შეედრება. მომდევნო ნომერი ისევ იქნება ბოძზე, უბრალოდ მეგონა, რომ ცოტა მეტ დროს მომცემდნენ. შევეცდები, მოცემულ დროში ყველაფერი მოვასწრო, რადგან ძალიან ბევრი სიურპრიზი მაქვს. ახლა იქნება თეატრალიზებული სილამაზე, რადგან მე უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევ სილამაზეს, ვიდრე რთულ ტრიუკებს. იქნება უფრო მეტი ტრიუკი, ექსტრემი, ლამაზი და ამ ყველაფერს თუ ვაკეთებდი 4 მეტრზე, ახლა გავაკეთებ 6-ზე. რუსეთში ეს სახეობა ძალიან პოპულარულია. ყველა ცდილობს იცეკვოს, რომ თქვან: „მე ვვარჯიშობ პოლ დენსში". თუმცა სამხრეთ რუსეთში მე ერთადერთი ვარ, ვინც ამ სფეროში მუშაობს. ძალიან ბევრ შეჯიბრებაზე მეძახიან და არა მხოლოდ რუსეთში. მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ვახერხებ წასვლა, რადგან ამისთვის საკუთარი ფინანსებია საჭირო. სხვა შეჯიბრებები, რომლებიც უფრო პატარაა და აფინანსებენ, მე არ მაინტერესებს, რადგან ბევრ დროს მოითხოვს და ამის დრო არ მაქვს. იმ საფეხურზე, რომელზეც ვარ, რუსეთში რამდენიმე ადამიანია. ფაქტობრივად, მსოფლიოში პირველი ადგილი მაქვს ძალისმიერ აკრობატიკაში ამ ცეკვების განხრით. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც ჩემზე ბევრად რთულ ტრიუკებს აკეთებენ, მაგრამ არის ისეთი რაღაცეები, როგორიც არის ქორეოგრაფია, პლასტიკა, სისუფთავე, რასაც ისინი ნაკლებად იცავენ. ამიტომ, ჩემთვის მნიშვნელოვანია ნაკლები ტრიუკი და ბევრი სილამაზე. მივხვდი, რომ ჟიური სამართლიანია. ეს კი ძალიან სასიამოვნოა. არ ვიცი, კიდევ ვინ გამოვა, მოეწონებათ თუ არა ჩემი მეორე გამოსვლა. ჩემთვის მთავარია, რომ გულით-სულით ვემზადები – მინდა, ხალხს მოეწონოს ის სილამაზე, რასაც მე მათ ვაჩვენებ.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**რუზველტი**: საარჩევნო ხმა შაშხანასავითაა, მისი სარგებლიანობა განისაზღვრება მოსარგებლის ხასიათით.

**მანკენი**: რაც უფრო ასაკში შევდივარ, მით ნაკლებად ვენდობი ფრაზას, რომელიც ამტკიცებს, რომ სიბრძნე ასაკთან ერთად მოდის.

**ჩეხოვი**: თუ რომელიმე ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ ბევრ წამალს იძლევიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფობა განუკურნავია.

**ლეონარდი**: თუ ადამიანი თვითონაა ცუდი, ყველა ცუდი ეჩვენება.

**პასკალი**: თუ საზარელია იმის სიბრმავე, ვინც არ ცდილობს, შეიცნოს საკუთარი თავი, რამდენად უფრო საზარელია იმისი სიბრმავე, ვისაც სწამს ღმერთი და მაინც სიავესა და სიბილწეში ცხოვრობს.

**ბონაპარტი**: სამხედრო ძალა არაა საკმარისი სახელმწიფოს დასაცავად. ხალხის მიერ დაცული ქვეყანა დაუმარცხებელია.

**ვებერი**: ადამიანებად ჩვენ გვხდის დედმამა, ადამიანურად კი – აღზრდა.

***

ძალიან ძლიერი მგრძნობიარობა ჭეშმარიტი უბედურებაა.

**ცვაიგი**: ყოველთვის, სანამ ახალი აღზევდებოდეს, ძველის ავტორიტეტი მუხლებზე უნდა დაეცეს.

**ციცერონი**: ძლიერი, მოკლედ გამოთქმული აზრები დიდად უწყობს ხელს ცხოვრების გაუმჯობესებას.

**ნოვალისი**: ადამიანად ჩამოყალიბება ხელოვნებაა.

**დიოგენე**: ვეძებ ადამიანს.

**ლაროშფუკო**: ზოგი ადამიანი მთელი მისი ღირსებების მიუხედავად, თვალის დასანახავად გვეჯავრება, ზოგი კი გვიზიდავს ნაკლის მიუხედავად.

**ტოლსტოი**: უპირველესად, გონების უნდა ვიწამოთ.

**ფეიხტერსლებენი**: საკითხი ის კი არ არის – საჭიროა თეორია თუ გამოცდილება, არამედ ის, რომ ორივე შემთხვევაში საჭიროა სიფრთხილე.

**პუბლიუსი**: უკეთური ყოველთვის კეთილზე სწრაფია.

**შექსპირი**: ბოროტებაში სიჯიუტე კი არ ამცირებს ბოროტებას, არამედ ზრდის მას.

**ბერნე**: ტანჯვა სიბრძნის მამაა, სიყვარული – დედა.

**ფრომი**: გონება ადამიანის ბედნიერი საჩუქარია და მისი წყევლაცაა.

**ლუკრეციუსი**: თუ ჩვენი გრძნობები ჭეშმარიტი არ იქნება, მაშინ ჩვენი გონებაც ცრუ გამოჩნდება.

**ფრიში**: ვისაც გაგონება არ უნდა, უნდა იგრძნოს.

**ოქსენშერნა**: გულახდილობას თავისი საზღვრები აქვს, მის იქით, ის უკვე წინდაუხედაობაა.

**კანტი**: მრისხანების შედეგად გამოწვეული დასჯა არ აღწევს მიზანს. ბავშვები საკუთარ თავს მრისხანების მსხვერპლად მიიჩნევენ.

**ვოვენარგი**: ქალის მოკრძალება სამკაულის მიმართ, სიყვარულის ერთ-ერთი წყაროა.

**ემე**: მცდარია აზრი, თითქოს ქალები იმიტომ იპრანჭებიან, რომ მამაკაცს მოაწონონ თავი, ისინი ამას სხვა ქალების გასაღიზიანებლად აკეთებენ.

# თუ გამოიცნობთ

1. როდესაც ფრანგი მეკობრე სიურკუფი დაიჭირეს და ჰკითხეს, სად ინახავდა განძს, მან უპასუხა, რომ ხომალდზე. თუმცა, გემის ჩხრეკისას ვერსად აღმოაჩინეს. **სად იყო განძი, თუ კი მეკობრემ სიმართლე თქვა?**

2. ის ჩინური წარმოშობისაა და იმპერატორს ოთხსართულიანი ჰქონდა, იაპონიის იმპერატორს – წითელი, დაგომეის მეფეს – 84 ადამიანის ყბითა და ერთი თავის ქალით შემკობილი, ინდოეთის პრინცებს მას საფლავში ატანდნენ, ვატერლოოს ბრძოლის დროს ის ინგლისელი კავალერისტების აღჭურვილობაში შედიოდა, ის რობინზონ კრუზოსაც კი ჰქონდა. **რა?**

3. ყველასთვის ცნობილია, ინდოეთში, ქალაქ აგრაში მდებარე საოცარი სილამაზის მავზოლეუმი – ტაჯმაჰალი. მის დამცველ მეომართა შთამომავლობის უმეტესობა ინდოეთში კი არა, სხვაგან ცხოვრობს. **ვინ არიან ისინი?**

4. მის გარეშე თითქმის შეუძლებელია ნიკიტა ხრუშჩოვის წარმოდგენა. მას უინსტონ ჩერჩილიც ატარებდა. ახლა ის ხშირად ამშვენებს ინგლისის დედოფალს. მზადდება აუცილებლად ნატურალური მასალისგან და 10 დოლარიდან 5 ათას დოლარამდე შეიძლება ღირდეს. წესით, ევკადორი უნდა ერქვას, მაგრამ, რადგან სხვა ქვეყნიდან შემოჰქონდათ, ევროპელებმა სულ სხვა სახელი შეარქვეს. **რა?**

5. ინგლისელმა ინჟინრებმა ავტომობილის გატაცების საწინააღმდეგო მოწყობილობა სამზარეულოს ჩვეულებრივი ნივთის მოქმედების თითქმის კოპირებით შექმნეს. **რა ნივთის „ასლია“ ავტომობილის სიგნალიზაცია?**

6. ადრე ამ ქვის საბადოს ოქროსას ადარებდნენ. აი ისინიც: თურქული, ბელგიური, ლიდიური, არკანზასული ვაშიტა, ტურიუნგის ქვები და ასე შემდეგ. დღეს კი სრულიად შესაძლებელია, რომ ეს ქვა თქვენც გქონდეთ სამზარეულოში. **რა?**

7. ვინმე გვიდომ გამოიგონა შვიდი მარცვალი. ეს არაჩვეულებრივი გამოგონება დღესაც გამოიყენება, მაგრამ, როგორც სასწავლო საგანი, საშინლად არ უყვართ ბავშვებს, რომელთა უმრავლესობას მათი სურვილის გარეშე ასწავლიან. **რა ეწოდება მას ახლა?**

8. მეცხრამეტე საუკუნეში ავსტრალია ცხვრის ხორცის დიდი მწარმოებელი იყო. ქვეყანამ ხორცის რეგულარულ ექსპორტში გაჩენილი პრობლემები ახალი გამოგონებით აიცილა თავიდან. **რა გამოიგონეს?**

9. ანგლო-ბურების ომმა მრავალი სიახლე მოიტანა, რომელთა შორის ერთ-ერთი, ძალიან მარტივი კონსტრუქციის, დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო საომარ ვითარებაში, არამედ, სოფლის მეურნეობასა და პენიტენციალურ სისტემაში. სხვათა შორის, ის დღეს წამოჭრილი აქტუალური თემის მიზეზიცაა. **რა?**

10. **რას უწოდა** ბერძენმა ფილოსოფოსმა, დემოკრიტემ „ენის ატომი“?

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ბრიტანეთის ბუკინგემის სასახლეში 600 ოთახია.

* კაცობრიობის ისტორიაში 1865 წლის თებერვალი იყო ერთადერთი თვე, რომლის დროსაც სავსე მთვარე არ ყოფილა.

* ალ კაპონეს სავიზიტო ბარათზე ეწერა: „ძველი ავეჯის დილერი“.

* რისხვა – კისერი, შიში – მუცელი, ნაღველი და სასოწარკვეთა – ზურგის ქვედა ნაწილი... ბრიტანელი ექიმების აზრით, ამ გრძნობების განცდის დროს ადამიანებს სხეულის შესაბამისი ნაწილები სტკივათ.

* ო ჰენრიმ ლიტერატურული მოღვაწეობა პატიმრობაში დაიწყო.

* არალის ზღვაში, სანამ დაშრებოდა, არსებობდა ბელინსჰაუზენისა და ლაზარევის კუნძულები.

* 375, 500, 585, 958 – ამ რიცხვებით ოქროს სინჯს, ანუ, ნიმუშში ოქროს შემცველობის პროპორციას გამოხატავენ.

* 1928 წელს პეტერბურგელმა აკადემიკოსმა პაროტმა და მისმა თანაშემწემ, დოროვმა პირველებმა გააქარწყლეს ერთ-ერთი ძველი სომხური რწმენა – „არარატის მწვერვალის დაპყრობა შეუძლებელია“.

* ბოლო 4 000 წლის განმავლობაში ადამიანმა ვერც ერთი ცხოველი ვერ მოიშინაურა.

* იტალიაში ევროპის კულტურული ფასეულობების 60 პროცენტია თავმოყრილი. ნებისმიერი იტალიური ქალაქი – მუზეუმია ღია ცის ქვეშ.

* პირველი მაკრატელი ლეონარდო და ვინჩიმ გამოიგონა.

* საშუალო ამერიკელი თავისი სიცოცხლის 6 თვეს გზაჯვარედინზე, მწვანე შუქის მოლოდინში ატარებს.

* თომას ედისონს სიბნელის ეშინოდა... ალბათ, სწორედ ამის შედეგი იყო ელექტრონათურის გამოგონება.

* „ავე მარიას“ ტექსტი უოლტერ სკოტს ეკუთვნის.

* დოლარის დახურდავების 293 ვარიანტი არსებობს.

* ძმებ ლიუმიერების სახელობის დარბაზი, სადაც კანის ფესტივალის დაჯილდოების ცერემონიალი ტარდება, 2 800 მაყურებელს იტევს.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. მფF1-F2!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




– იცი, იმდენი ცუდი რამ წავიკითხე ალკოჰოლის მავნებლობაზე, რომ, გადავწყვიტე, შევეშვა...
– სასმელს?
– არა, კითხვას...

***

მამაკაცისთვის სექსი ისევე აუცილებელია, როგორც საჭმელი: თუ ძვირფას ფრანგულ რესტორანში არ უშვებენ, მიდის „მაკდონალდსში“, ხან კი თვითონვე იკეთებს...

***

– მიტო, მამაჩემსა შენი გაცნობა უნდა.
– როგორ, ეგ არ იყო მთელი ორი საათი ნაჯახით რო მამდევდა?!




– ხოდა, მეეწონე, ბიჭო, ჯერ მაგითვინა სირბილში არავის უჯობნია...

***

მიგატოვათ შეყვარებულმა? დარდობთ და ბევრს ფიქრობთ მასზე?! დაიწყეთ მკაცრი დიეტა! უებარი საშუალებაა – ახლა თქვენ ყოველ წუთს საჭმელზე იფიქრებთ.

***

კომპიუტერთან მჯდარ ქმართან ცოლი მიდის.
– ცოტა ხანს მე დავჯდები, ვითამაშებ...
– სინდისი იქონიე! მე როდისმე შენთვის ცოცხი გამომირთმევია?!

***

– საყვარელო, სადილად რა გვაქვს?
– არაფერი...
– გუშინაც ხომ არაფერი გვქონდა...
– ჰო, ორი დღისთვის მოვამზადე.

***

– მივლინებაში წასვლის წინ ჩემი ქმარი პროფილაქტიკურ სამუშაოებს მიტარებს: „ოტელოზე“ მივყავარ თეატრში, ან, მაკითხებს მაინც...

***

– ჩემო პრინცესა, ამოვიდე?
– არა, სახლში დრაკონი მყავს.
– რა?!
– ქმარი ჩამოვიდა, ქმარი...

***

პასუხი ანკეტის გრაფაში – „ოჯახური მდგომარეობა“:
„გამოუვალი: ცოლი, სიდედრი და ხუთი შვილი“.

***

მე კულტურული და წესიერი გოგო ვარ... საბედნიეროდ, აზრების კითხვა ჯერ არც ერთ მამაკაცს არ შეუძლია...

***

– აბა, ბავშვებო, ვინ მეტყვის, ტურგენევის „მუმუს“ რომელი პერსონაჟი ვერ ლაპარაკობს?
– ნავი! – წამოიძახა სანდრომ.
– არა სანდრო, სწორი პასუხია – გერასიმე.
– ნავი, რა, ლაპარაკობდა?!

***

მეთევზემ სირინოზი დაიჭირა.
– გამიშვი, კეთილო კაცო, და სამ სურვილს შეგისრულებ... მხოლოდ მითხარი...
– იცი, რა, ძვირფასო, მე ერთი სურვილი მაქვს, ოღონდ, სამჯერ უნდა შემისრულო...

***

თუ თქვენ ოცდაათ წელს გადააბიჯეთ და ამ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ვერაფერს მიაღწიეთ, ესე იგი, თქვენ პატიოსანი და წესიერი ადამიანი ბრძანდებით.

***

თუ იმდენი სტუმარი გესტუმრათ, რომ ვერ მოგიფიქრებიათ, სად დააწვინოთ, ნუ ინერვიულებთ – დაუდგით სასმელი და, ადგილსაც თვითონ იპოვიან და თავსაც თვითონ მიხედავენ...

***

სასწავლო ვარჯიშები:
– რიგითო ბ-ძე, მათარაში დაგრჩათ წყალი?
– კი, ძამია, აპა არა?!
– როგორ პასუხობ ჩინით უფროსს? ვიმეორებ კითხვას: გაქვს წყალი?
– არა, ბატონო სერჟანტო!

***

დაიჭირა მოხუცმა ოქროს თევზი. იმანაც – გამიშვი და სამ სურვილს აგისრულებო.




– წამიკითხავს ეგ ზღაპარი... ჰოდა, ჩემი პირველი სურვილი იქნება – ახალი ცოლი...

***

მამაკაცი რომ გააბედნიეროთ, არ მოაკლოთ:
1. მისი საყვარელი გემრიელი კერძები;
2. სექსი;
3. და, შეეშვით, რაც უნდა, ის აკეთოს.

***

ქმრის დაბადების დღეა. ცოლი მეორე ოთახიდან ეუბნება:
– საყვარელო, იცი, რა მაგარი საჩუქარი მოგიმზადე?
– აბა, მაჩვენე...
– ახლავე, უკვე ვიცვამ...

***

– რატომ არ უვლი თავს?
– რა საჭიროა, მე ხომ შენზე საერთოდ არ ვეჭვიანობ...

***

ავტობუსში მოხუცი ქალი დიდხანს აკვირდებოდა ახალგაზრდას, რომელიც კევს ღეჭავდა და ბოლოს ველარ მოითმინა:
– ტყულად მიყვები შვილო, მაინც ვერაფერს გავიგებ, მე ხომ ყრუ ვარ...

***

– საყვარელო, ორი კვირით უნდა წავიდე... ხომ არ მოიწყენ?
– არა.
– არ მეკითხები, სად მივდივარ, ვისთან ერთად, რატომ?
– ბედნიერება რომ გეწვევა, რა საჭიროა, იკითხო საიდან, როგორ, რატომ?!

***

– ე, ნუ სვამ ამ ჭუჭყიან წყალს, მთელი სოფლის კანალიზაცია აქ ჩადის!




– ჩტო?
– ორივე ხელით დალიე-მეთქი, ორივე ხელით!..

***

– ბევრი ვიფიქრე, რა ვაჩუქო ქმარს დაბადების დღეზე... ქაფი? რამე კრემი? ნასკები? – ბანალურია... მოდი, ბათუმში წავალ ორი კვირით – დავასვენებ საყვარელ ადამიანს...

***

გოგოებო, ტყუილად ბრაზობთ მექალთანე კაცებზე – მამაკაცები ერთ ქალს თუ შეაჩერდნენ, თქვენ ისე დარჩებით.

***

მეათეკლასელ გოგონას მშობლებმა ჩანთაში სადომაზოხისტური ნივთები ალმოუჩინეს. მოიწვიეს ოჯახური საბჭო.
მამა: ო, როგორც ვხვდები, ცემა შედეგს არ მოგვცემს...

***

ქმარი სასწორზე დგას და ცდილობს, მუცელი შიგნით შესწიოს.
– გგონია, ეგ გიშველის? – თავს წამოადგა ცოლი.
– არა, მაგრამ, ციფრები ხომ უნდა დავინახო?!

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# გურინია მაჩიტიძის გასინსილებული სახლ-კარი და ჰალსტუხ-ცილინდრიანის გინება

ცხოვრობდა ზესტაფონის ერთ ლამაზ სოფელში გურინია მაჩიტიძე (აწ გარდაცვლილი). უზარმაზარი იუმორის მქონე იყო ცხონებული და, შუადღისას, მგზავრების მოლოდინში რომ ჩამწკრივდებოდნენ ყვითელი „ვოლგა-24“ ტაქსები, გურინიას შემოარტყამდნენ წრეს – რაცხას იტყვის, მარჯვეს, გამართულს და ხოშიანსო.

თავმდაბალი ბიჭი სულაც ვერ ხვდებოდა, რა იუმორიანი სიტყვა გამოუდიოდა და, სხვები რომ ახარხარდებოდნენ, სულ ბოლოს გაიცინებდა ხოლმე ისიც. გამოსდიოდა ასე და... ნიჭია ერთგვარი...

მოკლედ, ერთი მშვენიერი დღეა.

ჩამოდგა თბილისი-მახარაძის დღის მატარებელი ზესტაფონში. თბილისელებისგან განსხვავებით, ზესტაფონელი ტაქსისტები მატარებელს არ შეაცვივდებიან – აბა, საით, ტაქსი ხომ არ გინდათო და ასე შემდეგ. რიგი იყო და მსურველი თვითონ აირჩევდა.

ერთი ჰალსტუხ-ცილინდრიანი პიროვნება ჩამოვიდა მატარებლიდან და... რატომღაც გურინია მაჩიტიძის გაპრიალებული ტაქსი ამოიგუნება.

ჩაჯდა კიდეც...

– ძმაო, მაიაკოვსკში წამიყვან? (ბაღდათია ახლა).

– ბატონი ბრძანდებით, – მრიცხველი ჩართო სტარტერთან ერთად გურინიამ და დაიძრნენ.

უმოკლესი გზა ზესტაფონიდან ბაღდადში მეორე სვირზე გადიოდა.

მეორესვირელ გურინიას ზედ გზისპირზე ჰქონდა კაპიკ-კაპიკ შრომა-დაგვით აშენებული ორსართულიანი სახლი და, გინდა-არგინდა, იქ უნდა გაევლო ყველა სატრანსპორტო საშუალებას, ვინც ზესტაფონიდან ბაღდათში მიდიოდა. მაისის მშვენიერი, ცინცხალი შუადღეა... თითქმის.

გურინია გვერდში მჯდარ თბილისელ ცილინდრ-პაპკიან კაცს მიაგელვებს მაიაკოვსკში.




კლიენტი ენაწყლიანობს და გურიანასაც ეს უნდა.

– თბილისში რა ამბებია, ბატონო? – ეკითხება „შლაპოსანს“.

– არი, რა... მდიდრები ჩაგრავენ ღარიბებს!

– აბა, კაცო, აბა! – სიჩქარე შეუცვალა მანქანას გურინიამ და შაველას (მდინარეა) აღმართს შეუყვა.

ორიოდე მოსახვევი და, თავის წვით და დაგვით, ოფლითა და შრომით აშენებულ სახლს უნდა ჩაუაროს ტაქსით გურინიამ, მაგრამ, იმერელს, თავმოყვარე და კვანწია კაცს რა მოასვენებს, ისევ გაუბა სტუმარს საუბარი.

– გადაჭამეს, ბატონო იმანო... თქვენი სახელი?

– ტრიფილდი... – თქვა კაცმა.

– ბატონო ტრიფონ... ხო... გადაჭამეს, კაცო, ამ მაფიოზებმა ქვეყანა..

– მოვა მაგათი დროც! – ჩაებღაუჭა პაპკას კლიენტი და ბოღმიანად ჩაახველა.

ამასობაში ჯინჭარაძის აღმართიც აათავეს და ირიბად დაეშვნენ. იქ კი, როგორც მოგახსენეთ, გურინიას სახლი იდგა გზის პირზე.

გურინიამ სვლა შეანელა და თავის სახლსაც გაუსწორდა...

– გაიხედეთ მარჯვნივ... – მოიღერა ყელი და სულ დაავიწყდა, ერთი წუთის წინ რას ამბობდა...

იმერლის სიამაყემ ყველანაირ პოლიტიკას გადაუარა. თავისი სახლია, წვა-დაგვით აშენებული და, ახლა ამ უცხო კაცმა რომ უთხრას – რა კარგი სახლიაო... ოოო, როგორ გაიხარებს, როგორი სიამაყით დაატრიალებს საჭეს, როგორი იმედით შეხედავს ცხოვრებას.

ჩაყვინთული მგზავრი შეანჯღრია იდაყვით:

– ა, ბატონო, გაიხედეთ, რა სახლია...

მგზავრი გამოერკვა და სახლს შეხედა.

– ხომ კარგი სახლია, ბატონო? – სულ და სულ მოუკლო სიჩქარეს...

მგზავრმა სახლი მართლაც დაკვირვებულად შეათვალიერა.

– მაგარი სახლია...

გურინიას ათასი მზე ამოუბრწყინდა თვალებში, მაგრამ, სიხარული ნაადრევი გამოდგა.

– ვიღაცა ჩათლახის, სისხლის მწოველის აშენებული იქნება... მე იმის დედაც მოვ...!! – თქვა კაცმა... – ჩათლახები!

... გურინიას ბაღდათამდე ხმა არ ამოუღია.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ჩინელი ბიჭის თვალით დანახული „დავალიანებული“ ქართველები

გამარჯობა დედა. როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, ვცხოვრობ ძველებურად.

დედა, საქართველოში ერთი ისეთი სიტყვა არსებობს, რომლის მნიშვნელობა ყველამ იცის დიდმა და პატარამ, მოხუცმა და ახალგაზრდამ, ბავშვმა და მოზარდმა. ეს სიტყვა არის ვალი, არ არსებობს ქართველი, რომელსაც ვალი არ აქვს. მნიშვნელობა არ აქვს მდიდარია თუ ღარიბი, ვალი ყველას აქვს.

საქართველოში ყველაზე პოპულარული ბანკის ვალია. გინებაც არსებობს ასეთი: ვისაც ბანკის ვალი არ აქვს, იმის ასე და ისეო და არავის სწყინს. შემდეგ მოდის ლომბარდის ვალი. ლომბარდში მიაქვთ ყველანაირი ღირებული ნივთი, რაც კი ოჯახში მოიპოვება და იმ ფულს ძალიან ხშირად ქეიფში ხარჯავენ. შემდეგ მოდის ნებისმიერი ნაცნობის ვალი, მნიშვნელობა არ აქვს ნათესავია, ახლობელი თუ უბრალო ნაცნობი. ფულის სესხება ყველასგან შეიძლება. ფულის თხოვნა საქართველოში თითქმის ხელოვნების დონეზეა აყვანილი. ერთი ფრაზაა აქ: „ძმურად, ზეგამდე ოცი ლარი მჭირდება რა!“ ეს „ზეგამდე“ ხშირად რამდენიმე თვე ან წელი გრძელდება. უფრო ხშირ შემთხვევაში კი, ასეთ მცირე თანხებს უკან არ აბრუნებენ. იმ დღეს ისეთი რამ შემემთხვა, ნებისმიერ ფსიქოანალიტიკოსს შეშურდებოდა, რომ მოესმინა. ორი დღის წინ შემთხვევით შემხვდა ჩემი ნათლია კობა. როგორც ადრე გითხარი, სადღაც მუშაობს დისტრიბუტორად და ყველას ვალი აქვს, ვისაც იცნობს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩემი ორმოცდაათი ლარიც. მოვიკითხეთ ერთმანეთი და უცებ მკითხა, შემთხვევით ოცლარიანის ხურდა ხომ არ გაქვსო? მე მქონდა, დედა და ვუთხარი კი, მაქვსმეთქი და ჯიბიდან ფული ამოვიღე. უცებ მითხრა: ძმურად, სამი დღით ათი ლარი მასესხეო. რაღას ვიზამდი, ხომ ვერ ვეტყოდი არ მაქვსმეთქი, ავდექი და მივეცი. დედა ახლა მიხვდები, თუ რა საშუალებებს აღარ მიმართავენ ქართველები, ფულის სასესხებლად.

ვალები მეც ზუსტად ქართველებივით დამიგროვდა. ჩემი ქორწილისთვის რომ სესხი ავიღე ბანკიდან, იმას ჯერ კიდევ ვიხდი. ჩემი ნათლია ნანას ვალი მაქვს ორასი ლარი და ჩემი სიდედრის ვალი გვაქვს – ო თ ხ ა ს ი ლარი. ლამზირა ყ ო ვ ე ლ დ ღ ე მეუბნება, დედაჩემმა დაგვაყენა ფეხზე ფული რომ გვასესხა, თორემ ახლა დახოცილები ვიქნებოდითო. არადა, იმ ფულით თვითონ იყიდა კაბა და ჟაკეტი. დაბრუნებით კი, რა თქმა უნდა, მე უნდა დავაბრუნო. სამ დღეში ერთხელ მოდის, ქალბატონი სიდედრი და ამბობს, სახლში ერთი კაპიკი აღარ გვაქვს, რა ვქნათ აღარ ვიციო. მე ვიცი, იმისთვის გვეუბნება, რომ ფული დავუბრუნოთ, მაგრამ ჯინაზე არ ვუბრუნებ. მეც ჩემებურად ხომ უნდა ვიძიო შური. აბა, მაგასთან ჩხუბს ჯობია, ირანს გაუგზავნო საომარი ნოტა. მოკლედ, ასეა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, დედა. მომიკითხე ყველა.




**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.